

გორისი



მხატვარი მზია ხალვაში

1

2021



აჭარის მხედრულთა სახლი

ISSN 0134-3459



9 770134 345001

2 100 1



ჭოროხი

გამოცემის 63-ე წელი

ინვარი-თებერვალი

№1

2021 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
სანდრო გერიძე

სარედაქციო კოლეგია
როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
შოთა ზოიძე
იაზა თანდილაშვილი
დავით თედორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდამ ნიჭარაძე
ჯეგალ სურგანიძე
ბელა ქიზურიანი
ვახტანგ ლლონტი
თინა შიოშვილი
მაია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა
მალხაზ ფალავა

ოპერატორი
მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2021

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი



აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში.
ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33



9 770134 345001

ავტორთა საყურადღებოდ:

რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8)); რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

მოქმედი, ანონი

დავით თედორაძე – ლექსები	3
ნიაზ ზოსნიძე – მოთხრობები	15
რაზო თეგიაძე – ლექსები	38
დალი თედორაძე – შობის ვარსკვლავი (ზღაპარი)	47
სანდრო ბერიძე – ლექსები	49
ნინო დარბაისელი – მოთხრობები	61
ლუკა მალაყვაძე – ლექსები	71

ქართული, ჯანსიუნი

მარიამ ნიკლაური – საბავშვო პოეზია – არსებობს თუ არა?	74
მარინე ჩხიკვაძე – შორია ევროპამდე	78
მინაილ მახარაძე – მნიშვნელოვანი მოვლენები ქართულ ფილოსოფიაში	82

ისტორია

ოთარ გობოლიშვილი – გიორგი მაზნიაშვილი – საქართველოს გენერალი	86
რუსუდან კობრაძე – სასტუმროები ბათუმში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში	89

საინტერესოა

თინა შიოშვილი – ქართველ მუჰაჯირთა სიბრძნის პოეზია	97
---	----


საქართველო საქართველო

ტარიელ ფუტყაძე – უცხოეთში მოღვაწე ქართველები	101
--	-----

დასრული

მარიამ მარჯანიშვილი – ქალთა სახეები მიხეილ მახარაძის წიგნში „მერიემი“	112
---	-----

ჯონსია, ჯანოჯა



დავით თედორაძე

ვინც საქართველოს უორგულებს...

ვინც საქართველოს უორგულებს,
ცაც გაუშავდეს, –
წყალიცა!

ვინც საქართველოს უორგულებს,
ცოლიც გაუბახდეს, –
ქალიცა!

ვინც საქართველოს უორგულებს,
სულიც დაუბრმავდეს, –
თვალიცა!

ვინც საქართველოს უორგულებს,
ხორციც დაენაცროს, –
ძვალიცა!

მადლი არ ეღირსოს,
უმადურმა
ყვავი და ყორანი კვებოს,
დედა გველს შეაჭამოს,
მამის სისხლით
თმა-წვერი შეიღებოს!

ჩაძალღდეს მისი ნაშვიერიც
უნყოფი, უდაბნოს ხანძრითა,
გვარიც ნაბილწული,
ჯიშიც ნაბილწული,
იხსენიებოდეს ღვარძლითა!

ვინც საქართველოს უორგულებს!..

ბორკილად მადევს ავტონომია

სამასი წელი მკლავდნენ მორკინალს –
სულს მიმღვრევდნენ და ახლა მოვკივი!
ბორკილად მადევს ავტონომია,
დედათბილისო, ამხსენ ბორკილი!

სამასი წელი მკლავდნენ მორკინალს,
სულს მიმღვრევდნენ და ახლა მოვკივი!

მეც უნდა მეცხოს მცხეთის მირონი,
მტერმა ვერ შეძლოს ჩვენი გარჩევა,
მწარე წარსული, სავსე გმირობით,
გიხმოზდა დედას გადასარჩენად.

მეც უნდა მეცხოს მცხეთის მირონი,
მტერმა ვერ შეძლოს ჩვენი გარჩევა.

თუ შვილს ეძებდი მტერთან მორკინალს –
მტერი ვძლიე და მწარედ მოვკივი,
ბორკილად მადევს ავტონომია,
დედაშვილობას, ამხსენ ბორკილი!

ტბეთის ტაძარს

მინდა, შენს ქვებს ვეფერო,
ვაზის ჯვარის სადარო,
სულის მაცხოვნებელო,
ტბეთის დიდო ტაძარო.

ღვთაებრივი ფარდაგით
მრევლს ყოველთვის ჰფარავდი,
ჰქონდათ შენი იმედი
ერგეს,
კირნათს,
მარადიდს...

უფლის კვართით დანინდულ
საქართველოს შვენოდი,
წუხდი,

ჟამით დაბინდულს
გარბევდნენ,
ვერ გშველოდი.

მითხარ, ვის მოვეფერო,
მითხარ, ვის გავუჯავრდე,
აღსდგე, ვთქვათ, გურიიდან,
ზარზმა-არტანუჯამდე.

საბა ეპისკოპოსის
ვხედავ დიდ ეპარქიას
სიზმარში და მივტირი,
რაც დღემდე დამკარგვია.
ახლა ასე, შორიდან,
შენს ხატს უნდა ვეფერო,
სულის მაცხოვნებლო,
სალოცავო ბებერო.

სალოცავო მზეგრძელო,
ვაზის ჯვარის სადარო,
სათნობის მთესველო,
ტბეთის დიდო ტაძარო.

რბ ხელმბ ქნა...

ქარიშხლებს გადარჩენილი
იშხანი შემხვდა მდუმარი,
მომრავლებია გულთბილი
გურჯისტანიდან სტუმარი.

მოსაოხებლად წარსულის,
ღვთისგან ჯვარგადასახული,
სულის შემძვრელი ტკივილით
მიცქერს ბანა და ხახული.

ვგრძნობ,
რა ცეცხლი უკიდია
ამ ტაძრების გამო უფალს,
რა ხელმა ქნა?!
ამის მნახველს,
ქვასაც ცრემლი წამოუვა.

ქვაც იტირებს,
 ამდენი ხნის უმირონო,
 უკუთხები,
 ჩაქცეული გუმბათები,
 ჩალენილი ჩუქურთმები.

სადაცაა შელამდება,
 მთვარე სულში ნალველს გარევეს,
 ნეტა, თვალით არ მენახა,
 არ მეყლაპა ცრემლი მწარე...

სსბლთის ტაძართან

ბალო!
 მოეფერე ამ ტაძრის ჩუქურთმებს!
 სანთელი დაუნთე ქვითხუროს!
 მტერს რომ უნდა და რომ ჰგონია,
 წარსულს წაუღია ის ხულო.
 მე ვიცი, რაც მჭირს და მაცრემლებს
 და შენთვის რა ტვირთსაც ვკისრულობ,
 ტბელის გენია რომ ანათებდა,
 შევხარი,
 შევნატრი იმ ხულოს.
 დაღლილს და
 დაღარულს
 ნიოკობით,
 დღეს მინდა, სურვილი მისრულონ,
 მცხეთას რომ უხარია,
 თბილისს რომ უხარია,
 იქნები ყოველთვის ის ხულო.

საქართველოსთვის ვიცოცხლე

დრო მიდის,
 მეც გიბერდები,
 ვერც მე მიხილავ ზეიმზე,
 წყურვილი მომკლავს სიცოცხლის,
 ჩაესვენება ჩემი მზეც.

ოლონდ შენ კარგად დამირჩი,
 შენუხებულო რჯულითა,

ჯავრისგან გამოსახსნელად
შვილებს გიტოვებ გულითადას.

ერთი რამ –
ეგეც იცოდეს
სრულად ქართველთა გულმა,
საქართველოსთვის ვიცოცხლე,
დარდებით გაბასრულმა.

მელაპარაკე ქართულად

არ არსებულა,
არ თქმულა,
ზღვა ამოევსოს მდინარეს,
მელაპარაკე ქართულად, –
გუმბათი ეტყვის მინარეთს.

მელაპარაკე ქართულად,
წყალში მდგომს წყალი მწყურია,
ვერ ვეგუები ამ სურათს,
ენა სამშობლოს გულია.

ამ ენის სათავეებთან
უფლის სურვილი ჩათქმულა...
ქედს ნუ მოვიდრეკთ დევებთან,
მელაპარაკე ქართულად!

სანთლის შუქი

ვაზი სულში გადავმალე,
ჯვარი – ჩუქურთმებში,
ვერ ჩამიქრეს წმინდა ხატთან
სანთლის შუქი მთებში.

ვერ ჩამიქრეს –
კლდე გამიხრავს ჯავრისაგან კბილით,
იავნანა მშველოდა და
დედის კალთის ჩრდილი.

შევინახე ხანძთის განძი,
ტაოს დარდი მწველი,

მენყერივით მოვარდნილი
მიჩეხია მტერი.

კლარჯეთს ცრემლი არ გაუშრა,
ბევრჯერ მომატირა –
აღსრულდესო დედის ნატვრა, –
შესანირავეს სნირავეს.

ვეფერები აჭარისწყლის
ხეობას და სივრცეს,
აქ არტანუჯს გავიხსენებ,
სულს იმერხევს მივცემ.

ვაზი სულში გადავმაღე,
ჯვარი – ჩუქურთმებში,
ვერ ჩამიქრეს წმინდა ხატთან
სანთლის შუქი მთებში.

ფტბებში, სიბხლით ფტბებში

მოვინახულე ქედა,
შუახევი და ხულო,
ეს ყველაფერი შენთვის,
შენს გასახარად, სულო.

შემოდგომაა,
ჭალებს მოუკვეციათ თმები,
წამომდგომია თავზე
მთები,
მთები და მთები.

მეც მთის სიმაღლეს ვნატრობ
და ჩანჩქერივით გულს ვშლი,
ვაზი ყვავილობს სისხლში,
ვაზი ყვავილობს რჯულში.

ქარვისფერია ღელე,
ქარაფსაც ეშხი ახლავს,
დგას ვარსკვლავებში სახლი
მაღლა,
სულ მაღლა,
მაღლა.

აჭარელს მინა უყვარს,
 მინას ოქროზე არ ცვლის,
 ყანა და ბაღია მოჰგავს
 ქალის თმას ჩამოვარცხნილს.

ვტკბები,
 სიახლით ვტკბები,
 დროს გაუმარჯოს ახალს,
 გადავეყარე გზაში
 ტბეთში მიმავალ მაყარს,

სული ივსება მზით და
 სიუხვით,
 სიანკარით,
 აღარც ქალაქი მახსოვს,
 აღარც ზღვა,
 აღარც ბარი,

კვლავ ვეფერები ქედას,
 შუახევსა და ხულოს,
 რომ ყვავილობდე მარად,
 მზით შემოსილო სულო!

შენს ცაგზე ლაღად ფრენენ მტრედიები

აჭარისწყალი,
 ხეობა ვინრო,
 მეც ამ ხეობის რძით მიდგას სული,
 მთა მანდილივით ნისლს გადაიძრობს
 და ინმინდება
 მთასავით გული.

გავცილდი ქედას,
 ნიფელს ნაძვი ცვლის,
 ნაძვს – შეფენილი ჭალა-ყანები,
 ვგრძნობ, სიყვარულის ცეცხლით გადვინვი,
 არც მკერდზე კოცნა და არც თაყვანი.

ასე უბრალოდ
 ვუცქერ და ვტკბები,
 ასე ყოველდღე შვილს ეტრფის მამა...

გაუხიზნია ვაზიც და სკებიც
წინაპარს ჩემსას, გულადს და მამაცს.

ეს იყო უნინ,
გათავდა გლოვა,
შენს ცაზე ლალად ფრენენ მტრედები,
დალოცვილი ხარ შვილთა სიმრავლით
და საქართველოს ეიმედები.

ვის დუდუკზე როკებ

დაგიკრეს და
შენც გამოდი საცეკვაოდ,
ვის დუდუკზე როკავ...
დიდებისთვის
გაჩენილო
ნათესავო,
შენი დარდი მომკლავს.

მრევლს თვალები გაუსწორე,
კაცი ხარ და,
ანგელოზით
დაიმშვენე მხრები,
სხვისგან კი, და
შენგან ამას არ ველოდით,
ერთ ტაფაში გამოზრდილი ძმები.

უკეთ იცი:
რას მოუტანს საქართველოს
მონობა და სამსახური ქირით,
ცეცხლმა დასწვას
ტახტიცა და გასამრჯელოც,
თუ შენს გამო შენი ერი ტირის.

ვინ რას ბვიშველის

დაღონდა სული მძაფრი განცდებით,
ხალხი აქამდე არც მე მცნობია,
საკუთარ თავთან როგორ ვმარცხდები,
ძვირფასო, ეგ რა საამბობია.

ეს სიძულვილი სიდან მოვიდა,
ვინ ჩაგვიღვარა სულში ბალლამი,
როდის დაიწყო, რომელ დროიდან
აღარც დედის გვწამს და აღარც მამის...

შვილებს შეშლილი მოაქვთ თვალები,
შიშმა წაღეკა ლამის მთა-ველი,
არც ცოტნე გვახსოვს, არც სააკაძე,
არც შავლეგო და არც რუსთაველი.

ზნეც დავკარგეთ და სახეც დავკარგეთ,
მთლად გავშიშვლდით და ვდგავართ შიშველი,
ვისი იმედით, რისი იმედით,
ოზლად დაყრილებს ვინ რას გვიშველის.

სამწუხაროდ

ვინიშნები
საქართველოს კარისკაცად,
ისტორიას
ცრემლის სხივით ვქარგავ,
თურქს
არ ახსოვს, რაც ოსმალომ წარიტაცა,
სამწუხაროდ,
გამხსენებიც არ ჰყავს.

რომელ ფესვს და
რომელ ღეროს მოვეჭიდო,
უფსკრულისკენ
მიმაქანებს ზვავი,
სიბრძნის წიგნი
უნდა მოგცე, ჩემო ბიჭო,
სამშობლო გაქვს
სიბრძნით დასაცავი.

საქართველოს მზე გვეხატოს ბულგა

მისი იყოს გამორჩენის სიხარული,
ვინც ლოზუნგობს შეზღონგების გულისთვის,
მე მოკვდები საქართველოს სიყვარულით,
არცრას ველი დედის სამსახურისთვის.

ვტკბები მზით და მლოცველივით უხმაუროდ
 ვმსახურებ და ვუნთებ თაფლის სანთელს,
 შენ დაიხსნი ჩემს სამშობლოს, სიყვარულო,
 შენი მადლი არ მოაკლდეს ქართველს.

პირჯვარს ვინერ, საქართველო უკვდავია,
 ასე მწამს და ასე სწამდათ ოდით,
 ჩვენს მამულზე მტრებს უჩვენოდ უდავიათ
 და ჩვენს ბედზე სულ უჩვენოდ ბჭობდნენ.

ახლა, როცა ცა გაიხსნა ვარდისფერად,
 ახლა, როცა ღვთიურ ნათელს ვუმზერთ,
 თქვენ მოგიძღვნით ლალი სულის ამ სიმღერას –
 საქართველოს მზე გვეხატოს გულზე.

არ მომინყინო და-ძმები

ხობზის ყელივით ლამაზი,
 ხობზის ყელივით მწველი,
 გამოჩნდა არხილოსკალო
 და ალაზანის ველი.

გამოჩნდა თეთრი სახლები,
 ბაღლების ჟრიაშულით,
 ამოფრინდება გნოლივით,
 საცაა, ჩემი გული.

შენ გენაცვალე, კახეთო!
 უხვო,
 ძლიერო,
 ხმიერო,
 ნაღვარეველის მარჯვენა
 შენს მიწას – საბედნიეროდ!

შუბნელის შუბლი გაშლილი
 შენს ცას მაგონებს, კრიალას,
 არ მომინყინო და-ძმები,
 შეჩვეულები იალალს!

ფოთაროელი ჯაფის და
 ოფლის მარილით იზილა,

დაგიზრდის,
დაგიფრთიანებს
შალვას,
ელიზბარს,
ბიძინას!

საქართველოში ქართველი
არსად არ არის სტუმარი,
უარი კუთხურ ზღუდეებს
და კუთხურ კუნკულს უარი!

შენ გენაცვალე, კახეთო!
სამთაწყაროს და „ფიროსმანს“
ჩემი ყოველი სტრიქონი
მიერთვას ძღვნად და მილოცვად!

* * *

მნარეა შენი ტკივილი,
გრძნობა ამუნჯებს ენას,
ნეტავ მალამოდ მაქცია,
შენს მკერდზე დასაფენად.

რარიგად აგხირებია
ღვიძლი შვილები შენი,
ნეტავი ვიყო მალამო,
შენს მკერდზე დასაფენი.

მივიწყებულო ღირსებავ,
ჩემო ერო და ბერო,
ცრემლებით, გულისტკივილით
როდემდე უნდა ვწერო.

მოდის, ჭრილობას მირჩენს

როცა მაყრიან ნაცარს,
ურცხვად
ზედ გულზე მკბენენ,
მოდის, ჭრილობას მირჩენს
ჩემი გურული ნენეი.

იმის სულს ვენაცვალე,
მისი თვალებით ვხედავ
ხიდისთავს,
ჩოხატაურს,
ერგეს, –
ადგილის დედას,

სადაც საფლავებს შორის,
ჩასმული გედის ფრთაში,
არის ძვირფასი
ბორცვი –
ჩემი ხატია ჯაშის.


შენ ხარ მბოსანი

შენ ხარ მგოსანი და უკეთურებს
არ აძლევ ნებას, სული გათელონ,
გინდა, ნუგეში სცე უბედურებს,
გინდა, უშველო შენს საქართველოს.

შენ გავიწყდება, რომ ხარ უმწეო,
როცა მგლებივით ძრწიან მზაკვრები,
შენ შენთვის ცოცხლობ სადღაც, უმზეოდ,
სულს ბორკილივით ადევს საზღვრები.

გტკივა, ტკივილმა ლამის შეგშალა,
შენ გიხუჭავენ თვალებს გახელილს,
არ მოდრკე, ბიჭო, ერს და ქვეყანას
მანც შერჩება შენი სახელი.

რა ვუყოთ, თუკი დღეს ხარ უმწეო,
დამიზნებული შუბლში ლულებით,
სხვისთვის მზეს ნატრობ, თავად უმზეო,
მოძულე ლიქნის და ორგულების.



ნიაზ ზოსიძე

* * *

1887 წელს, ბათუმიდან ქედამდე გზას რომ აფართოებდნენ, ჩემი, 20 წლის, დიდი ბაბუაც გამეტებით უბაყუნებდა მინას თოხს... ხალხს უხაროდა, ანი, ურმით ვივლითო...

ლამაზი გოგონა გზის მუშებს მალ-მალე წყალს მიუბრუნებდა, ყელი გაისველეთ, გული გაიგრილეთო... კეკელა, პრანჭია ვინმე ყოფილა, ნითლებში გამოკობტავებული, ყვითლად მონიწნკლული კაბით... ერთ დღესაც, ბაბუაჩემს დრო უხელთია, მოფარებულში, იმ აღმასის ნახსლეთისთვის ტურჩებით სუნთქვა შეუკავებია, მთელს ტანზე კოცნით მიმოუვლია, გულისპირის ღილები შეუხსნია, აღმურით ლოყები დაუნვაავს...

ნასულან აღმა ხელჩაკიდებულნი, ღამე ქედის ცენტრში გავათიოთ, ხვალ, შუადღისას ხარულას ვიქნებითო...

გამთენიოს ხმა დაირხა, რუსეთის საქვეითო ჯარის ექიმი ნიკოლაი საველიევი ოთახში მკვდარი უნახავთო... დამფრთხალი, აფორიაქებული და გაოგნებული ხალხი იქით-აქით აწყდებოდა... აზიზი და აფსანე დარაბებდაგმანული ოთახიდან გარეთ გამობორძიკდნენ.

ტყავის ჩანთიანი რუსი ჩინოვნიკი გამწარებით ბლაოდა: ეს თუ ადგილობრივებმა ჩაიდინეს, დამატებით ჯარს გამოვიძახებთ, სალდათებით გადავავსებთ მთლად აჭარას, გადავწვავთ და გადავბუგავთ აქაურობას, გადარჩენილებს დაგხვრეტთ და გადაგასახლებთო!.. სხვა ათასგვარი ბრალდებათა ნუსხაც წაუკითხავს.

აზიზისთვის უკითხავს რუსის ოფიცერს:

– რას დაჭაყაყელობთ აქა? ვინ ხართ? რა გინდოდათ მაგ სახლში? მკვლელებს ჰგავხართ! –

ჯარისკაცებს ანიშნა, დაიჭირეთ ეგა, საეჭვოდ იყურებაო!..

ხელები გადაუგრიხეს და შეუკოჭეს თმაანენილ, სახეარეულ და უმწეო აზიზს.

– აღიარე, ექიმი რომ მოკალი, თვარა ენას ამოგადრობ! – ოფიცერმა აზიზს რევოლვერი ხეტქა კისერში...

– ენას თუ ამომადრობთ, მაშინ სულ ვერაფერს ვიტყვი! ვინ ექიმი, რა ექიმი, რას მეუბნებით? სოფელში მივდივარ, ჩემი აფსანე მიმყავს...

აფსანე ეზოში, ჭიშკართან იჯდა, რუსებს წყევლიდა და გამვლელ-გამომვლელს შველას სთხოვდა. – ღმერთო, შენ მიშველე, არ წამართვა ჩემი აზიზი, თვარა მეც თავს მოვიკლავ და მერე შენც შეგრცხვებაო!..

მთელი ღამე აწამეს აზიზი... მთელი ღამე ცრემლად იღვრებოდა აფსანე...

გამთენიოს, გონმოსულმა აზიზმა მიახალა რუსებს: არ მჯერა თქვენი კანონების, მარა გემორჩილებით, თქვენ ხართ ახლა თავში, თქვენამდე ოსმალნი გვაჯდნენ კისერზე. თქვენი, ორთავესი ნასახიც არ იყო, მე რომ სახელმწიფო, კანონი და სამართალი მქონდა, მარა ახლა თქვენი ბაირამობაა, გუშინ, წონიარისში დედაბერი რომ მოკლეს, ბარემ ეგეც მე დამაბრალებთ, მომკალით, მეტი ხმის ამომღები აღარ ვარო!..

...დაუდგენია კომისიას: სულის ავადმყოფობა სჭირდაო საველიევს, „ზნე უვლიდაო“ ხშირად... იმ ღამითაც, გვერდით ოთახში, მძინარე თანამშრომლებთან შესულა, მაგიდიდან დანა აუღია, თავის ოთახში გაბრუნებულა და ყელი გამოუღადრავს... მანამდე, ერთი თვით ადრე,

თანმხლებთ გადაურჩენიათ, თავის მოსაკლავი ხმალი ძალით წაურთმევიათო...

სალამოს ქედის ცენტრი გლეხობით გაივსო – ცელით, წალდით, ფიწლით, კეტით, ნიჩბით, ნაჯახით... – ჩვენი აზიზი და აფსანე გაგვატანეთ, თვარა მიმოვსრავნით აქაურობასო...

ენაჩავარდნილი და მიტკლისფერი იდგა აფსანე... ცრემლიან თვალებს უკოცნიდა აზიზი...

რალა ბევრი გავაგრძელო, წასვლისას, რუსის ჩინოვნიკებისთვის აზიზს კიდევ ერთი სიტყვა დაუგდია:

– „ათასმა სიმწარემ გადაუარა გულზე აჭარას, სისხლის ნიაღვრებს და ლეკერტებს დააღწია თავი, ათასნაირ ცეცხლში გამოიჯეკა, სიკვდილის კალო ტრიალებდა მის თავზე, მაგრამ არ წამხდარა და არ შერცხვენილა, დღემუდამ თავის სიალალეს, პირიანობას და უჩუმრად შენახულ ენას და რწმენას დაჰკანკალებდა... ახლაც, ახალი საშიშროების მოლოდინში, გული უკანკალებს... იქით, ოსმალთა დაძრწის და თავს

ვგზას გვიბნევს, ჩემთვის მინდებარო, აქით, თქვენ დაგვჩხავით თავზე და გვახრჩობთ გადასახადებით. ინგლისი და გერმანიაც გვიჩიჩხინებ, ჩვენ მოგვენდეთ და ჩვენ გიპატრონებთო. ათასი ჯურის ტერორისტი, ფირალ-ყაჩალი, შარლატანი, ქორვაჭარი, მკვლელი და გიჟი-გადარეული დაეხეტება ჩვენს ლელე-ღურდანში... გვნახეთ ხომ, დაბალი ღობე? არ გინდათ ხომ, გაიგოთ ყარიბ-ლატაკთა კვენესა-სატკივარი? გამოგვიჭირეთ ხომ, არაქათგამოცლილები და დაღლილები? დაგვანებეთ თავი! შეგვარგეთ დედასაქართველოს ძუძუ! გაიგეთ, თახსირებო, გულს მალამოდ მხოლოდ დედასაქართველოს სიტყვა გვედება და გვეკურნავს, მხოლოდ დედასაქართველოსთვის ავინთებით სანთლად!“...

ილია ჭავჭავაძემ „ივერიაში“ დაბეჭდა აზიზის ეს სიტყვა, ქედიდან აბდულ მიქელაძემ გაუგზავნა...

ზევით კი გითხარით, 1887 წელს იყო ეს ამბები-მეთქი...

* * *

ამ კაცმა, მევლუდ დავითაძემ 132 წელი იცოცხლა, ანუ 48180 დღე-ღამე „დალოლიალობდა ამ დუნიაზე“...

ამ კაცმა თქვა, რაც თავი მახსოვს, სიკეთე ბოროტებას ებრძვის, მარა ვერა და ვერ მოერია, ვერ გააკრა ბეჭებზეო...

თავისი ფილოსოფია ჰქონდა მევლუდს – მისვლელ-მომსვლელი და დიდი-პანაი იცოდეთო!.. კიდევო, არა სულიერს – ხეს, ფრინველს, ნადირს, ადამიანს გული არ მოუკლაო!.. ჯარში წამსვლელს, ციხეში მიმავალს და საავადმყოფოში მყოფს, გულის ჯიბეში პანა ფარას თუ ჩამოუდებ, ღმერთი დაგლოცავსო...

– ათას ვინმემ გაიარ-გამოიარა ჩემს თვალწინ, – ბედნიერმა, უბედურმა, ბრძენმა, ბრიყვმა, მდიდარმა, ღარიბმა, მამაცმა, მხდალმა, ზნიანმა, უზნეომ, კეთილმა, თახსირმა, ღმერთიან-

მა, უღმერთომ... არავინ დამიჩაგრავს, არავისზე გამიცინია, არავისზე კვანტი არ დამიდვია, სულში ეშმაკი არ ჩამსახლებია... პირველად რომ ბათუმში ჩავედი და ჯიბის ქურდმა ფული მომპარა, იმაზეც არ შემეგინებია, მეკუთვნის, ნიფხავსშიან რატომ არ შევინახე-მეთქი... დიდხანს სიცოცხლისთვის კაია ჭადი, მანონი, ფხალი, ლობიო, დომორვა, ბეთმეზი, ჩირი, მოხრაკული, სინორი, სახლში კაი ქალი და მისი ჯანი!..

შორებელი ნათესავი იყო მევლუდი, ჩემი დედულეთიდან... ახლაც თვალწინ მიდგას, ღორექეთის ფერდობზე, ხის სახლის აივანზე მჯდარი, მსოფლიოს ათასი ჯურის ჟურნალისტებით, მეცნიერებით, ანალიტიკოსებით, ექსპერტებით თავბრუდახვეული...

გაბრაზებული თუ იტყოდა: „თქვენი ქეჩაც მკარითო!“, ე. ი. უნდა განრიდებოდით...

* * *

- ვისი ხარ?
- არავისი არ ვარ!
- დედ-მამა ხომ გყავს?
- არა, არ მყავს!

...იდგა ენაჩავარდნილი, გულაფანცქალებული, ყელყარყარა, ტანწერწეტი, შემწიფებული, დაღლილი, ცხრაგზის დაკემსილი კაბით... შიში იმზირებოდა იმის თვალთაგან...

– რა რჯულის ხარ, აქ საიდან გაჩნდი? გამოადგი ფეხი, შვილო, შეყე ხელი, ურდული გადაწიე, ჭიშკარს მოანეცი და გადმოდი ეზოში, მე, მიწადასაყრელს ნულარ წამომაცენებ!

ახლა ეზოში დგას... ფეხშიშველი, ნიკაპმოცახცახე, გაოფლილი, თვალეგაყინული...

– მოდი ჩემთან, შვილო, ნუ გეშინია! რა გქვია, შვილო? მე გიპატრონებ! ამ გაგანია შეჭირვებაში ვინ გამოგაგდო გარეთ?

გოგონამ თავი ასწია, მხრებში გაიმართა... ცხარე ცრემლით აქვითინდა...

– იტირე, შვილო, ამოლაფე დარდი და სატკივარი! ახლა მითხარი, რა გჭირს და რა გტკივა? რახან ჩემთან მოხვედი, ნულარ გეშინია! გამჩენელი ქვრივ-ობოლთა მამა და მოსარჩლეა!

ჩამოძონძილს სანთელივით აუციმციმდა თვალეები, გაყინული გული შეუფართხალდა: – გულმინაზი მქვია. სულ ადრე და სულ პირველად, მამაჩემის მამას უმიზნოდ გასროლილი ტყვია მოხვედრია გულისკაკალში. – რაის, ბრმა ტყვია, მოკლეს მაგო, – უთქვამთ სოფელში. რაც მაი, მეფეს აგინებდა, ვინ აცოცხლებდაო! შეთვრებოდა და მღეროდა:

„ასი შვილიც რომ მეყოლოს,
არ დავარქმევ ნიკოლოზს,
გაუმარჯოს ერთობას და
მთავრობამ ძირს იგოროს!“-ო

მამა რომ გააციმბირეს, დედას მუცელში ვყოლივარ, სადღაც, თოვლიან ციმბირში გამქრალა, დაკარგულა მამა-თურმე... არც დედა არ მახსოვს, ერთი წლისაც არ ვყოფილვარ, დედასთან

ფართხუნა შინელიანი, რევოლვერიანი კაცები მოსულან, დაპატიმრების ორდერი აუფრიალებიათ, კოლმეურნეობაში მავნებლურ საქმიანობას ეწევი, უცხოური დაზვერვის სასარგებლოდ მუშაობო...

ბევრი ვინმე დაუხვრეტიათ 37-38 წლებში, მათ შორის დედაჩემიც... ბებია საიქიოს რომ გავიდა, იმის შემდეგ მიტოვებული სახლის სარდაფში ვცხოვრობ... ახლა შემომითვალეს, დამთავრდა შენი ნაცრისფერი დღეები, მოკვდა სულძალდი სტალინი, რახან პატრონი არ გყავს, რუსეთში უნდა წაგიყვანოთ, შენნაირებთან იცხოვრებ და ისწავლიო... დავკარ ფეხი და აქეთ გამოვიქეც. მკვდარს თუ წამიღებენ აქედან... არ მინდა იქა, დამჯიჯგნიან, სულს ამომხდიან!...

– გულმინაზ, შვილო, დღეიდან შენი გულისთვის ჯოჯოხეთის კარებსაც შევალბე! – თქვა შაოსანმა ქალმა და დაკრუნჩხული თითები თავზე გადაუსვა, ოფლი წურწურით ჩადიოდა კისერში, – მსახვრალია წუთისოფელი, ათასი ვინმე დააპირებს შენს სულში ჭუჭყიანი ხელების ფათურს, მაგრამ არ წახდე, არ დაეცე! არსადაც არ გავიშვებ და არავისაც არ გაგატან! ბავშვი თავის სამშობლოში თუ არ გაიზარდა, მამულიშვილად ვერ ივარგებს! რუსმა რუსის მიწაზე გამოიჩეკოს და გაიზარდოს, შენ აქ უნდა აიშოლტო, აქ უნდა გამრავლდე, მე მოგივლი, მე დაგბან, მე დაგვარცხნი, მე დაგასახლკარებ და მე გაგათხოვებ... ვნახავ ერთი, ვინ მოვა და ვინ ჩამხედავს თვალეებში?! ვინ შემედავება შენს თავს?! ქმარი და ორი ბიჭი შემიჭამა ომმა და შენი თავიც უნდა ამაგლიჯონ მკერდიდან?! არა, გულმინაზ, მთელი საბჭოეთიც ვერ დამიდგება წინ!

...

– მერე გულმინაზ ბებო!

– მერე, ჩემო ენამადლიანო ნიან, ბევრი შიში და ხიფათი გადავიტანეთ მე და ჩემმა დედობილმა... მერე სახლის დამკილული კედლები ჩამო-

ვრეცხეთ, დამზრალი მინა გავანედლეთ, გადამწვარი ნათესები გავაცოცხლეთ, გადახრუკული ბალახი, ბუჩქი და სიმინდი გავამწვანეთ... მერე სიყვარულის ალმური მომედო... მერე? მაინც უნდა გამომაჭენო საქვეყნოდ, ხომ? მერე... შარშან, სალიბაურის ფერდობზე, სადაც, როგორც ამბობენ, დიდ ორმოში დახვრეტილები ჩაუყრიათ, ერთმა ღვთისნიერმა კაცმა, სახლის საძირკველს რომ თხრიდა, პატარა ზანდუკი იპოვა, იარა, იარა, გაიკითხ-გამოიკითხა და მე გადმომცა. ჩემი და მამაჩემის ფოტოები იდო შიგ და

პატარა წერილი: „გულმინაზ შვილო, შენ იცი და შენმა ქალობამ! არ შემარცხვინო! სიყვარულის ნაყოფი ხარ და შენც სიყვარულით იცხოვრე!“

...

კაბის კალთით შუბლზე ოფლი მოინმინდა გულმინაზმა, დავიღალე, აღარ შემიძლიაო...

– მაგ დამჭენარ თვალეში გენაცვალე, გულმინაზ ბებო!!! – მივვარდი, თმები, შუბლი, თვალეები, ლოყები, ხელები დავუკოცნე და კისერზე მოვეხვიე...

საპი

ეს სტრიქონები ცრემლებით სველდება...

ჩემი სევდის ბედდამწვარი ისტორიის ყურში ჩანვეთების გამო...

ჩემი თავშალგადამძვრალი, ფეხნამოკრული, ფეხშიშველი სევდის გამო...

დგას მირვეთის ტყეში, ნკვარამში, კლდეებს შუა, გზადაკარგული, ყვირილისგან ყელის დაფებჩანყვეტილი, ზეზეურად ჩამომხმარი, ნუხილშეყრილი თვალეებით, ბრაზნაკიდებული სახით, შავნინწლებიანი, დაფლეთილი კაბით, შუაზე გაყოფილი შავი თმით, ტკივილისგან სახეგამეხილი, გულჩამკვდარი, დახეთქილ ტუჩებზე და მინანაფხოჭნ თითებზე სისხლშემხმარი...

მარილიანი გოგო იყო ართვინელი სევდე. ბრონეულის ტუჩებით, ეშხიანი, ლოყებაღაჟღაჟებული, ლეჩაქში გამოკოპნიავებული... მურღულელებმა ორჯერ პირში ჩვარი ჩატენეს და მოიტაცეს. ორივეჯერ დაიბრუნეს ართვინელებმა, ხუთი კაცი შეენირა მოტაცება-დაბრუნებას, გვარი გვარს გადაემტერა...

ცრემლად იღვრება სევდის დედა: ღმერთო, გამჩენელო, შეგიტქვამ, დაიცავი ჩემი სევდე, კაი ბედს სწიე და მთელი ცხოვრება ფეხშიშველი ვივლი წვიმა-ქარიშხალ-სუსხში!...

გადანყვიტეს სევდის ნათესავ-მოკეთებმა, ამის აქ ცხოვრება აღარ შეიძლება, აჭარა-

ში უნდა გავათხოვოთ, იქ უნდა იფუსფუსოს, ბუდე იქ უნდა მოიწყოს, ბარტყები გამოჩეკოს, აჭამოს, ასვას, გაათბოს, დააფრთიანოს და გამრავლდესო, აქ, ათასი უჯიშო და თახსირი არ მოასვენებსო!...

მამინ, 1895 წელს, მრავალნაობხარ, მრავალსიმწარენახულ აჭარა-ართვინ-მურღულეს გაჭირვება, უმინობა და გადასახადები უჭერდა ყელში... ცხოვრების წესად იქცა სასაზღვრო ინციდენტები, კონტრაბანდა, სისხლის აღება, ძარცვა-მკვლელობები... მესაზღვრე ყაზახ-პლასტუნები სისხლს უშრობდნენ გლეხებს... ყუბანელ ჯარისკაცებმა ქოლერაც შემოთესლეს, ყვავილმა და ყელჭირვებმა მოსპო სოფლები... ვერ შევლოდა მოლა-ხოჯათა შელოცვები მასობრივ სენს. ისიც ჩაანვეთეს ყურში აქაურს, ამ მინებზე სხვა ადათის ხალხი, მალაკნები უნდა ჩამოასახლოს მთავრობამო... განცხრომაშია რუსი – რაც უფრო ბევრი ადგილობრივი აიბარგება და გადასახლდება ოსმალეთში, ჩვენი ხეირიც ეგ იქნებაო...

...ართვინში, ნავში ჩასვეს ვერხვის ფოთოლივით აცახცახებული სევდე. თვალეებზე კურცხალი უციმციმებდა. მშობლებმა თვალ-პირი დაუკოცნეს, ღმერთმა დიდი დღე მოგცესო, აჭარელი ბიჭი იქნება შენი შემწე-მშველელი, ან, თითსაც ვერ დაგაკარებენ მურღულელებიო!..

მირვეთში, ეტლით ელოდებიან ართვინიდან დაცურებულ ნავს ცხენოსანი აჭარლები... ოცდახუთი ართვინელი სიმღერ-სიმღერით მოაცილებს სევიეს...

...ადიდებულა ჭოროხი იმჟამს... ნავი კლდეს დაჯახებია... დაშლილა და დანაფოტებულა. აჭარლებს თვალწინ მოცურავე ათასგვარი ხიბაკი რომ დაუნახავთ, არიქა, ვუშველოთო და დაძრულან აღმა, მდინარის აყოლებზე... ყველა ჩაიხრჩოო ჭოროხში... ცოცხალმკვდარი სევიე კლდეებს შორის უნახავთ, მტრედივით ლულუნებდაო: დედამ გამომათრია მღვრიე-გადელებულ ჭოროხიდანო!..

...

მერე, ვილაცამ იყვირა, ბეთქე მაი თოფი, რალას უცდიო!... განდაგანა იყო, მაყრული იყო... დედამთილის ხელით მირთმეული ტკბილეული

იყო... თეფშის დაფშვნა, ბუხრის ქვაზე ცომის მიტყეპება, კალთაში ჩვილი...

თვალეზე ხელი აიფარა და ატირდა სევიე... – დღეისამასიქით, ცრემლი არ დავინახო შენს თვალზე რძალბატონო, დღეიდან შენ უნდა გაათბო და გააფუფუნო აქაურობაო, – დედამთილმა.

...მერე, თავშალი გადაიძრო სევიემ, თმებზე ხელები გადაისვა, თვალეები დახუჭა, ტანი არჩილის მკლავებზე გადადრიკა და ლოგინზე დაეცა...

...მერე, ხუთი ბიჭი იყო – ომერი, მევლუდი, ნიაზი, რეზო, მამული...

ჯვარი ჰქონდათ ამოქარგული ძმებს ჭრელ-ჭრელ ხელთათმანებსა და წინდებზე... და... დედის სახელი...

ჩამუხლული ვეფერები მიწაზე განოლილ ხავსიან ქვას, რომელსაც აწერია: ს ე ვ ი ე...

* * *

ახლა, ამჟამს, ქაშუეთზე ფიქრი მომანვა... გულის კიდობანის გადახსნა და სიძველეთა ამოყრა მომინდა... ასე მგონია, ქაშუეთის ნებისმიერ ტოპონიმს ისტორიად ვაქცევ...

ღმერთო, შენს სახელს ვენაცვალე, ეს ბუდე-ბუჯერი აქ, აჭარაში, დედასაქართველოს გულისგულში რომ ამიშენე...

სულის ამორთმევის ჟამს, ბევრი სისხლი დაღვრილა ჩემს ქაშუეთში...

სიკვდილი ჯირითობდა ჩემს ქაშუეთში...

დაუქცევ-დაუნგრევიათ ოსმალთ ქაშუეთის ეკლესია-საწიგნობელი და მისი ზღუდენი...

ვედრებით მოსთქვამდაო თვალეებში რისხვა-ჩამდგარი ქაშუეთის ეკლესიის მოძღვარი: მამა-ზეციერმა გაგამწაროთ ქაშუეთის ეკლესიის და ქაშუეთელთა ცრემლებსთვისო...

გადალღეტილ მუხლისთავებზე დაჩოქილი, შეჰღალადებდა ნაეკლესიარს, ვფიცავ მაცხოვრის სახელს, არ გიღალატებო!..

ჩუმიად დადიოდაო მოხუცი ახალგამაჰმადიანებულთა სახლებში და ეუბნებოდა, გულში სატანა არ შემოგეპაროთ, ცოდვაა გადარჯულებულ-გადაგვარებული კაცი! მოსისხართა დასანახად, იმათი ლოცვები თქვით, მაგრამ გულში და სულში ქრისტე ღმერთი გყავდეთო!..

ღამით, მიძინების ჟამს, დასანვავად გამზადებული ჯვრები, ხატები, ჭურჭლეულობა და საქონლის ტყავში შეხვეული წიგნები ერთგულ და პირიან კაცებს ჩანდებულის ტყეში აუტანიათ და მიწაში ჩაუმარხავთ...

ვერ იქნა და ვერ გაძღა მტერი სისხლით...

ურჩ და გაუტეხელ მთიელთ, დამინებულ ხელებში ჩაჟანგვიათ ხმლები...

უთქვამს მოძღვარს გადარჩენილთათვის: განრისხების საბაბს ნულარ მიცემთ ურჯულოთ! გავნყდებით ასე, შვილებსაც დავლუპავთ, მოჩვენებით დამორჩილდით მაგათ წესებს, უფალი არ გაგვწირავს, ნიშანს მოგცემსო...

– იყოს ნაეკლესიარის ტერიტორიაზე მაგ თქვენი მღვდელი, ხალხში ნუ გამოჩნდება, მაქ შესული და მაქიდან გამოსული ყველა დაახრჩვეთო! – დაუბარებია მომხდურს.

ეკლესიის ნანგრევებში და ეკლესიის მიწა-წყალზე ცხოვრობდა მოძღვარი. თავლი, სიმინდი, ლობიო, თხილი მოჰყავდა, თხა-ცხვარი მოუშენებია...

უპატრონო ჩვილთა გამობარტყვაც თავისთავზე აულია... აქ იზილებოდნენ, ფუფუდებოდნენ და ცხვებოდნენ მზემოკიდებული და ღვთისმოსიში გოგო-ბიჭებიო... დედაენა გაღმერთებამდე ჰყვარებიათ, „ვეფხისტყაოსანს“ ღრუბელივით ინოვდნენო...

ვინც გამაჰმადიანდა, შეღავათები დაუნესა ოსმალომ, გადასახადები შეუმცირა. ამიერიდან ჩვენი წესით იცხოვრეთ, გიაურის ენა და გიაურის წესი დაივიწყეთ, თქვენებური გალობა, ლოცვა-ბუტბუტი და სხვა ათასი ცოდვა დაივიწყეთ, ალაჰი ინამეთ, დღეში ხუთჯერ – საბახლამაზი, ევლა, იქინდი, ახშალამაზი, იასი ილოცეთ და ბედნიერი შეიქმნებითო... ვინც ყურანის სურებს დაიზეპირებს, იმ ბავშვების მშობლებს, გადასახადებისგან საერთოდ გავათავისუფლებთო...

ლამით, ჩუმად, მაინც ქრისტიანობდნენო მთიელნი...

ერთურთს დატაკებთან ახალგამაჰმადიანებულნი და რწმენაშერჩენილნი...

როცა ჩვენი მოქიშპენი ერთმანეთს ჭამენ, ჩვენი ბაირამობაა, აბა, რა არისო! – ხითხითებდნენ მომხდურნი...

ბევრი ფუძემორღვეული და ქრისტეს სიყვარულმოდებული იქ გადახიზნულა, სადაც ქართველი მეფე მჯდარა...

ერთ დღეს, თმანვერგაშლილ მოძღვარს საბნთლადქცეული თითებით სოფლისთვის პირჯვარი გარდაუსახავს და მოუბრუნებელში წასულა, მისი ასავალ-დასავალი აღარავის სცოდნია...

მოძღვრის გამოზრდილნი, ვის თავშიც ქრისტე მაგრად იყო ჩაფეხვილი, უკაცურ, გაუვალ ტყეში გასულან, ნაქოხვარებში, ნაფეტვარებში და ნაბოსტნევში გაუჩენიათ საცხოვრისიო... ქრისტე უდიდებიათ, ნითლად შეღებილი კვერცხები ჩუმად ჩამოჰქონდათ და ქაშუეთის ნაეკლესიარის ქვებში მალავდნენო...

ოსმალო, შიშით, იმათ მიუვალ ადგილებს ახლოს ვერ ეკარებოდაო...

„რიტას აპაზანი“

ჯარში შეუყვარდა... – ბათუმში, ბულვარში ვცხოვრობ, რომ მოვინდომო აივნიდან ზღვაში გადავაფსამ, მარა მრცხვენია, ხალხი რას იტყვისო... ის შტერი, თხა გოგო შეკუნტრუშდა, ზამთარ-ზაფხულ ვიტყამპალებთ და ვიქნებით, ციმბირი თუნდაც ციმბირს იქით დარჩენილაო და გამოყვა...

გაიარეს ბათუმი, ხელვაჩაური, ერგე, ერთი სიტყვით, შუალამისას უღრან სოფელში, რკინის „კრავოტში“ მოასვენეს...

...ოო, რა ფერხორციანი და ტანსავსე ვინმე იყო რიტა – სახეგაბღღვიალებული, მაღალი ყელი, სწორი ცხვირი, მოშვილდული წარბები,

დახეთქილი, ვარდისფერი ტუჩები, მომწიფებული გულმკერდი, თასმასავით მოქნეული ტანი, შხვართიო, რომ იტყვიან, ისეთი...

გამოანათა მეორე დღეს ბრიალა თვალები რიტამ და რას ხედავს, სახლსზემით ტყე და ტურები, მარცხნივაც ტყე, მარჯვნივ ჯერ ავაზანი და მერე ტყე. სახლს უკან ახორი, ნაკელი, თივის ზვინი, ჩალის ზვინი, ენრის ზვინი და ყანაში გაბარბალებული კეჟერა ფხალი... იმის იქით ნისლი, ნისლი, ნისლი...

ნიოკა გამოდგა რიტას დედამთილი... – კი გაგწვართავ, თუ ვყოფილვარ ქალიო – ამოიბეჭდა გულში და ერთ წელიწადში კინალამ ამოხადა

სული რიტას – ცოცხი, ფოცხი, სარეცხი, საჭმელი, შემა, კვარი, თივა, თხა, ცხვარი, ძროხა, გუთანი, ტყე-ლრე... – აბა რა გეგონა, ჩემი ბიჭი გინდა, იმის მოფერება გინდა, „რაბოტა ტოჟე ნადაო!“

ზაფხულში მზე იმ სოფელშიც აცხუნებდა...

მარტო სახლში და სული ეხუთება ახალფეხმძიმე, ოდნავშებერილ რიტას, სად ნავიდეს და რა წყალში ჩავარდეს...

წყალშიო?! ეზოში ავაზანი გაახსენდა რიტას, – ცივი, ქაფქაფა წყლით სავსე და გადმომდინარე...

გამოანარნარა ჩითის ვინრო კაბაში გამოკვართული თეძოები, გაიხადა ის ნახევრადკაბა, ამეიშვართა ავაზანში, ამოისუნთქა და პირიდან ამოაშხეფა წყალი... იცინოდა რიტა და თეთრ, ნაფოტა კბილებს აელვებდა... მოგროვდნენ სოფლის გოგო-ბიჭები, მოზრდილებიც. უყურებდნენ, იცინოდნენ, ოხუნჯობდნენ და

ჟრიამულობდნენ რიტას უზადო სხეულით თავბრუდახვეული, გამოთაყვანებული და რიტაზე თვალმიმტერებულები...

ტყიდან დედამთილი მორბის ნივილ-კივილით, რა მჭირს ხალხო, ვინ მომიკვდაო!..

ფათქუნობს ავაზანში რიტა...

– შე მაცდურო და ოხერო, მოი აგერ, მუხლები უნდა მიგამტვირო, თმებით უნდა გათრიო, შე ბოზო და მოსასპობო, წყალი დიმიპილწე, ძროხებს რა ვასვა და რით დავარწყულო, მომჭარ კისერი მთლა სოფელში, წალდი მომეცით ხალხო, ამას თავი უნდა წავაცალო!..

ფეთიანივით წამოხტა აცახცახებული რიტა, შევარდა სახლში, რაც ხელთ მოხვდა, ჩაალაგა ჩემოდანში და იმის შემდეგ თვალთ ალარავის უნახავს იმ სოფელში...

იმ ავაზანს კი იმ დღიდან ლამაზი სახელი შეერჩა: „რიტას ავაზანი“...

* * *

სოფელში, ჩემს დედასავით ტკბილსა და თბილ სახლში ვარ, სახლში, სადაც ჭიპი მოვიწყვიტე, თვალი გავახილე... ბუხარი ლულუნებს, ბურბურებს, ტკარცალებს... დედამ აკვანს გულის არტახები შეუხსნა. დაიკომ ხელები ამოაფუმფულა... მე და მეზობელი თანატოლები ყირაზე გადავდივართ... ბებია მეორე სართულიდან ჯერ გვემუქრება, ნუ სხმარტალებთ და ნუ წიკვინებთო; მერე გვარიგებს: მალლა ღმერთი იყოს თქვენი შემწე, წყალი დამალევივით, მწყურვალს წყალს რომ მიაწვდით, იცოდეთ, გამჩენელს ასმევთ იმ წყალს, გარეთ გაიხედეთ, ვილაც გვეძახისო!

მეზობლის ახალჯარმოვლილი ბიჭი იყო, თავი მისკდება, ბებიაშენმა შემილოცოსო. ზევიდან ჩამომოჩლარტუნდა ფეშტემალაკალთავებული ბებია:

– მოდი აქ, ცეცხლი მოგავლო, აღმა-დაღმა ეხეტები, უჟმური ხომ არ მოგყვა, – ორ-სამჯერ

მიმოატრიალა ზაური, ფეხებთან დაიჯინა და ყურთან აჩურჩულდა:

„შაკიკი შემომეჩვია სათიბისა ბოლოსაო, ისე ჭამდა ქვიშასაო, როგორც ხარი თივასაო. დასწყევლოს წმინდა გიორგიმ, გაიპაროს დილასაო!“..

სამჯერ შეულოცა ბებია და ჯამით ლობიო დაუდგა, ჭამე, ყავარივით გამხმარი და გაძვტყავებული რომ ხარ, შენი ძვლების რაკა-რუკი მესმისო...

არა, არ ჭამდა ზაური, უფრო ნთქავდა, გაუცოხნელად ყლაპავდა ლუკმებს, თან ხმამალა ჯარის და რუსი ცოლის მოყვანის ამბავს ჰყვებოდა.

ბებია მიემდურა: – შვილო, ენის პირში შენახვა ძნელი, თვარა გადმოგდება და ტარტალი ადვილია. ცოტა შეასვენე მაი ყბები, კბილები არ ჩაგეფშვნას! ეტყობა, შენმა ქალმა ზურგიდან დაგინახა, თვარა საფრთხობელას რავა გამოგყვებოდა?! – გულფიანდაზად გაელიმა ბებია...

ზაურის ბებიაც მობლაცუნდა:

– ამას რას ხედავს ჩემი თვალები? აი, კიდეც ჭამს, თუ რა მჭირს? – ბრაზშემონთებულმა უსაყვედურა ბებიჩემს, – გულმოსული ვარ შენზე, რატომ ადგამ ჩემს ცოდვაში ფეხს? ამას დროზე თუ არ შევეუხსენით ქამარი, ან ჩაიფსამს, ან ჩაიფვამს, აი, ნახავთ, თუ არა! დაადებს ახლა თავს და ამსიგრძე ფეხებიანს, რას დავენევი?! აღარ შემიძლია მაგდენი, არ ვარ მკვდარი, მარა ცოცხლებშიც აღარ ვწერივარ. სული რომ შემიბერო, ნავიქცევი, ჩავიდა ჯანი მინაში. მაინც ასეთი ოხერი და უზნეო რა გამოგვივიდა? შარშანწინ, გეხსომებათ, ამ უგვანომ ღამისმთევლის ვალინკები მკვდარს ჩააცვა, დანარჩენების ჩექმა-კალოშები საქონლის ახალი ნეხვით გაზუნზლა. შარშან, ელიზბარას ქეციან თხას ოტკა ჩაასხა ყორყში, მორჩება, წამოდგებაო და საღამოს სული გაშპა იმ საცოდავს. გუშინ კიდეც, ოტკაში ჩამბალი პურის ფუნჩხი დაუყარა ქათმებს. უნდა გენახათ, ის საცოდავები რაფერ ბორძიკობდნენ. ახლაც წვანან და ფრთები ვერ გაუნძრევიათ... ფრიდონას საბძელქვეშ ბოლოკიანი ორმო რომ

ააფეთქა და თივიანი საბძელი გამობრუნა, იმას ნულარ მომაცოლებთ... ვიფიქრეთ, ქალი გამოაჭკვიანებს-თქვა და უარესად გედეირია!..

– თქვენ იცინეთ, და, – გადაფიჩინდა ზაური, – ამ ფერებ-ფერებაში, ამ ჩემს რუსის ქალს, კი გამოვსტყუე სამი ბალანა...

დედაჩემმა დაიცვა ზაური: – მოეშვით ახლა ამას, ზაურიზე ცუდის მთქმელი კაცი არ დაიარება სოფელში, ყველას ნადში პირველია, ყველას ეხმარება, მკვდარს მინაში ჩაჰყვება და ლხინს ეს აძლევს შნოს, შარს ერიდება და მრუდეს გულში არ გაივლებს, მიტოვებულ სახლებს პატრონობს, ჭინჭარს არ გააჭაჭანებს ეზოში, ღობეს ამაგრებს... ჰოდა, კი შეაყვარა თავი იმ გოგოს და ეტყობა, სიკეთე-სიალალით აუბნია გზა-კვალი...

ვითომ, ფიქრებიდან გამოვერკვიე, მაგრამ წარსულზე ფიქრები ახლანდელ რეალობაში არ მიშვებდა...

იქ კი, საცალფეხო ბოგირზე, მეზობლის ქერა კულულებიანი ბადიშები მოტანტალეებენ და მოტიკტიკობენ...

* * *

ჩვილს, ახალფეხადგმულს, დებთან ერთად ღრმად სძინავს... დედა თოთოშა მეუღლეს ელოდება... შუალამისას დაბრუნდა ოსმანი. მძინარე შვილები გადაკოცნა, მეუღლეს მოეხვია და... – დაბეზლებული ვართ, აქ აღარ გვეცხოვრება, თურქეთში უნდა გავიქცეთ!

ითათბირეს...

გამთენიოს ოსმანი სახლიდან გავიდა...

...წვრილშვილი... თალხი კაბა... ცრემლები... დამცირება... მუქარა... დღედაღამ შრომა... სურვილი – ყოფილიყო ღირსეული ქმრის ღირსეული მეუღლე ...

არ აცალეს თოთოშას, „მოუსავლეთის“ (ყაზახეთის) გზას გაუყენეს წვრილშვილთან ერთად (მავნებლის ცოლი ხარო)... ბალავარზე ჩასვ-

ლამდე დაუნგრის სახლ-კარი და ბელელ-ბოსელი...

– თორმეტი წლის იქ გავხდი, – ყვება დავითი, – ბავშვობა არ განმიცდია, დედის და დების მცველი ვიყავ, თმის ღერი რომ ჩამოვარდნოდათ უნამუსო ვიყო, შევაკვდებოდი...

კარგა ხნის მერე ნანვალეები თოთოშა წამოზრდილ შვილებთან ერთად ჯაბნიძეებში დაბრუნდა... ნადით ძველ ბალავარზე სახლი ააშენა...

45 წელი გავიდა მას შემდეგ რაც ოსმან თავდგირიძემ სახლის კარები გაიხურა და ნავიდა...

45 წლის შემდეგ ხმა გავარდა, ოსმანი ჩამოდის თურქეთიდანო...

– ერთხელ თვალს შევაკვლებდე, მერე თუნდაც მომკვდარვარო, – თოთოშამ.

ჯაბნიძეების ცენტრი... მილლეთი ხალხი...
ოსმანი მინას დაემხო, ხელი გადაუსვა, ცრემლებით
ასველა... კოცნა და კოცნა...

თოთოშას და ოსმანის თვალები უნდა გენახათ
მაშინ...

– სად დაიკარგე, ბიჭო? – თქვა თოთოშამ და
ხელები გაშალა...

– აქა, ვარ, თოთოშ, აქა. – უპასუხა ოსმანმა
და ხელები გაშალა...

ამაზე ლამაზი, ცრემლიანი, თბილი, სევდიანი,
უხმაურო და ხმაურიანი, ტკივილიანი, უიმედო
და იმედიანი, ღიმილიანი არაფერი მინახავს...

ხუთ დღეს შესციცინებდნენ ერთმანეთს...

– აფერუმ, შენს ქალობასო და, – ვიცოდი და-
ბრუნდებოდიო, მახსოვს...

კიდევ მახსოვს ახლადგახსნილი სარფის სა-
ბაჟო... იქით ოსმანი, აქეთ თოთოშა, მათი და-
მჭკნარი და დაკოჟრილი ხელების კვალი რკინის
ლობეზე...

დავითზე მინდოდა და მისი მშობლების ნარ-
ეკლიან გზაზე გამოგვივიდა ჩანახატი თუ რაც
ქვია...

ახლა, ჩემი, 80-ს გადაცილებული დავითი თა-
ვის თბილ სახლში, ალბათ, ყაზახეთიდან წამო-
ღებულ „ბალაღაიკას“ „ანუნკულებს“ ...

P.S. შუახვევლ, მაგარ მოცეკვავეებთან ერთ-
ად, განდაგანასაც „ახვევდა“ დავითი, მარა ყურს
დამაკლდა, მუსიკის ხმა კარგად აღარ მესმის და
სახლში დავჯექო...

* * *

ოცდასამი წლის ბაბუაჩემს ხელები ზურგ-
სუკან გაუკოჭეს, თოფიანების შუაში ჩააყენეს
და ციმბირის გზას გაუყენეს... მთლად სოფელი
ეთხოვებოდა და გლოვობდა...

– ნუ გეშინია, მარად, გაიცინე, დადგინდება
სიმართლე და დაბრუნდები, აბა, რას იზამ?! –
შეაგულიანა თანასოფელმა.

– ციმბირში მივდივარ, რაჟდენ ბიძია, ქორნი-
ლში კი არა, რა გამაცინებს?..

დაიძრა ბორკილგაყრილი კოლონიები ჩრდილ-
ოეთის კუნძულზე, ახალი ციხეების გასაძეძგად...

50 გრადუსი ყინვა, თოვლი, ქარი, ქარბორბა-
ლა, თქემი, მიწურები, ნარები... ციხის ირგვლივ
ჭონჭყო, აზვირთებულ-აბლავლებული ტალღე-
ბი, ჭაობები, ნადირი, ყინულოვანი სამყარო...

წელიწადში მხოლოდ ერთი წერილის გაგზა-
ვნა და ერთის მიღებაო, გამოაცხადეს.

დედას მიწერა: „დედი, ჩემზე არ იჯავროთ,
ძალიან, ძალიან კარგად ვარ. ჩემი მწვანე-ხასხა-
სა სოფელი, ჩემი ვაშლოვანი მენატრება... დედი,
ახლა შენზე მომახვევინა, შენი დამჭკნარი ლო-
ყები დამაკოცნინა და მეტი არაფერი მინდა! ასი-

ეს მიმიხედე, დედი, ფეხმძიმედაა მაგი და ვერ
გიმჟღავნებს... სხვა რა გითხრათ, ჩათვალეთ,
ყანის ბოლოს რომ საფრთხობელა გვიდგას, ის
ვარ... შენი მარადი“...

მაინც შეულობავია თავისუფლების წყურვი-
ლი...

პირველი, ვინც კუნძულიდან გაიქცა, მარადი
იყო...

ერთი თვის შემდეგ ცხვირნაკვეთილი მოაბ-
რუნეს...

მეორედ, ორი თვის თავზე, ცალთვალამოგ-
დებული დააგდეს ნარზე...

მესამედ, კბილებჩამსხვრეული, სისხლში გა-
ზუნზლული მოათრიეს...

შეინძრა, პირი გაალო, წყალი მოითხოვა...

და... ისევ გაიქცა...

ეძებეს, ეძებეს და... ჩამონერეს – ან დაიხრ-
ჩო, ან ნადირმა შეჭამაო...

რამდენი ირბინა, რამდენი გაცურა, რამდენი
იძუნძულა, იფოფხა, იგორა... ვინ წამოენეოდა?
აკი, იტყოდნენ სოფელში, მაგას მგელი შემოაკ-
ვდა სირბილშიო...

ქარბორბალა ჩანყნარდა, ბუნებამ სული მოითქვა...

გასიზმრდა მარადი: რატომ გადმომაგდე აქ, გამჩენელო? რატომ მსჯი და რატომ მტეხავ? უსამშობლოდ კაპიკია ჩემი ფასი!

– მერე, გაქვს იქ მისაბრუნებელი პირი? – გამოჟონა ხმამ.

– ისეთი რა დავაშავე, გამჩენელო?! ჩემს სოფელში მინდა, ჩავალ, სასაფლაოს გავმარგლავ, მშობლებს ჩავუნვები შუაში და დავლევ ჩემს მბჟუტავ სულს...

ირმებში შებმული მარხილით გააქროლეს... დამჭკნარი გული ძლივს უფეთქავს... სწყურია, პირი უშრება, ძვლებში ტეხავს...

ფანჯრებს ყინვა ჭირხლავს... ჩითის კაბიანი, კაშნით ყელშეფუთნული, შალწამოსხმული ქალი ექიმბაშს ლამპას უნათებს. – დორა, გადარჩება?

– ჭლექითაა დაზაფრანებული ეს საწყალი. ძაღლის ხორცი უნდა ვაჭამოთ, იქნებ მაგან მოაბრუნოს საამქვეყნოს, ეტყობა, ქართველია, ბოდვისას ერთი-ორი სიტყვა მეცნაურა...

ორი კვირა გადაბმულად ეძინა, ძილში შფოთავდა, აბოდებდა, ბორგავდა... სათითაოდ ამოულაგეს სხეულიდან ტყვიები... როგორც იქნა, ნელ-ნელა თვალები მოახილა...

– ნუ, კაკ, ღრუზინ? – გაულიმა ლოყებლაჟღაჟა ქალმა და ვებერთელა ძუძუები ლამის სახეზე დააწყო.

– ვინ ხართ, სად ვარ და რამდენი ხანია? – ძლივს გაალო პირი.

– ჯერ ადრეა ლაპარაკი და ფილოსოფია, დაიძინე! – ტუჩზე თითი შეახო ქალმა.

– ძნელია ახლა ადამიანზე დანდობა, გაგვყიდის ვინმე და წაგვართვამს ამ გაცოცხლებულ „ღრუზინსო“ – თქვეს ოლიამ და დორამ და ბნელ სარდაფში სანოლი, სკამი, პატარა კარადა და უფრო პატარა მაგიდა დაუდგეს. ოთახში ასასვლელი კიბის თავზე, მაგიდის ქვეშ ხალიჩა გაშალეს და... გაუჩინარდა „ღრუზინი“...

ერთ დღესაც, ოლიამ საჭმელი და წყალი ჩაუტანა მარადს... ვნების ნაპერწკლები სცვიოდა თვალთაგან, თმები შუბლზე კულულებად ეყა-

რა, წამოკოსებული სათვალე მოიხსნა, გულისპირი ჩაიხია, შიშველი მკერდი ცხვირწინ მიუშვირა, წელი შეარხია, თედოები შეათამაშა და აბობოქრებულ გულმკერდიანად ლოგინში შეუგორდა... – აბა, შენ იცი, „ღრუზინ“, არ დამინდო, თიხასავით მზილე და მზილეო...

ენებადანურული მარადი კედლისკენ გადაბრუნდა... ოლიამ ქვედატანი ქინძისთავით დაიმაგრა და სიცილმონოლილ ტუჩებზე ხელი აიფარა...

– ხვალ სხვა ქალი ჩამოვა და იმას გააბედნიერებ, მერე – სხვას... ირმის ხორცი, პილმენები, მწნილები, სოკოს სუფები და „მახორკა“ არ მოგაკლდება. ღმერთმა შენი თავი საჯიშე ბულად გამოგვიგზავნა, ჭკუით იყავ, არაფერი შეგეშალოს, თვარა!!!... ჩვენი კაცები თვეობით სანადიროდ არიან წასულეები, როცა ბრუნდებიან, არაყნასვამებს არაფრის თავი არ აქვთ და შენ უნდა გაგვამრავლო და დაგვარწყულოო...

თორმეტი წელი ცხოვრობდა მარადი უმზეო ყინულეთში... სანადიროდ მიდიოდნენ და ბრუნდებოდნენ, ისევ მიდიოდნენ და ისევ ბრუნდებოდნენ არყისგან, თევზისგან და ნივრისგან აქოთებული, თვალეზამოღრღნილი, ყბაჩაცვენილი, თმანვერმოშვებული მონადირეები... იზრდებოდნენ ირმის ტყავში გამოხვეული ავთანდილები, ტარიელები, ფრიდონები, გიორგები... ამათაც ერთი სული ჰქონდათ, როდის წაუძღვებოდნენ ირმებიან მარხილებს...

აქედანაც ბევრჯერ გაიქცა, განა, არ გაიქცა?! მაგრამ ვერცერთ მხარეს გზა-კვალი ვერ გააგნო... დამარცხებული, ნირწამხდარი, მიბნედილ-მისავათებული, გათოშილი, გაყინული, დაღრღნილ-დაღენილი მოჰყავდათ უკან...

ხმამალლა ტირილი დასჩემდა, ჩემს თავს და ჩემს ბედს დავტირიო...

გატყდა, შეირყა, აღმა-დაღმა დარბოდა, ბუტბუტებდა, აპეურმოჭერილი ხარივით ზმუოდა, ბლაოდა, იცინოდა, იღრინებოდა, მაგრამ არაფერს აშავებდა...

ახორხლილ-აკოკოლავებულ საფლავებს შუა აღმართულ რკინის ბოძზე ვერცხლისფერი ქართული ასოები იყო მიდუღებული: „მ ა რ ა დ ი“... 1921–1954...

* * *

ბავშვობისას, მუცელი რომ წამომტკივდებოდა, გულამოვარდნილი ბებია მეტყობდა, ნენი, ნიგნი ნაიკითხე და ტკივილი დაგიამდება, ერთი დღე იქნება და მაგ შენს ავადმყოფობას ფეხქვეშ გავიგდებო!.. ვუჯერებდი ბებიას, წამოვწვებოდი გულალმა, მუცელზე ნიგნს დავიდებდი, კითხვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მალე კი მაძინებდა...

პირველი ლექსი გამახსენდა, ბავშვობიდან რომ გამომყვა:

„იყავი კარგი თვალადი,
გულადი, პურადი, ტანადი,
ღმერთმა მოგცეს
გული მხიარული
ხელში ჭიანური,
ჯიბეში ფული,
ბელელში პური,
მარანში ღვინით სავსე ჭური,
სახნავში ხარი, საბანში ქალი!“

პირველ დიდთოვლობაზე მახსოვს – მიწა თოვლქვეშ მაგრად მოშუშდება და მოსავალიც კარგი იქნებაო, ჯერ წყალთან მისასვლელი გაკვალე, ნენი, მერე, აი მჭადის და პურის ფუნჩხი ბარაქა მსხლის ფულუროში ჩაყარე, ჩიტები გაახარეო...

პირველი ავადმყოფობა გამახსენდა – „ბატონების“ მოზრძანება... წითელა ბატონების ლოცვები, თეთრი ქათმის წითლად შეღებვა, წითელი ვაშლების გორაობა, წითელი მურაბები, ლოგინის შაქარწყლით დანამვა, წითლად შეღებილ მარლაში შეხვეული კვერცხები, „წმინდა წყლით“ სავსე საინზე მკითხაობა...

პირველი ნამღერი რომ მომეწონა, სოფლის მაღაზიაში, დახლთან ნამღერი იყო: „ბერიკაცი ვარ ნუ მომკლავ!..“ სამნი მღეროდნენ ხმაწყობილად... ბრიგადირმა თქვა, მაგენი იმიტომ მღერიან, ორგანიზმიდან ჰაერი გამოდენონ და გამოთავისუფლებული ადგილი ღვინით შეავსონო...

თვალწინ დამიდგა პირველი დაბადება, მშობიარობის კვილიმა ცა რომ გააპო და სამახა-

რობლო თოფმაც გაიქუხა... მანამდე, მეზობელ ბიჭმა გაჩხინკული ცოლი ვისთან არ მიიყვანა, კუდიანებთან, მჩხიბავებთან, მარჩიელებთან, ექიმებთან, ექიმბაშებთან, რა ნახარშში არ ჩაანვინა, რა წყლები არ ასვა, რამდენჯერ და რანაირად არ მიუწვა... როგორც იქნა, მუცელმა დამრგვალება დაიწყო...

დრო კი გვაქვს და მეზობელი მამა-შვილის ხელშეკრულებას გავიხსენებ. შვილმა თავისი ხელით შედგენილი ტექსტი მამას დაუდო, ხელი მომიწერეო! – ჯერ წავიკითხოო, – მამამ. – მე წავიკითხავო, – შვილმა: – დღეის ამას იქით, ტყეში და ყანაში ფეხს არ შედგამ, ღვინისკენ არ გაიხედავ, თუთუნს გადააგდებ, ტკბილს და მწარეს არ გასინჯავ... დღეიდან შენი საქმე იქნება, კარტი, ნარდი, დომინო, ზღაპრები, ჭორაობა და ერთი ადგილის ფხანა...

– შემიბრალე, შვილო, ამდენ რამეს ერთბაშად ნუ დამაკარგვინებ!

– ხმა, კრინტი, თვარა დანარჩენებსაც ავიკრძალავ! – დაემუქრა შვილი.

პირველი სადღეგრძელო ასე მახსოვს: იმ დედას გაუმარჯოს, ცხრა თვე მუცლით რომ გატარა და ასეთი ტანსრული, ტანმრთელი და გონებასრული გადმოგაგორა ქართულ მიწაზეო!...

რატომღაც, მაინც და მაინც ახლა, მეზობელ სოფელში სიკვდილს დამუქრებული კაცის მუქარაც გამახსენდა. ნაწყობილად ვერ ლაპარაკობდა, ენა ებორკებოდა, მაგრამ ლამაზად კი თქვა:

– ნახეთ, რა დავმართო იმ ტიალ სიკვდილს! წამიყვანს თუ არა, გზაში სულად გევიპარები, ხორცს მას დავუტოვებ. გამოვტრიალდები უკან, ჩემს ნაგრამს ჩავუსახლდები სხეულში და გავაგრძელებ სიცოცხლეს! ეს უღვაში გამპარსეთ, ასე თუ არ ვქნა! მძორი კიდეც, ჩააგდონ ორმოში, დააყარონ ქვა-ლორღი და მიწა, აი, დარდი!..

მოქეიფე მეზობლის ღმერთისადმი შეხუმრებასაც გავიხსენებ და მოვრჩები. მივიდა ღმერთთან წვერცანცარა თხა და შეეხვეწა:

– ღმერთო, შენი ჭირიმე, ხვალ დილით უნდა დამკლან და მიშველე, არ გებრალები?

– რა ვქნა, ჩემო ლამაზო, ჩემო პეტელავ? ისეთი გემრიელი ხარ, შენს დანახვაზე, მეც კი მადა მეღვიძება! – უთხრა გამჩენელმა.

ბებიასთან დავასმინე ის მეზობელი, ასე და ასე თქვა ღმერთზე-მეთქი...

– დიდი ამბავი! უბოროტო ხუმრობა ღმერთსაც უყვარს, ნენი, მაი კაცი არაა ავი და უზნეო, არ განურისხდება უფალიო!..

* * *

ნამოდგა, ბუირუმსო. – რაფერ ხარ, ავნი ბიძავ, ხომ აკიჟინებ-მეთქი. – კარგათ ვარ, ნიაზავ, გამჩენელის ჭირიმე, გუშინ ჩაშავებული იყო აქავრობა, ახლა ხედავ, მზეზე ვცუცხუნდებიო...

ჩემი უფროსი მეგობარია გურჯი ავნი შაქარიშვილი, თურქეთის ფაციდან. ძალიან მიყვარს ასეთი ჩვენებურები, მუჰაჯირთა ასეთი შთამომავლები, ნაღვები, სხვა თარგზე მოჭრილები – სულს, გულს, ტვინს და სისხლს საქართველოს რომ ანაცვალებენ...

ჰოდა, გულისგულიან გურჯს ავნი შაქარიშვილს „მივცეთ ყური“:

– ჩემი ბაბუა 17 წლის ყოფილა ტაიამის (ბიძა) ჯაფარიძესთან ერთად ქობულეთიდან თურქეთში წასულა. გემით ორდუს ჩევდენ. იქიდან ფეხით ფაცაში ჩასულან შვიდი ოჯახი, სულ აქაური მეზობლები: შაქარიშვილები, ჯაფარიძეები, ჯინჭარაძეები, ოთიაშვილები, ქათამიძეები, ჯაყელები, ნოლაიშვილები, დევრიშოლლები. სოფელ ბაჯანალში დამდგარან. უთქმინან, სულ ერთად ვიყოთ და დასადგომათ ერთ იაბან ალაგზე ფიჩხით შამულობიან ფაცხა, ღამისგასათევად. წასულან ტყეში სამუშაოთ, მოსულან, რომ თურქებ დუშულიან. ისოვ გუუკეთებიან, ორი-სამი ახლოს დამალულა, თურქები მოსულან, ამათ გამოშპენ და გალახეს. ჰალა ეშინიან. ბაჯანალში სულ გურჯები ვცხოვრობთ, თურქებში არეული არ ვართ...

მუჰაჯირ მოუშენებია ქათამი, თხა, ცხვარი, ძროხა, სიმინდი, ლობიაი, ყურძენი, ნიგოზი, თხილი, ყართოფილაი, ქინძი, მაკიდო...

ჩემი ქალი სეერი (ჩვენთან იყო, გვისმენდა) ზედა აჭარიდან არი წარმოშობა, ბაბაი გურჯი იყო, ნენი ლაზი.

ორი ბიჭი მყავს მეჰმედი (მამუკა) და აჰმედი. მამუკა საქართველოს ცხოვრობს, აქაური ქალი ყავს, კაი რძალია, აჰმედი ისტანბულ არი. მამუკა აქ ჩამოვდა სასტავლად და კაი ქნა...

ახლა ლექსი გითხრა:

„ზეცას ეველ, ზეცა ვნახე,
მასკლავებსაც დევნახვე,
მთვარემ კაცი მომიგზავნა
აქ ამოი და რეიზა არ მნახე.
– ანე ამვალ, ანე გნახავ,
სანახავსაც ამოგიტან...“

„თაზე ყანა დავიდევი,
შით დავთესე ჭაჭვაი,
ბაბამ ქალი არ მომგვარა,
ვერ დავწევი მარტვაი...“

„ნენემ კაბა შიმიკერა,
წელზეც გამოჭირებული,
ნენევ, მალე გამათხუე,
ძალვან ვარ გაჭირვებული...“

„ჩიტი-გრიტი მოჟურჟულულობს,
მელაღური მგონიოდა,
საცხა რომ გოგვებს დევნახავ,
ყველაი ჩემი მგონია...“

– „ბაბას მუუმღერე მაგი, მომგვარა აგი“ (მეუღლეზე მიმითითა).

...ასეთ გურჯებს, ვენაცვალებ!

* * *

– ნუ დამლუპავ, თავმჯდომარევ, ნუ გამომისვამ დანას ყელში, ცოლი ლოგინად მყავს დავარდნილი, გოგო ორსულადაა, ზამთარი მოდის, გვშია, გვცივა!

– ომერ, ჩამოხსენი ცხენს მაი სიმინდი, თვარა ციმბირს უკან დაგატიებიებ!

– შენი მუხლების ჭირიმე, ამ სიმინდით ნამლები უნდა ვიყიდო!

– ჩამოხსენი-თქვა!

ხმაურზე, ბოსლიდან ომერის სიძე გამოვიდა. ისიც შეემუდარა თავმჯდომარეს:

– რაც გვეწერა, ხომ ჩავაბარეთ კოლექტივში, ეს მაინც დაგვიტოვეთ!

– თქვენი ხმა აღარ გავიგონო, თვარა! – ჰაერში ნაგანი დაატრიალა თავმჯდომარემ.

რუსლანს თვალეები სისხლით აევსო, სახეზე ძარღვები დაებერა, ბაგე აუკანკალდა, გულმემზარავად იყვირა:

– ხომ არ გინდა, ეს ყანა კბილებით დაგახნევიანო?! გადი აქიდან, მოგვმორდი!

– ამას უყურე ერთი, მემუქრება კიდეც! – ილრიალა თავმჯდომარემ და სილა გაანწა.

აფთარივით აიფოფრა რუსლანი. – შენი ჯიში და ჯილაგი მო...ან! – ჯიბიდან დანა ამოიღო და თავმჯდომარეს დაეძგერა, ნაგანის მიშვერა ველარ მოასწრო თავმჯდომარემ, ძირს დაენარცხა, რუსლანი ზევიდან გადაემხო და დანა მუცელში დაუტრიალა...

– ეს რა ქენი, ბიჭო?! აქ აღარ დაგვედგომება, სულს ამოგვხდიან, გაგვაციმბირებენ, დროზე ნავიდეთ! ქალებს არაფერს დაუშავებენ, ჩვენ გაგვამწარებენ! თურქეთში უნდა გავასწროთ, იქაც ჩვენი მიწაა! ქალი მომჯობინდება, გოგო იმშობიარებს და ამათაც ნავიყვანთ!

ფრთხილად, ნაბიჯშენწყობით მიდიან... კლდე-აღმართი აიარეს, ამოვაკებაზე ჩამოჯდნენ, სული მოითქვეს. რუსლანი წყაროს დაეკონა, კარგა ხანს კოცნიდა და სვამდა, ჩამუხლული ნაცრემლარ თვალეებს მალავდა. გააგრძელეს

გზა. თვალმონწყალედ უმზერს მშობლიურ სანახებს ომერი, ისე ოხრავს, გული ყელამდე ამოსდის, მუნჯადქცეული მიფიქრიანობს: რა ვქნა, რა გზას დავადგე? ფეხს უკან სიკვდილის ქმენა მესმის! ახლა სიკვდილი ჯობია სიცოცხლეს, მარა, ნაგრამს რა ვუყო, მჭადის ნატეხი არ გამოელიოთ-თქვა! დარდი და ნალველი გაგვიბერდა, ღმერთო! სამუდარებელიც გამიბევრდა და მრცხვენია, მარა შენს გარდა ვინ მომეხმარება?! ჯანით და პატიოსნებით ვერ გავმართე წელში ოჯახი, სიგლაზე და გოთვერნობა არ ამდის ხელიდან! არ წამახდინო, გამჩენელო! ცოლ-შვილს და ამ ბიჭს ნუ გამიპარტახებ!

სარფის თავში, წიფლნარში გადაკვეთეს საზღვარი...

აქეთ, საქართველოს შემოჰყურებენ... ბუხრებიდან ცისკენ ნელ-ნელა აიწვერა კვამლი... მზეს ამოსვლა არ ეჩქარება, ნელა მოიზლაზნება გონიოს მთის იქით...

არ და არ ნავიდა ამათი საქმე წაღმა, ვერ წამოიმართნენ წელში... – ეს ფეხები გამხმობოდა და აქ არ გამოვსულიყავ! – მალი-მალ ამოიხვნეშებდა ომერი...

სალიეს წერილი მოუტანეს რუსლანს: „აქეთკენ ფეხი არ წამოგიცდეთ, გეძებენ, კბილებს აკრაჭუნებენ... ბიჭი გვყავს, რუსლან, ბაჯალლოს ბიჭი, მამაჩემის სახელი, ომერი დავარქვი. მიახარე ბაბას, გული გაუნათე! ნენეი თქვენს დარდს გადაჰყვა, წინა კვირას მივაბარეთ მიწას. ბაბას ნუ ეტყვი, ჯობია, ცოცხალი ეგონოს! მეზობლებით გვიდგია სული, ჩუმად მოდიან და გულს მიმაგრებენ, ომერიკოს ეფერებიან, მშიერს არ გვტოვებენ. იზრდება და მშვენდება ჩვენი ომერიკო. გული შენთვის მიწუხს, შენთვის ბორგავს, ჩემო რუსლან!“

მუხლმა უმტყუნა და თვალისჩინი დააკლდა ომერს, ძალა, ხალისი დაუჩლუნგდა, დღემუდამ დარდმა, ამღვრეულმა ცხოვრებამ მოტეხა და მოადუნა. ქალაში მიკუნტულმა, რუსლანს

ანიშნა, თავთან დამიჯექიო. მილეულ-მისავა-
თებული სიტყვებს ძლივს ჩორკნიდა: – რაც შე-
მეძლო ვიმაგრე, მარა ეტყობა, ვკვდები, შვილო.
არ უნდა ახლა ცრემლი, ჩემს თავს იმდენად არ
ვჩივი, თქვენ მედარდებით უფრო! გეგონება,
რაცხა ძალას შიგნიდან უნდა გულისფიცრის გა-
მომტვრევა... რუსლანო, ახლა შენ ხარ ჩემი ფე-
ხადგმული სამშობლო, აქ არ დამმარხო! გაღმა
მინდა, იქ, ჩემს სახლში, ჩემს სოფელში!..

რუსლანმა მოხუცს თავი გაუსწორა, თვალე-
ზე ხელი ჩამოუსვა, ხელები გულზე დაუკრიფა,
ნიავი უქოჩრავდა თოვლივით თეთრ თმას, გა-
ცივებულ მკერდზე და ხელებზე შეყვითლებული
ფოთლები ეფინებოდა...

გვამი წყალგაუმტარ ზენარში შეახვია რუს-
ლანმა, მორებისგან შეკრულ ტივზე დაასვენა,
ტივი ნელზე გამოიბა და ნკვარამ ღამეს, რიზეს
მახლობლად ზღვაში შეცურა...

სარფში, უზარმაზარ ლოდზე შემოდო ცხედა-
რი, გულზე დაემხო, იყუჩა, ნამოიმართა, მესა-
ზღვრეთა შენობის მხარეს თოფი სამჯერ გაის-
როლა და ტივი ისევ ზღვაში შეაცურა...

...სირენის შემზარავი ხმა, ძაღლების ყეფა, რუ-
სული შეძახილები, ავტომატის ჯერი ზღვისკენ...

ლოდზე შემოდგმული ცხედარი ამოიცნეს... –
ზღვამ მოიტანა და ისევ ზღვას დავუბრუნოთო,
– მესაზღვრეებმა და წყალში გადაგდება დაა-
პირეს... ბოლოს ხალხის მუდარას დაჰყვენენ და
სოფელში წაასვენეს...

ერთ დღეს სოფელი აჩურჩულდა: სალიე და
მისი ათი წლის ბიჭი გამორღვეულ საბჭოთა მა-
ვთულხლართს ქვეშ გამძვრალან და თურქეთს
გასულანო...

სამოცდაათი წლის შემდეგ მოხუცმა ომერმა
თურქეთიდან შავი მარმარილოს ქვა ჩამოიტანა
წარწერით: „ბაბუა ომერს ბადიშისგან“...

* * *

– სამახარობლო, სამახარობლოო! – დასჭე-
ქა მაყარს წინგამოსწრებულმა ბიჭმა და მასპი-
ნძლისგან მორთმეული ჯოხზე აცმული ორი
დედალი, ფანელის პერანგი და ღაზლის წინდები
ჩაიხუტა...

მეფე-დედოფალმა ერთდროულად დაფშვნა
კარის ზღურბლთან დადებული საინები...

დიდნენემ ლოცვა ჩააღულუნა და სიძე-პა-
ტარძალს პირში ტკბილეულის ფუნჩხი ჩაუდო...

ბუხრის ქვაზე ცომი მიატყეპა დედოფალმა...
ჩვილიც ჩაუგორეს კალთაში...

– მეზობლებო, თავი არ მომჭრათ! – იხვეწე-
ბა ოჯახის უფროსი, – ამ მაგიდაზე თაფლი ჩა-
დგით, იქ კორკოტი, ლიმონათი – ქალებში!

ყოველი სადღეგრძელოს შემდეგ ტაში-ტუში...

– „გორკა“, „გორკა“, „გორკაო!“ – ერთხმად ახ-
მაურდა სუფრა...

სიძემ დედოფალს თავი უკან გადაუწია, ხელე-
ბით კისერში ჩააფრინდა და ტუჩები მოუწუნა...

– სულ დეიკარგა სირცხვილ-ნამუსი, ამდენ
ხალხში კოცნა რაფერ შეიძლება? მე, ნენი, ლო-
გინშიც მცხვენოდა კოცნა, ისე დავბერდი, ჩემი
კაცი ტიტველი არ დამინახია! – ჩაიჩიფჩიფა
უკბილო დედაბერმა...

ლოყებდაბრანული გოგო სევდიანად აწკრია-
ლებს ფანდურს:

„ახ მთვარევ, მთვარევ,
დამწვართ იმედო“...

მერე ხალხის გაურია ხმაში:

„აქეთ ყანა, იქით ყანა,
კოხტა ბიჭმა წამიყვანა,
ერთი ისეთი მაკოცა,
გუნებაზე მომიყვანა“...

სიძეს დედამისი თვალეებს უბრიალებს: – რა
ამბავია, შვილო, ჩაიჯვამ, იცოდე! ამდენ ლიმო-
ნათს, ღვინოს და ტოლმას სად ატევ? ზოგი ხვა-
ლისთვის მოიტოვე!

– ნახე, სიძე რას თოხლაობს, ცოდვას აი გოგო მაგის ხელში! – ხითხითებს ერთი.

– გოგოც კაი ჯანიანი ჩანს! – ხითხითებს მეორე.

– რას ამბობ, ბიჭო? გივიას მკლავებით დათვი ყავს მიგუდული, მუხას ნააქცევს კვანთით! – ხითხითს უმატებს პირველი...

დანყნარდა სოფელი... მრუმე, ლურღუმელა ღამეა...

სიძე-პატარძალი განმარტოვდნენ... გრძელ წამნამებს ახამხამებს ვერიკო, საცრისოდენა თვალებს აკვარკვალებს, კანი ასკდება... ჰა და ჰა, გივი საკინძემორღვეულ მკერდზე დაადნება...

– რა გჭირს საყვარელო, ფერი არ გაქვს, გეშინია თუ? – შეჰღიმებდა ვერიკომ.

– გეგონება მუცელში ცელი დამიტრიალეს, ერთი წამით გავალ გარეთ.

აივანზე გავიდა გივი, მაგრამ შარვლის ჩახდა ველარ მოასწრო, მუხლები ჩვილ ხბოსავით აუკანკალდა და... კანჭები დაუსველდა, ამყრალდა და ამძალდა, წაახდინა ფალარათმა... თუნგს მოავლო ხელი, ტრაკი გარეთ გადაყო და ჩაბანა დაიწყო, სიბნელეში ფეხი აუსხლტა და ზურგით ბოსლის უკან, ნაკელში გადაეშვა...

დაბლა ძაღლები ღრენენ, ძვლებს ვერ იყოფენ... ახლა ნეხვში გაშხლართულ გივის დაუნყეს ღრჯნა...

სარკმელში თავგაყოფილი დედოფალი გივის ეძახის: – სად ხარ, ბიჭო, ამდენ ხანს? – მიხვდა, რაც მოხდა და გამეტებით იკივლა: – მიშველეთ, ხალხო!

– შედი, ქალო, ბაღნებთან, მოკლავს მაგას ჩვენი სისხლგახელებული! – ანერვიულდა მამამთილი.

შევარდა დედამთილი ოთახში და რას ხედავს, მარტოა მკერდაკოკრილი და მოქვითინე რძალი...

ძლივს ამოათრიეს საწუნწუნხედან გასისხლიანებული, ყურმობდღვნილი და ტრაკდაცხავებული გივი...

ყველა შეწუნებულა, მთვარე კი სიცილით კვდება...

დაბანეს, დავარცხნეს, ათასნაირი მალამოები ნაცხეს და ისევ დედოფალთან შეუშვეს...

დილით, ყელზე ნაკბილარები აჩნდა ვერიკოს... გივი აივანზე თუთუნს აბოლებდა და ცხრასართულიან გინებას აგზავნიდა უმისამართოდ...

წლისთავზე, ისევ გააღვიძა მეზობლები ვერიკოს კივილმა...

– ბიჭია, ბიჭი! – გადაიხარხარა სოფელმა...

* * *

ფატი ყანის ბოლოს დაფაჩუნობს... ნალიის ქვეშ, თივაზე მოკუნტულ, მზისფერ ბიჭს ერთდროულად ზმული, ბლავილი, ყეფა, კაკუნი, კნავილი, შრიალი, ზუზუნი, ჩხრიალი, ქრიჭინი, გალობა, ბზუილი ჩაესმის ყურში...

– მეძინება, ნენა!

– მოვდივარ, ნენა! – მიეგულთბილა შვილს ასმათი, თოხი მხარზე გაიღო და აღმართს აუყვა...

სამი შაოსანი ნალიის ქვეშ შევარდა, ბერდიამ დაყვირებაც ვერ მოასწრო, პირში ჩვარი ჩატენეს, ხელები შეუკრეს, ილღიაში ამოიჩარეს, ცხენზე შემოისვეს და გაიქცნენ...

ბაგე აუკანკალდა ასმათს, – მიშველეთ, მეზობლებო, ბერდია მეიტაცეს! – გულშემზარავად იკივლა და ადგილზე ჩაიკეცა...

მთელი ბოხვაური თემშარაზე გამოეფინა...

– საით, ბიჭებო? – იკითხა მონინავე მხედარმა.

– ქობულეთისკენ! ანაკლიის ბაზარი სავსეა ტყვეებით, ქობულეთში ბევრი გემია მოსული, კარგად გაიყიდება!

ზღვის სანაპირო... მითქმა-მოთქმა, ტირილი, ყაყანი... ნაბადში შეხვეული ბერდია... ქედელი ბეჟანიძე შეემუდარა ვაჭრებს, არ მისცეთ ეს ბაღვი თურქებს, მე მომყიდეთ, მე ვიქნები ანი მაგის პატრონიო...

ფული მიითვალეს, ხელი ხელს მისცეს და ბიჭი ბეჟანიძეს გადაულოცეს...

გვიან ღამით, ზენდიდში, ხასან ბეჟანიძემ მეუღლეს ეზოდან შესძახა: უმიან, ნახე, რა ბიჭი მოგიყვანე, ღმერთის საჩუქარი! დატრიალდი შენებურად, დაბანე, დავარცხნე, ჩააცვი, აჭამე...

უმიანმა ხელსაქმე გვერდზე გადადო, დაკრუნჩხული თითები გულზე დაიკრიფა, თვალები აუნაპერნკლიანდა, მოწინებით მოიყარა ფეხი და ცაში ღმერთს შეხედა: გამჩენელო, შენი სახელის ჭირიმე, ეს რაფერ გამახარე და რაფერ გამინათე სავალი, ერთს გთხოვდი და სამი ბიჭი მომეც, დაილოცოს შენი სახელი!

– ხასან, რა ჰქვია ამ ჯანლამაზს?

– ბერდია მქვიაო, ასე მითხრა.

– მოი ჩემთან, ჩემო ბერდოვ, ჩემო ბედო, ჩემო ჭუჭულო, შენი თვალი კაკლების ჭირიმე! არ იდერდო, ნენი, დღეის ამასიქით შვილებში არ გამოგარჩევ!

დღეები დღეებს, თვეები თვეებს, წლები წლებს მიედევნენ მეძუძურ ბატკანივით...

ერთ საღამოს ბეჟანიძის ჭიშკარს, მასპინძელო, მასპინძელოს, ძახილით უცხო კაცი მოადგა.

– ვინ ხარ კაცო? რა შორიდან იძახი, შემოალე ჭიშკარი და შამოი სახლში. – გასძახა ხასანმა.

– გურიიდან გახლავარ, მამია მქვია, ახალციხეს მივდივარ. ღამეს თუ გამათევიებ?

– აბა, მეიდანოდა რისთვის მაქვს, შენი ჭირიმე?

შუა ღამემდე ისაუბრეს... მოსული ხშირად გაურევდა: „მადლობაო“, დამხვდური: „როგორ გეკადრებათო!“

– ახალციხეს მივალ, ხასან ბატონო, წამალზე, მეზობელი ქალის სისანყლემ გული მომიწუნა, მარჯვენა ხელი დამბლისგან აქვს წართმეული, ჰადაჰა, თვალისჩინიც გაუქრება, რვა წლის უკან შვილი მოსტაცეს, იმის სიმწარემ მოშალა და მოარყია, ქმარიც არ არის სრულ ჭკუაზე. ეჰ, რა ბიჭი იყო, ანგელოზი, უცნაური, ცალი თვალი ცისფერი ჰქონდა, ცალი თაფლისფერი...

– რას ამბობ, კაცო?! როდის მოიტაცესო, რა თქვი?

– რვა წლის უკან-თქვა!

– უმიან, ბერდობიჭი გააღვიძე და შემოიყვანეო, – გასძახა მეუღლეს ხასანმა და აფორიაქებულმა წყლიანი თუნგი მიიყუდა პირზე.

შემოვიდა ბერდია, ნამძინარევი, თვალების ფშვინით...

სტუმარი ზეზე წამოხტა. – ხასან, რა ხდება, კაცო? რატომ ვარ ცოცხალი?! ღმერთო დიდებულო, ბერდია ბიჭო, შენ ხარ?! – ყვირილს გულჯიგარი ამოაყოლა და ბიჭს ეცა, თვალებში ჩააშტერდა, – ამას რას ვხედავ, კაცო, სხვადასხვა თვალის კაკლები აქვს ამ დალოცვილს!

...

მესამე დღეს თორმეტი გურული ცხენოსანი მოადგა ხასანის სახლს...

პირველი ბერდიას მამა, დანიელი ჩამოხტა ცხენიდან და ბლავილით შევარდა ეზოში, თვალებით შვილს ეძებდა... თავისკენ მიიზიდა, გულში ჩაიკრა, თმა, თვალები, ლოყები, კისერი დაუკოცნა... სოფელი ტიროდა და იცრემლებოდა...

ზემო აჭარულ თარგზე, ძლივს მობლანდა ნაღველ და ცრემლშემოწოლილ ბერდიამ: – ჰა იყავ, ამდენ ხან, ბაბი, რატომ აქამდინ არ მოით?

– ხასან ბატონო, რით გადაგიხადოთ სამაგიერო და როგორ გითხრათ სამადლობელო? – მიახვნემ-მიაცრემლა დანიელმა.

– ეგ ფიქრი ვინ ჩაგანვეთათ გულში? მე მონად კი არ მიყიდია აი ბაღვი! დღემუდამ გამჩენელს ვეხვენებოდი, პატრონი გამოჩნდეს-მეთქი, იქით მიმავალს და იქიდან მომავალს, ბერდიას ამბავს ვუყვებოდი...

უმიანი პერანგზე ჩაებლაუჭა ბერდიას, რა ვქნა ახლა, შვილო? რაფერ ვიცოცხლო უშენოდ? არ დამტოვო, ბიჭოოოოო!..

ბერდიას მამამ ხელები დაუკოცნა უმიანს...

ერთ ადგილზე მზერამიბოროკილი დედაბერი მტრედევით ღულუნებდა: მოი აქა, ბერდიავ, ხელ-ფეხი დაგიკოცნო, შვილო! ნაი ახლა შენს სოფელში, ვინც ავი თვალით შემოგხედოს, გული გაპობოდეს!..

– გურულებო, წიგნი აქ არ არის და სკოლა. არ იცის ბერდიამ კაი წერა-კითხვა, მარა, აჭა-

რელიგიით აფიცრება არ აკლია, რაც მთავარია, დედასაქართველოს სიყვარული ვასტავლეთ! – დაირცხვინა ხასანმა.

ქალებმა სახლიდან ფოთლებგადაფარებული კალათები გამოზიდეს და სუფრა გაშალეს...

– რას ცახცახებ, შვილო, ვერხვის ფოთოლივით, გავემზადოთ და წვეიდეთ ნენასთან! – მიესიყვარულა მამა.

ბერდია შეშინებული აცეცებდა თვალებს...

– ვხვდები მე მაგის გულისდარდს. ქალებო, ესმა სად არის? – იკითხა ხასანმა.

– ესმა! ესმა! ესმა! – არ არის ესმა!..

ესმა სოფლის გაღმა, მუხასთან იდგა:

– გამჩენელო, ან მომკალ, ან მდინარეში გადამაგდე, თვარა, აგერ მარყუჟი მაქ გამონასკვული. ნავა ბერდია თავის გურიაში და მერე მე ვიცი...

სოფლის გოგო-ბიჭები წაადგნენ თავს ესმას...

– ესმაც უნდა წავიყვანოთ, აჭარლებო! – შეემუდარა სოფელს დანიელი.

– ხო, ბაბი, ესმა თუ არ მეყოლება, რამე რად მინდა! – ამოილულულა ბერდია.

სოფელი ესმას მამას მიუტრიალდა...

– რას მიყურებთ, ხალხო, ხომ იცით, ჩემი საქმე? ოსმალომ დამასახინრა, ხელ-ფეხი მიმამტვრია, საღი მარტო თვალიბილა დამიტოვა, რომ ვიტირო, მარა სად მაქვს ცრემლი? ესმავ, შვილო, არ შემარცხვინო! კაი ბიჭია ბერდობიჭი, ჩემს თვალწინ წამოლერებული, წაყევი შვილო! მე რალა დამრჩა? სიკვდილი მიმომყვება კვალში, თქვენ იყავით კარგად და ბედნიერად! – გულში დაგროვილი დარდი გადმოაპირქვავა აქიფმა...

თვალს მიეფარნენ გურულები...

წვიმით განბანილ მიწას ორთქლი ასდიოდა...

იმ წელს, ხიხანში, ოსმალებმა სელიმ ხიმშიაშვილს თავი წარკვეთეს და სტამბოლს წაიღეს სულთნის საფეშქაშოდ, ტანი აქ დააგდეს...

* * *

დაახლოებით 135 წლის წინ მოხდა ეს ამბავი... შვიდი სოფლის ხალხი შეიკრიბა მაშინ...

ათასწრად აპეპლებული მთა, გადაძეძგილი ხევ-ხუვები, მთა-გორები, მწვერვალები, ათასნაირი სტუმარი, სიცილ-კისკისი, გადაძახილ-გადმოძახილი, მიკითხვ-მოკითხვა, ცეკვა, სიმღერა, შაირი, ათასნაირი ჟარგონი და კილო-თქმა, ხელჯოხიანი ბერიკაცები, მოკაკული დედაბრები, სხმარტალა ბიჭები, ქრელ კაბა-თავსაბურში აფართქალებულ-აყირმიზებული გოგონები... ჭიკჭიკი, ჭახჭახი, ყივილი, კრიახი, კნავილი, ყეფა, ფშვინვა, ფრუტუნი, ბლავილი, ზმუილი, თქარა-თქური...

და... მთავარი... იმდღევანდელი ჯახი...

ყველა თავისი სოფლის ბუღასთან შემორკალულა... დღეს გამოჩნდება ვისი ბუღა გაიმარჯვებს, მომავალ ამ დრომდე, ვის პატრონს ატარებს სოფელი ხელისგულზე...

ალაბატონიც მობრძანებულა თავისი ტონიანი ბულით. ირონიულად იმზირება და ყინრობს, ვინ შებედავს უღელში შეუბამ „გველვეშაპთან“ შერკინებასო! ბუღას კისერზე ხელს უტყაპუნებს და ოქროს კბილებს აელვარებს: ღმერთმა ამას სამი რამე დაავალა, იჩხუბოს, თავისნაირები გაამრავლოს და თვალი გაახაროს, სხვა სადარდებელი და საქმე ამას არ აქვსო...

გულჩინა და რამაზი ნიფლის ქვეშ თავის ბუღას ეფერებიან...

– შენი ჭირიმე, ჩემო ნიკორავ, მზე არ გამიშავო, გვედრი, გემუდარები და გეაჯები, გამინათე გული, გამიბრწყინე სიცოცხლე, არ იჩქარო, შენებურად ჩაუმუხლე, ღრმად ისუნთქე, არ დაინდო ეს მოზვრები, დღეის შემდეგ, უფალს შევპირდი, უღელს აღარ დაგადგამ მაგ გადაღლეტილ კისერზე... გულჩინამ ნიკორას დრუნჩი მიიკრა გულზე: შენი ჭირიმე, ნიკორ, აბა, შენ იცი,

უფალი ჩვენთანაა! იმ ცულლუტის და ფლიდის ბუღას უფროთხილდი! კია დიდი, მარა შენი მარიფათი ხომ ვიცი? მაგან შეიძლება მოგლუნოს, მარა ვერ გადაგტეხავს!

ზოგი ძირს დააგორა, ზოგი ფერდობს გადააგორა ნიკორამ...

ალაბატონის გველვეშაპმა ც ყველა უკანმოუხედავად გააქცია...

ერთი საათი აწვებოდა გველვეშაპი ნიკორას... ერთი საათი ციბრუტივით ტრიალებდა ნიკორა, მალიმალ უსხლტებოდა და წვეტიან რქებით ჩხვლტდა კისერზე...

და... ნიკორას მარჯვენა რქა გველვეშაპის მუცელში ჩაიმალა, ზამბარასავით შეკუმშული კისერი თანდათან გვერდით გასწია... ფაშვიდან სისხლის ლეკერტებმა ითქრიალა, გულაღმა ამოტრიალდა ხარი... ნიკორა ქვევით გადაძუნძულდა და აბლავლებულ პატრონს თავი მხარზე დაადო... ცრემლაციმციმებულ გულჩინამ დაშარული ხელები კისერზე შემოახვია...

ყველა შეწრიალდა... გველვეშაპი სისხლისგან დაიცალა, თვალეები მიხუჭა... ალაბატონმა აღმოდებული თვალეებით გახვრიტა გულჩინა, კარგხანს ლოყები ისრისა და მოღუშულ-მოყამულ-პირგამეხებული დაღმართს დაუყვა...

შეეცოდა ხალხს გველვეშაპი... იცრემლა...

ჩანჩქერთან დახვდნენ გულჩინას, ხელები გადაუგრიხეს, მხრებზე გაიდეს, წისქვილში, ტახტზე დააგდეს, ალაბატონი მოგხედავსო, შეუღრინეს და კარები გამოიკეტეს... შიშით ენა ჩაუვარდა გულჩინას, დაბეჟილ-დალილავებული, ქანცგამოლუული ტანი ძლივს წამოსწია, მაგრამ ალაბატონმა არ დაანება, ხმა არ გაიღო, თვარა, გველვეშაპივით გაგასხმევენებ ლეკერტებსო!..

გამეტებით ყეფენ და ღავლავენებენ ძაღლები...

რამაზი ფეხშიშველი მოფრინავს, კუნთები კალმახივით უხტის, სახე ხავსიან ლოდს მიუგავს, ხუჭუჭა თმას ქარი უქოჩრავს... მხრით შეანგრია წისქვილის კარები, – ამ ღორობას არ შეგარჩენ აღანუნკალო, ჩათლახო, – იღრიალა და ყელში დანა გამოუსვა, საფეთქლით წისქვილის ქვაზე მიახეთქა და თავგაჩეხილი დოლაბებს უკან გადააგდო...

წამოიყვანა გულჩინა, თვალეებში სევდაჩაქცეულ, დათალხულ, სევდისგან გათეთრებულ დედას ჩააბარა და თვითონ ტყეს შეერია... – თავს გაუფროთხილდი, რამაზ! – წამოენია დედის ხმა...

ძლივს მიბლაცუნობს წკვარამში... – ღმერთო, რა დავაშავე, ვის რა შეეცოდე? რად არ სპობ ამდენ ბოროტებას? როდემდე უნდა ღვაროს ადამიანმა ადამიანის სისხლი? რატომ დამაბანინე ალაბატონის სისხლში ხელები?

სამი წელი შავშეთის ტყეში იმალებოდა რამაზი... იქიდან ახალქალაქს გადავიდა, აბულის მთაზე, ყინულეთში. სომხის ხმელი ნაკელის სახლს მიუკაკუნა, შემოფართო! – „ჩე, ახპერ, ჩე!“ (არა, ძმაო, არა!“-ო!) ორი კვირა იარა და ღომას მთაზე, სამთო ქოხში დაეგდო...

გაზაფხულისპირს, მძინარეს დაეცნენ თავს, თოკებში ახლართეს და ხიჭაურში ჩამოათრიეს... ყულფის ქვეშ, შემალლებულ, სამფეხა ჯორკოზე დააყენეს... მხარზე აფართქალეებულმა პეპელამ დედის ხმით ჩასჩურჩულა: ადვილია, შვილო, სიკვდილი, დაიძინებ და ეგაა, კი, ნენი, დაძინება პანაი სიკვდილია!..

ვიღაცამ რუსის ოფიცერი გვერდით გაიხმო და წერილი გადასცა: „ტაკიძეების, ახალდების, ზედაყანის, კავიანის ციხის ბოლოს, ყველა ხის ძირში, თოფიანები ვართ თუ მაგას ჯორკოს გამოუშლით, სანამ ვინმე მოგისწრებთ, მაქაურობას ნაცრად ვაქცევთ, თქვენი სუნით ავაცროლებთ! ორი ათასი თოფი გაიქუხებს! გაბედეთ, აბა!“

ოფიცერმა რალაც ანიშნა ჯარისკაცებს. რამაზი ჯორკოდან ჩამოხტა, ყორზე გადავიდა და ჭვანისკენ აუყვა აღმართს... ცრემლების თქეში უმღულრავდა გულს...

– მალე შენი რამაზი დაგიბრუნდებაო! – უთხრეს გულჩინას... წამწამებზე ცრემლი მოასკდა გულჩინას... გაძვალტყავებული ხელებით ერთმანეთს გადაეხვივნენ...

ცაზე თეთრი ღრუბლები უთავბოლოდ დაბორილობდნენ... ქარი, გეგონება, ფრთებს იმტვრევსო... კვირის თავზე, რამაზს აღარ გაუღვიძია, სახე გულჩინას კულულებში ჰქონდა შემალული...

მინამ ჩაიხუტა, თავის შავ ზენარში გაახვია...

ქართან ერთად ათასი ჭორ-მართალი დაჰქროდა აღმა-დაღმა...

* * *

აღვარებულ წყალს უფრთხილდით, ბიჭებო! ფრთხილად, ყურნაგდებულად იარეთ, ტყე-ტყე, უკაცრიელ, უბადრუკ და უღრან გზებით ატარეთ, ყანებს, ხეხილს გვერდი აუარეთ!

– რაზე მოდიან და რამდენი იქნებიან, ბეგო?

– ეჭვი აიღეს აჭარლები გადასახადებს გვიმალავენო. სტამბოლიდან მოავლინეს თავისი ხალხი, აღწერა იმათ უნდა ჩაატარონ, ოცამდე არიან, გემით მოდიან. აქ, ქედას უნდა დავაბინავოთ, შემოგვითვალეს, ბენვიც არ ჩამოუვარდეთ, თვარა გადაგვავთო! წადით, დაიძინეთ, ადრიანად ჩადით ბათუმში, დახვდით იმ კუდიანებს.

ბათუმში არიან ძმები, ოსმალურ გემს ელოდებიან. გაშტერებული იყურებიან აქეთ-იქით... ვინ დანას ყლაპავს, ვინ – ცეცხლს, ხორხოცობენ თერძები, მჭედლები, ხარაზები, უთავბოლოდ ყრია ზუთხი, კეფალი, ორაგული, კალმახი... ჭამა-სმა, ცეკვა, ზურნა, ჭყივილი, კივილი... დათვები, თუთიყუშები, მაიმუნები, გველები... ნელსაცხებლები, სარკეები, სავარცხლები, წამლები, მარილი, ჭვავი, ხორბალი თაფლი, შაქარი, ჭურჭელი, ფარჩა, ხალიჩები...

ახალშენის საცალფეხო ბილიკს დაადგენენ, ალიშის მთის მიმართულებით... უქარო ამინდია, პატარა, ცელქი მდინარე მოხმაურობს, ბილიკი მდინარის გაყოლებაზე მიიკლაკნება, კლდეებზე წყალი შხლარტუნობს. ისე დაწმენდილა, ფსკერზე სისხლისფრად დანინწკლული თევზები სჩანან.

დაბალკისერა ოსმალთა დავთარში ინიშნავს, თევზის გადასახადიც დასანესებელია აქაურებზეო. წყავი, მოცვი, ასკილი ბრწყინავს მზეზე. ნახშირივით შავი, ხველებ-ხველებით ამბობს, გარეულ ხილზეც დაფუნესოთ გადასახადიო. სკები დალანდეს კლდეებზე, თაფლიც ჰქონიათ, ნეტა, გადასახადს თუ იხდიანო. გახიზნულ ვაზს მოჰკრეს თვალი, ყურძენზეც დაფუნესოთო!..

ყელში ბრაზმორეული, გულჩანყვეტილი, წარსულზე ფიქრმორეულები მიდიან უჩა და ქემა-

ლი: ვინ იცის, ამ ადგილზე რა სისხლის თხევა იყო, რა ცხენების ჭიხვინი, ისრების შხუილი, ხმლის ჯახაჯუხი, კვნესა, გმინვა, ხავილი... ახლა გადასახადებით გვხდიან სულს!

ილაჯგანყვეტილი ოსმალების თვალებიდან შიში იცქირება, ბაძგნარებში დაკანრული მუხლები ეკვეთებათ. – გურჯებო, შევიცადოთ, იქინდის ლოცვის დროა, აგერ, წყაროზე აბდესს ავიღებთ, თქვენც მოდით, ამინ თქვით, მაღლი-აო... ქემალმა მხრები აიჩეჩა: – გვაპატიეთ, მარა ჩვენ ვერა, რაც არ გვესმის, იმაზე „ამინ“ როგორ ვთქვათ? მაგფერი ლოცვა არც ღმერთს ენდომება! – მდინარისკენ მიმავალმა კბილები ისე გაახრჭიალა, ლამის შემოეფშვნა. – გაიურები ხართ და ჯერნებშიც წასულხართო!.. – ქემალმა ცივი ოფლი მოინმინდა, წინ წაინია საპასუხოდ, მაგრამ უჩამ ჩოხაზე მოქაჩა, ხომ არ გადაირიე, ნუ გაეპასუხები, ლოცვას ნუ ჩაფუშამებთ, ლოცვის შეწყვეტა დიდი ცოდვაა, ღმერთს ნუ გავარისხებთ!..

ლოცვის მერე ცოტა შეიმუხლეს და ისევ გააგრძელეს გზა. ფიჩხის ლანალუნის ხმა მოესმათ, დაბლა, აშხეფებულ წყაროსთან შაოსანი ქალი დალანდეს, თუნგით ხელში, მკერდზე მიმხობილი ჩვილი პურს ლოღნიდა. თვალდახრილმა ქალმა ამოსძახა, ცივი წყალი დალიეთ, გული გაიგრილეთო...

ცვრიან კოინდარზე ეფუნები ჟღარუნობს, თხები დაპეტელობენ. ძალმა მხედრებს შეუღრინა, წინა ცხენს შეაკანკალა და უკანა ფეხებზე დადგა.

– ქალბატონო, – ჩასძახა ქემალმა, – ღამე მალე დედამინას შავ ფრთებს გადააფარებს, თქვენთან რომ გადავიდამოთ, შეიძლება? ვახშამი არ გვინდა, ახშალამაზს და იასს ილოცებენ და მიეგდებიან!

– კაცი სახლში არ მყავს, მთაშია წასული, ბალღები და მე ვართ, მობრძანდით, კარებს რაფერ მოგიხურავთ?

უჩამ ოსმალებს ანიშნა, ღამეს აქ გავათევთ, ცხენები დავარწყულოთ და შევიდეთ, მოვისვენოთო...

გვიან ღამით, ლოცვა რომ დაამთავრეს, დინამ დარაბები ჩაკეტა, ფეშხუმზე ხილი დააწყო და ქემალს უთხრა, თქვენ აქ მოისვენეთ, ჩვენ ჩავალთ ახორში, ძროხებთან, თივას გავფენთ და იქ დავიძინებთო...

...

მიძინებულ დინას თითქოს გულზე ლოდი დაანვა...

– გაჩუმდი, ხანუმ! ბევრი ალთუნი მოგიტანე, ძალიან ბევრი!..

– მომშორდი, მხეცო, ვიკივლებ! – ამოიხავლა დინამ.

– არ იკივლო, ხანუმ! აგერ ალთუნები! – გულისპირის ჩახვევას შეეცადა მხეცი, მკლავები

დაუჭირა და სახეზე დააორთქლა. შუბლი გაუცხელდა დინას... კბენდა, კორტნიდა, კანრავდა, თხილის წკნელივით ტანს ახვანცალებდა... ძროხები აზმუილდნენ... ფრჩხილები თვალეში ჩაასო წამომხობილს... მძორი გვერდით გადავარდა...

ქემალი შევარდა ახორში და წამოტოტებულ ოსმალს ფეხით გულისფიცარი შეუნგრია, უჩაც შემოიჭრა, დიანა წამოაყენა, მიძინარე ბავშვები დაილღიავეს და გარეთ გამოვარდნენ... თივას ცეცხლი წაუბრიალეს, ორივე სართულის კარები ურდულით გადარაზეს და სახლს გაეცალნენ...

აბრიალებული სახლიდან დიდხანს ისმოდა შემზარავი ღრიალი...

1844 წელს მოხდა ეს ამბავი. რამდენიმე დღეში ოსმალური უღლის გადასაგდებად, აჭარაში დიდი სახალხო აჯანყება დაიწყო...

* * *

მლაშე გემო აქვს ცრემლს, მაგრამ როცა გულის მოსალბობად გელვენტება, მაშინ მალამოა, ტკბილია, თბილია...

მასხოვს, ბეთლემს, მაცხოვრის შობის აღაგზე, ბაგასთან, ქართული გალობის გაგონებაზე ცრემლები სასიამოვნოდ რომ მიმომელვარა გულში...

თურქეთში, მუჰაჯირთა შთამომავლებმა რომ მითხრეს, „ნეტაი, ადრე მოსულიყავიო“, იმ ცრემლის გემო და სიტკბო მასხოვს...

ფერეიდანში, 400 წლის უკან აოტებული ქართველის შთამომავალი ქართულ ლექსს რომ მიკითხავდა და თვალწინ სანთელივით ინავლებოდა, იმ ცრემლს რა დამავინყებს!..

და, მთავარი... ჩემს კუთხეს, ჩემს აჭარას ცრემლის ღვართქაფი რომ სდიოდა... ყველაზე მეტად ამ ცრემლით ვითუთქები...

ბენვის ხიდზე იდგა მაშინ ბედდამდალული აჭარა...

მინა მისი სისხლით იჟღინებოდა!...

ათასობით ბალღი გაუყიდეს ტყვეთა ბაზრობებზე!...

ათასობით ძუძუთა მოჰგლიჯეს მკერდიდან ნენეს!...

საუკუნეები აკვანს სდარაჯობდა დედა!...

დუშმან-მოსისხარმა ცეცხლს მისცა აჭარული სოფლები, დაანაცრა, წაბიწნა, აუჩხუხა ხეხილი და ვაზი, სისხლში ამოახრჩო...

გახვეტა ბელლები და ნალიები, გაიტაცა სარჩო-საბადებელი, ამოუხაპა ქვევრები, მოუოხრა სალოცავები...

რალა ექნა სისხლდანრეტილ აჭარელს, მოძმემოკეთის მომლოდინეს, დედა-საქართველოსგან მოკვეთილს და უსასოოს?! მარტო ხმლის ქნევით და თოფ „მაჭახელს“ გაქუხების იმედად, გავწყნებებით და გავთავდებით, მტერი ბევრი გვყავს, ჩვენ ცოტანი ვართ, საუბედუროდ ჩვენდა, მუხანათი, ორგული და პირისგამტეხელიც გამოგვერია აქა-იქო!..

იობივით ითმენდა გაჭირვებას...

თვალის ასახვევად დამორჩილდა თავისი დროის დადგომის მოლოდინში...

ბევრი შემოიკლა და დარჩენილები დახარკა ოსმალთ...

და... აუკრძალა ხატიც და ჯვარიც! მიჰყო ხელი გადარჯულებას!..

ისტორიულ წყარო-ცნობებს მივყურადობთ:

„...ხალხში ვერ სპობდნენ ქრისტიანობის სიყვარულის მიძნელებს...“

„ჩვენს გვარიდან პირველად მამაჩემი გამაჰმადიანდა, მამაჩემი მაშინ 20 წლის დელეგანდი იქნებოდა და სჯულზე ძლიერ მაგრობდაო. თურქებს ბრძოლა აუტეხეს, მამაჩემის ერთი ნათესავი დაიჭირეს და თავი მოჰკვეთეს, ზოგი ბანრით დაახრჩეს. მამაჩემს შეშინებია და გამაჰმადიანებულა. ეს ამბები უნდა მომხდარი-

ყო 1770 წლებშიო...“ (ხოჯა ხერხეულიძე, 90 წლის)

„ღამე ეკლესიაში შეგროვილიყვნენ, სანთლები დაენთოთ და აშკარად ლოცულობდნენ ოსმალების გასაჯავრებლად და ოსმალებმაც ამიტომ დახოცეს ყველანი იქმყოფნო. ამაზეა ნათქვამი, რომ ჩვენმა ძველებმა წითელის კვერცხისთვის ასი კაცი მოაკვლევინეს ოსმალებსო...“

ნუ დამძრახავთ ხოლმე, ეს არა ისტორიკოსი კაცი, ასე მალი-მალ რომ მივუბრუნდები ჩვენს გულიდან დაუცილებელ, გულახლოებელ ისტორიას, სამწუხაროდ, ჯერაც მტვერდადებულს...

ბევრს თუ არა, ჩემს უახლოეს ხალხს, ხომ მაინც გადავცემ ჩემს განცდებს და ნააზრევს!

იმათ მაინც ხომ მივახვედრებ რატომ მეცრემლება და რატომ ვდიდგულობ!!!

მანო...

წრფელი, გულახდილი, სულგრძელი, კეთილი, ზნემაღალი, დიდსულოვანი აფხაზი მანო, სტუდენტალის გონება და თვალი, დიდი ნაღვლიანი თვალებით...

გაგრაში, სტუდენტურ ბანაკში ჩამომაკითხა, ავტომანქანაში ჩამსვა და გულრიფში, ნათესავის ქორწილში ამომაცოფინა თავი... მშობლები გამაცნო, ჩემზე ანიშნა, აჭარიდანაა, ფილოლოგიურზე სწავლობს, კაი ბიჭია, უზრდელი, მეტი ჩარა და მამლაყინა არ არისო...

ხორცასხმული შამფურები, გადაპარჭკული ქათმები, ღვინიანი დოქები... გაშალა მანომ თეთრი მკლავები და წელის რხევით „აფხაზური“ ჩამოუარა... მერე ყურში ჩამჩურჩულა, ეგერ, რომ თვალგამტერებული ბიჭი მომჩერებია, სიყვარულს მეფიცება და რას იტყვიო... – კაი ბიჭი ჩანს, მარა გააჩნია შენ როგორი გინდა ქმრად-მეთქი. – გულიანად გადაიკისკისა. – ჩემი ქმარი არც თხელი, არც სქელი, არც შავგრემანი, არც თეთვგრემანი, არც მაღალი, არც დაბალი არ უნდა იყოსო...

დამთავრდა სტუდენტობა...

მერე განყდა სიმი, ჩვენს შორის ხიდი ჯერ მოყანყალდა, ბოლოს მთლად ჩამოიქცა...

დავიკარგეთ...

დავკარგე ჩემი ალვისტანა აფხაზი მანო...

მოლოდინმა გული მიმილია... ვიფიქრე, ნუთუ დამთავრდა მანო-მეთქი...

გამოჩნდა... მაინც გამოჩნდა... ბათუმს მოვდივარო, მომწერა...

ბულვარის ყავა...

სევდა მოეძალა, ლამისაა ატირდეს...

გახსენება...

– ზღვა ერთნაირი გვაქვს, სოხუმური ტალღებიც ასე დგება ყალყზე... გახსოვს, გაგრაში ქვებს რომ ვიკაკუნებდით ყურთან და ცალ ფეხზე დავხტოდით ყურიდან წყლის გამოსაქცევად?

– კი. შენ თუ გახსოვს, ცოტა პური, ცოტა ღვინო, ცოტა ყველი, ბევრი ცეკვა-სიმღერა და ბევრი ლექსი?

– გახსოვს, მთიან აჭარაში რომ წამიყვანე და ქალებმა დილამდე „აჭარული“ მაცეკვეს „აფხაზურ მასკლავს“?

– გახსოვს, მზეზე რომ თქვი, სიყვარულის მზე ჩვენნაირი ქარაფშუტებისთვისაც ამობრწყინებულიყო. – ამოვიხვნეშე მე.

– გახსოვს, თბილისში კაიმალი რომ ჩამოგვიტანე?

– გახსოვს, ლექტორი რომ აატირე – ნახევარი „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად წაიკითხე, მერე ნოდარ დუმბაძის „გული“ მიაყოლე, ჩვენ რომ წა-

მოვცვივდით, ტაშს გიკრავდით და „აფხაზურას“ ვიძახოდით? – გავიხსენე მე.

...გულისმომკვლელი განცდით დავშორდით...

...ზღვის ზედაპირზე ცისარტყელა ლივლივებდა...

ცრემლით სავსე თვალებზე ხელებაფარებული ჩაჯდა ავტომანქანაში, მაინც შემომანათა წყლიანი თვალები და აკანკალებული ხმით მითხრა: უფალი დიდია, უფალი არ გაგვნირავს!..

* * *

– დიდ ცოდვას ხომ არ ჩავდივართ, შვილო?! ღმერთი არ განვარისხოთ! ეგერ, ის ქვები და შემალღებული ბექობები, მე მაინც წინაპართა ძვალთშესალაგი მგონია.

– დედი, აქ საფლავებს რა უნდა? თან სახლს ვაშენებთ, ცოდვას ხომ არ ჩავდივართ, რომელი ღვთისმგმობლები ჩვენ ვართ?

ნადის ბიჭები საბალავრე ადგილის მოსასწორებლად, თოხებით მიადგნენ დარეს...

გამეტებით გალობდა ბულბული... შაშვიც გამეტებით გალობდა... დამზრალ მიწას ხვატი ასდიოდა...

უცებ, მენინავე ბიჭი შიშით აკანკალდა. – თვალები დამიდგეს, ამას რას ვხედავო! – იყვირა და ადგილზე ჩაიკეცა. ნათობარში წითელი სითხე გადმოიღვარა და შეშინებული ბიჭის ფეხებთან შეგუბდა...

– ქვევრი გავტეხეთ, ხალხო! – წამოიძახა ერთმა. – მაქაურობა ფრთხილად მიმოვჩხრიკოთ, კიდევ იქნება!...

გამოჩნდა – მეორე, მესამე, მეოთხე... ღვინით სავსე ქვევრები მზეზე ელვარებდა... იქვე, ნაქცეული, თეთრი, წონოლა ქვაც წამოაყენეს და ზედ წარწერას ჩააშტერდნენ. ვერ ამოიკითხეს... მოხუცმა ისიდორემ ქალებს ნახშირი მოატანინა, ნანერს წაუსვა, ზედ თეთრი ზენარი დააფინა, ნელა წამოსწია, კორდზე გაშალა და არაბული წარწერა ამოიკითხა: „აქ განისვენებს მონა ღვთისა თამთა დიასამიძე“...

ნათობარში შეგუბებული ღვინო ამეტყველდა:

– მაცხოვრის სისხლი, მალამო, ადამის შემწე, ედემის სითხე და სიცოცხლის წყალი მქვია მე... უხსოვარ დროიდან აქ სულ ვენახები იყო. იმდენი მოსავალი მოდიოდა, რომ ნადირ-ფრინველსაც ჰყოფნიდა... ჭირ-ვარამში გამოფეჯვლილი ხალხი ირჯებოდა აქ... ეკლესია რომ გაავერანეს, გააპარტახეს და გააოხრეს, აქაურებმა ზარი სოფლის თავში, ტყეში მუხაზე ჩამოკიდეს. მოსისხარი შიშით ტყეში ვერ შედიოდა... თამთამ სულის საცხონებელ წიგნებს წამოავლო ხელი და გამოქვაბულში შეიკეტა...

– მოდით, მომკალით, ბანრით დამახრჩვეთ, მდინარეში გადამაგდეთ, ვენები გადამისხენით, მაინც ვიტყვი: ჩემთვის, ცისქვეშეთში, მართლმადიდებლობა უკეთილშობილესი და უსათნოსი სარწმუნოებაა. დარჩენილ სიცოცხლეს ჩემი სოფლის ღამისთევამი შემოვიღამებ და ყველას – ქრისტიანს, მუსლიმანს, რწმენიანს თუ ურწმუნოს, ერთნაირად ვუნამლებ!..

უფლისგან ბოძებული თილისმა ჰქონდა თამთა დიასამიძეს, უზადო წამალთმცოდნე იყო, ბალახთა, ფრინველთა, ცხოველთა, ვარსკვლავთა მესაიდუმლე. ღვინით და ბალახების ნახარშით კურნავდა სნეულთ... ქვეყნის დასალიერიდანაც აკითხავდნენ... ოსმალნიც შეეჩვივნენ თამთას გრძნეულებას, აღარ სდევნიდნენ ქრისტიანობის გამო...

და... ერთ დღეს, შავი თმებით, თეთრი სახით, კაცთაგან შეუღწვეველ გამოქვაბულის წინ, ლოდზე იჯდა თამთა, დედასაქართველოს რძენაწოვი და ფიქრში ღამეგატეხილი. ღვინოში დამბალ ხელისგულებს ჩვილს თვალებზე უსვამდა... ხველებ-ხველებით ჩაინმინდა ყელი და უთხრა ხალხს: დღეს, საღამოს დავიძინებ და


აღარ გავიღვიძებ! ვფიცავ, მაცხოვრის სახელს, მაინც თქვენთან ვიქნები!..

– ნუ დაგვტოვებ, თამთა! – შეევედრა სოფელი, – ნუ ნახვალ და შენს ფეხებთან ცრემლის ტბას დავაყენებ!..

...უხმოდ იცრემლებოდა სოფელი...

იმ წელიწადს სოფელში არავის გაუცინია...

იმ წელიწადს სოფელში არავის უმღერია...



რეზო თაბიძა

* * *

ლეკვი ვარ, ლეკვი, და მუდამ დაგდევი,
პურის და მჭადის არა მკლავს დარდი,
გიკოცნის ტერფებს და კაბის კალთებს
ეს ჩემი არც თუ ლამაზი თათი.

ვიცი, გამჩენი იქ არის, მაღლა,
მაგრამ მინაზე უდგას აკვნები
და ხვალ-ზეგ როცა ვიქცევი ძალღად,
შენს ერთგულებას შემოვაკვდები.

13.11.2018

ჩემზე ფიქრით

იციან წელიწადებმა,
წამითაც კი არ უძინია,
ჩემზე ფიქრებად და დარდებად
უთოვია და უწვიმია.

– მაინც საითკენ მიუყვები,
რომელი ბილიკი აირჩიე?
იქნებ მოზიდე ჭიუხებით
ბალახი და ბუდე გაიჩინე.

თითქოს ჩიტი ვიყო, ჩიტუნია,
ისე მელაპარაკება,
მე რომ იმედები გავუმტყუნო,
ვითომ ბევრი რამე დააკლდება.

ხვართქლა ხელივით შემომხვია,
მაჯაზე თითი დამადო,

გულმა რეჩხით სისხლი ჩაიხვია,
შვილო, ხომ არ ხარ ავადო.

თავზე ვენახის ფოთოლი
ხელისგულივით გადამისვა:
– არ დამინგრიოო გოდოლი,
თასში შხამი არ დამისხა! –

მისი ალერსი ვალად მდევს,
უჩემოდ თავი ეობლება,
სულ ჩემი თავი ადარდება,
დღედაღამ ჩემს დარდებას ეომება.

ისეთი გლახა და მუნჯი ვარ! –
რომ გაველახე, მერჩია.
იქნებ შემეწიოს ლურჯი ცა,
ცას ჯერ არაფერი შეშლია.

26.12.1982

აღფა და ომეზა

მხიარული ბუხარის და ხანაც მნუხარის
კვამლია თუ მართლა ვედრება-ლოცვანია,
ცა შორი რომაა და ახლოც რომ არის,
ბუხარს ეს ანუხ-ახარებს ძალიან.

და განიტოტება ნაირფერ გამებად
რაც იყო, რაც არის და რაც ხვალ იქნება, –
დარდი და ღიმილი – ტკბილ-მწარე წამება
თუ ყოფნის აღფას და ომეგას მიგნება.

სამრეკლო ორი – ორი ეკლესია
და ლაყვარდული მათ შორის ერთობა,
მნათე სამრეკლოზე დგას როგორც წესია,
ცა უყვარს და თბილი მინაც არ ეთმობა.

უვლიათ ამქვეყნად ნიღბების გარეშეც
და დარდსაც უნიღბო ღიმილი წამლობდა,
თოვლზე კვალს შლიდა ქარი მოთარეშე,
დავიწყებისათვის ამაოდ წვალობდა.

წამნამებს მოსწყდება ცრემლები ღიღივით,
ტუჩებთან გემოა მადლიან მარილის:
ალფა და ომეგა – დარდი და ღიმილი,
ეს – ორი ძვირფასი, ძვირფასი თვალივით.

12.11.1981

* * *

ღრუბლის სარკმლიდან იცქირება ზეცა იისფრად,
ხე,
ქვა,
ბალახი... –
ყველაფერი შემოდგომურია
და ლექსების რძით სავსე კათხა პოეზიისა
გულის ცეცხლზე შემოდგმულია.

8.08.1989

* * *

და სახვალთ გზა-ბილიკებზე
მითენებია ღამე ოცნებით,
სადაც წავსულვარ, თან წამყოლია
მამის ხვეწნა და ნენეს ლოცვები.

მიხმობენ ჩემი სიყრმის უბნიდან
მინდვრის ქრელკაბა ანგელოზები,
ძუძუებივით თითქოს უბიდან
ამოიყარა ხევმა ბორცვები.

1970

* * *

წლები, არა ერთი, კვლავაც გადივლიან,
მიდი, ტრამალები ჟამთა გადაზომე,
გონი – ხეკეთილი, ფიქრი ყვავილია,
რაც არ შეიძლება მუდამ არ გახსოვდეს.

წუთისოფელი ავად დახრამულა,
უნდა ჩაგიტყუოს ხრამში – სამარეში,

ვერა, ვერ შეძლო და ვერ შეგახრამუნა,
ჯინაზე მიმოქრიახარ ზეცის კამარებში.

ბირდაბირივით ყველგან გხერხავს ვალი.
საოცრებამ არც თუ წამით გამარინდა:
ძვლებიც ისრებია, მშვილდი – ხერხემალი,
ლამის დასხლეტილა, დიახ, სამარიდან.

19.04.1980

შენ და ისინი

ნუთუ ერთმანეთს მართლა ვშორდებით,
ჭრელი კორდებით მოდგნენ სულ სხვები,
მე ვხედავ ამას და ვიშოლტები,
ტანში ვყრყოლდები და ვისუსხები.

ბავშვობის სიზმრებს დავესესხები,
თუმცა ვალებს კი ვერ გადავუხდი,
ცოფიან ელდას ჩემი ლექსებით,
რა ვქნა, გულმაგრად ველარ დავუხვდი!

მეტრფე ოცნების, რალაც ისეთის,
ტანმალალის და ალბათ წერწეტის,
თურმე შენ იყავ ნაღდი ის ერთი,
ვინც მეძებდა და ვისაც ვეძებდი.

ვერ დაიქადნებს შენთან ვერც ერთი,
ვინაც შენს გვერდით ჯდება სუფრასთან,
რომ ძლიერ უყვარს ეს სავერძეთი,
მაგრამ რატომღაც არ დაუფასდათ.

ეჰ, ეს ქვეყანა, ჩემო კარგო, ვის
ყანნი ჰგონია, ვის – საყანნეთი,
და აბა როგორ არ დავკარგო ის,
რა ვუყოთ, გულთან მოდის არც ერთი.

ვითომ ღმერთკაცის ირგებს მანტიას
და სუფრის თავში ჯდება ცერბერი,
რომ დაგვაშოროს ასე მარტივად
სიკვდილშიც ერთმანეთის მძებნელნი.

ძველი ქარაგმა ისევ ცოცხლდება
და აბა როგორ არ დავუძრახო! –
ერთი სული აქვთ, შენი ოცნება
სანაგვე ყუთში გადაუძახონ.

დრომ მედროვეებს დაუტატანა,
გამოისყიდონ უნდა ცოდვა რით?! –
ჯერ ბევრი არის ქვეყნად სატანა,
ანგელოზები – ძლიერ ცოტანი.

შენ სულ სხვა ჯიშის ხარ, ისინი კი,
ვინც ტაშს გიკრავენ, ძმაო, სულ სხვები.
ეშმა პირდალი კვდება სიცილით,
გიყურებ, გისმენ და ვისუსხები.

31.08.1991

* * *

ალიონზე
(ასე იყო გუშინ,
ახლაც ასეა)
ტოროლები ნისკარტებით მთებზე ზეცას გაშლიან,
მარტო თვალის გასართობა-გასახარად კი არა,
ცაზე ჩვენს გასათობად
მზემ მთელ დღეს რომ იაროს.

26.10.2020

ქორწილში

წამოხვალთ? წამოდით! მაშ, ასე, შევთანხმდით:
მიატოვეთ ჩრდილები, გამოდით მზეში,
ვიჩქაროთ, მხარში დავუდგეთ ერთმანეთს,
40.000 კილომეტრი წრეში!

შუაში ჩავიყენოთ ჩვენი დედამინა,
სასიძო ღირსეული, გინათუ ნეფე,
ანგელოზები ცაში გვირგვინებს წნავენ,
სამკაულებად ვარსკვლავებს კრეფენ.

ნისლის ფარდა ბოლომდე გადავწიოთ,
იჩქარეთ, იჩქარეთ, განა გეხუმრებით?! –

ჩვენი დედამინა სათნოებაზე ვაქორწინოთ,
დავძრათ მაყრიონი გალაქტიკების ხევხუვეებით.

ცხრათვალა მზე იქნება კეთილი მდადე,
კრიმანჭულს ვაზივით დაგრეხს მაყარი,
მთვარის მაშხალაზე ჩრდილები გადნეს,
მასხარობელმა ჟინჟღლები თავს გადმოგვაყაროს.

ქორწილში ზეობს, ქორწილში ცხოვრობს
ლიმილი ბალღური, განევა ვეფხური,
ჭინკების, ქაჯების დაფრთხება ხორო –
ფერხული! ხორუმი!
ხორუმი! ფერხული!

იჩქარეთ! დედამინა სათნოებაზე ვაქორწინოთ,
ამბავს წაიღებენ მფრინავი თეფშები,
გალაქტიკებში დალოცავენ ამო წყვილებს
და
მარადისობას შევრჩებით.

1.01.1983

ნაბატოვები

სტრიქონებს ისევ იმცვრევ სატივედ,
რითმისთვის მარტო მარტყოფი გინდა,
დღეს ფოტოგრაფი განვდის ნეგატივს
არც თუ წარსულის ფოტოფირიდან.

საეჭვოდ იცვლის თეთრი ფატა ფერს,
არა ცისფრად და იისებურად,
გულმოკლული და დაფეთებული
ფიქრის ლოდებით ცა ისრისება.

არა ხარ ისე დაოსებული,
კვესაბედურო გაბედულებაგ,
დემონებიც კი გაიოცებენ –
არა, გამჩენს არ დაუბერდები.

შავად ყვავილობს უბედურება,
როდესაც კეთილს თვალავს ართვალი,

ნათლად – უდაბნო-უდაბურებებს
განეფინება ფიქრი სართველო.

იქ სამარყუყუედ კანაფს ართავენ,
აქ იმზირები რკინის უჯრედით,
იყავი და ხარ ცამდე მართალი,
როცა ბნედიან ბედს უჯავრდები.

ჩამოყვავფერდა შავგულა კარტი,
მერე რა, თეთრი სულის საესებავ! –
განზილებულსა და ატირებულს
საცისკრე თვალებს ესასობი.

ფიქრის ბიჭები მოზვავ-მოჯარდნენ,
ო, ეს არც ისე არის მარტივი:
არ დაატარებ თილისმა-ჯადოს,
მხოლოდ სტრიქონებს იმცვრევ სატივედ.

არა, არა ხარ დაოსებული,
საბედაურე გაბედულებავ,
დემონებიც კი გაოცებულან, –
უფალს არასდროს დაუბერდები.

23.10.2010

რბ იქნება

სძულთ და თანაც მერე როგორ
სიყვარული მდაბალ კაცებს,
დადის კაცი და ნასვამი –
კაცის სისხლით – დაბარბაცებს.

მკურნალობა უნდა რადგან
ამ იარებს, ხომ სჯობს მე რომ
რითმა წამლად წავუსვა და
სტრიქონებით ამოვკერო!

მამა-პაპით ნიჭი მოგდგამს,
რატომ უნდა მოგეხათროს,
რა იქნება, დაჯდე, ჰოდა,
მხოლოდ სიყვარული ხატო?!

6.09.1994

* * *

მუდამ ერთი რამე მსურდა,
ამისრულდა, ამისრულდა,
ისე მაგრად მოგეფერე,
გალაქტიკა გასუსულდა.

გაუკვირდათ ანგელოზებს
მეცხრე ციდან ჩამოსულთა,
ჭიკჭიკებდა გული გულთან,
ჩურჩულებდა სული სულთან.

უკვე მნუხრის ჟამი მოდგა,
თუმცა ვდგავარ დასასრულთან,
ისე გეფერები, თითქოს
ოცი წელი შემისრულდა.

1.01.2012

სანუბუმოს რბს მმტყვი

ჩემი ფიქრის ჩიტები
შენკენ ფრენენ, შენკენ,
ნუთუ აღარ გჭირდები?!
ყელთან ყულფი შევფსკვენ.

მგონი, ვშვენი საშენო
ეზო-კალო-ახოს,
სიტყვას ზეცის სამშვენოს
არ იკარებ ახლოს.

თითქოს იყო უყურო,
არაფერი გესმის,
როგორ უნდა ვუყურო,
როცა ცის ფერს შენ შლი.

ავი უთვალავია,
ამ გულს შუა ხეთქავს,
თითქოს იყო უთვალო,
ვერაფერს ვერ ხედავ.

გახდი ისე უგონო,
იქნებ მართლა მესიას

შენსას არ გაუგონო,
სადაური წესია.

შენგან ერთხელ მაშინ
რაც კი ავიცარი,
მომახლიან საშიშს, –
თურმე ავიც არის.

რა ლამაზი იყავი,
რაფერ სხვაფერდები,
ზღაპარია იგავი
მხოლოდ ნაფერდების.

იქ უფსკრულია და
უფსკრულს ქვევით ქვესკნელი,
ნუთუ, – ღმერთმა ნუ ქნას და, –
ქვესკნელს გადაეფსკვნები!

SOS კი, მაგრამ რამდენჯერ?! –
შენი ამომგდებელი
შავი დროს მენეჯერი
ჯოჯო გჯიჯგნის დებილი.

სხვანაირი მინდოდი,
არ მინდოდი ასეთი,
სანუგეშოს რას მეტყვი
შენტვის, შენტვის დასეტყვილს?!

სანუგეშოს რას ეტყვი
შენზე ფიქრებანენილს,
შენს უღელში შებმულს და
შენტვის კისერნანენილს?!

21.07.2015



დადი თედორაძე

შობის პრესკლავი

(ზღაპარი)

ერთი მაღალი სოფლის, ძველი და ნესტიანი სახლის ფანჯრის რაფაზე, იდაყვებზე დაყრდნობილი პატარა გოგო ქალაქს გასცქერის. ქალაქს, რომელიც ღამის და საახალწლო განათებებით აბრვიალებული ღამაზე, აგიზგიზებულ კოცონს გავს. ზურგს უკან მბჟუტავი ნათურა ძლივს ანათებს ოთახს, რომლის კუთხეში მდგარ პატარა ნაძვის ხეზე ორი-სამი სათამაშო კონწიანებს. ბუხარში სველი შეშა სანყალობლად შიშინებს, ცრემლად იღვრება და ვერ ათბობს ოთახს. ბუხართან მისი პატარა ძმა მეზობლის ნაჩუქარი კუბიკებით თამაშობს. ავადმყოფი დედა ლოგინიდან წამომდგარა და ყველის უკანასკნელი ნაფშვენებისგან ხაჭაპურს აცხობს.

მალე ახალი წელი დადგება...

მამამ, ძლივს იშოვა სამსახური, დარაჯად, ისიც დროებით. ალბათ ახლა, რომელიმე მშენებარე სახლის წინ ბოლთას ცემს და სიცივისგან გათოშილ ხელებს ორთქლით ითბობს.

მოალას ყელში ბურთი გაეჩხირა და ცრემლები დედისთვის, რომ არ ეჩვენებინა თავი ფანჯრის რაფაზე ჩამოდო. შობის ღამეს, ზუსტად ასე იდგა ფანჯარასთან და შობის ვარსკვლავის გამოჩენას ელოდა, რათა დედის ჯანმრთელობა და მამის სამსახური ეთხოვა. ლოდინში ღამე მიილია, ცა გაფერმკრთალებას აპირებდა, იმედი გადაეწურა, დანოლას აპირებდა, რომ უცებ ცის კიდურში ლურჯი სინათლე გამოჩნდა. შუქი თანდათან გაიზარდა და შობის ვარსკვლავი აბრვლილდა. განცდისა და სიცივისგან აკანკალებ

ბულმა ეზოში ჩაირბინა, მომალლო ბორცვზე შემოდგა და კრძალვით ჩაუთქვა სურვილი შობის ვარსკვლავს.

დღეს, მთელი დღე ცა ისე ჩამონოლილიყო, თითქოს დედამინას თექის თეთრი ქუდი ეხურა. ყინვა ძვალსა და რბილში ატანდა. ფანჯრის რაფაზე თავდახრილ მოალას შარიშურის, შრიალის, ფრიალის ხმა მოესმა. აი, ისეთი თოვლის ფიფქებმა რომ იციან სიჩუმეში. ცრემლები მოინმინდა და სარკმელი გააღო. ბარდნიდა, ო, რა ღამაზად ბარდნიდა. გახარებულმა თავისი პანია, ვარდისფერი ხელის გულები შეუშვირა თოვლს. ფიფქები ეცემოდნენ და ქრებოდნენ, ეცემოდნენ და დნებოდნენ. უცებ ერთი დიდი, საოცრად ღამაზი ფიფქი დაეცა ხელის გულზე. გაუღიმა და უთხრა.

– გამარჯობა, მოალა.

– გაგიმარჯოს თოვლის ფიფქო.

– გამოდი, ვიგუნდაოთ.

– ვერ გამოვალ... მე თბილი ტანსაცმელი არ მაქვს. – უთხრა და თავი ჩაქინდრა.

– როგორ არა გაქვს. აბა, ნახე კარადაში. – თბილად უთხრა თოვლის ფიფქმა.

მოალა გაიქცა ოთახში. გამოაღო კარადის კარი და ჰოი, საოცრება. კარადა სავსე იყო თბილი ტანსაცმლითა და ფეხსაცმელებით. გახარებულმა დედასთან მიირბინა და თხოვა საგუნდაოდ გაჰყოლოდა. დედას არ შეეძლო, მაგრამ შვილს უარი ვერ უთხრა. პატარასაც ჩააცვა და ეზოში გავიდნენ საგუნდაოდ. ცოტა ხა-

ნში მოალას ფიფქი გაახსენდა, ნეტა სად წავიდა ჩემი თოვლის ფიფქიო გაიფიქრა და

– აქა ვარ, – მოესმა ზეციდან.

ხმა ცის იმ კიდურიდან ისმოდა სადაც მოალამ შობის ვარსკვლავი დაინახა. ცას მოლურჯო-მოთეთრო ზოლი გადაეკრა. ზოლი ვერტიკალურად დაეშვა ეზოში და მას თეთრ, ულამაზეს კაბაში გამონყობილი ფერია ჩამოჰყვა, რომელსაც გვირგვინად შობის ვარსკვლავი ედგა, ხელში კი ჯადოსნური ჯოხი ეჭირა. აიქნია ჯადოსნური ჯოხი ფერიამ და ძველი, ჩაშავებული სახლის ნაცვლად პატარა, ლამაზი სახლი გაჩნდა კიბეებითა და ფართე ვერანდით. აირბინა კიბეები ფერიამ და დიდ, ნათელ ოთახში მაგიდა გაიშალა ათასნაირი ნუგბარით დატვირთული. ოთახის ცენტრში დიდი ნაძვის ხე აბრჭლავდა ულამაზესი სათამაშოებითა და მოსართავეებით. ბუხარში ხმელი შეშა ატკაცუნდა და სითბოთი აავსო სახლი. შემდეგ ფერიამ სამზარეულოს განჯინა სურსათ-სანოვაგით, საძინებლები – თბილი და რბილი ქვეშაგებლით აივსო. სიხარულისგან სახელაწილი მოალას გული საგულედან ამოვარდნას ლამობდა. სიტყვებს თავს ვერ უყრიდა ფერიასთვის მადლობა, რომ გადაეხადა.

ფერიამ საათს დახედა.

– მოვასწარით ახალი წლის დადგომამდეო. – თქვა და საათმაც თორმეტჯერ ჩამოკრა. ეზოში

გაისმა ფლოქვების თქარუნი, ეჭვნების ჟღარუნი და თოვლის ბაბუაც შემოსრილდა საჩუქრებით დატვირთული მარხილით.

სახელაწილი კეთილი თოვლის ბაბუა მხიარულად შევიდა სახლში და ბუბუნა ხმით მიულოცა ახალი წელი.

– გილოცავთ, კეთილო ხალხო. დაე, დღეიდან თქვენს ოჯახში ხვავი, ბარაქა და ჯანმრთელობა ყოფილიყოს.

– მოალა, – უთხრა ფერიამ მოალას, – შობის ვარსკვლავამდე მიაღწია შენმა თხოვნამ და ჩვენ გამოგვგზავნა შენი სურვილების ასასრულებლად. ამიერიდან, დედა ჯანმრთელად გეყოლება, მამას სამსახური ექნება, შენ სკოლაში ივლი და კარგად ისწავლი.

ამ დროს კარები გაიღო და გამოჩნდა გაოცებისა და სიხარულისგან სახელაწილი მამა, რომელიც უხერხულად იფშვნეტდა ხელებს.

– ახლა კი უნდა წავიდეო, სხვა ბავშვებიც გველოდებიან, – თქვა თოვლის ბაბუამ. – ისინიც უნდა გავახაროთ. ჩასხდნენ მარხილში და იმ მხარეს გაფრინდნენ, სადაც მოალამ შობის ვარსკვლავი დაინახა.

ბედნიერი და მადლიერი მოალა მანამ იდგა და გაჰყურებდა მარხილს, სანამ წერტილად არ გადაიქცა და გაქრა.



სუნდრო ბარძია

რმანიშაბი

პულსი – ნული, სუნთქვა – ნული, რიგით ცხრაში ათი ხარ,
სამჯერ გაჭრილ-შეკერილი, ყასბის „სტოლზე“ აგდებარ.

სიკვდილეთის დერეფნამდე არ უნდა დიდი ხანი,
ორ სივრცეს ჰყოფს სიფრიფანა ცელოფანის ტიხარი.

ბედისწერა ოხერია, უცებ ჯვარცმა იცის მან,
ტიხარს იქით სიკვდილია, ტიხარს აქეთ – მისი ძმა.

თან მკვდარი ხარ, თან ცოცხალი, სიმწრის ოფლი განურავს,
ნარკოტიკულს იჭერ კაიფს, წამლის ტბაში დაცურავ.

წუხელ ერთმა ბედნიერმა ლეთას წყალი გასტოპა,
აქ ბალონის ფსევდოჟანგბადს ჰქვია უჟანგბადობა.

გულში – დანა, ფილტვში – წყალი, ჯიბეში კი – ჰაერი,
სიკვდილისთვის წკიპურტი ხარ, სიცოცხლისთვის – ფრაერი.

მოკვდესა და ცხონდეს შუა, რა უნდა დამედგინა,
მომიმატეთ თმენის მორფი, სული უფრო მეტკინა.

იბლანდება ბნელში ლანდი, ცხრაბაცდება ცა-ბაცი,
პალატამდე თხრობის გზაა, მორგამდეა – აბზაცი.

არყოფნიკენ მინელობს ფიქრი დასაბამზავი,
შვიდ მილიარდს თუ დააკლდი... ეუფ... დიდი ამბავი.

გულში – დანა, ფილტვში – წყალი, ჯიბეში კი – ჰაერი,
სიკვდილისთვის წკიპურტი ხარ, სიცოცხლისთვის – ფრაერი.

20.05.2020

ნათელას

სახლში შენი დადის ლანდი,
შრება მშრალი ცრემლის ღელე.
რატომ ნადი, რატომ ნადი,
რატომ...
დამაცარიელე.

ფთილა ფიქრი გახდა ლოდი,
ხსოვნად კუბო შერჩა ხელეზს.
რას მერჩოდი, რას მერჩოდი,
რატომ...
გამაცალულელე.

სიკვდილს მისი წაუღია,
ხუნდს გაურბის მუნჯი ბაგე.
ცოლის ქება აუგია,
შენ კი...
ამალაპარაკე.

ყოფნა როგორ შევირიგო,
ჩაქრი, ვით ასანთის ღერი.
ნუთუ, მართლა, სულ ეს იყო,
ყველაფრიდან –
არაფერი.

ვიცი, რა გზით მიიგნები,
ტალახს შეზელია ღელი,
დამელოდე, მეც ვიქნები,
მალე...
სამაქაოელი.

30.11.2020

ბათუმში

ამ ქალაქს,
ჩემი ჰაერის ქალაქს,
ქართულად – ბათუმს,
ბერძნულად – ბათუს-ს,
თურქულად – BATUM-ს,

და კიდევ,
 კიდევ,
 რუსულად – БАТУМ-ს,
 ქალაქს, რომელიც
 წარმოადგენს
 ორი ღმერთის საბრძოლო მინდორს,
 დღეის სწორს,
 როცა დაღმართშია ორი ათას ცამეტი წელი,
 დაუბანელი „ჰაფეზისა“ და
 ჩახჩუებული ხოჯა-ეფენდის სუნი აუდის.

ამ ქალაქს,
 ჩემი ჰაერის ქალაქს,
 ქართულად – ბათუმს,
 ბერძნულად – ბათუს-ს
 თურქულად – BATUM-ს,
 და კიდევ,
 კიდევ,
 რუსულად – БАТУМ-ს,
 როგორც მონღოლის
 მონამლული ისრის ნატეხი,
 ანდა თათრული იატაგანი,
 ისე გასჩრია შიგ გულის-გულში,
 შეიხ-ნახაიან-მუბარაქ-ალ-ნახაიანის
 ყველაზე ფართო გამზირ-პროსპექტი...

ამ ქალაქს,
 ჩემი ჰაერის ქალაქს,
 ქართულად – ბათუმს,
 ბერძნულად – ბათუს-ს
 თურქულად – BATUM-ს,
 და კიდევ,
 კიდევ,
 რუსულად – БАТУМ-ს,
 ატყვია ზურგზე
 ნაღდაჭედილი რუსის ჩექმის და
 წვერწამახული შავი შტიკის მწარე ტვიფარი,
 ხოლო მაჯებზე კი – ნახუნდარი,
 რუსულივე მავთულხლართისა.

ამ ქალაქმა,
 ჩემი ჰაერის ქალაქმა,

ქართულად – ბათუმმა,
 ბერძნულად – ბათუს-მა
 თურქულად – BATUM-მა,
 და კიდევ,
 კიდევ,
 რუსულად – БАТУМЪ-მა,
 სახლი, რომელშიც ჩერდებოდა და ისვენებდა
 გამჩენის ტოლი დიდი ილია,
 ბულდოზერებით მიშალ-მოშალა,
 მი-მო-ცა-ლენა და დაანგრია,
 მის სანაცვლოდ კი,
 ქალაქის მთავარ გამზირ-პროსპექტზე
 ვილაც მედროვის
 პატივგებად და საამებლად,
 აღმართა დაფა,
 რომლის კედელზე სიყვარულით და მოწინებით
 ილიასავე შრიფტით დანერა:
 „ამ სახლში ცხოვრობდა
 პარტკომის მდივანი“...

ამ ქალაქმა,
 ჩემი ჰაერის ქალაქმა,
 ქართულად – ბათუმმა,
 ბერძნულად – ბათუს-მა,
 თურქულად – BATUM-მა,
 და კიდევ,
 კიდევ,
 რუსულად – БАТУМЪ-მა,
 ცომი გონების შვილთა კარნახით,
 სამშობლოსათვის
 დახვრეტილი მემედ-ბეგის ძეგლს,
 გადააღვარა თავზე მაზუთი
 და წაუკიდა ხარხარით ცეცხლი,
 შემდეგ კი...
 შემდეგ...
 კმაყოფილმა და თრობის ჟინით დარწყულებულმა,
 მაზუთის კვამლით გაჭვარტლული და გამურული
 გამოყრუებულ სანვეთურში გადაუძახა.

ამ ქალაქს,
 ჩემი ჰაერის ქალაქს,
 ქართულად – ბათუმს,

ბერძნულად – ბათუს-ს,
 თურქულად – BATUM-ს,
 და კიდევ,
 კიდევ,
 რუსულად – БАТУМЪ-ს,
 ჩემდა ტირილად,
 ჩემდა დარდად,
 ჩემდა სიკვდილად,
 ზოგჯერ, ხანდახან, როგორც გათვალულს,
 კვლავ ელანდება და ესიზმრება,
 ვალიდე სულთნის-დედა დედოფლის,
 ოტომანურზე გადალამბული კოლხური ნანა
 და მოფათიხო აბდულ აზიზის
 სპილოს სურე და ჯუმა-დღის ლოცვა.

ამ ქალაქს,
 ჩემი ჰაერის ქალაქს,
 ჩემი გულის და ჩემი სულის
 საყვარელ ქალაქს...

ჩემი სალამი, მოთმინებავ!

ჩემი სალამი, მოთმინებავ!

მე, ჯერ-ჯერობით,
 ისევ აქ ვიმყოფები,
 ამ სამყაროში,
 ამ გამოფიტულ და ბებერ მინაზე,
 სავალდებულო სიკვდილს გამოლმით,
 სადაც ადამის უხეირო ასლს,
 შავი ჭირივით ემუქრება თეთრი ფსიქოზი,
 უმზემთვარობის ცივი სითბო და
 თერმობირთვული დაზამთრების ცხელი სიცივე.

ჩემი სალამი, მოთმინებავ!

ერთი შენ იცი,
 რომ ჩემნაირი დაწყველილის ბედნიერება,
 როგორც კუთვნილ გზას აცდენილი
 გვიანი მგზავრი,
 გაჩენის დღიდან მუდამ გზაშია,

და ერთნაირი ფერის თვალებით,
ერთმანეთისთვის გაჩენილები,
ისე მოვკვდებით ცალ-ცალკე და გადავეგებით,
რომ ვერასოდეს ვერსად შევხვდებით.

ჩემი სალამი, მოთმინებავ!

შენ ერთს ძაღვიძს და შენ შეგიძლია,
მასესხო, ანდა, შთამბერო ძალა,
რომ ამ გულიდან, ამ დაღუქულ სკივრიდან და ფოლიანტიდან,
ამოვანყო და ამოვალაგო
გადანახული სიტყვის ლოდები,
რომლებიც მკლავენ,
სუნთქვას მიხშობენ
და ყელზე სევდის მარყუჟჩამოცმულს,
როგორც ზღვის ფსკერზე, ისე მძირავენ,
ზე-სკნელის მაღალ სახრჩობელადან,
ქვე-სკნელის დაბალ სახრჩობელამდე.

ჩემი სალამი, მოთმინებავ!

ასე მგონია, საცნაურიც და უცნაურიც,
ყველა ერთბაშად,
ერთდროულად,
გაერთებულად,
ნიშნისმოგების ნოტიო დასრულდა.

რას ვიფიქრებდი, რომ სიყვარული,
მე – მისი ენით მეტყველს კი არა,
მოლაპარაკე დუმილსაც თუ გამიუტყვებდა...

და რადგან,
მოჩანს მიღმიეთის უჭაერობა,
და რადგან,
უკვე იკეცება ბოლო გზა-შარა,
გამოტირებულს ერთხელ კიდევ გამოვიტირებ.

ჩემი სალამი, მოთმინებავ!

ეს, რახანია,
გამჩენს, (ამაოდ),
ხის ნერვებსა და რუხი ქვის გულს ვემუდარები.

ბაღმხრივი

ხომ გთხოვე, ღმერთო,
ქვის გული მომეცი,
ძალიან მჭირდება-მეთქი.

ამ ჩემს ქალაქში,
მოყურადებულ და ყრუ ქალაქში,
სადაც მე ვცხოვრობ...
კი არ ვცხოვრობ, არამედ ვცოცხლობ,
ყველა ძირ-ძველი
და ძველ-ძირი ქალაქელია,
მე და ჩემი ტალახიანი ბათინკების გარდა.

ამ შეშლილ ტყეში,
პოეზიის და ლექსის ტყეში,
სადაც გამჩენმა
წვიმის კიბით ჩამომაძევა,
ყველა პოეტია,
მე და ჩემი გაბუტული ლექსების გარდა.

სასაფლაოზე,
ურიგო და არმიწიერ სასაფლაოზე,
გაოცებების ჯგრო რომ მარხია,
დრომ – მეკუბოვემ და მესაფლავემ,
მოგვიჯახუნა თვალწინ და ცხვირწინ,
ჟანგის რკინის ჭიშკარი,
მე და ჩემი თანამდევი მხრების აჩეჩვას.

ხომ გთხოვე, ღმერთო,
ქვის გული მომეცი,
ძალიან მჭირდება-მეთქი.

ჩემს ძველ მეგობრებს,
კმაყოფილ და მაძღარ მეგობრებს,
ვერ გავაცანი,
ვერ ვარწმუნე,
ვერ მოვანონე,
იმედით ჩემი მშვიერი მე და
ჩემეული მეს დიდი მარტოობა.

აქ – კულისებში,
 სცენაზე და ავანსცენაზე,
 გუშინნინ,
 გუშინ,
 დღეს
 და ხვალე გამოცხადებულ,
 ეთიკის ნორმად
 და ცხოვრების წესადქცეულ მაჟორ-შოუზე,
 როგორც უცხო და მეძველმოდური,
 ახლოს კი არა, შორეთშიაც არ გაგვიკარეს,
 მე – მინორი და ჩემეული ტანჯვის ზეიმი.

ამ სამყაროში,
 მარადიული გარსისა და
 სავალდებულო სიკვდილს გამოღმით,
 ღია ცასავით ღიაა ყველგან,
 გამოუსვლელი შესასვლელები –
 ჩამოუსვლელი ასასვლელებით.

ხომ გთხოვე, ღმერთო,
 ქვის გული მომეცი,
 ძალიან მჭირდება-მეთქი.

ჩემი ზე-კურსელი ბოტომები

ჩემი ზე-კურსელი გოგოები,
 ჩვენზე მაგრები და ჭკვიანები.
 კდემამოსილების ლოგოები,
 წყვილფრთა და ცალფა ფრთიანები.

დები – უძინარი რადარები,
 მათი ლოცვა რწმენას შეგლესია.
 უბით სამშობლოს რომ ატარებდნენ,
 როგორც ღვთისმშობლის ხატს – ეკლესია.

იმედს ცრემლით რწყავდნენ, დიდს და დიადს,
 ძმებზე და ქმრებზე ძლიერები,
 ახლა ძე-ასულთა შვილებს ზრდიან,
 ჯიშით მინიერი – ციერები.

მიდგას მოგონების კარადები,
 წვიმებს ცხელი შუბლით ვესინჯები.

მიყვარს მათი ძველი ბარათები,
როგორც სადღეისო მესიჯები.

დიან შემოდგომის ამინდები,
უკან ხსოვნის თეთრი ჭიშკარია.
ჩემი შევერცხლილი ქარიტები,
ზამთრის სესიებზე იჩქარიან.

ტრიოლეტი-2020

ლალი კონცელიძეს

მწერალთა სახლში
დაცვასავით მოგყვა „Duende“,
შეშლილ პოეტებს უყვართ შენი მშვიდი აურა.
ემანაცია მოაფრქვევ მტრებსა თუ ფრენდებს.
მწერალთა სახლში
დაცვასავით მოგყვა „Duende“.

მეტზე მეტია
ყველა ნდობა, ნდობას თუ ენდე,
არაქაურმაც შენი ვიზით იაქაურა.
მწერალთა სახლში
დაცვასავით მოგყვა „Duende“,
შეშლილ პოეტებს უყვართ შენი მშვიდი აურა.

ჩემი რიბოტი ბობო

ღმერთი იცინის ცაზე,
ვილაცა ტირის, ცივა.
მეხუთედ გავლილ გზაზე,
გზას აცდენილი მივალ.

ზანზალაკებით მომყევს,
მიეთ-მოეთთა რიგი.
მე ვანაცვალე კოშკებს,
დე მონკორბიეს წიგნი.

გული ცრემლების დენას,
შეჩვეულია ოხრად.

აღარ ჰკვირობენ წყენას,
დამარხულები ცოცხლად.

ვინც სიყვარულით შეცდა,
არ მივაგებთ შველა.
საზიზღარი ვარ მეც და,
საზიზღრები ხართ ყველა.

ახლის მტერია ძველი, –
შურზე გაკრული ლოგო.
შვებად სიკვდილი მელის, –
ჩემი რობოტი გოგო.

იქ დავიღვევი, სადაც
ლექსის სიმწარით ვთვრები.
ბღღვნადაც არ ღირან, ბღღვნადაც,
შეშლილი სულის მტრები.

მე არაფერი...

კაცი,
რომელიც,
დიდი ხნის წინ დამიმეგობრდა,
ახალ ამქართა
რძე შესვა და გამიმეკობრდა.

ჩემს ცრემლზე უფრო
ეტკბარუნა სხვისი მანონი,
ძმობას არჩია
ეო-მეო,
სადიაცონი...

შურის ნამგალით ჩემი ვარდი სურდა ეჩალა,
რამდენჯერაც არ მივანიშნე,
კვლავ შეეშალა.

მტერს არ ვუსურვებ
ქვეშ-ქვეშობით მიყო რაც მენა...
ყველგან მხვდებოდა,
ქვა-ლორღივით, ჩაშვებ-დასმენა.

მე არაფერი,
 რაც დამართა მის თავს დამართა,
 პოეზიაში ვერ დაღვინდა, აძმარ-დაძმარდა.

კუდა ხარივით ნაღდ პოეტთა საძმოს ეჩრება,
 ისევ მიქარავს,
 ისევ ცდება,
 ისევ ეშლება.

ჰოი, უფალო,
 ძე-კაცისა თუ ხარ სარდალი,
 ყველას დროულად შეასმინე მტყუან-მართალი.

(მბი სფეისში)

ფეისბუქზე ვარ, დროის ნიკით: შ.პ.ს. „მგზავრი“,
 ლიტბულიგანის წამიყენეს ყველგან ბრალი და,
 გამომადევეს უკვე მეცხრე ლიტპორტალიდან,
 მეგობართაგან (ი)უთუბზე მყავს მკვდარი დალიდა,
 ცოცხლებში – ნინო ქათამაძის მოთქმა და ზარი.
 ფეისბუქზე ვარ, დროის ნიკით: შ.პ.ს. „მგზავრი“.

მოკითხვის ნაცვლად საყვედურებს ვუთვლი მას ახლა,
 ვინც დავინყების ბინადარი და სამკაული,
 ვინც უფუნქციო, ძველმოდური და არქაული,
 ვინც გუშინდელი, არ ამ დროის, არ აქაური,
 ინტერნატიდან ინტერნეტში გადმომასახლა.
 მოკითხვასავით საყვედურებს ვუთვლი მას ახალა.

აქ ყველა მხარეს აწერია: არ..მოსავლეთი,
 თოჯინებს მართავს სოცქსელების სუპერ-კაროლი,
 მეც სათამაშოდ მომაჩეჩეს „მასკა“ და როლი,
 ფოსტის კარებთან დამავინყდა ლოგინ-პაროლი.
 ახლა ისე ვარ, ხმელი ლექსის ნედლ ცრემლს დავლევდი.
 აქ ყველა მხარეს აწერია: არ..მოსავლეთი.

აქ მოქმედებას, სათითაოდ, ჭვრეტა არიგებს,
 ფუჭი ერთობით, მარტოობით, ფსევდო ბენდებით,
 ელექტრომინდორს შესევთან ჭრელი ფრენდები,
 მეც ვიხარჯები, მეც ვენთები, მეც ვითენთები,
 სიცოცხლე არა – სიკვდილი თუ დამალაიქებს.
 აქ მოქმედებას, სათითაოდ, ჭვრეტა არიგებს.

მონყენილობამ მარტოობას მხარი უქცია,
 შვიდივე მუზა პარნასიდან ლექსით დაცურდა.
 ეშმაკმა ღმერთთან გაინაღდა, ომით რაც სურდა.
 „მაი-სფეისში“ ვირტუალურ ფსკერზე დასრულდა
 ცას მიბჯენილი ოცნებების დეკონსტრუქცია.
 მონყენილობამ მარტოობას მხარი უქცია.

დამიპო სული ვირუსული სტრესის ნადაღმა,
 მიაქვთ ჰაკერებს ხვაშიადი ხსოვნის თაროდან.
 წამო, გავიქცეთ, ამ სივრციდან, ამ ყუთ-ხაროდან,
 წამო, გავიქცეთ, ამ მიწიდან, ამ სამყაროდან,
 მარადი გარსის აკრძალული საზღვრის გადაღმა.
 დამიპო სული ვირუსული სტრესის ნადაღმა.

ტრიოლეტი-2011

პარიზი,
 რომი,
 ბუდაპეშტი
 და ისტანბული,
 დასცინის ჰიჯაბს მინი კაბით თურქი ჰურია.
 აზიური მზე ევროპულზე გადალამბული.
 პარიზი,
 რომი,
 ბუდაპეშტი
 და ისტანბული.

როგორც უმიზნო ხეტიალში დრო გაფლანგული,
 ეს ტრიოლეტიც რახანია ძველმოდურია...
 პარიზი, რომი.
 ბუდაპეშტი და ისტანბული,
 დასცინის ჰიჯაბს მინი კაბით თურქი ჰურია.



ნიწო დარბაისაღი

მამის ღირსია!

(მოგონება ზურაბ ქაფიანიძეზე)

ბატონი ზურა ქაფიანიძე ბოლოს ჩემი კარის მეზობელი იყო, მანამდე – თითქმის ყოველდღე შვილიშვილს ასეირნებდა ჩვენ წინ (მისი ქალიშვილი გვერდით სადარბაზოში ცხოვრობდა), ნამდვილად დიდი ამბავი იყო დიდ დილოში, ქალაქის მთლად ბოლო კორპუსში ჩვენი სამეზობლოსთვის მისი შემომატება. ყველა უდიდესი მოკრძალებით ეპყრობოდა. თუმცა ეს რა შუაშია! ქართულ-სნობურმა ამბავმა გამიტაცა ახლა მე!

სხვა რალაც მინდოდა მომეყოლა.

ეს ჩემი ძველი, ტკბილი მეგობრის – მხატვარ გივი კასრაძის ნაამბობია მასზე.

ჩვენ სამივენი ძველი დიღმის მასივლები ვართ, კინოსტუდიის წინ იყო მათი რვასართულიანი. ბატონ გივის ბოლო სართულზე ჰქონდა ბინა-სახელოსნო.

ვინც არ იცის, მათთვის ორიოდე სიტყვით აღვნიშნავ, რომ გივი კასრაძეს იმდროინდელი ცნობილი ადამიანების (ახლა სვენკათ „სელებრითებს“ რომ ეძახიან) უამრავი პორტრეტი ჰქონდა შესრულებული.

მისი სტილი გამოირჩევა უტრირებამდე მისული დეფორმირებული სახეებით...

ალარ მოვრჩი გლახა ქრიაშვილივით.

მოკლედ, ოთხმოცდაათიანი წლებია, რუსთაველი – გაუბედურებული, ხელისუფლების დასაცავად მომიტინგე ხალხი – უკვე ჩახოცილი, მხედრიონი – იარაღის ჟღარუნით დაიარება და დაშინებულთაგან, ვისაც შეუძლია, შესაძრომს ეძებს, თვითგადარჩენისთვის...

შუალამეა და გივის კარზე მაგარი ბრახუნია.

მუდამ მშვიდი და განონასწორებული გივი შეშინებული იხედება, „გლაზოკში“ ბნელა, არაფერი ჩანს...

იქიდან – მთვრალი ზურა:

– გივი, გააღე, ვიცი, სახლში ხარ! ეხლა შენი ნახატები რომ არ ვნახო, იცოდე, ხვალ მკვდარს მნახავ!

გივი საუკუნეა, პირადად იცნობს ზურას, გარდა მეზობლობისა, აკადემიასთან ერთად, კინოსტუდიაშიც აქვს ცხოვრება გატარებული, მაგრამ აქამდე არ შეუნიშნავს ზურასგან განსაკუთრებული ინტერესი თავისი ნახატებისადმი... და უცებ, რომ არ ვნახო, მოვკვდებიო...

აი, ამაზე კი შემოქმედებითმა ამბიციამ თუ რალაც მაგდაგვარმაც მოიფშენილა თვალეები.

გივიმ კარი გააღო და უშუქობაში, ნამუშევრებს ნავთის ლამფით ხელში ათვალეიერებინებს სტუმარს.

გაჩერდება ზურა სათითაოდ, ყოველ პორტრეტთან და:

– ეს ვინ არის? შენ გენაცვალე, გივი, დაილოცოს შენი მარჯვენა!

და ასე, ვიდრე სათითაოდ, ყბამონგრეული, თვალეებგადმოქაჩული და ა. შ. პორტრეტები არ მოილია.

– გივი, შენ ყოფილხარ საქართველოში ყველაზე მაგარი მხატვარი... არა, მარტო მხატვარი კი არა – გულთამხილველი! ეგ ხალხი – აი, ზუსტად მაგის ღირსია, როგორც შენ დახატე!

ჩამოართვა ხელი, შეტრიალდა და ცოტა დაწყნარებული ჩაჰყვა ბნელ კიბეებს.

ვალების ჩამსხმებელი

რა ძნელია, ვიღაცის გამონვდილი ხელიდან ლუკმას რომ შეჭამ, ცოტა სულს მოითქვამ და მერე აღმოჩნდება, რომ გამომწვდელს რაღაც ისეთი უნდა შეუსრულო ან აპატიო, რაც არ შეგიძლია.

ნუ, არაფრით არ შეგიძლია!

ან არ გამოგდის!

არ მოიქცევი ისე, როგორც მას მიაჩნია საჭიროდ?! – უმადური ხარ.

არადა, რა გინდა, რომ ქნა!

დაუბრუნო?! – რა დაუბრუნო!

გადაუხადო?! – როგორ გადაუხადო!

ნუ იცით თქვენ ეგეთი ფუჭი წინასწარგამოცნობები!

ამას საკუთარ თავზე ვწერ.

სტუდენტობამდე ერთი ბიჭი მომწონდასავით, ანუ მოწონებულთაგან ერთი – ისიც იყო. იმას, როგორც მერე გაირკვა – ჩემიანი წარმოსახვები ცოტა მეტი ჰქონდა.

რუსთაველზე, რეპეტიტორიდან გამოსულები, ლაპარაკ-ლაპარაკით, ფეხით ჩამოვისეირნებდით და გზაში ხან – ლალიძის წყალზე მეპატიჟებოდა, ხან – ნაყინზე, ერთხელ – კაფე „ნარგიზში“ ნამცხვრებზეც ვიყავით.

მერე დაბადების დღე გადაიხადა. ყველა მივიდა, ჩემს მეტი.

(თქვენ რაღა დაგიმალოთ და უფროსებმა დაავიანეს შინ მოსვლა, მე კი საჩუქარი არ მქონდა, სახლშიც, ვათვალთქვამ, ვათვალთქვამ და ისეთი ვერაფერი ვიპოვე, დაუკითხავად რომ ამელო, ხელცარიელად კიდეც, მისვლა შემრცხვა).

ცოტა შეჭიკჭიკებულზე საერთო მეგობრებმა რომ მახსენეს, მაგან:

– როგორ არ მოვიდა! ეს როგორ გამიკეთა, რაც მე მაგას დავახარჯეო!

საერთო მეგობრები რისი საერთო მეგობრები არიან, ავის მთქმელს იმ დროს თუ არ გაუჩუმდნენ და მერე ერთმანეთს არ დაასწრეს შენთან ამბის მოტანა.

მეც, დავჯექი, წვრილად გავიხსენე ყველა კაპიკი, მთელი წლის თარიღების მითითებით... 8 მანეთი და 65 კაპიკი გამომივიდა.

გავტეხე ყულაბა, შევახვიე სიაში ეს ფული ხურდებიანად, შემდეგი გაკვეთილის დაწყებამდე მასწავლებელს ბოდიში მოვუხადე და ეს ყველაფერი გადავეცი, თან უხმოდ კი არა (მე მაგის ზრდილობა ვინ მომცა!), ხუთი კაცის თანდასწრებით, ცივი ხმით ეს დავთარი ბოლომდე ჩავუკითხე.

მაშინ პირველად, საკუთარი თვალთ დავინახე, გაფითრებიდან რამდენ სხვადასხვა ფერად შეიძლება იცვალოს ადამიანის სახე, ვიდრე ყურებამდე ავარვარდება.

გაკვეთილის ბოლომდე არც თვითონ ამოულია ხმა, არც მასწავლებელს უკითხავს რამე.

ბოლოს, სადარბაზოდან გამოსულები პირველად წავედით სხვადასხვა მხარეს...

არადა, ისეთი გაზაფხული იყო!

იმის მერე გაკვეთილზე აღარც მოსულა... მასწავლებელი ჩიოდა, წლის მეორე ნახევარი გადასახდელი ჰქონდა და მისაღებამდე ერთი თვე რომ დარჩა, ახლა დაიკარგაო.

მერე, როგორც ყური მოვკარი, დედამისს ის ფული მიუტანია.

და მაინც, ყმანვილობისდროინდელი შეცდომებით არ ღირს მოწიფული ადამიანის განსჯა.

დღეს იგი ერთ-ერთი, მართლაც კარგი ადამიანია, საქართველოში ჩემს ცოცხლადდარჩენილ მეგობრებს შორის.

თუ შემთხვევით შემოიხედა და ეს წაიკითხა, მინდა იცოდეს, იმ სიაში ერთხელ მუშტაიდში, კვირას ნაჭამი ნაყინი გამომრჩა და თუ ცოცხლები დავრჩით და ის სანაყინეც ისევ იქაა, რომ/თუ ჩამოვალ, ერთ მშვენიერ დღეს უნდა ჩავასესხო!

განა არ ეხსომება, მუშტაიდში რომ არასოდეს ვყოფილვართ ერთად!

უბრალოდ, გული დამწყდა, რომ ვერც მასთან და ვერც სხვა შეყვარებულთან ერთად ვერასოდეს

დეს მოვანერხე „ემაკის ბორბლის“ ქვეშ მეგემა წონის ნაყინი, რომელსაც, პატარაობისას ჩემი სუსტი ყელის გამო მიკრძალავდნენ.

მე ხომ, როცა ცოცხა წამოვიზარდე და ფითქინა იახჩინიანი მენაყინის ფორმაზე ოცნება მოვილიე, სულ იმას ვნატრობდი, როცა გავიზრდებოდი და შეყვარებული მეყოლებოდა, მივიდოდით იქ და იმდენ ნაყინს შევჭამდით, ვიდრე ერთმანეთს სამუდამოდ არ მივეყინებოდით.

წლები რომ გადის და ადამიანები გაკლდებიან, ძველი წყენები ან გავიწყდება, ან ასე, სევდანარევი ღიმილით-ლა გახსენდება.

უკვე სხვანაირად უყურებ ყველას და ყველავფერს, ბევრ რამეში საკუთარ თავს მიიჩნევ დამნაშავედ თუ არა, ბრწყინვალე და გამოუცდელად მაინც.

უკვე წასულებიც ძალიან გეძვირფასება და ცოცხლებიც.

ეტყობა, ესაა სიბერე!

მესიჟი ბალაბტიონს

ახლა ნეშვილიდან ნიუ-იორკში მივფრინავ.

ეს იმას ნიშნავს, რომ ინტერნეტი ტელეფონში გათიშული მაქვს და კიდევ იმას, რომ შემოდის, ფიქრით შევიქცეოთ თავი, უფრო სწორედ, წერით და მე, ყოფილი გალაკტიონოლოგი, უკეთესზე რაზე ვიფიქრებ.

რაც მახსოვდა შენი ლექსები, გულში მოვილიე, ახლა შენთან ლაპარაკის ხასიათზე დავდექი.

რა კარგია ასე, თავისუფლად, უპასუხისმგებლოდაც კი, შენთან რალაცნაირად, ტოლი-ტოლზე საუბარი.

შენ რომ სივრცეებმა დაგიბინადრეს, მე ახლა – იმ სივრცეებში თვითმფრინავის მგზავრი ვარ.

ჰო, ოლიაზე გეუბნები – მასზე ახლობელი ქალები შენ, როგორც მამაკაცს სხვებიც გყავდა, მაგრამ როგორც პოეტს – არასოდეს გყოლია.

მხოლოდ ოლიამ იცოდა შენი, როგორც პოეტის ენა.

რუსეთში ერთად წასვლამდე, 1916-ში ცოლად შეირთო.

როგორ უნდა შეგერთო!

ბინა შენ არ გქონდა ქუთაისში, სოფელში კი, სადაც ერთი მოცუტე ქუჩის სახლი გეგდა და შიგდედა და ძმა ცხოვრობდა, დაბრუნება შენ არ შეგეძლო და არც ის ქალი გამოგყვებოდა.

ქალი ათეისტი იყო და ჯვარს ვერ დაინერდით, ქორწინების რეგისტრაცია სხვაგვარადაც არ მომხდარა.

არც სუფრა გაგიშლიათ, ნათესავ-მეგობრებისთვის რომ გამოგეცხადებინათ თქვენი შეუღლების ამბავი.

მამინ არც ქალის ოჯახს დაურქმევია შენთვის სიძე, არც შენს ოჯახს უწოდებია მისთვის რძალი.

მანამდე ჯერ წლები იყო გასასვლელი.

ქალი მოსკოვს მიდიოდა თავის გზაზე, თავისიანებთან და შენც გაეკიდე... სიმართლე თუ გინდა, ესაა.

გზაში, მატარებელშიც არ ჩაუთვლიხარ ქმრად, ტამბურაში სხვასთან გააბა ფლირტი.

შენ რა ჰქენი?! ბრაზით რალაც კი მოგერი, მაგრამ მამაკაცს მხოლოდ ის უთხარი, ოლია ბავშვიანო.

განა ქმრები ასე იქცევიან?!

მით უფრო, ქართველი ქმრები.

რუსეთში ერთ სახლში არ დაბინავებულხართ. ქალს ჰქონდა წასასვლელი, შენ – არა.

დედაშენი გონიერი ქალი იყო, გაჭირვებით ორი ობოლი ვაჟის გამზრდელი. შენს ნათქვამზე, სწავლის ფული მინდა და მინა გავყიდოთო, როგორ დაგთანხმდებოდა, განა არ ახსოვდა შენი ზარმაცობა სასწავლებელში, შენი დაბალი ნიშნები, შენი კლასში ჩარჩენა.

შენ კი მერე მთელი ცხოვრება ვერ აპატიე.

ულუკმაპუროდ იმ არეულ, რევოლუციურ რუსეთში რამდენ ხანს გაძლებდი?

ძლივს ჩამოაღწიე მარტომ საქართველომდე. არც იქიდან გამოუცილებიხარ ოლიას, არც შენ დახვედრილხარ თბილისში, როცა რამდენიმე წლის მერე საქართველოში დაბრუნდა.

ჩამოსვლის ამბავიც კი შემთხვევით გაიგე.

რა არის ოჯახი? – საერთო ჭერი, საერთო შვილი, საერთო ბიუჯეტი, ქონება...

აბა, რომელი ერთი გაგაჩნდათ?

იმდროინდელ ოფიციალურ დოკუმენტებშიც, როგორც მასსოვს, ორივე მიუთითებთ რეალობას – „გაუთხოვარი“, „დაუოჯახებელი“.

კრილოვის ქუჩაზე რაღაც პატარა ოთახს კი ეღირსეთ, მაგრამ ოლია ძმასთან ცხოვრობდა, სოლოლაკში და ხანდახან შემოგივლიდა, თავს-გასულ მეზობლებს დაგიფრთხობდა, უპატრონო რომ არ ჰგონებოდი, ცოტას რასმე დაგიტოვებდა, თუ ჰქონდა...

ამასობაში წლები გავიდა და შენიანები მიეჩვივნენ ოლიას, როგორც რძალს...

თვითმფრინავი უკვე დასაჯდომად ემზადება. დანარჩენი – მერე.

აბა, დროებით!

პოეზიის დედოფალი და ზყინტი ყველი

ანა კალანდაძე რომ უაღრესად მოკრძალებული ადამიანი იყო, ეს ხომ საყოველთაოდ ცნობილია.

არსებობდა ერთი არცთუ ცუდი პოეტი ქალი, რომელიც წლების მანძილზე მისი სახელით სარგებლობდა კომუნისტების დროს და რაც არ იშოვებოდა, საწყობებიდან გამოჰქონდა, თანაც უფასოდ. მთელი ოჯახი ჰყავდა ჩართული ამ კეთილშობილურ საქმეში.

დიახ, იყო დრო, როცა თვით ვაჭრებიც კი ასე დიდად აფასებდნენ დიდ პოეტებს (ანას, ცხადია, ამის შესახებ წარმოდგენაც არ ჰქონდა).

ერთხელაც, საახალწლოდ, ყველაფერს ცეცხლი რომ ეკიდა, გოთუას ქუჩაზე, ანას კარზე ზარია და დიდი ჩანთებით დატვირთული კაცი დგას. მაშინ ასე არ იყო, უცნობებს კარს რომ აღარ ვუღებთ ჰოდა, ანამაც კარი შეხსნა და კაცი ეუბნება:

– დამდეგ ახალ წელს გილოცავთ, ქალბატონო ანა, ჩემმა უფროსმა, დიდუბის ყველის ქარხნის დირექტორმა გამომატანა ეს ათი კილო ჭყინტი ყველი თქვენთან. ძალიან შენუხდა, თქვენი შვილი უარით რომ გამოისტუმრა გუშინ. ამდენი წელია, თქვენი ყველი ამ დროისთვის მუდამ ცალკე აქვს ხოლმე მისთვის გადადებული და ამჯერად რაღაც შეფერხება გექონდა.

ანა დაბნეულობას მოერია და კაცს უთხრა, რომ იმ ყველთან მას არაფერი ჰქონდა საერთო

და რაღაც გაუგებრობა ხდებოდა. ყველი, ცხადია, არ დაიტოვა და შინ შევიდა.

ამის მერე მოხდა, რაც მოხდა!

გადის ასე, 15 წუთი და ისევ ზარია ანას კარზე.

ანა ალებს და იმ პოეტის ქალიშვილი დგას, სუნთქვაამოვარდნილი. დაბლა, კიბეებზე ძმა ელოდება:

– ანა დეიდა, ჩვენი ყველის წასაღებად მოვედით, დედაჩემმა გამომავზავნა, ქარხანაში გვითხრეს, ანასთან სახლში გავატანეთ მძლოლსო.

ანამ ძალიან მშვიდად უპასუხა, რომ არავითარი ყველი მას არ ჰქონდა, რომ ვილაცას რაღაც შეეშალა...

ამ სიტყვებზე კი ბოლო ხმაზე აკივლდა გოგო:

– ვაიმე, როგორ! აქ მოტანილი ჩვენი ყველი უკან გაატანეთ? არ მჯერა!... შემომიშვი, სახლი უნდა ვნახო!

ძლივს შეასწრო ანამ შინ და კარი ჩაიკეტა!

მეზობლებს კი დიდხანს ესმოდათ მის კარზე ბრაზუნის ხმა, რომელსაც გოგოს გამწარებული ყვირილი ერთვოდა.

როგორი ამბავია, საახალწლოდ ათ კილო მუქთა ყველს რომ დაკარგავ და მომავლის პერსპექტივაც იმიერიდან მრავალ უჭყინტიყველო ახალ წელს უქადის თქვენს ღვთივკურთხეულ ოჯახს!

კიდევ კარგი, პოეზიის დედოფალმა არ იცოდა, რომ დუბლიონკაც, იმ გოგოს რომ ეცვა, მისი სახელით იყო გამოტანილი საქარხნო რაიონის ერთი სანყოფიდან.

ვამბობ, რა!

არაფერსაც არ იტყოდა...

შეიხურავდა თავისი პატარა ბინის კარს და ახალ ღვთაებრივს დაწერდა რასმე!

მილიონერი

გამოგიცდიათ ასეთი გრძნობა?

– შენ – ადამიანს ღიმილით იხსენებ, გიყვარს მასზე სასერიო ამბის მოყოლა და უცებ გაიგებ, რომ ის – თურმე დიდი ხანია, უკეთეს ქვეყნად იმყოფება.

ამ ბოლო დროს ბევრი ასეთი შემთხვევა დამიგროვდა. ეს – ერთი იმათთაგანია.

ერთ ახლობელ, სტუმრიან ოჯახში ოდესღაც ერთი კაცი გავიცანი. ძალიან სიმპათიური, ძალზე ცნობილი, ერთ-ერთი უმდიდრესი ბიზნესმენი იმდროინდელ საქართველოში... ოფიციალური მილიონერი.

ხელი ჩამომართვა თუ არა, ვიგრძენი, რომ მღელვარება დაეცყო, – თითქოს თითები ოდნავ შესამჩნევად უცახცახებდა.

მერეც სუფრაზეც უცნაურად, თითქოს შემფასებლურად მიცქერდა, რამდენჯერმე მზერა დავიჭირე.

ოჯახი – საერთო ახლობლის, უწესიერესი და დიდად პატივისცემი ხალხისა იყო.

გავიდა ცოტა ხანი და იმ ოჯახის დიასახლისმა საუბარში მითხრა, იმ კაცმა მოგიკითხა და იმედია, ახლა რომ პატარა (ანუ დიდი) სუფრა გვექნება, აუცილებლად მოხვალა.

მოხდა ისე, რომ დავპირდი და ვერ მივედი. მერე რაღაც ხნით გავემგზავრე. მას შემდეგ შორიდან, თბილად ვკითხულობდით ერთმანეთს.

ერთი წელიც იქნებოდა გასული, რომ ისევ იმ ოჯახში შევხვდით.

მიყურებს წამდაუნუმ სუფრის გაღმიდან, მიყურებს და ჩემი სადღეგრძელოს დრო რომ მოვიდა, ყველას გასაგონად მეუბნება, ქალბატონო ნინო, თქვენთან ძალიან პირადი, საიდუმ-

ლო საქმე მაქვს და აუცილებლად ორი საათით მარტო დარჩენა დაგვჭირდებაო.

გვერდით – თვითონ ანგელოზივით მეუღლე უზის, მე კი არა, ათი ჩემნაირი ქალი იმის ფეხის ფრჩხილად არ ეღირება, არც მე ვარ უპატრონო, რამე ზედმეტი რომ მაკადროს!

...მაგრამ ქეიფია და ღვინო კიდევ, ისეთი ოხერია, ისეთს ათქმევინებს ადამიანს, ფხიზელს რომ აზრად არ მოუვა! არ შევიმჩნიე, რომ არ მეამა, მსუბუქ ხუმრობაში გადავუტანე.

იმ დღემ ჩაიარა, განვაგრძეთ ურთიერთმოკითხვები კიდევ კარგა ხანს.

ჰო, არ დამავინწყდეს, ქველმოქმედება – ძალიან უყვარდა და მთელი ირგვლივეთი და გაფართოებული ირგვლივეთიც სარგებლობდა მისი გულკეთილობით.

მდიდრის გულკეთილობა კი ზოგჯერ შეიძლება, საკუთარი ძალმოსილებით, ტკობითა და გაჭირვებულ ან დამცირებულ წარსულთან ანგარიშსწორებითაც იყოს მოტივირებული.

ერთ-ერთ შემდეგ ქეიფზეც ანალოგიური სიტუაციაა და იმავეს მეუბნება...

მერე ცოტა რომ ავიშალეთ, ახლოს მოდის და მეკითხება, ხელფასი რამდენი გაქვთო. ვუპასუხე.

– ეგ – ალბათ ერთ თვეში და წელიწადში რა გამოდისო.

ეგეც მოვახერხე გონებაში, თორმეტზე გადავამრალე და ვუთხარი.

ესე იგი, ათ წელიწადში ათჯერ მეტი ანუ... ამდენი და ამდენი გამოგივათ, არაო?!

ო, ისე გამოდიოდა მრგვლად. დაბეჯითებით გამიმეორა, აუცილებლად მარტო უნდა შევხვდეთ ერთმანეთსო.

ვიგრძენი, როგორ გამეხსნა უცებ გონება, ასე იცის ფულზე ლაპარაკმა – იდიოტიც ბრძენდება! რა არ ვიფიქრე აქამდე!

რა გამოცნობა უნდა, კაცი ქველმოქმედებას ეწევა მთელ სანაცნობოში და ეტყობა, ჩემი სფეროც უნდა მოიცვას. რაკი საიდუმლოდ უნდა მელაპარაკოს, ეტყობა, არ უნდა, სხვებმა გაიგონ, რომ რალაც ლიტერატურული კონკურსის მეცენატობა გადაუნყვევტია ან რალაც ღონისძიებისა, ან უბრალოდ უნდა, ერთი მილიონი დაახარჯოს ჩემს სფეროში დასაქმებულების დახმარებას, ანონიმად ურჩევნია დარჩენა და უნდა, სია მე შევეუდგინო.

არა, ერთი მილიონი არ მეყოფა, თუმცა რატომ! ყველას კი არ ჩავნერ სიაში, ჯერ ძალიან გაჭირვებულებით დავიწყებ...

ეგრეა, მილიონერთან საქმეს რომ დაიჭერ, შენც მილიონობით იწყებ ანგარიშს, ჯიბეში ძლივს შეკონინებული ტაქსის ფულის მეტიც რომ არაფერი გედოს და რომ იტყვიან, „სხვის ბიჩოკებზე იყო გაზრდილი“.

ის ღამე შინ ეიფორიაში გავატარე, ის თვეც, დავდიოდი და სულ გეგმებს ვადგენდი, რაც იყო აუცილებლად გამოსაცემი, ისიც მივუმატე. აქა-იქ ფრთხილად ნიადაგებიც მოვსინჯე, რომ მცოდნოდა, რა საქმე რამდენი ჯდებაოდა. კალკულატორი ხელიდან არ გამიგდია.

დადგა ჩვენი შეხვედრის დღეც. როგორც შევთანხმდით, შუამავალთა მეშვეობით, იმავე ოჯახში პურმარლის დაწყებამდე ორივენი ორი საათით ადრე მივედით. სახლი – ნამდვილად დიდი იყო და დიასახლისებს ამ ნაადრევი სტუმრობით ხელი არ შეეშლებოდა. ერთი ოთახი დავკითმეს და კარი მივიხურეთ თუ არა, ვიგრძენი, ეს ომანხიანი კაცი ჩემ თვალწინ სულ გაფითრდა და ღამის შემადგენელ ნაწილებად დაიშალა და ხელში ჩამაკვდა. ენა ძლივს დაძრა, პირი მიშრება, შეიძლება, ჭიქა წყალი სთხოვოთო? გავედდი, შემოვუტანე დიდი კათხით, ახლა შევნიშნე რომ ჯიბეები ზემოთ-ქვემოთ გამოტენილი აქვს. ფილმებში როგორ არ მინახავს ჩემოდნით მილიონი დოლარი, მაგრამ უცებ ტვინში ვატრია-

ლებ, სულ ასდოლარიან კუპიურებად რომ იყოს, რამხელა ადგილი დასჭირდება ჯიბეებში.

ამასობაში ცოტა ფერზე მოვიდა, დანყნარდა და უცებ მეკითხება:

– აბა, ვინა ვარ მე?

ვუთხარი, ოფიციალურად ესა და ესა ხართ, შინაურობაში კი ასე გეძახიან-მეთქი.

– არა, სახელი კი არა, რა კაცი ვარო!

– წარმატებული ბიზნესმენი და მოღვაწე, კარგი, ვაჟკაცური ადამიანი, ქველმოქმედი, სხვა უამრავი ღირსებით შემკული პიროვნება. – ნეკროლოგის სტილში ჩამოვყარე კლიშეები.

– აბა, კარგად შემომხედეთ! – და სათვალე მოიხსნა.

ჩვეულებრივი თვალეები ჰქონდა, ნაბლისფერი, ცოტა დაღლილი.

– მაპატიეთ, გამომრჩა, რომ ხართ უაღრესად წარმოსადეგი პიროვნება!

– აი, ამაშია სწორედ საქმე! თქვენც კი ისე მხედავთ, როგორც დანარჩენები! თქვენც კი ვერ მიცანით, თქვენც კი ვერ გამოიცანით საიდუმლო, სინამდვილეში ვინ ვარ მე.

მეტის გაძლება შეუძლებელია, ბოლოს და ბოლოს ვილაცამ მაინც ხომ უნდა იცოდეს! მე... ვარ... არა ბიზნესმენი ან მდიდარი... ქველმოქმედი, რომელსაც ყველა ეპადახალიმება, არამედ... ერთი... ერთი... სანყალი... პატარა... პოეტი! აი – ჩემი ყველაფერი...

ამ სიტყვებზე დაიწყო პირდაპირ იატაკზე ჯიბეებიდან ამოღებული ათასნაირი სიძველის და ნაკეცობის ქაღალდების ყრა...

ჯერ ერთი, პირველი გამოქვეყნებული ლექსი წამიკითხა გაზეთის ამონაჭრიდან. ვუთხარი, შეიძლება, ჩემი თვალით წავიკითხო-მეთქი, ამონაჭერს ბოლოში ეწერა გაზეთის დასახელება „ლენინის გზა“ (ან გზით, სიზუსტეზე თავს ვერ დავდებ) და თარიღი.

– აი, ამ დღეს დავილუბე, – თქვა.

მერე დავსხედით ორივენი მოლაქულ იატაკზე და დაკეცილებს ვხსნიდით და მორიგეობით ერთმანეთის გასაგონად ვკითხულობდით ლექსებს, დროდადრო ყელი რომ გვიშრებოდა,

საერთო ჭიქიდან ვსვამდით წყალს. ამასობაში გარედან სტუმრების ხმებმაც შემოაღწია, ანუ ჩვენი აუდიენციის დროც ამოიწურა.

მეკითხება, რას იტყვი საბოლოოდ, როგორიაო.

ვაი ჩემს თავს, რა ვთქვა ახლა, – ტყუილს – ვერ ვიტყვი, მართალს – არ ეღალატება. ვფიქრობ – მოვიკრიბე ბოლოს ჭკუა და ვეუბნები:

– რა ნიჭიერი ყოფილხართ და რა მართლაც გულდასაწყვეტია, რომ თქვენი სახით ერთი კარგი პოეტი დაკარგა საქართველომ. ეს არის ძალიან კარგი მასალა, ცხოვრებაში პოეზიისთვის მეტი რომ მოგეცალათ, ამ ყველაფერზე რომ გემუშავათ, ერთი კარგი კრებული გამოგივიდოდათ.

– არა, კრებული არ მინდა, ფული კი არ მინანება, მაგრამ რომ გამოვიდეს, არა მაქვს ამ ხალხის პადხალიმაჟის თავი. იცი, რა მინდა? დავტოვო ეს ყველა და ყველაფერი, წავიდე, პატარა ქოხი მე თვითონ ავიშენო სადმე, ტყეში, შეშის ფეჩზე ჩაინიკით წყალი მედგას, ჩაიში გამხმარი პური ჩავიღბო, ვწერო და ვწერო...

თან ამას ამბობდა, თან მეც ვეხმარებოდი, ყველაფერს ისევ ისე ვკეცავდით და რაღაც, მხოლოდ მისთვის გასაგები წესის მიხედვით იწყობდა ჯიბეებში.

მერე ერთმანეთს გადავეხვიეთ. შავი სათვალე ისევ გაიკეთა და ცრემლიანი თვალებიც დაეფარა.

ოთახიდან სტუმრებთან გავედით და ყველა მიეგება ისევ იმას, იმპოზანტურს, ვისი ახლობლობაც ანმყოსა და მომავლის პრობლემათა დაძლევის იმედს უნერგავდა ირგვლივმყოფებს.

მას მერე საქართველოში აღარ დავბრუნებულვარ, ამბავი კი ბევრჯერაც გამხსენებია და სხვებისთვისაც მიაშობია შექცევის ჟამს. ცოცხლად მეგულებოდა.

ახლა შემთხვევით გავიგე, რომ იმ ამბიდან ცოტა ხანში გარდაცვლილა.

მაშინ უკვე სცოდნია თავისი ვერაგი სენის დიაგნოზი.

ნეტა ერთი ფურცელი მაინც მეთხოვა და დამეტოვებინა ჩემთვის ან ერთი ლექსი დამემასოსოვრებინა!

თუ პოეზია ისაა, რასაც გაიხსენებ და გულს ადგილიდან დაგიძრავს, სევდიან ღიმილს მაინც მოგგვრის, მქონოდა ჩემთვის, გულში!

ორი სტრიქონი მაგონდება ბუნდოვნად:

„და შენც, დედამიწავ, ფრთხილად,
აღარ გააღვიძო იგი!“

ოლონდ, ვისზე და რაზეა, აღარ ვიცი.

სამარხვო ტორტი

არა, რა! ეს მარხვა-აღსარება-ზიარება ამისი საქმე არ იყო. ღმერთისა როგორ არა სწამდა, სახარებასაც კითხულობდა ხანდახან, სანთლებსაც ანთებდა.

არც მაინცადამაინც ცუდი საქმეების ჩადენაზე იყო დაგეშილი, მაგრამ, რაღაცნაირად, თან ეღიმიებოდა, თან სული ეხუთებოდა, თავსაფრიანი ნამეტანი მორწმუნეები ყველა „ძნელ“ კითხვაზე ერთნაირად რომ პასუხობდნენ, ჩემს მოძღვარს შევეკითხები და მერე გეტყვიო.

ეკლესიაში „შეტყუება“ ბევრჯერ დაუპირეს დაქალებმა. ეშმაკი გიბორკავს ფეხებს, რომ მა-

დღს აგარიდოს, უნდა სძლიოო. ამ ერთხელ წაპყვა. ჯერ წირვას დავესწროთ, მერე კარგ სამარხვო მარწყვის ტორტზე ვართ დაპატიჟებულიო.

– ეს სამარხვო ტორტი რაღა უბედურებაა, თუ მარხულობ – იმარხულე, თუ არა და... ალბათ კრემი მცენარეულ მარგარინზეა, მაგრამ ბისკვიტი ხომ კვერცი, ფქვილი და შაქარია, იქნებ ქათმებმაც სამარხვო კვერცხების დადება დაიწყეს... იცით, რა, წავიდეთ ეკლესიაში, მერე იქაც გაგიყვანთ, მაგრამ ვერ ამოვალ, ჩემი საქმე მაქვს.

შეთანხმდნენ.

იდგა, იდგა ეკლესიაში. აღარ დამთავრდა წირვა. მერე: ამდენი დგომით დავილაღე, ბეჭებში ჩხვლეტა დამენყო. არ შეიძლება, უკვე წავიდეთო? – შეაპარა.

– არა უშავს, თავიდან ყველა ეგრეთა. მერე მიეჩვევი. – ჩასჩურჩულა ერთმა.

– აი, ხომ გითხარი, ეშმაკი არ გასვენებს-მეთქი, ბეჭებზე გაზის, კლანჭით გჩხვლეტს, რომ აქაური მაღლი ვერ მიიღო. – მეორემ სასწრაფოდ პირჯვარი გადაინერა.

იმდენი ჩხვლიტა ამ ეშმაკმა, ვიდრე არ ათქმევინა, თქვენ რაც გინდათ, ქენით, მე წავედი, მანქანა ცუდად მიყენია, რომ მორჩება, ზარი გამოუშვითო და იქვე, „ჰაინეკენის“ ბარში არ შეიყვანა. ჯერ გრეიფრუტის წვენი ააღებინა, მერე „ცეზარის სალატი“, ბოლოს – ყინულებიანი „ბელიზიცი“, ყავიან-სიგარეტიანად.

აქ უფრო ადვილი იყო ღმერთზე ფიქრი. ღმერთთან თავისი „კერძო გარიგება“ ჰქონდა:

ადამიანს რაც სხვისი გაუხარდება, ის მოუვა.

კარგი გამიხარდება? – კარგს ვემთხვევი, ცუდი გამიხარდება? – ცუდი არ ამცდება!

ვინც მე უსამართლოდ მანყენინოს, რაც მე დარდი მაქვს, სულ იმას!

თუ მე ვინმეს უსამართლოდ ვანყენინო, იმის დარდი – მე!

ძილის წინ, ვიდრე უცნობ-ნაცნობი ადამიანები და ხმები ნელ-ნელა მოგროვდებოდნენ და აირეოდნენ, რომ სიზმარი დაენყოთ, „მამაო ჩვენოს“ სამჯერ ზეპირად იტყოდა, თავის ამინ-ამინ-ამინებიანად.

ეს ჩვევა ბავშვობიდანვე დასჩემდა. ლოცვას აზრს კი არ ატანდა, ჩქარ-ჩქარა, ერთი ამოსუნთქვით მოიშორებდა. ხანდახან სიტყვებს არც ამბობდა, გულიდან მთელ სხეულში, თავიდან ფეხებამდე აიტარ-ჩაიტარებდა და გაუშვებდა.

საიქიოზე ბევრი ფიქრითაც არ იტანჯავდა თავს. სამოთხე სხვებისთვის იყო. იქ რა უნდოდა, სადაც ყველა ერთნაირი და ერთნაირად ბედნიერია! ერთნაირობას აქაც ვერ იტანდა. ქალი კი არა, ცოდვების ბუკეტი იყო.

რაც არ უნდა ეწვალა, ჯოჯოხეთი მაინც არ ასცდებოდა, მაგრამ სჯეროდა, სათავისო საქმე

იქაც არ მოაკლდებოდა, ან საპატრონო იქნებოდა ვინმე, ან დასალაგებელი იქნებოდა იქაურობა, ან დასახვეტი. კუპრის ქვაბს მაინც მისცემდნენ გამოსახეხად ან... რა ვიცი, კიდეც რა აქვთ იქ...

მერე, მაგ ქვაბში შენ თვითონ რომ ჩაგაგდონო? რა ვუყოთ, მარტო მაინც არ ვიქნები, სადაც ყველა – იქაც მეო. – პასუხობდა.

ეს მორწმუნე დაქალები მაინც არ შორდებოდნენ, ურწმუნოებიც ხომ ბევრი ჰყავდა. თუმცა ვინ იცის, სინამდვილეში, ვინ მორწმუნეა, ვინ – ურწმუნო.

გუშინ კი მაგრად იცინა.

– უი, იცი, რა გავიგე? – ეუბნება ერთი, – ვინც აქ ჯვარდანიერილი ცოლ-ქმარია, საიქიოშიც ერთად იქნებიანო.

– და, უი – რატომ?

– რატომ და, ოცდასამი წელია, ჩემს ქმარს აქ ძლივს ვუძლებ, მეგონა, იქ მაინც დავისვენებდი. რა აიტანს მაგას სამარადისოდ! ან შარშანწინ ის ჯვრისწერა რას ავიტყებ!

სამი შვილი ჰყავთ. მე – არც ერთი. და რომ მყოლოდა, – რა!

გააჩინე, გააჩინე! თავის გაჩენილს ღმერთი არ დაკარგავს, საარსებოსაც მოაყოლებსო.

ასეა, ჯერ გააჩენენ და მერე პამპერსის ყიდვის თავი არა აქვთ. ნელეზზე ფეხს იდგამენ, ვალებს იღებენ... წინასწარ ხომ უნდა იცოდე, ბავშვის შენახვა რა ღირს, მკურნალობა რა ღირს, სწავლა რა ღირს? ჩაცმა? დასვენება აღარ უნდა? აი, რომ გამეჩინა...

ახლა რამდენისა იქნებოდა? ჰო, თორმეტი-სა. რამდენი რამე ენდომებოდა! მერე მაგ ასაკში უკვე ისეთი კითხვების დასმა იციან, დამინყებდა: მამაჩემი ვინ არის, სად არის, რატომ არ მოდის... მერე, ნაბიჭვარს რომ დაუძახებდნენ ისინი, ნაკავი მამები რომ უყრიათ შინ და მაინც მამიანები რომ ჰქვიათ, ან უნდა ჩაეყლაპა ან უნდა ეჩხუბა. არ იჩხუბებდა? – ვისაც არ დაეზარებოდა, ყველა თავში წამოარტყამდა, იჩხუბებდა? – ხან დაიჭერდნენ, ხან გამოუშვებდნენ და ბოლოს, ვინ იცის, რა გამოვიდოდა, იქნებ

წამალზეც შემჯდარიყო. ეგ კი არა, კაი ოჯახის-შვილები ხდებიან ნარკომანები...

არა მგონია, გოგო ყოფილიყო. რომ ყოფილიყო? მოიჩიებოდა თუ არა, ყველა მგელს გასაგლევად მოუნდებოდა, დასწრებაზე იქნებოდნენ. მით უმეტეს, თუ მამამისს დაემგვანებოდა, სულ კუდში უნდა მედევნა, ვიღაც დეგენერატი გამიუბედურებდა, მერე მეორე დეგენერატი გამორიდებოდა, უპატრონოა, შემრჩებაო; მერე კიდევ მესამე... დეგენერატებს რა გამოლევს!

როგორ დავფეხმძიმდი?!

რა ვიცი, თავს ვიცავდი. თებერვალი ხან მოკლეა, ხან გრძელი. ეტყობა, რაღაც ამერია. რომ გადამიცდა, ჯერ ციკლის დარღვევა მეგონა, მერე ტესტერმა ორსულობა აჩვენა.

რა! არ ვუთხარი იმ ბედოვლათს, ფეხმძიმედ ვარ-მეთქი თუ რა? და, რა გააკეთა? ჯერ რაღაც მომენტში სახეზე კმაყოფილებამ გადაურბინა, მერე – ჩემი არ იქნება, მე რა ვიცი, ვისიაო. თანაც, ჩემები არ ვიცი, სად გადავყაროო, ვითომ ხუმრობით. ძალიანაც კარგად იცოდა, მაგის მეტი არავინ მყავდა, მაგრამ კაცი – ოხერია.

შენ ჭკვიანი ქალი ხარ, რამეს მოიფიქრებო. ჰო, როცა უნდოდა, ჭკვიანი ვიყავი, როცა უნდოდა – სულელი. მერე ვითომ ქალაქგარეთ საქმეები ჰქონდა, ერთი კვირა არც მოსულა, არც დაურეკავს. რამდენი ხანი მეცადა!

აბორტი კერძოდ გავიკეთე. მარტო წავედი. არ მქონდა ამ კლინიკების თავი. ვითომ ანალიზებს გიკეთებენ, რეაქტივები მაგათ არა აქვთ და არაფერი. ტყუილად სხვადასხვა კაბინეტებში დაგარბენინებენ, რომ, რაც შეიძლება, მეტი შეგანერონ, ტყუილ დიაგნოზებს გისვამენ, მერე ძვირიან წამლებს გაყიდინებენ, მაინცადამაინც იმ აფთიაქში მიდი, სხვის წამალს არ ვენდობითო, აფთიაქებს წილში უსხედან... მოკლედ, რა!

– პირველია? – მეკითხება გინეკოლოგი, – შვილები გყავთ?

მერე ჰაერის ჩაუსუნთქავად უბერავს:

– დედობა ქალის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. დედობის უფლება აქვს ყველა ქალს და თუ მცირეოდენი საშუალება მაინც

არსებობს, ქალმა ნაყოფი უნდა შეინარჩუნოს. გარდა ამისა, ფეხმძიმობა დადებითად მოქმედებს ქალის ფიზიოლოგიაზე და სიმსივნური წარმონაქმნების ბლოკირებას, შემთხვევითა უმრავლესობაში კი საერთოდ გაქრობას უწყობს ხელს, ხოლო შეწყვეტილი ფეხმძიმობა, მით უმეტეს ქირურგიული ჩარევით... ბლა, ბლა, ბლა...

უცხოურ ფილმებში დამნაშავეს რომ ბორკილის დადებამდე უფლებებს აცნობენ, ისეა, მაგრამ აქ ტონი ვითომ ალერსიანია და სადღაც, სიტყვებისქიდან გრძნობ, ეშინია, ნათქვამი მართლა ჭკუაში არ დაგიჯდეს და კარზე შენი ფეხით მოსული კლიენტი არ დაეკარგო.

ადგილობრივი ანესთეზიის პირველი ნემსი მწარედ ვიგრძენი, სარკის ჩადგმაც, ყელის გახსნაც, ვითომ ძალიან არ უნდა მტკენოდა, მაგრამ მეტკინა.

– დედიკო, გეხვენები, ეს გამისინჯე, რა! – კარი იღება. ჯამიანი გოგო შემოდის, ასე, თორმეტი წლისა, ცოტა მობიჭო, ეტყობა, მამას ჰგავს.

– რამდენჯერ გითხარი, როცა ვმუშაობ, ხელს ნუ მიშლი... კარგი, შემოდი. – თან წითელპომადიან პირს უფჩენს.

ტყაპ! – და განვდილი კოვზიდან ვარდისფერი კრემის ნახევარი თეთრი ხალათის გულისპირზე ეცემა.

– ოხ, ფეთხუმო, მომშორდი, მომშორდი! – რეზინის ხელთათმანიანი ხელი აუქნია, – მარწყვი შიგ ჩაათქვიფე? უხდება სიმჭავე, მაგრამ მეტი აღარ უყო, ძალიან გაგითხელდება და ბისკვიტს ვერ დაიჭერს, ცოტა ხანს მაცივარში შედგი, უფრო კარგად წაესმება... და მათემატიკას მიხედე, ხვალ გაგიძახებს, იცოდე! – მიანია კარში გასულს.

– აი, ბედნიერი! – ვფიქრობ მე, – გაიზრდება, რამდენი დაფეხმძიმდება, მოვა სახლში, დედამისი აქვე, მუქთად გაუკეთებს აბორტს, ალბათ ამხანაგებსაც დაპატიჟებს საღამოობით აბორტზე, როგორც ტორტზე...

ო-ო, რა შვებაა ასეთი სულელური ფიქრი გამოუვალ მომენტებში!

იმის მერე მარწყვის ტორტს ხომ დასანახავად ვერ ვიტან, მგონია, ზედ მარწყვები კი არა, კოლტებია. აღარ დამთავრდა და აღარ დამთავრდა ეს ფხეკა.

კი ამბობდა, ხუთ წუთში მოვრჩებო, მაგრამ გეგონება, ოპერაციას კი არ ატარებს, სადგურის მოსაცდელში ზის და ლაპარაკით ერთობა:

– ნოემბრიდან მოყოლებული, ზამთარი მკვდარი სეზონია (ნამშობიარევი ყელი ნაკლებად სპაზმურია და უფრო ადვილია, ნუ იძაბები, ღრმად ისუნთქე, გენაცვალე!), ყველაზე მეტი სამუშაო მარტ-აპრილში მომანყდება ხოლმე, ვერ ავუდივარ (ცოტაც და, მოვრჩებით), კაცი ხომ სულ ძალია და ძალია, მაგრამ ამ დროს ქალი და კატა ერთია...

მე კი კბილები და ღრძილები ერთიანად მეტკინა და მაგრად დაჭერისაგან ყბა მიკანკალებს, მომუშტულ ხელისგულებში ფრჩხილების ჩანარჭობები მტკივა, არათითზე ფრჩხილიც მომტეხია.

ერთი ჭიქა მინერალური დამალევიანა, კარის შუშაში ჩავიხედე, ჭიქაში ცხვირსახოცის წვერი ჩავასველე და ყბამდე ჩამოსული ტუშის შავი ნიაღვარი მოვიწმინდე. ცხვირიც ზედ მივაყოლე.

– კარგი გოგო ხარ, – მიუბნება, – დღეს-ხვალ-ზეგ ათი აბი ანტიბიოტიკი დალიე! რომელი?! რა ვიცი, რომელიც უფრო გიხდება. თუ პრობლემა გექნა, რა დროც იქნება, დამირეკე!

– შემდეგი, მობრძანდით! – მომაყოლა ხმა.

ბინის ჰოლში მომლოდინე ქალებიდან ერთი წამოდგა, ღრმად ჩაისუნთქა და საქმიანი სახით ჩამიარა. ეტყობოდა, ახალი არ იყო იქ.

წვიმდა. მუცელში სიმჩატეს და სიფულუროვს ვგრძნობდი. აფთიაქთან გავაჩერე. უცებ იქვე ცარიელი, ღია საპარიკმახერო დავინახე,

შევედი, თმა პირდაპირ ბიჭურად შევაჭრეინე. იმის მერე აღარც გამიზრდია.

შუალამემდე მთელ გულ-მუცელში დაუსრულებლად მიმეორებოდა გადატანილი.

დროდადრო მუხლი მიხტოდა, სახსრები და ბარკლის უკანა მყესებიც ყრუდ მტკიოდა. მერე როდის-როდის ჩამეძინა. შუა ძილში რალაც წარმოუდგენელი სიამოვნება, არა, ნეტარება ვიგრძენი, სითბო შემომეხვია თავიდან-ფეხებამდე. მერე თითქოს ვილაცამ უკმეხად ხელი მკრა. გამელვიდა და კისრამდე სისხლში ვწოლილვარ!

ორი კვირა ლოგინში ვეგდე. გადასხმებს სახლში მიკეთებდნენ. ამასობაში გარეთ ნამდვილი გაზაფხულიც დადგა...

(მობილურმა დარეკა. უპასუხოდ გათიშა.

არა უშავს, ცოტა დამიცადონ! „ბელიზის“ განიერ ჭიქაში ჩარჩენილი ყინულები ერთი აკვრით პირში შეიყარა, გააკნატუნა, ბოლო სიგარეტს მოუკიდა და ღრმად ჩაისუნთქა).

ის ჩემი კაცი?! გამოჩნდა. გამოჩნდა და მოუნდა ისევ ძველი ამბები. სცენებიც მომიწყო, ხან შემაშინა, ხან იტირა, ერთი შანსი კიდევ მომეცი, ყველაფერი სუფთა ფურცლიდან დავიწყოთო.

ცხოვრებაში სუფთა ფურცელი არ არსებობს. ყველაფერი თავიდანვე ერთგან იწერება, მერე გინდა გადახაზე, გინდა ჩაასწორე, გინდა იქვე გადაათეთრე, წაშლით კი, არაფერი იშლება...

ჰო, ის მერე სულ გაფუჭდა. საქმეებიც უკან-უკან წაუვიდა. მიხვდა, რომ კარგი ტოტი ჩამოუტყდა, მაგრამ მორჩა!

ლმერთი?!

სულ ასეა. თუ ღმერთზე ფიქრს გაჰყვები, როგორც არ უნდა იარო, ბოლოს მაინც ადამიანამდე მიხვალ; თუ ადამიანზე ფიქრს – ღმერთამდე.

ან იქნებ ეს, სულაც, ერთი და იგივეა?



ღუკუ პადაუპაძე

ბანმარტოებს

ვოცნებობ, როგორც დიდი ტირანი
ქვეყნის დაპყრობის უტყუარ ჟინით.
ვოცნებობ, ფიქრი ვერ შევიცანი
და შევიჭერი მასში ყიჟინით.

და კვლავ დავფრინავ მე ღრუბლებს შორის,
ხელს ნუ შემიშლით, მაცადეთ ფრენა.
მე მაინც მჯერა „მემენტო მორის“,
ღვთაებრივია, ეს აღმაფრენა.

აქ მე ვიქნები ყველგან თავკაცი,
თუნდ შემინირონ მე ავტორებმა
და მაინც სულ რომ ქვა იყოს კაცი,
მასაც სჭირდება განმარტოება.

უბრალო დღეები

მომნატრებია შენი დღეები,
თან სევდიანი თან მხიარული,
ღამის გათევა თმაზე ფერებით
და დრო წუთებად გადაფარული.

მომნატრებია შენი ხელები,
რომ იყო ალბათ ყინულზეც ცივი,
სანამ ოცნებას შევეკედლები,
მანამდე ფიქრი მაქ ღვთაებრივი.

მომნატრებია შენზე ფიქრები,
მაგრამ ახლაც შენს ფიქრებში მძინავს
და შენ მიდიხარ, უჩინარდები,
როგორც ბოლო დღე ან ბოლოს წინა.

აქ მისჩვევიან დუმილს ხეები,
ხეც კი ფიქრებით არის გართული,
მომნატრებია შენი დღეები
და დრო წუთებით გადაფარული.

* * *

მე ამ ბნელეთში, ამ სიჩუმეში,
დროს დავუდექი უკვდავ მსახურად,
და ამ ფიქრების ჩამიჩუმეთში
დრომ შეფასება დაიმსახურა.

გადაქცეულა დრო მუქ ფერებად
და თან ფიქრები გამინადგურა.
გარდაისახა ღამის თენებად
და უშენობამ დაისადგურა.

ზამთრის სიცივით გაიყინა ხე,
ცამ თოვლი ზენრად გადაახურა.
დროს დაფიქრებად შემოვენახე,
დრომ შეფასება დაიმსახურა.

არ დამაცადა მზემ, ამოვიდა,
სხივებით სახლი, რომ გამინათა,
მკითხა, ლექსიო თუ გამოვიდა?
და ფანჯრებიდან შემოანათა.

დილაადრიან თავზე დამადგა
და გამიღიმა ოდნავ მაცდურად.
მე კი მარტო ვარ, მარტო ვარ რადგან
აქ უშენობამ დაისადგურა.

დედამინა უღმერთობით შეიმოსა

დედამინა უღმერთობით შეიმოსა ,
მაგრამ ხალხმა წმინდანობა მიიწერა.
მე ცოდვილმა გამოვცალე უკვე ბოცა
და დავინყე იმის შემდეგ თქვენზე წერა.

მოგონება წარსულივით დაობილა,
აქ ხომ ბევრი ჭკვიანია – თავყრილობა

აქ ხალხის ბრბო ორ ნაწილად გაყოფილა,
როცა დედა გარდაცვლილ შვილს დასტიროდა.

არ უსმინოთ და სიტყვის თქმა არ ადროვოთ,
დააყარეთ ყოველ ცეცხლზე კასრით დენთი.
თქვენ, წმინდანო წირვის შემდეგ იმას გლოვობთ.
შარვალზე, რომ დაგენვეთათ სანთლის ღვენთი.

ნუ იტყვით, რომ დღეს იუდა არ შობილა,
რომ ღალატი არის მხოლოდ ერთადერთი
და მე სანამ ღალატს სრულად განვიხილავ,
ნუ იტყვით, რომ თქვენში ისევ ცოცხლობს ღმერთი.

ამის მერე გინდ შემრაცხეთ ბარბაროსად,
ანდაც იქნებ მოვიპოვო თქვენი ნდობა.
დედამინა უღმერთობით შეიმოსა,
მაგრამ ხალხმა მიიწერა წმინდანობა.

მე მწამს

ვოცნებობ ღამით და მაგ ფიქრებში
გაფრენის პირას ფრთები გავშალე
უსაზღვრო ზღვათა ვრცელ ნაპირებში
მე რეალობა ვერ გადავმალე

მე მწამს იმედის დანაპირებში
რომ მოჩანს მცირედ, თითქმის რომ არ ჩანს
და მაგ იმედსაც ფიქრთა რიგებში
მნიშვნელოვნების ელფერი დაჰკრავს

მე მწამს ვაჟას და მის „ბახტრიონის“
ახლო მანძილის ვარსკვლავებს შორის
მწამს დაღონებულ გალაკტიონის
და მწამს გრანელის „მემენტო მორის“

ვუყურებ ახლად ამოსულ ლერწამს
და ვუსმენ შრიალს ბებერ ვერხვების
სულ რომ დავეცე გეტყვი რომ მე მწამს
უცხო ქუჩებში შენი შეხვედრის.



პარია ნიკდაური

საბავშვო პოეზია – არსებობს თუ არა?

მეგობრებო, ამ საკითხზე საუბარს გაბედვა უნდა, შეიძლება, ზედმეტ შარშიც გაეხვიო, ან პირიქით, არავინ „დაინახოს“ და არც გამოგეხმაუროს და ამით „დაგსაჯოს“, საკითხი და პრობლემა კი პრობლემად დარჩეს.

მაინც ვწერ: საბავშვო პოეზიაზე მინდა ვთქვა ცოტა რამ. ეს დარგი მიყვარს, მეც ვმუშაობ ამ დარგში და მეტად შემტკივა გული. მესმის მისი მნიშვნელობაც, ვიცნობ მის ტრადიციას, თანამედროვეობას და ვფიქრობ მის მომავალზეც. ამ კონტექსტში კი, საკუთარ თავზეც, არ დაგიმაღავთ, და რატომ? იმიტომ, რომ სულ უფრო მეტად რთულდება ამ ჟანრის ლიტერატურის გამოცემა, სულ უფრო მეტად გაჯერებენ ამ დარგის არაკომერციულობაში, გამოუსადეგარობაში, სულ მეტად გაკომპლესებენ ავტორს, ნაცვლად იმისა, რომ ნახალისდე და დაინახო, რამდენად საჭიროა საბავშვო კარგი ლექსი, დიახ, კარგი! თორემ უგემოვნო, მდარე, ცუდი არც საბავშვოა საჭირო და არც სადიდო!

მაგრამ ვინ უნდა განსაზღვროს, კარგი და ცუდი ამ სფეროში? ადამიანებს წერას ვერ აუკრძალავ. ამ ახალი ათასწლეულის იდეოლოგიური „მონაპოვარი“ – მწერლობის სრული დესაკრალიზაცია, ძალიან ცუდ შედეგებს გვაძლევს. დიახ, შემოქმედება ეს თერაპიაა, თვითგამოხატვაა, თავისუფლებაა და საჯარო სივრცეებიც

სოციალური ქსელების წყალობით არაა საძებნი, წერე და აქვეყნე, იკითხე და ლაიქებით დატკბი, ვერავინ აგიკრძალავს, მაგრამ სად გადის ზღვარი პროფესიონალებსა და მოყვარულებს შორის? მეტიც, სინდისიერებასა და უსინდისობას შორის? თანამედროვეობამ, საზოგადოდ, დაკარგა ეს „დიდი მზღვარი“. ერთის მხრივ თითქოს ფასი შეიძინა კონკურენტულობისა და თავისუფალი ბაზრის რეჟიმში პროფესიონალიზმა და მეორე მხრივ, ამ ინტერნეტის ოკეანეში, რატომღაც იმ ცუდს უფრო აწყდები, უფრო ბევრი და თამამი და შემტევია, ვიდრე კარგსა და მართლაც მარგალიტს. ეს ზოგადად, სოციოლოგიის საკვლევ თემად მიმაჩნია, მაგრამ მოდი ნუ მივედ-მოვედებით ყველაფერს, არამედ დავკონკრეტდეთ საბავშვო პოეზიაზე.

უდიდესი ტრადიცია აქვს მსოფლიოში საბავშვო ლექსს, ფოლკორი მრავალი წლის და საუკუნის მაძილზე აშალაშინებდა გალექსილი ისტორიებისა და ამბების, განწყობილებებისა და ემოციების აღმასოვან ნახნაგებს და ამ ლექსებს ხდიდა მაქსიმალურად კარგს, ლაკონურს, მწყობრს, აბრწყინებდა, გინდ ინგლისური ფოლკლორი, გინდ ფრანგული, გინდ ჩინური და გინდ ბერძნული, ესპანური და ასე ყველგან, სულ, გულ, იკითხე და დატკბი, ქართულიც არაა გამონაკლისი. მაგალითებს არ მოვიყვან, მაგრამ

უსაყვარლესი სტროფები, რითაც როგორც სხვა ძველ ერებში, ასევე საქართველოშიც, ბავშვებს მეტყველებას ვაწყებინებთ და ენის ამოდგმისა და ლექსიკის გამდიდრების საუკეთესო საშუალებად რჩება. რაც შეეხება ლექსის სასწავლო რესურსად გამოყენებას, აქ ხომ საუბარიც ზედმეტია მის მნიშვნელობაზე და პოტენციაზეც. ქართული ფოლკლორიდან პირველი ურნატის საბავშვო ლიტერატურის ველზე გამვლები შიომღვიმელი იყო და მისი ტექსტები ძალიან მალალი თამასა გახდა საბავშვო პოეზიაში, ეკატერინე გაბაშვილი და ვაჟა-ფშაველა ტყუილად როდი ზრუნავდნენ მასზე და თუნდაც მის იუბილეზე, ამ „პატარა კაცის“ დიდი კაცად წარმოდგენა, რომ ბევრს შესძლებოდა ჩვენ საზოგადოებაში, რაც იმასაც გულისხმობდა, რომ ის საქმე, რასაც შიომღვიმელი აკეთებდა იყო ძალიან მნიშვნელოვანი. იაკობ გოგებაშვილის ღვანლზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია ამ დარგში. ეს მან აიძულა დაემუშავებინათ და ეთარგმნათ ჩვენს დიდ კორიფეებს საბავშვო ლიტერატურის ნიმუშები ქართველი ბავშვებისთვის ფოლკლორიდან თუ სხვადასხვა ენებიდან. შიომღვიმელის აქეთ ეს საქმე საუკუნის სიმალლით აზიდა თავისი ნიჭის წყალობით: მაყვალა მრევლიშვილმა და გივი ჭიჭინაძემ. როგორ შეიძლება არ გავისხენოთ ცირა ქიტიაშვილი და ნუნუ კერესელიძე; არ გავისხენოთ გიორგი წერეთელი. არ ვიცოდეთ არა მხოლოდ ამ ადამიანთა შემოქმედების მასშტაბები, არამედ მთარგმელობითი მონაპოვარი ამ დარგისა: მაყვალა მრევლიშვილის თარგმნილი ფრანგულ საბავშვო ფოლკლორი, ნუნუ კერესელიძის მიერ თარგმნილი ინგლისურ ენაზე შექმნილი საბავშვო ფოლკლორი, ვაჟა ყუბუსიძის მიერ თარგმნილი რუსი საბავშვო ავტორების ბრწყინვალე თარგმანები... ამათ მოჰყვა თაობები კარგი პოეტების, კარგი მთარგმნელების და როცა ჩვენ დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ და აგერ 30 წელია, ვარსებობთ და გვაქვს ცრუ პრეტენზია, რომ ძალიან კულტურული ქვეყანა ვართ, ვამტკიცებთ, რომ საბავშვო ლექსები არავის სჭირდება. ესაა დიდი ტყუილი! ესაა და-

ნაშაულიც კი! მეტიც – უზნეობა! მაგრამ უცვლელად კვამლი არაა, ხოდა ახლა მინდა ვთქვა ერთ მტკივნეულ საკითხზე, რა ინვესტს ამგვარ დამოკიდებულებას.

საქართველო გაივსო პოეტებით, უფრო სწორად, კარგ პოეტს იშვიათად შეხვდები, მაგრამ მოლექსეები გვყავს 156% ანუ ჩვენს თავზეც მეტი. აბსურდში ვართ. ვერავის აკადრებ, მე უნდა ვწერო და შენ არ დანერო, ამას ვერავის გაუბედავ. თუმცა ვისურვებ, რომ ჩვენი შემოქმედებული და დაკომპლექსებული სულების სალხენად სხვა სარეალიზაციო სფეროები და სხვა თერაპიები მოვძებნოთ, საქმე გამოჩნდეს და არა ჯღაბნა ვიქციოთ საქმედ და იმის სამტკიცებლად, რომ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას ვახდენთ ასე.

მაგრამ საბავშვო სფეროს დავუბრუნდები: რატომ იმატა და იმძლავრა ასე სრულიად უნიჭო ლექსწერამ? მე მინდა მჯეროდეს, რომ ყველას კარგად გვახსოვს, რამდენად რთულია საბავშვო ლიტერატურის შექმნა და რომ ამის უნარი ერთეულებს აქვთ. საბავშვო ლექსი (გინდაც პროზა) არაა ტექსტები ბავშვებზე, არც ბავშვების სადღეგრძელოები, არც ბებიების ფანტაზიებით შექმნილი გართიმული ტექსტები, არც მხოლოდ მეღიებისა და წინინლების დაუსრულებელი ორასწლიანი ომი. არამედ არის ძალიან ფაქიზი და უამრავი ფუნქციით დატვირთული, საუკეთესო ტექსტები, მსუბუქი, ლალი, მუსიკალური, არავითარი ნანვალები რითმები და ყურითმოთრეული თემები, არავითარი თვითტკობა, არავითარი უნიჭობის დემონსტრირება, ნვალება, წამება საბავშვო ლექსებს არ უნდა ვაკადროთ. განა რა ჟინი ჭირს ბევრს, რომლებიც კონკიას დებივით აკვეხებენ უხეშ დიდ ტერფს ფაქიზ, ლამაზ, პატარა ზომის ფეხსაცმელში? განა ძნელია იგრძნო ადამიანმა, რაა შენი საკეთებელი საქმე? განა რთულია ერთმანეთისგან კარგის და ცუდის გარჩევა?

არ მინდა სიტყვაუხვი ვიყო, ნაკითხვაც დაგეზარებათ, მაგრამ აი, კონკრეტულად, ყველას ვინც წერთ საბავშვოებს, გთხოვთ, აილოთ ზემ-

ოთხამოთვლილი ავტორების, სწორედაც რომ განსაკუთრებული ავტორების, ნიგნები და ნაიკითხოთ, შეისწავლოთ, დაამუშაოთ და შეიგრიწოთ სიტკბო და სარგებლობა ამ ტექსტებისა.

მე სხვა სახელებიც შემოიძლია ჩამოვთვალო აქ: ნოდარ ღუმბაძე, ნოდარ შამანაძე, ლიდა სტვილია და აქეთ გამოვყვეთ საბავშვო გზას... მინდა ჩავთვალო, რომ ძველებიდან უკვე შევითვისეთ და გავიზუთხეთ აკაკი წერეთლის სიმსუბუქე და სიმწყობრე, ვაჟას სიტყვის მადლი და ვიფიქრო, რომ ვიცით, რა განძის მფლობელები ვართ. მაგრამ ასე არ ვფიქრობ. მე სამწუხაროდ მგონია, რომ ისეთი ადამიანები წერენ საბავშვო ლექსებს, რომლებსაც არც კი წაუკითხავთ ზემოთნახსენებ ავტორთა ლექსები, არც დაფიქრებულან რა არსი აქვს ამ საქმეს, რა მიზანი, რა ტრადიცია და პერსპექტივა. და არა მხოლოდ ისინი, ვინც წერენ, არამედ ვინც აზრს გამოთქვამს საბავშვო ლექსებზე ამ უთვალავ ფეისბუქფეიჯებზე და საკუთარ მოსაზრებებს გვიზიარებს...

ჰოდა, ერთად დავფიქრდეთ, რა ვუყოთ აი, ამ პლასტმასას, რომელიც ფეისბუქგვერდებზე, საავტორო გვერდებზე, საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში, ხშირად ნიგნების სახითაც, თვითგამოცემების სახითაც გროვდება, როგორც ჩვენი ბავშვებისათვის პოეზიასთან გაუცხოების საუკეთესო საშუალება? რატომ არ აკონტროლებს არც ჟურნალის რედაქცია, არც ბალების დირექციები, არც სკოლის მასწავლებლები, რა ხარისხის მასალას სთავაზობს პატარა მკითხველს? ვინაა ორიენტირების და თუნდაც თამასების დამდგენი ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში? არავინ! სამწუხაროდ! და ნელა საბავშვო ლიტერატურაც დაემსგავსა დახლს, რომელზეც ყოველგვარი კონტროლის გარეშე გაყიდი მძორსაც, ნაგავსაც, ათასჯერმოხმარებულ კონკიძველსაც და ეს დანაშაულში არ ჩაგეთვლება.

ეს წერილი საერთოდ არ ითვალისწინებს ავტორთა შეფასება-დახასიათებას და ადგილების მიკუთვნებას რაღაც მარათონში. „დრო თავისას იტყვისო“ – ეგ მე აღარ მჯერა, ისეთი ცხოვრება და ღირებულებები, ისეთი ტექნოლოგიე-

ბი ამუშავდა და ისეთი „მამები“ ჰყავს დღეს ლიტერატურულ პროცესებს, თუ გინდათ მახინჯს მზეთუნახავად წარმოადგენენ და მზეთუნახავს ისე მიასამარებენ, არ შერცხვებათ. ეს რთული საკითხია, მრავალშრიანი და არც თავი მაქვს და არც სურვილი ამაზე აქ საუბრის.

მინდა ჩემი ადამიანური სიმართლე, სინდისი რასაც მკარნახობს, ის გითხრათ, არავის გატკინოთ გული, არც რისხვაში ჩაგაგდოთ, არც დაგამცროთ, არც დაგცინოთ, არამედ გაგაერთიანოთ ერთი საერთო მიზნის ირგვლივ: რომ გვიყვარდნენ ჩვენი ბავშვები და ისედაც ამ ცხოვრების მომწამვლელი ემულგატორებით ნასაზრდოებ პატარებს, ჩვენ ნულა გამოვტენით „ლიტერატურული ნაგვით“, ნუ გაუფიქრობთ პოეზიის სიყვარულს, სიტყვიერებისადმი ინტერესს და მხოლოდ კარგი მასალა ვაკითხოთ. ჩვენც, თუ ეს დარგი გვიყვარს, გვინდა აქ მუშაობა, განა ვინმე ამას გვიშლის?! უბრალოდ, პატივი ვცეთ იმ დონეს, რაც წინა თაობებმა შექმნეს, შევითვისოთ და ზედ აღმოვაცენოთ ინდივიდუალური, ნამდვილად კარგი, ნამდვილად თანამედროვე, აზრიანი, მშვენიერი პოეზია და არა მოცალეობისას ორ მახინჯ რითმას რომ იპოვი კაცი, პრეტენზია არ გაგიჩნდეს რომ საბავშვო ლიტერატურაში რამეს აკეთებ და აფრიალო სოციალურ ქსელებში, გამოცემაც მოახერხო და ბალებშიც მიხვიდე, სკოლებშიც და იაფად აყიდი ბავშვებს ეს ნაგავი.

ვიცი, რომ მაინც ზოგი ამას მიიღებს პირად შეურაცხყოფად და კიდევ ერთხელ ვეცდები დაგამშვიდოთ და შეგახსენოთ: ბავშვებს სჭირდება ყველაზე კარგი ლექსიც და მოთხრობაც, და არა მაინცადამაინც ჩვენი პერსონების ყოფნა ამ დარგში.

ახლა აქვე ვსვამ მეორე საკითხს: როგორ შეიძლება ქვეყნას ეწოდოს კულტურული ქვეყანა, რომელიც საერთოდ არ ზრუნვს, არც ახსოვს ბავშვი? რად ვაქციეთ ჩვენი პატარები? დავფიქრდეთ ყველა მანკიერებაზე და მათ შორის იმაზეც, რომ ჩვენ სახელმწიფოში არ არსებობს ნება, სატელევიზიო საბავშვო გადაცემამ

იარსებოს, იქ მწერალი, კარგი მწერალი, კარგ ლიტერატურას კითხულობდეს, საუბრობდეს და ა. შ. ინტერნეტრესურსებზე ვართ დამოკიდებული ყველა. ჰოდა, არაა ეს სწორი! ან თუ დამისახელებთ ადამიანებს, ლიტერატორებს, ლიტმცოდნეებსა და კრიტიკოსებს, რომლებიც წერენ საბავშვო ლიტერატურის პრობლემებზე ან ავტორებზე ამ რეცენზიებს აქვეყნებენ? არ ფიქრობენ, ამ დარგსაც რომ სჭირდება ლიტერატურული „დალაგება“, მონესრიგება, დაკვალიანება. ნებისმიერი ადმიანი ვერ იქნება მწერალი, ვერც ნებისმიერი მასწავლებელი ვერ გახდება მწერალი, ასე არ ხდება, მეგობრებო. არის ამ დალოცვილ სიტყვიერებაში რაღაც კანონზომიერებები, თუნდაც მისტიკა, რომელსაც ყველა ვერ ვფლობთ.

ამდენი ვისაუბრე და საბოლოო რეზიუმეს გავაკეთებ: თუ ჩვენი ქვეყნის ბიბლიოთეკებში არ შევა კარგი საბავშვო წიგნები, თუ სკოლის ბიბლიოთეკები დარჩება უსიცოცხლო თაროებად და არ შეივსება კარგი წიგნებით, თუ ჩვე-

ნი ტელევიზიები არასოდეს მოუბრუნდებიან მშობლიურ ლიტერატურასა და მწერლებს, თუ ლიტერატურული კრიტიკაც ასე მარადიულად პირში წყალს ჩაიგუბებს ამ დარგის ირგვლივ და მხოლოდ კომერციაზე და საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილებაზე ვიფიქრებთ, ჩვენ არ ვიქნებით კულტურული სახელმწიფო.

მე მიხარია, რომ წიგნის დედაქალაქად გამოცხადდა თბილისი. იქნებ ამ მიმართულებით ამ წელში მაინც მეტი რამ შევძლოთ! თუ არადა, საზოგადოდ, ვეცადოთ, ყველამ მართალი, ნამდვილი საქმე ვაკეთოთ და თითო აგური დავდოთ საიმისოდ, რომ ასე ადვილად არ „ნამოუთაქონ“ თავში საბავშვო პოეზიას, არ დაგვაჯერონ, რომ ლექსი არ სჭირდება ბავშვებს, არც პოეტები სჭირდებათ გამომცემლობებს და საერთოდ ცხოვრება ის არ ყოფილა, რაც ჩვენ გვეგონა... არც ის დავიჯეროთ, რომ პოეტი ერთი უსაქმური გიჟია, სოფელს რომ უხდება და უნდა ჰყავდეს, თორემ მისგან ხეირი არცა ყოფილა და არც იქნება...



პარინა რხიკვაძე

შორია აპროკაბლე

კარგია ბიოგრაფიული ტექსტების კითხვა, მით უფრო, ავტობიოგრაფიულის. ჯერ ერთი, ამბები, რომლებსაც ეცნობი, მოგონილი კი არა, ნამდვილია. მეორეც, კითხულობ ცნობილი პიროვნების ცხოვრების ეპიზოდებს და ფიქრობ, რომ მიუხედავად რომელიღაც განსაკუთრებული ნიჭისა, ეს ადამიანიც ჩეულებრივი მოკვდავივითა და მასაც ახასიათებს რაღაც სისუსტეები. თუ ამას დაუმატებთ თხრობის მანერას, მარტივ, პოპულარულ ენას, რომელიც ირონიულიუმორისტული პასაჟებითა და ფრაზებითაა მდიდარი, კითხვის პროცესი ერთ სიამოვნებად იქცევა. სწორედ ასეთად მივიჩნევ თანამედროვე ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლის, უდავოდ ნიჭიერი მწერლის ნუგზარ შატაიძის არც თუ ვრცელ მოთხრობას „კაპიკი გაკაპიკებულა ანუ ევროპაში რა მინდოდა“.

იუმორი ვახსენე და მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენში აღიარებულია კახური, გურული, ქუთაისური და სხვათა იუმორი, ნაკლებად – ქართლური. ნუგზარ შატაიძე კი, ქართლელი კაცი, არაჩვეულებრივი, ხალასი იუმორის პატრონია, გვარწმუნებს, რომ ნიჭიერ კაცს იუმორიც კარგად ეხერხება. მაგალითად: „ლაფი იყოს, ჩვენვებოდი“, „გესწავლა რა, შე ოხერო, ერთი ენა მაინც გესწავლა“, „გულდანყვეტილებმა გავაყოლეთ თვალი – ერთხელ კიდევ ეთქვა იმ კაი კაცს, რა მოხდებოდა, რომ ერთხელ კიდევ შევეპატიჟეთ“ და სხვა.

მოთხრობის სათაურის შესახებ ჩემს თვალსაზრისს უფრო მოგვიანებით გაგაცნობთ, ავ-

ხსნი, ერთი პოპულარული წიგნისა და ფილმის პერსონაჟისა არ იყოს, თუ „რა საჭიროა ორი სათაური“...

ნაწარმოების სიუჟეტური ქარგა ასეთია: ცნობილმა სპორტულმა ჟურნალისტმა ელგუჯა ბერიშვილმა, პარიზში მივლინებით მყოფმა, გერმანიაში გამოიარა, აქაური მანქანა შეიძინა და თბილისში მყოფ მწერალ მეგობრებს ნუგზარ შატაიძესა და კოტე ჯანდიერს შესთავაზა: დიუსელდორფში ჩაფრენილიყვენ და შემდეგ სამივნი ახალი ავტომობილით სამშობლოში დაბრუნებულიყვენ.

მშვენიერი წინადადებაა, საინტერესო ევროტური... და აი, აგვისტოს ერთ უცხელეს დღეს მეგობრები დიუსელდორფის აეროპორტიდან სამშობლოსაკენ გამოემართნენ: „მანქანაში თავიდან ადგილები ასე განაწილდა: გუჯა პილოტია და საჭესთან ზის, კოტე შტურმანია, ამიტომ წინა სავარძელზე მოკალათებულა და მუხლებზე გერმანიის საავტომობილო გზების რუკა გადაუშლია. მე ერთი ჩვეულებრივი მგზავრი ვარ, სამაგიეროდ, მთელი უკანა სავარძელი ჩემია“.

თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ მთლად ასეც არაა. მანქანის სალონში კიდევ ერთი მგზავრია, ოღონ უჩინარი. ესაა მკითხველი, რომელიც თვალს ვერ სწყვეტს საინტერესო საკითხავს და მოთხრობის რეალურ გმირებთან ერთად გამოივლის გზას დიუსელდორფიდან თბილისამდე.

გზა კი საკმაოდ ვრცელი იყო, მთელი 6 000 კმ. მოგზაურებს უნდა გაეგლოთ თითქმის მთელი გერმანია, მთიანი ავსტრიის ნაწილი, ჩრდი-

ლოეთ იტალია, საბერძნეთი და თურქეთი კიდით კიდემდე გადმოესერათ და ასე მოვიდოდნენ სამშობლოში.

ავტორის თხრობას თან სდევს იუმორი, თვითირონია. 60 წლის კაცს ამ პაპანაქება სიცხეში ევროპაში რა უნდა? პირველივე აბზაცში გამოყენებული სიტყვა „ნავშაფჭირდი“ ნათელს ხდის, რომ მწერალი ამ მოგზაურობაზე მეგობრებმა და შინაურებმა თითქმის ძალად დაითანხმეს და ძალიანაც კარგი, რომ დაითანხმეს. ამის გარეშე ხომ არ შეიქმნებოდა ეს ფრიად საინტერესო და მრავლისმთქმელი ნაწარმოები.

რატომაა მრავლისმთქმელი? ავტორი გვიჩვენებს ევროპულ ყოფას, არა ელიტური საზოგადოების, ცნობილი ადამიანებისა, არამედ უბრალო, რიგითი იქაურებისა, აღწერს გზებს, შენობებს, სოფლებს, ქალაქებს, საბაჟოებს, აეროპორტს, სასტუმროებს და შემდეგ პარალელს ავლებს სამშობლოსთან, მოჰყავს სათანადო მაგალითები.

მისი ტონი არაა მენტორულ-დიდაქტიკური, თუმცა მკითხველი კარგად გრძნობს, რომ ავტორის სურვილია ჩვენ, ქართველები, ვიყოთ უფრო დახვეწილები, გაუფრთხილდეთ სამშობლოს, ბუნებას, საზოგადოებრივ საკუთრებას. რადგან იქ, ევროპაში, საითკენაც ჩვენ ასე მივისწრაფით და რის ორგანულ ნევრებადაც თავს ვთვლით, ევროპელები მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობით გამოირჩევიან. ჩვენ კი ისევ და ისევ ვრჩებით „ბედნიერ ერად“. მაგალითისთვის მოვიყვან ნაწარმოებიდან ერთ ეპიზოდს, რომელიც მკითხველს მძიმე ფიქრებს აღუძრავს ჩვენი უახლესი ისტორიის ერთი ტრაგიკული მოვლენის მიმართ: ღამის გასათევად მგზავრები შეჩერდნენ ავსტრია-იტალიის საზღვარზე, 1371 მეტრის სიმაღლის ბრენერის უღელტეხილზე აშენებულ ფუნდუკში. არსად ჩანდა მომსახურე პერსონალი, ყველაფერი ავტომატიზებული იყო. ავტომატები ზუზუნებდნენ და „ემსახურებოდნენ“ მყიდველებს. „იქაურობა ფანტასტი მწერლის, რეი ბრედბერის იდუმალებით მოცულ სამყაროს ჰგავდა“. თუმცა ქართველი მგზავრები

ამას კი არ გაუკვირვებია, არამედ იმან, რომ „რატომ არ იყო აქაურობა დამსხვრეული და დალენილი, რატომ არავის მოეფსა იატაკზე, რატომ არ ამოეკანრათ მგზავრებს თავიანთი სახელები და გვარები კედლებზე, რატომ არავის აენაპნა ნათურები და ტუალეტის ქალაღი, რა იყო, რა ხდებოდა, რა ხალხი ცხოვრობდა ამ უცნაურ ქვეყანაში, რა ხალხი მიმოდიოდა ამ გზაზე“...

და ამის შემდეგ ავადმოსაგონარი პარალელი საქართველოს უახლესი ისტორიიდან. თბილისის ომი, რომელიც უშუალოდ მწერალსა და მის ოჯახსაც შეეხო: „თვალწინ დამიდგა დანგრეული, გადამწვარი რუსთაველის პროსპექტი, ახრჩოლებული, ფანჯრებამოღამებული, გაშავებული შენობები... სროლა არ წყდებოდა. ავტომატების კაკანს ზოგჯერ ზარბაზნების ქუხილიც ზედ ერთვოდა და სოლოლაკის დაფახფახებულ სახლებს სულ ზანზარი გაუდიოდა. ჩვენი სახლი დაინვა, მთლიანად ჩაიფერფლა და მისგან მხოლოდ შავად აყაყული კედლებიღა დარჩა. ავლაბრის გადმოსახედიდან ვუყურებდი, როგორ იწვოდა, როგორ გახვეულიყო ცეცხლის ალში, რანაირად ადგა თავზე შავი კვამლისა და ფერფლის ღრუბელი“...

მოთხრობის ამ ეპიზოდის შემდეგ გამახსენდა ბავშვობაში წაკითხული ირაკლი აბაშიძის პოემა „რას გადაურჩა თბილისი“. პოეტი მოგვითხრობს ბუღა თურქის, ჯალალ ედ დინის, ალა მაჰმად ხანისა და სხვათა ამოხრებელ ლაშქრობებზე, თბილისის ისტორიის სასტიკ ფურცლებზე. მაშინ, დიდი ხნის წინათ, ვფიქრობდი რომ ყოველგვარი უბედურება წარსულში დარჩა, თუმცა შევმცდარვარ... ისევ ნუგზარ შატაიძეს მოვუსმინოთ: „გარეთ სროლა ჩამცხრალიყო. თბილისი მგლების ნაჯიჯგნი ძალღვივით იწვა და ჭრილობებს ილოკავდა. ადამიანებმა ყველაფერი დაკარგეს, ხანდაზმულებმა საკუთარი მშობლებისა და წინაპრების ფოტოსურათები, ახალგაზრდებმა – რწმენა, ბავშვებმა – სათამაშოები, ალერსი და ტკბილი ღიმილი“. ისტორიას კი შემორჩა ქართველთა შინაომის სამარცხვინო ფურცელი...

ევროპით აღფრთოვანება ავტორს თვითმფრინაშივე ეტყობა: „ჩვენი თვითმფრინავი „თბილისი-დიუსელდორფი“ აეროპორტიდან ერთი საათის დაგვიანებით გაფრინდა. გადავუფრინეთ წყვდიადში ჩაფლულ საქართველოს, უკრაინის ხრიოკ ტრამალებს, პოლონეთის გვარიანად მოფერიანებულ ველებს და, ბოლოს, ილუმინატორში ისეთი მოვლილ-დანკრიალებული ქვეყანა გამოჩნდა, რომ თავი ვეღარ შევიკავე და ცხონებული სოლომონ ისაკიჩივით საშინელი ტაშისცემა ავტეხე“. ხოლო დიუსელდორფში ჩასული გერმანულ წესრიგზე წერს: „დიუსელდორფში, ისევე როგორც მთელ გერმანიაში, ვერსად ნახავ უადგილოდ დაგდებულ აგურს, ჟანგიან ჭანჭიკს, ფიცრის ნატეხსა თუ დაშლილ-გამომიგნულ ექსკავატორს. ქვასაც კი ვერსად იპოვნი, რომ მოტევებული მანანნალა ძალღი მოიგერიო, თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც მანანნალა ძალღია სადმე. მარტო გერმანიაში კი არა, თქვენ წარმოიდგინეთ, თურმე მთელ ევროპაშიც ასე ყოფილა“.

მოთხრობის კითხვისას ერთმანეთს ენაცვლებიან ეპიზოდები, რომლებშიც შედარებულია, თუ როგორ იქცევიან იქ და მსგავს სიტუაციაში ჩვენთან. მაგ. ბუნების დაცვა და ეკოლოგიური საკითხები, ევროპული იდეალური საბაჟო მომსახურება და ჩვენებური რიგები, ნაცნობების მემკვიდრით ურიგოდ წასვლის სურვილი, სისუფთავე და წესრიგი ყოველი ფეხის ნაბიჯზე. ტურისტებისათვის განკუთვნილ სასტუმროებზე საუბრისას ავტორი აღნიშნავს: „ყველაფერი ისე იყო დანკრიალებული, ერბო აიკრიფებოდა, მაგრამ დამლაგებელი არსად გვინახავს“.

ჩვენთან კი... საკლავი და მწვადები, ღრეობა ბუნებაში, რომლისთვისაც პიკნიკი დაგვირქმევია. იმავს გაკეთების სურვილი ზოგიერთი ქართველისაგან უცხოეთში ყოფნისას, რადგან იქაური „უწიალო საქმელი“ მონყენიათ თურმე. ქართულ სუფრაზე ღვინის დაძალება და ამით „ვაჟკაცობის“ ხაზგასმა.

სრული იდილია და სიმშვიდე სუფევს ერთ-ერთ ავსტრიულ სოფელში: „სოფელი პატარაა, სულ ორმოციოდე კომლი იქნება. კობტა სახლე-

ბი ამწვანებულ ეზოებშია ჩაკარგული. აივნები ყვავილებით მოურთავთ. გაღმა ტყისპირში საქონელი ძოვს – ჭრელი ძროხები დიდრონ ცურებს დაათიმთიმებენ. მე ეზოებში ვიყურები, კისერწაგრძელებული ვათვალეერებ იქაურობას – ნეხვს ვეძებ. საცა საქონელია, იქ ნეხვიც ხომ უნდა იყოს. მაგრამ, ნურას უჟაცრავად, იმისი კვალიც კი არსადა ჩანს – ისეა იქაურობა დანკრიალებულ-დამასმასებული, რომ გულში ნათელი ჩაგიდგება“. აქ კი? რა განწყობა დაეუფლება მნახველს ბოლო წლებში ქართული სოფლების ხილვისას? მიტოვებული, გავერანებული, დაბოქლომებული კარ-მიდამოების სიმრავლე, ჭიშკრების საკმაო რაოდენობაზე გულისმომკვლელი წარწერა „იყიდება“.

თუმცა ქართველთა მხოლოდ ნაკლებ არ მოგვითხრობს ავტორი. მწერალი ბევრ საამაყო ფაქტს იხსენებს. თუნდაც იმას, თუ როგორ მიიღეს ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციაში ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“.

წავიკითხე ბოლო წინადადება და გაჩნდა უამრავი ფიქრი. მწერალი დიდაქტიკოსობას არ იჩემებს, უბრალოდ, სიმართლეს გვეუბნება. მაგრამ ამ ირონიულ-იუმორისტული განწყობით ხომ არ დაგვცინის? მაშინვე გამახსენდა დიდი დავით კლდიაშვილის სიტყვები: „ჩემს სიცოცხლეში არავისთვის დამიციანია... რასაც ვწერდი, მხოლოდ ადამიანის სიყვარული მანერინებდა“. მწერალი ნუგზარ შატაიძეც, დიდი სიყვარულით სავსე, საკუთარი ქვეყნისა და ხალხის უკეთეს მომავალზე დაფიქრებული, ქართული, დინჯი, მრავლისმთქმელი და ტევადი იუმორის მოშველიებით ცდილობს ჩვენს გაკეთილშობილებას, მეტი პასუხისმგებლობით ცხოვრებას. ეს ნაწარმოები დროული იყო, ძალიან დროული. ნიშანდობლივია, 2003 წელს დანერილი მოთხრობის დასაწყისსა და დასასრულში ნახსენებია „წყვდიადში ჩაფლული საქართველო“. მას შემდეგ თითქმის ორი ათეული წელი გავიდა და კვლავ გვანუხებს: „გვეშველება რამე“?


მწერლის პოზიციას ზუსტად შერჩეული სათაურიც გადმოსცემს. „ევროპაში რა მიწოდაო“, ბრძანებს ავტორი. რამდენადაც თვალს ახარებს

იქაურობა, იმდენად გულს უკლავს სამშობლოს უბადრუკი ყოფა. ისევ „რა გითხრათ? რით გაგახაროთ“? იქნებ, ასე იმიტომაცა, რომ ჩვენგან განსხვავებით, ევროპაში კარგად იცინა კაპიკის, თითოეული წვრილმანის ფასი, თავსა და მონდომებას არ ზოგავენ და შედეგიც სახეზეა.

ევროპა, ევროპული ოჯახის წევრობა, – სანატრელი ადგილი არა მარტო ქართველთათვის...

ბოლო ხანს „ბებერმა კონტინენტმა“ ფართოდ გაულო კარი, შეიკედლა და დააპურა უამრავი მიგრანტი მსოფლიოს „ცხელი წერტილებიდან“. სამწუხაროდ, ლტოლვილთა ნაკადს ბევრგან ანარქია და ქაოსი, გახშირებული ტერორისტული აქტები მოჰყვა. ბუნებრივია, გამიჩნდა კითხვა: ჩვენ კი მივისწრაფით ევროპისაკენ, მაგრამ საით მიდის თავად ევროპა?

02.12.2020



აიხაილ აახარაძე

ენიჰენელოჰანი მოკლენაჰი ქართულ ფილოსოფიაჰი

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში მეცნიერების სხვადასხვა დარგში და მათ შორის ფილოსოფიაში არაორდინალური ვითარება შეიქმნა, კერძოდ, დარგი გათავისუფლდა იდეოლოგიური წნეხისგან, გზა გაეხსნა თავისუფალ აზროვნებას, წარსულს ჩაბარდა გამოქვეყნებისას ნაშრომის აუცილებელი „მომარქვის“ მექანიზმი და სხვა.

ამასთან, ფილოსოფიის სფეროში მოღვაწეობა ერთგვარად ინდივიდუალურ საქმედ გადაიქცა, „გათითოკაცდა“, რადგანაც მოიშალა კვლევა-ძიების სისტემური დაგეგმარება, რაც საბჭოთა ეპოქაში ლამის სამთავრობო დონეზე წყდებოდა (სასწავლო თუ სამეცნიერო კვლევით დაწესებულებების საკვლევი თემატიკა შეთანხმებული თუ არა, უკეთეს შემთხვევაში მორგებული მაინც უნდა ყოფილიყო „ზემოდან“ წამოსულ დირექტივებთან). ამ მოვლენას თავისი დადებითი მხარეც გააჩნდა. თუკი ზედა ინსტანციებთან საქმე მოგვარდებოდა, მაშინ იქნებოდა ფინანსური მხარდაჭერა და შექმნილი პროდუქციის გამოქვეყნების გარანტიები.

ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ოთხტომეულის მე-2 გამოცემის (1973 წ.) მომზადებისას დავამატეთ ნარკვევი – „ქართული ფილოსოფია XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე“, რომელიც დანართის სახით შევიდა აღნიშნული გამოცემის მეოთხე ტომში. ნარკვევზე მუშაობისას აღმოჩნდა, რომ ამ პერიოდში „გათითოკაცების“ მიუხედავად, ფილოსოფიის დარგი საქართველოში აღმავლობას განიცდის. ეს კარგად ჩანს რო-

გორც ორიგინალური შრომებიდან და ფილოსოფიის სახელმძღვანელოებიდან, ისე თარგმნილი ლიტერატურიდან. წერილში მკითხველს წარვუდგენთ ორ ახალ მნიშვნელოვან გამოცემას, კერძოდ – ვიქტორ რცხილადის მიერ გერმანული ენიდან თარგმნილ ჰეგელის – „ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე“ და მამუკა დოლიძის – „ფენომენოლოგია როგორც შემოქმედების ფილოსოფია“. ორივე გამოცემა 2020 წელს განხორციელდა.

დავინწყოთ თარგმანით. ჯერ ზოგადად შევეხოთ საკითხს. საქართველოში რელიგიურ-ფილოსოფიური და ფილოსოფიური ლიტერატურის თარგმნის ტრადიცია შუა საუკუნეებიდან იწყება. მთანმიდებლები, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი და იოანე პეტრიწი – ეს არის არასრული სია იმ ქართველი მწიგნობრებისა, ვინც იმ დროს ქართულ ენაზე აამეტყველა კაპადოკიელი მამების შრომები, არეოპაგიტული მოძღვრება, იოანე დამასკელის რელიგიურ-ფილოსოფიური მემკვიდრეობა და სხვა.

შემდეგ იყო ანტონ პირველი კათალიკოსის მთარგმნელობითი სკოლა. საქართველოში ფილოსოფიური ლიტერატურის თარგმნის რენესანსი მე-20 საუკუნეში – თბილისის უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ იწყება და დღემდე გრძელდება. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს დაწვრილებით არ შევჩერდებით თუ რა ითარგმნა ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში ქართულად და ვინ იყვნენ მთარგმნელები.

რაც შეეხება ჰეგელს, მის ერთ უმნიშვნელოვანეს ნაშრომზეც – „ლექციები რელიგიის ფი-

ლოსოფიაზე“, გვექნება საუბარი, მისი არაერთი ნაშრომია ქართულად თარგმნილი, კერძოდ: „ლოგიკა“ (1962, შალვა პაპუაშვილი), „ესთეტიკა“ (1973, შ. პაპუაშვილი), „გონის ფილოსოფია“ (1984, ნოდარ ნათაძე), „ისტორიის ფილოსოფია“ (2001, ნ. ნათაძე) და „გონის ფენომენოლოგია“ (2018, შ. პაპუაშვილი).

ახლა კი ქართველი მკითხველის ახალი შეხვედრა ჰეგელთან – ქართულად ითარგმნა და გამოცემლობა – *Carpe diem*-მა დაბეჭდა ჰეგელის ფუნდამენტური ნაშრომი – „ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე“. მთარგმნელი – ვიქტორ რცხილაძე, გამომცემლები: გულბაათ რცხილაძე და ალექსანდრე ალადაშვილი.

აქ ჩვენ ვ. რცხილაძის მხოლოდ ერთ თარგმანს შევხებით. თუმცა უნდა აღინიშნოს მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა სხვადასხვა სფეროში (მრავალრიცხოვანი თარგმანები, მხატვრული შემოქმედება, კრიტიკა, პუბლიცისტიკა, ესეები). ის არის ავტორი რომანისა – „თბილისის ღამე“ (2012 წ., 262 გვ.) და სხვა.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ მთარგმნელ ვიქტორ რცხილაძის ღვაწლზე ფილოსოფიური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის საქმეში. საერთოდ ბატონ ვიქტორს ამ მიმართებით იმ მოცულობის სამუშაოები აქვს შესრულებული, რომ მკითხველს ეჭვიც კი შეიძლება გაუჩნდეს იმის თაობაზე, რომ ერთმა ადამიანმა როგორ შეძლო ამდენი სამუშაოს შესრულება. მის მიერ თარგმნილი ლიტერატურის არასრული სია კი ასეთია: რომანო გუარდინი – „რელიგია და გამოცხადება“ (2008 წ., 335 გვ.), ავგუსტ ბრუნერის – „ფილოსოფიის ძირითადი საკითხები“ (2010 წ., 350 გვ.), ჰანს ზედლმარი – „თანამედროვე ხელოვნების რევოლუცია“ (2009 წ., 200 გვ.), იოანეს ჰესენი – „პლატონიზმი და პროფეტიზმი“ (2011 წ., 357 გვ.), კონრად პაულ ლისმანი – „სიორენ კირკეგორი“ (2013 წ., 247 გვ.), „თანამედროვე დასავლური ღვთისმეტყველების ორი წარმომადგენელი – კარლ რანერი და ვოლფჰარტ ჰანენბერგი“ (2013., 247 გვ.), სიორენ კირკეგორი – „შიშის ცნება“ (2014 წ., 355 გვ.),

არტურ შოპენჰაუერი – „სამყარო ვითარცა ნება და წარმოდგენა“ (2016., 359 გვ.), ალექსეი ლოსევი – „მითის დიალექტიკა“ (2017 წ., 519 გვ.), „ფილოსოფიურ-პოლიტიკური კრებული. კარლ შმიტი. ალექსეი ლოსევი. ვოლფჰარტ ჰანენბერგი“ (2020 წ., 264 გვ.) და ბოლოს ვ. რცხილაძის მთარგმნელობითი მოღვაწეობის გვირგვინი – ჰეგელის „ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე“ ორ ტომად (2020 წ., სულ 787 გვ.). აგრეთვე, ვლადიმირ სოლოვიოვის, ნიკოლაი ბერდიაევის, ნიკოლაი ლოსკის, სემიონ ფრანკის, მარტინ ჰაიდეგერისა და სხვათა ნაშრომები, რომლებიც გამოქვეყნებულია სხვადასხვა ჟურნალებში. ჟურნალებმა შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. ასე მაგალითად, ვ. სოლოვიოვის ერთ, ასევე ნ. ბერდიაევის ერთ და სემიონ ფრანკის ერთ, ხოლო ნ. ლოსკის სამ ნაშრომს ჟურნალ „რელიგიის“ სამ-სამი ნომერი ეთმობა. აღარაფერს ვამბობთ ცალკე ნიგნად გამოცემულ შედარებით მცირე მოცულობის რომანო გუარდინოს – „სასწაული და ნიშანი“ (2010 წ., 87 გვ.) და კრებულზე – „გერმანელი მისტიკოსები“ (2010 წ., 150 გვ.).

დავუბრუნდეთ ჰეგელს. მისი – „ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე“ ორ ტომეულის თარგმანით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა ჰეგელის ფილოსოფიური მემკვიდრეობის ქართულ ენაზე თარგმნის თვალსაზრისით. მათ შორის უპირველესი ამოცანა უნდა იყოს ჰეგელის „ფილოსოფიის ისტორიის“ თარგმნა, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ ჰეგელის აზრით, *მხოლოდ ფილოსოფიაა აბსოლუტური სულის ადეკვატურად გამომხატველი, ფილოსოფია კი არსებობს ფილოსოფიის ისტორიის სახით.*

რაც შეეხება უშუალოდ – ჰეგელის „ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე“, თარგმანს, მასთან ერთვის მთარგმნელის ვრცელი, 32 გვერდიანი გამოკვლევის ხასიათის წინასიტყვაობა, რაც ერთგვარი გზამკვლევის ფუნქციას შეასრულებს მკითხველისთვის.

მთარგმნელი წინასიტყვაობის დასასრულს დაუშვებლად მიიჩნევს თარგმნილი ტექსტის კომენტირებას და თავისი მოსაზრების განსა-

მტკიცებლად იმონებს ფრანგ ჰეგელიანელს ერიკ ვეილს, რომლის თანახმადაც – „სამეცნიერო ნიგნი არ ექვემდებარება ვულგარიზაციას; არ შეიძლება მისი კითხვა შევამსუბუქოთ თანმიმდევრული და დეტალური კომენტარების მეშვეობით, არ შეიძლება მისი ტექსტის თარგმნა უფრო „ნათელ“ და უფრო მოკლე ენაზე“.

აღნიშნულის მიუხედავად, მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელიც არ იფარგლება მხოლოდ ჰეგელის შემოქმედებით, კერძოდ, მისი – „რელიგიის ფილოსოფიით“, ერთგვარი კომენტარია მაინც და ამაში ცუდი არაფერია – პირიქით.

ვ. რცხილაძე წინასიტყვაობაში გამოყოფს საკვანძო საკითხებს და მათი მოკლე ანალიზით მკითხველს წარმოადგენს უქმნის თარგმნილი ნაშრომის ძირითად იდეებზე. ეს საკითხებია: „რა არის სული“, „ჰეგელის ამოსავალი პუნქტი“, „ჰეგელის კრიტიკა ქრისტიანობის მხრიდან“, „სასრულობა“, „სასრულობის უშუალობა“ და „ერების სასრულობა“. წინასიტყვაობაში შეტანილია, აგრეთვე, ასეთი საკითხიც – „ჰეგელის მიერ ქართველების შეფასება და ფაშისტურ გერმანიაში გამოცემული ნიგნი რასაზე, მათ შორის ქართულზე“.

წინასიტყვაობა არ ეხება მხოლოდ ჰეგელის რელიგიის ფილოსოფიას და არც მხოლოდ ჰეგელის შემოქმედებას, რაც უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის მას. წინასიტყვაობაში ვიქტორ რცხილაძე იხილავს და საჭიროების შემთხვევაში კრიტიკულად აფასებს ა. შოპენჰაუერის, ე. შლაიერმახერის, ვ. ვინდელბანდის, ო. შპენგლერის, ე. კასირერის, ა. ბერგსონის, რ. ლოტცეს, ა. ლოსევის, მ. ჰაიდეგერისა და სხვათა შეხედულებებს სხვადასხვა ფილოსოფიურ პრობლემებსა თუ საკითხებზე.

რაც შეეხება თარგმანს, ქართული თარგმანის შესატყვისობას ორიგინალთან, ეს საჭიროებს სხვა მიდგომასა და შეფასებას. რაც მთავარია, ბატონმა ვიქტორ რცხილაძემ გასწია ტიტანური შრომა და საახალწლოდ ქართულ საზოგადოებას ფასდაუდებელი საჩუქარი გაუკეთა – ქართულად აამეტყველა ფილოსოფიის კლასი-

კოსის – ჰეგელის უმნიშვანლოვანესი ნაშრომი – „ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე“.

ახლა მამუკა დოლიძის – „ფენომენოლოგია როგორც შემოქმედების ფილოსოფია“ თაობაზე. ვიდრე ამ ნაშრომზე ვისაუბრებთ, ცოტა ისტორიაც გავიხსენოთ. ფენომენოლოგია, რის ერთ მნიშვნელოვან ასპექტსაც ეხება მამუკა დოლიძე, მე-20 საუკუნის ერთ-ერთი გავლენიანი მიმდინაეობაა ფილოსოფიაში. მის სათავეებთან არიან ფრანც ბრენტანო (1838-1917) და ედმუნდ ჰუსერლი (1859-1938). ფენომენოლოგიის, როგორც ფილოსოფიის ახალი მიმდინარეობის სახის მიცემაში განსაკუთრებულია ჰუსერლის როლი.

საქართველოში ჰუსერლის ფილოსოფიასთან სხვადასხვა კუთხით შეხება ჰქონდათ შალვა ნუცუბიძეს, კოტე ბაქრაძეს, ანგია ბოჭოროშვილს, ზურაბ კაკაბაძეს, არჩილ ბეგიაშვილს, მერაბ მამარდაშვილსა და გურამ თევზაძეს. კოტე ბაქრაძე გასული საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში, გერმანიაში სამწლიანი მივლინებისას მონაწილეობდა ჰუსერლის ფილოსოფიურ სემინარებში.

ჰუსერლის ფილოსოფიასთან გამორჩეული და განსაკუთრებულია ზურაბ კაკაბაძის დამოკიდებულება. ჰუსერლის ფილოსოფიას ეძღვნებოდა მისი სადოქტორო დისერტაცია, რომელიც შემდეგ მონოგრაფიის სახით გამოქვეყნდა სათაურით – „ექსისტენციალური კრიზისის პრობლემა“ და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია. აღნიშნულმა მონოგრაფიამ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, მისი ავტორი კი აირჩიეს ჰუსერლის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი კომიტეტის წევრად. დიუსელდორფში კი ჰუსერლისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ფორუმზე ზურაბ კაკაბაძე ერთ-ერთ სექციას ხელმძღვანელობდა.

ეს იყო საქართველოში ფენომენოლოგიის ისტორია, რომელიც დავინწყებას ეძლეოდა. სწორედ ამ დროს ჩვენი მასწავლებლების დაწყებული საქმე ახალ დონეზე გააგრძელა მამუკა დოლიძემ. მან საქართველოში არსებული კვლევები ფენომენოლოგიაში და მისი ავტორები საზღვარგარეთ გაიტანა სხვადასხვა საერთაშორისო

ფილოსოფიურ კონფერენციებზე (ვაშინგტონი, ათენი, რომი პარიზი, ანტვერპენი და სხვა) და გააცნო ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტებს. ამის გარდა, მან საქართველოში დაარსა ინგლისურენოვანი ჟურნალი – „კულტურა და ფილოსოფია“, სადაც განიხილებოდა ფენომენოლოგიის პრობლემები. ჟურნალი ვრცელდებოდა საზღვარგარეთაც. ეს უდავოდ დიდი დამსახურებაა არა მხოლოდ ქართული ფილოსოფიის, არამედ საერთოდ ქართული კულტურის წინაშე.

მამუკა დოლიძის ახალი ნაშრომის დასახასიათებლად მოვიშველიებ ჩვენი ცნობილი ფილოსოფოსის, პროფესორ ანზორ ბრეგაძის შეფასებას, რაც ამავე ნაშრომის შესავალ ნაწილშია მოცემული: „წმინდა ფენომენოლოგიას ელიტარულ ფილოსოფიას უწოდებენ. მისი არც შექმნა შეუძლია „ჩვეულებრივ მოკვდავს“ და არც ადეკვატური გაგება, იგი არისტოკრატიული და განუმეორებელია თავისი ბუნებით [...] ქართველ „არისტოკრატ-ფილოსოფოსთა“ შორის მნიშვნელოვანი და გამორჩეულია მამუკა დოლიძის პიროვნება, რომლის არისტოკრატიზმი ცხოვრებაში დემოკრატიული განწყობითაა დამშვენებული. მისი წიგნი ახალი სიტყვაა წმინდა ფენომენოლოგიაში, ის ერთნაირად შეიძლება მივაკუთვნოთ კვლევის თეორიულ და პრაქტიკულ სფეროებს, რამდენადაც აქ ტრადიციულია არა მარტო არსი, არამედ არსებობაც – არსის პირველადობით და უპირატესობით აღბეჭდილი“ (გვ. 7-8).

მამუკა დოლიძის მონოგრაფია ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში გადმოცემულია ავტორის ორიგინალური ხედვები ფენომენოლოგიაში, ფენომენის, ფენომენოლოგიის, რედუქციის, კრეაციის, იდეაციის, ყოფიერების საზრისის, ქრისტიანობასთან ფენომენოლოგიის მიმართების, თანამედროვე პროზაში ფენომენოლოგიური ტენდენციებისა და კიდევ სხვა პრობლემური საკითხების მისეული ხედვები და შეფასებები.

მეორე ნაწილში წარმოდგენილია საზღვარგარეთ და საქართველოში მამუკა დოლიძის მიერ წაკითხული ლექციები მრავალფეროვან თემატიკაზე, რომლებშიც დომინირებს ფენომენოლოგია.

არ ვაპირებთ მამუკა დოლიძის მონოგრაფიის დაწვრილებით განხილვას, ამას საშუალებას უბრალოდ გაზეთის ფორმატიც არ იძლევა. აქ ყურადღებას გავამახვილებთ მთავარზე.

მიმაჩნია, რომ მამუკა დოლიძის დამსახურება არის ის, რომ ფილოსოფიის გარდა, მან ფენომენოლოგიური მეთოდის მოქმედებას ყურადღება მიაქცია მხატვრულ შემოქმედებასა და მეცნიერებაში, დაინახა მათი შეხების წერტილები.

ყველაფერ ამაზე თვითონ მამუკა დოლიძე წერს: „ჩვენი მოსაზრებით, ასეთი ანალოგია თანამედროვე ლიტერატურასა და მიკროფიზიკას შორის გამონვეულია იმ გარემოებით, რომ ორივე სფეროში – კვანტური მექანიკის ქმნადობის თუ ინტელექტუალური პროზის შემოქმედების პროცესში ინტუიციურად გამოიყენება ერთი და იგივე ფენომენოლოგიური მეთოდი, რაც გვიჩვენებს, რომ ფენომენოლოგია, აზრის თავისუფალი დინების შემოქმედებითი განწყობით, უდიდეს ზეგავლენას ახდენს როგორც XX საუკუნის არაკლასიკურ მეცნიერებაზე, ისე თანამედროვე ლიტერატურასა და ხელოვნებაზე“ (გვ. 22). ამომწურავად და ლაკონურად ყველაფერია ნათქვამი. შეიძლება ითქვას, რომ ამ ამონარიდში რეზიუმირებულია მთელი ნაშრომის არსი და ამაზე უკეთესად მას სხვა ვერ შეაფასებს. დანარჩენს დაინტერესებული მკითხველი ნაშრომში გაეცნობა.

ნათქვამს მხოლოდ იმას დავამატებდით, რომ მამუკა დოლიძე დასახული მიზნის მისაღწევად იხილავს და ემყარება კანტის, ჰუსერლის, ჰაბერმასის, ზ. კაკაბაძის, მ. მამარდაშვილისა სხვათა თვალსაზრისებს. ამის გარდა, იგი გვთავაზობს საინტერესო მოსაზრებას დოსტოვესკის, ჯოისის, პრუსტის, კაფკას, თომას მანის, ფოლკნერის, ბეკეტის, მარკესისა და სხვათა ავანგარდისტულ იდეებთან ინტელექტუალური პროზის ქართველ წარმომადგენელთა (ოთარ და თამაზ ჭილაძეები, ოთარ ჩიქიძე, ჯემალ ქარჩხაძე, გურამ დოჩანაშვილი და სხვები) მიმართებაზე.

ასეთია მოკლე მიმოხილვა ქართული ფილოსოფიის ორი უმნიშვნელოვანესი შენაძენის შესახებ.



ოტაკარ ბობოქოვიჩი


გიორგი მაზნიაშვილი – საქართველოს გენერალი

წელს სრულდება 100 წელი ბათუმის მოვლენებიდან. სწორედ 1921 წლის მარტში გადაწყდა ბათუმის ბედი. ეს უდიდესი ისტორიული მოვლენა წარმატებით განახორციელა უზარმაზარმა პიროვნებამ, გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ არა ეს უდიდესი ადამიანი, რომ არა მისი გენიალური სამხედრო ნიჭი და განუმეორებელი შემართება, დღეს სულ სხვა განზომილებაში ვიქნებოდით და სულ სხვა სიტუაცია იქნებოდა. ქართველი ერი და განსაკუთრებით აჭარის მკვიდრნი ვალდებულნი არიან ამ ბუმბერაზი პიროვნების წინაშე.

როდესაც გიორგი მაზნიაშვილის ნათლულს, ქართველ მწერალს ელიზბარ მაისურაძეს ჰკითხეს, თუ რა მიაჩნდა მას გენერლის ყველაზე დიდ დამსახურებად ქართველი ერის წინაშე, მან უყოყმანოდ უპასუხა „აჭარის თურქთაგან განთავისუფლება“.

გენერალი გიორგი მაზნიაშვილი იყო უკანასკნელი მხედართუფროსი, რომელმაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის შემდეგაც კიდევ ერთხელ გაიბრძოლა სამშობლოს ერთიანობა-მთლიანობის შენარჩუნებისათვის.

1921 წლის მარტში, როდესაც საბჭოთა რუსეთი ამთავრებდა საქართველოს ანექსიას, თურქებმა ისარგებლეს ჩვენი ქვეყნის მძიმე



მდგომარეობით და საქართველოს სამხრეთი ტერიტორიების მიტაცება განიზრახეს. მარტის დასაწყისიდან მათ თანდათანობით დაიკავეს არტაანი, ართვინი, ბორჩხა და ბათუმისაკენ გამოემართნენ. 10 მარტს თურქები უკვე სოფელ სარფში იყვნენ. მალე ბათუმის მიდამოებში 4000-მდე თურქმა ჯარისკაცმა მოიყარა თავი პოლკოვნიკ ქიაზიმ ბეის მეთაურობით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ვერ აღმოჩნდა მონოდების სიმალლეზე. მან წითელი არმიის თავდასხმისთანავე დაკარგა ინიციატივა და უკანდახევით ბათუმში ჩავიდა. საერთო ქაოსი და დაბნეულობა გადაედო ქართულ ჯარსაც. ამ დროს ბათუმში 3000-მდე ქართველი ჯარისკაცი იყო, მაგრამ

ისინი იმდენად დემორალიზებულნი იყვნენ, რომ სერიოზულ სამხედრო ძალას აღარ წარმოადგენდნენ. სწორედ ამან გამოიწვია თურქების გააქტიურება, ისინი 17 მარტს დაეუფლნენ ქალაქის ფოსტა-ტელეგრაფს, მილიციის შენობას, ყაზარმებს, რადიოსადგურებს და სხვა დაწესებულებებს. დაიწყეს აგრეთვე ბათუმის სიმაგრეების, ანუ იგივე ფორტების დაკავება. ქიაზიმ ბეიმ თავი ბათუმისა და მისი ოლქის გენერალ-გუბერნატორად გამოაცხადა. მანვე გამოაქვეყნა ბრძანება №1, რომლითაც ბათუმი და მისი ოლქი თურქეთის რესპუბლიკის შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ისლა მოახერხა, რომ ციხიდან გაანთავისუფლა ბოლშევიკები სერგო ქავთარაძის მეთაურობით და სთხოვა მას ეხელმძღვანელა ბათუმის დაცვისათვის, მაგრამ სერგო ქავთარაძემ უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ ის არ იყო სამხედრო პირი. 1921 წლის 18 მარტს კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბათუმიდან ემიგრაციაში წავიდა და ასე ბედის ანაბარა დატოვა ბათუმის მომავალი.

გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა ბათუმში თურქების შემოსვლა რომ შეიტყო, ფრონტი დროებით სხვას გადააბარა და 17 მარტს ღამით კახელ პარტიზანთა 50 კაციანი რაზმით სასწრაფოდ ჩავიდა ბათუმში. აქ მდგომარეობა უკიდურესობამდე დაძაბული იყო, წითელი არმიის შემოსვლა კი ჭიანურდებოდა (წითელი არმია განზრახ ითრევდა ფეხს, ისევე როგორც ხულოდან წამოსული ჟლობას ცხენოსანი კავალერია, რადგან ბოლშევიკებს თურქებთან ჰქონდათ ხელშეკრულება გაფორმებული თავდაუსხმელობის შესახებ და ისინი განგებ აყოვნებდნენ, რაც თურქების წისქვილზე ასხამდა წყალს).

როდესაც ბათუმში მყოფმა ქართველმა ჯარისკაცებმა გაიგეს, რომ მათი უსაყვარლესი გენერალი ჩამოვიდა ბათუმში და დაიწყო მზადება საომარი მოქმედებისათვის, იმნამსვე გაქრა ის სიზანტე და მოუქნელობა, რომელიც მანამდე იქ სუფევდა, ასევე როდესაც ადგილობრივმა ქა-

რთველმა მაჰმადიანებმა შეიტყვეს მათთვის ეს სასიხარულო ამბავი, როგორც ბათუმიდან ასევე ბათუმიდან ახლომახლო მდებარე სოფლებიდან უმაღვე გამოცხადდა მასთან მოსახლეობა, მაზნიაშვილის განკარგულებაში გადავიდა გენერალ ასლან აბაშიძის 100 კაციანი სამხედრო რაზმი.

გიორგი მაზნიაშვილმა სასწრაფოდ შექმნა სამხედრო შტაბი. ბათუმის გამაგრებული რაიონი გაიყო ორ მეზობლ უბნად. მათგან ბარცხანის და კახაბრის ფორტების რაიონი დაუქვემდებარეს გენერალ ვარდენ წულუკიძეს, ხოლო ქალაქის მეორე ნაწილი სტეფანოვკისა და ანარიის ფორტებით გენერალ დავით ართმელაძეს.

1921 წლის 18 მარტს დილით გამოიცა ბრძანება გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ბათუმის კომენდანტად დანიშვნის შესახებ. 18 მარტს გიორგი მაზნიაშვილმა ქიაზიმ ბეის გაუგზავნა ულტიმატუმი – ერთი საათის განმავლობაში დაეცალა დაკავებული სიმაგრეები, დაწესებულებები, ამის შემდეგ კი დაუყონებლივ შესდგომოდა თავისი ჯარების გაყვანას ბათუმის ოლქიდან. ულტიმატუმზე ქიაზიმ ბეის პასუხი არ გაუცია. მაზნიაშვილმა ბრძანა შეტევის დაწყება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ბარცხანის ფორტს, რომელიც თურქებს ეკავათ და ბათუმში შემომავალ რკინიგზას კეტავდა. 18 მარტს მათ გააჩერეს ბათუმისაკენ მიმავალი საბჭოთა ჯარების პირველი ეშელონი და განაიარაღეს. ამ მომენტით ისარგებლეს ქართველმა ცხენოსნებმა და ბარცხანის ფორტში შეიჭრნენ. მალე მთელი გარნიზონი გაანადგურეს, 218 ასკერი კი ტყვედ აიყვანეს. 19 მარტს თურქებმა გაძლიერებული იერიში მიიტანეს კახაბრის ფორტზე, მაგრამ დიდი ზარალით უკან დაიხიეს. ამ ბრძოლებში განსაკუთრებით ისახელეს თავი არტილერიისტებმა მაიორ პეტრე ქარუმიძის მეთაურობით. საგრძნობი იყო მათი დანაკარგიც. ამიტომ გიორგი მაზნიაშვილის განკარგულებით ბათუმის მცხოვრებლებს შორის სასწრაფოდ მოაგროვეს 20 მოხალისე, რომლებიც ოდესღაც არტილერიაში მსახურობდნენ და პეტრე ქარუმიძის განკარგულებაში გაგზავნეს. თავზარდა-

ცემულ ასკერებს არ სჯეროდათ, რომ მათ ასეთი ძლიერი დარტყმა დამარცხებული მთავრობის ჯარებმა მიაყენა.

ამრიგად, 1921 წლის 18-19 მარტის ბრძოლებში ბათუმის შემოგარენი მტრისგან უკვე მთლიანად განმედილი იყო. მხოლოდ ქალაქში რჩებოდნენ მტრის არც თუ ისე მრავალრიცხოვანი ჯარები, რომლებიც ჩასაფრებული იყვნენ ქალაქის მილიციისა და ფოსტა-ტელეგრაფის შენობებში. გიორგი მაზნიაშვილს მათი განდევნა მეორე დღეს, 20 მარტს ჰქონდა გადაწყვეტილი. ბოლოს თვით ქიაზიმ ბეიცი დარწმუნდა, რომ მისი ავანტიურა ჩაიშალა და ბათუმის უბრძოლველად დატოვებაზე თანხმობა განაცხადა. ასე, რომ გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა ბრწყინვალედ შეასრულა დასახული ამოცანა. 20 მარტს, შუადღის შემდეგ ბათუმში და მთელ მის ოლქში არც ერთი შეიარაღებული თურქი ჯარისკაცი აღარ იყო.

18-20 მარტის ბათუმისათვის ბრძოლებში ქართველებმა 90-მდე კაცი დაკარგეს. მათგან 40 წაასვენეს ახლომახლო სოფლებში, დანარჩენი კი 23 მარტს მხედრული პატივით დაკრძალეს თავისუფლების მოედანზე გაჭრილ სამმო საფლავეში.

1990 წელს ბათუმის ცენტრალურ მოედანზე ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებმა გათხარეს ის ადგილი, სადაც ბათუმისათვის ბრძოლაში დაღუპულები განისვენებენ. სამმო საფლავიდან ამოასვენეს 50 ცხედარი, რომელთა შორის იყო ერთი მოწყალეების და – მაცვალა ყანჩაველი. ცხედრები გადაასვენეს იქვე, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის ფოიეში, სადაც დეკანოზმა მამა დავითმა (დღევანდელი ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი მეუფე დიმიტრი) წირვა აღავლინა მათ სახელზე. შემდეგ კი ცხედრები ისევ ჩაასვენეს სამმო საფლავეში, სადაც ბაზალტის ქვა იუნყებოდა, რომ „აქ განისვენებს

მარტში საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპული 50 მამულიშვილი“. ამ ისტორიულ პროცესში მონაწილეობდა არა მარტო მთელი აჭარის, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული მოსახლეობა.

დღეს კი ამ ადგილას ჯვარია აღმართული, მაგრამ ყველას დაავინყდა, რომ სწორედ ამ ადგილას საჭირო და აუცილებელია დაიდგას გიორგი მაზნიაშვილის ძეგლი და გაკეთდეს აგრეთვე სპეციალური დაფა, სადაც ნაჩვენები იქნება იმ მამულიშვილების გვარები, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე შესწირეს ბათუმის დედასაქართველოს შემადგენლობაში ყოფნას. ეს არავის არ ახსოვს. მიუხედავად ჩემი და კიდევ სხვა პიროვნებების არაერთგზის დაწერისა როგორც პრესაში, ასევე თქმისა ტელევიზიაში, ვისაც ეს ეხება, რატომღაც, დუმს. თითქოს ეს არაფერიაო.

ბოლოს კი მინდა აღვნიშნო, რომ ბათუმის განთავისუფლებიდან რამდენიმე დღეში ქალაქში ჩამოვიდა სერგო ორჯონიკიძე. მასსა და გიორგი მაზნიაშვილს შორის ასეთი დიალოგი შედგა. ორჯონიკიძე ეუბნება გიორგი მაზნიაშვილს: „შენ მენშევიკების გენერალი, კანონგარეშედ იყავი გამოცხადებული, ყველას შეეძლო შენი დახვრეტა, მაგრამ ჩვენ არ დაგხვრეტთ თუ ჩვენს მხარეს გადმოხვალ და ჩვენთან ერთად იომებო“. აი გიორგი მაზნიაშვილის პასუხი „მე არც მენშევიკების და არც ბოლშევიკების გენერალი არ ვარ, მე საქართველოს გენერალი ვარო“. აი კიდევ მისი სიტყვები: „თუ ერთი გაბრაზებული თაობა დამხვრეტს, მეორე დაწყნარებული თაობა ჩემს სახელს უკვდავებით შემოსავსო“.

დიახ, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი ნამდვილად ღირსია მისი სახელი უკვდავებით შემოსოს, მაგრამ მიაგებს კი დღევანდელი საზოგადოება მას ღირსეულ პატივს?! ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თქვენთვის მომინდვია ძვირფასო საზოგადოებავ.



რუსულან კობრაძე

სასწავლო გეგმა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ბათუმი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, რის შემდეგ სწრაფი ტემპით წავიდა ქალაქის ეკონომიკური და სამრეწველო ზრდა-განვითარება. 1883 წელს გაყვანილი იქნა სამტრედია-ბათუმის სარკინიგზო ხაზი, რომლის საშუალებით ბაქოს ნავთობს გზა გაეხსნა ევროპისაკენ. საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა ბათუმის პორტმა თავისი ტვირთბრუნვით. პორტში ყოველთვის ცხოვრების პულსი სცემდა. ის იყო წყარო მოსახლეობის გამდიდრებისა და ქალაქის ინტენსიური ზრდისა. მართლაც, მოხერხებულმა ბუნებრივმა ყურემ, მომგებიანმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ მთელი ამიერკავკასიის შესასვლელთან, უმოკლესმა ტრანზიტმა სპარსეთსა და შუა აზიაში მტკიცე რეპუტაცია შეუქმნეს ბათუმის პორტს. ბათუმის გავლით გავიდა მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის ტვირთი, რომელიც შეადგენდა მთელი ექსპორტის 80%-ს, ასევე მარგანეცი და სხვა ნედლეული. ქალაქში არაჩვეულებრივი სისწრაფით იზრდებოდა საზღვარგარეთის მსხვილი ფირმების ქარხნების რიცხვი და უმთავრესად ეს იყო ნავთობის გასაგზავნი ტარის (ბიდონების) დამამზადებელი ქარხნები. დაიწყო მოსახლეობის სწრაფი ზრდა, რომლის რაოდენობა 1878 წელს 3 ათასიდან 1882 წლისთვის გაიზარდა 8670 კაცამდე. 1890 წლის აღწერით ქალაქში უკვე ირიცხებოდა 18113 კაცი, 1897 წელს – 28156, 1907 წელს კი – 33543.

1888 წლის 1 ოქტომბერს ბათუმში შემოღებული იქნა საქალაქო მდგომარეობა და ახალმა საზოგადოებრივმა თვითმმართველობამ მთელი საქმიანობა მიმართა ქალაქის ტერიტორიის გაფართოებისაკენ, ცხოვრების სანიტარული პირობების გაუმჯობესებისა და ქალაქის მორთვა-გალამაზებისაკენ. რამდენიმე წლის განმავლობაში პორტიდან შემოსული კაპიტალი თითქმის მთლიანად ხმარდებოდა ქალაქის კეთილმოწყობას. დაიწყო საუკეთესო საზოგადოებრივი შენობებისა და სასწავლო დაწესებულებების მშენებლობა, საავადმყოფოების, ელექტროსადგურისა და ქალაქის განათების მოწყობა, ჭაობების ამოშრობა, წყალგაყვანილობის გაყვანა, ქუჩების გამწვანება – ყოველივე ეს გაკეთდა ბათუმის და უფრო სწორად მისი პორტის აყვავების პერიოდში (С. Соловкин. 1913. 20-210).

ბათუმის წყნარ ყურეში შემოდიოდნენ როგორც შინა, ისე საზღვარგარეთ ნაოსნობის გემები და ჩერდებოდნენ ქალაქის ცენტრში მდებარე ნავმისადგომებთან. რუსული სავაჭრო და სანაოსნო საზოგადოებების გარდა, ბათუმში ბევრი იყო ევროპის ქვეყნების საზოგადოებები, რომლებიც ხელს უწყობდნენ სწრაფ საფოსტო ოპერაციებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის პორტებს შორის. ესენი იყვნენ: რუსეთ-დუნაის ორგანიზაცია, ფრანგული სანაოსნო ორგანიზაცია „პაკე“, „მესსაჟერი-მარიტიმი“, ჩრდილო-გერმანული „ლოიდა“, ავსტრიის „ლოიდა“, იტალიის ნაციო-

ნალური საზოგადოება და სხვა. აქვე სანაპიროზე მდებარეობდა საბაჟო, საპორტო სამმართველო, საზღვაო სანაოსნოს კანტორა და სანყოფემა, სამხედრო გუბერნატორის კანცელარია და სხვა. გემების ნავმისადგომიდან ყურისაკენ ერთი მხრივ და რკინიგზის სადგურიდან მეორე მხრივ, იწყებოდა ქალაქის საუკეთესო კვარტლები საუკეთესო ქუჩებით. ამ ცენტრალურ ქუჩებზე მდებარეობდა ქალაქის პრესტიჟული სასტუმროები. სამწუხაროდ ქალაქში არ იყო სპეციალური პანსიონები ავადმყოფთათვის და მათი არარსებობა იყო ბათუმის სუსტი ადგილი. საკვირველი ის იყო, რომ კერძო პირები დიდი გაუფრთხილებლობით აქირავებდნენ თავიანთ ბინებს დროებით ჩამოსულეებზე.

საერთოდ, საბინაო საკითხი ბათუმში იყო მეტად მწვავე. ბინები არ იყო საკმარისი, კარგი ბინები იყო დასწრებაზე და გადადიოდა ხელიდან ხელში, ფასები იყო მაღალი, სახლები ცოტა.

სასტუმროებში საუკეთესო ნომრები არ ღირდა 2 მანეთზე ნაკლები, ფასების სეზონური ზრდა არ ხდებოდა. ყველა საუკეთესო სასტუმროსთან იყო რესტორანი (Соловкин. 1913:38). უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმში ცხოვრება არ იყო ძვირი კავკასიისა და ყირიმის სხვა კურორტებთან შედარებით. მაღაზიებში შეიძლებოდა ყველაფრის შოვნა რაც საჭირო იყო ოჯახში მოხმარებისათვის. საბაზრო ფასები პროდუქტებზე არ იყო მაღალი. ძვირი იყო ბაყალეა და განსაკუთრებით მანუფაქტურული საქონელი, ფეხსაცმელი, ავეჯი, იმიტომ რომ ყველაფერი ეს იყო შემოტანილი.

სწორად დაგეგმილი ქუჩები გამწვანებული სუბტროპიკული ფლორის ხეებით, სამთავრობო, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებების ლამაზი შენობები, კარგი მაღაზიები, ელექტრონული განათების ფანრები, მოასფალტებული ტროტუარები – ყოველივე ეს ბათუმს აძლევდა ევროპული ქალაქის იერს. მაგრამ ამ საუკეთესო ქუჩების – ბულვარის, სმეკალოვის, მარინსკის პროსპექტის, დონდოვუკო-კორსაკოვის, შეპელოვის, ზღვის ქუჩების რიგში იყო ღარიბი

და უსუფთაო აზიური კვარტლები, სადაც იდგა ძველი სახლები. ეს კვარტლები ვინრო და ბნელი მოსახვევებით სანაპიროს აკავშირებდა თურქულ ბაზართან. ქალაქის მოსახლეობის ჭარბ ნაწილს შეადგენდნენ ქართველები – გურულები, შემდეგ მოდიოდნენ სომხები, ბერძნები, თურქები, სპარსელები, აჭარლები (მუსლიმანი ქართველები), ებრაელები. გარეუბნებში დახეტილობდნენ ქურთები – მშვიდობიანი და შრომისმოყვარე ხალხი, იყვნენ ჩამოსახლებული აფხაზები, ზანგების შთამომავლების რამდენიმე ოჯახი. რუსი მოსახლეობა არ იყო მრავალრიცხოვანი. ესენი იყვნენ სამხედროები, სანაპიროზე მიწის ნაკვეთების მფლობელები, ჩინოვნიკები, რომლებიც მსახურობდნენ რუსულ სანაოსნო ორგანიზაციებში. ხელოსნები, დურგლები, მღებავები, მოახლებები. ბათუმში იყო თითქმის ყველა ევროპული და აზიური სახელმწიფოს 15 საკონსულო. ქალაქი დაყოფილი იყო 4 საპოლიციო უბნად, რომლებიც ატარებდნენ ძველ თურქულ სახელებს: აზიზიე, ახმედიე, ნურიე და მუფთიე. ყოველ მათგანს ჰქონდა თავისი საყოფაცხოვრებო ფიზიონომია (Соловкин, 1913:40-41).

განსაკუთრებით გამოირჩეოდა I და II უბანი, ქალაქის სავაჭრო ნაწილი – აქ გახსნილი უამრავი წვრილი სავაჭრო დუქნებით. აქ სახლების პირველ სართულებში განთავსებული იყო მაღაზიები და დუქნები. ამ სავაჭრო ნაწილის უპირატესობა ის იყო, რომ ის გადაჭიმული იყო სანაპიროზე, სადაც ყველაზე მეტად შესამჩნევად სცემდა ბათუმის ცხოვრების პულსი. სანაპიროზე მიმოსვლა არ წყდებოდა არც დღისით და არც ღამით. აქ მაღაზიებს ევროპული გემოვნების ადგილობრივი მკვიდრნი – ქართველი მუსლიმანები გაურბოდნენ. აქ შეხვდებოდით აღმოსავლელ ქალებს, რომლებიც თავიდან ფეხებამდე შემოსილი იყვნენ მუქი ფერის ბალახონებით და მჭიდროდ ჰქონდათ პირი აკრული (Анисимов. 1911:131-133). აქ პირდაპირ ტროტუარებზე იყო გახსნილი მრავალრიცხოვანი საყავეები, სადაც ათეულობით ეროვნების ადამიანთა ნახვა შეიძლებოდა, განსაკუთრებით თურქების და ბერ-

ძნების, რომლებიც ჩაფიქრებით სვამდნენ ყავას ან თამაშობდნენ ნარდს. სანაპიროზე ასევე შეხვდებოდით რუსული და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების გემების მატროსებს, რომლებიც ჩამოდიოდნენ ბათუმის ყურეში მსოფლიოს ყველა კუთხიდან. აქვე სანაპიროს ნაწილი ეკავა ნავებს მეთევზეებთან ერთად. მეთევზეები აქვე ყიდნენ თავიანთ საქონელს. სანაპიროსთან ახლოს მდებარეობდა ქალაქის სიამაყე – თურქული ბაზარი. აქ განლაგებულ ასობით სავაჭრო დუქანში იყიდებოდა ყველაფერი, რასაც იცვამდა და რითაც იკვებებოდა ადგილობრივი მოსახლეობა. ასევე რაც შეიძლება მოეთხოვა ნაპირზე ჩამოსულ მატროსს. მრავლად იყო სპილენძის ჭურჭლის დამამზადებელი და საიუველირო დუქნები, სადაც იყიდებოდა აღმოსავლური სტილის სამკაულები, იყო ყაბალახებისა და ბამბის საბნების დამამზადებელი დუქნები, რომლებშიც იქვე მაყურებლების თვალწინ ამზადებდნენ ნივთებს (იქვე, გვ. 5). აქვე ნახავდით ლამაზ თურქულ სკივრებსა და მკვეთრ ფერებად შეღებილ საბავშვო აკვნებს, ადგილობრივ ფეხსაცმელს – წულებს, ტანსაცმელს, რუსულ მანუფაქტურულ ნაწარმს, ნოხებს, ფარდაგებს, აბრეშუმს – შუა აზიურს, თუნუქის ნაწარმს და სხვა. ქალაქის ეს ძველი თურქული ნაწილი იყო ადგილობრივი მკვიდრების ყველაზე საყვარელი ადგილი, სადაც წასვლა შეიძლებოდა როგორც საქმეზე, ასევე სასაიროდ.

სწორედ ქალაქის ამ ხალხმრავალ, ხმაურიან ადგილებში იყო განთავსებული საუკეთესო სასტუმროები „ბელ-ვიუ“, „ორიენტალი“, „ფრანცია“, „ლონდონი“, „ევროპა“, „იმპერიალი“, „ნეაპოლი“ და სხვები, რომლებიც ყოველთვის გადატვირთული იყო სხვადასხვა ქვეყნიებიდან ჩამოსული სტუმრებით. თითქმის ყველა სასტუმრო აშენებული იყო ქალაქში სამშენებლო ბუმისა და ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში XIX საუკუნის 80-90-იან წლებში.

ქალაქის სავიზიტო ბარათს წარმოადგენდა სანაპიროზე მდებარე სასტუმროები „ბელ-ვიუ“ და „ორიენტალი“. ეს სასტუმროები მოიცავდა



სასტუმროები „ბელ-ვიუ“ და „ორიენტალი“

მთელ კვარტალს და გადიოდა 4 ქუჩაზე ლორის მელიქოვის (ამჟ. ნ. ჟორდანიას), სომხის შესახვევის, ელიავასა და ქუთაისის ქუჩაზე.

სასტუმრო „ბელ-ვიუ“ წყაროების მიხედვით ეკუთვნოდა კურტ-ოღლის, ხოლო შემდეგ – ჩალინგარიანს. სასტუმროს ჰქონდა ზღვისა და ქალაქის გარეუბნების საუკეთესო ხედი. ნომერი ღირდა 1 მანეთი. იყო განუმეორებელი სისუფთავე და სიხალვათე (Державин. 1902:96. Н. Веру. 1910:71).

სასტუმრო „ორიენტალიც“ იყო პირველი კლასის. სასტუმროს ჰქონდა მშრალი და ნათელი ნომრები, რომლებიც ღირდა 1 მანეთი და უფრო ძვირი. ფუნქციონირებდა პირველი კლასის რესტორანი, ზღვისა და მტკნარი წყლის აბაზანა. ჰქონდა ელექტრონული განათება. იყო ჟურნალები და გაზეთები ადგილობრივ, რუსულ და საზღვარგარეთულ ენებზე, იყო ტელეფონი, ჰყავდა თარჯიმანი. შენობა იყო კურტ-ოღლის, სასტუმროს მფლობელი კი იყო ე. ს. ბერძენიშვილი. (Веру. 1910:73). უცხოელი სტუმრების გარდა სასტუმრო „ორიენტალი“ 1918 წლის მაისში საქართველოს სამთავრობო დელეგაციას უმასპინძლა. 1922 წელს ორივე სასტუმრო მუნიციპალიზაციას დაექვემდებარა და საბჭოთა პერიოდში შენობებში აჭარის შინაგან საქმეთა სამმართველო ფუნქციონირებდა. 2006 წელს შენობა აუქციონის წესით ინვესტორმა შეიძინა. 2018-2019 წლებში აქ სასტუმრო „Rooms Hotels“ აშენდა.

სანაპიროზე მდებარეობდა სასტუმრო „ნეაპოლიც“, რომელიც სანაპიროს, ქუთაისის და



სახლი გოგებაშვილის ქ. №22-ში
ყოფილი სასტუმრო „ნეაპოლი“



სასტუმრო „ფრანცია“

თათრის (ამჟ. გოგებაშვილის 22, ქუთაისის 2, ხულოს 2) ქუჩებზე იყო განთავსებული.


სასტუმრო ეკუთვნოდა მეძლი ზადე სანდას და საბლე ეფენდის. 1922 წ. მოხდა შენობის ნაციონალიზაცია და საცხოვრებელ ფართად გადაკეთდა. შენობის I სართულზე 1948 წ. გაიხსნა ბავშვთა სამხატვრო სკოლა, რომლის დირექტორად წლების მანძილზე მუშაობდა აჭარის დამსახურებული მხატვარი შოთა ზამთარაძე. სასწავლებელი ამჟამად ფუნქციონირებს. შენობაზე გაკრული მემორიალური დაფები გვამცნობენ, რომ ამ სახლში 1905-1908 წ.წ. ცხოვრობდა პოლონელი მხატვარი ზიგმუნდ ვალიშევსკი, ხოლო 1950-1979 წ.წ. – აჭარის დამსახურებული მხატვარი გრაჩ სეჩენიანი.

ყველაზე ბევრი სასტუმრო მდებარეობდა მიხეილის (ამჟ. ზვიად გამსახურდიას) ქუჩაზე, რომელიც ხალხმრავალი და სავაჭრო ქუჩა იყო.

იმ პერიოდისათვის საუკეთესო სასტუმროდ ითვლებოდა სასტუმრო „ფრანცია“, რომელიც მდებარეობდა მიხეილისა და სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩების კვეთაში (ამჟ. ზ. გამსახურდიას 6, მელაშვილის 10) – ქალაქის სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციების, სამთავრობო დაწესებულებების, ნავმისადგომის, ზღვისპირა ბულვარის ახლოს. სასტუმროში იყო სრული კომფორტი. ნომრების ფასი იწყებოდა 1 მანეთიდან. სასტუმროს ჰქონდა ტელეფონი, აბაზანა და რესტორანი საუკეთესო ევროპული და აზიური კერძებით. ჰყავდა თარჯიმანი და კომისიონერი. სასტუმროს მესაკუთრე იყო ბახმეტიევი, ხოლო შემნახველი – რ. კახიანი. სასტუმროს შენობის მე-2 სართული ეკავა, I სართულზე კი განთავსებული იყო კახიანის თამბაქოს მაღაზია, სადაც იყიდებოდა სხვადასხვა ფირმის თამბაქოს ფაბრიკების სიგარეტები და პაპიროსები, ასევე საგალანტერიო საქონელი (Державин:97. Веру:74). აქვე იყო გახსნილი ნ. გურსკაიას სტამბაც, სადაც იბეჭდებოდა ქ. ბათუმის და მისი შემოგარენის გზამკვლევი (Гурская,1901:1-2). ასევე ფუნქციონირებდა საპარიკმახეროც („ბათუმის გაზეთი“, 1913 წ. 31 მარტი, №21). 1922 წელს შენობა მუნიციპალიზაციას დაექვემდებარა. საბჭოთა პერიოდში I სართულზე რესტორანი „ბათუმი“ ფუნქციონირებდა.

ძველ ბათუმში მიხეილისა და ოკლობჟინსკის (ამჟ. ზ. გამსახურდიას 13. მ. კოსტავას 5) ქუჩების კვეთაში სანაოსნოების ნავმისადგომებთან ახლოს და მრავალრიცხოვანი სავაჭრო ობიექტების ცენტრში განთავსებული იყო სასტუმრო „ლონდონი“.

სასტუმრო აღჭურვილი იყო სრული კომფორტით. აქ ფუნქციონირებდა რესტორანი ევროპული და აზიური სამზარეულოთი, სადაც კერძებს გამოცდილი კულინარები ამზადებდნენ. სასტუმროს ჰქონდა შესანიშნავი ბალი „ვერანდა“. ნომრები ღირდა 75 კაპიკიდან 3 მანეთამდე. სასტუმროს მესაკუთრეები იყვნენ კეჭეყმაძე, ლლონტი და ბიუკლი ზადე. ხოლო შემნახველები დ. ს. გუგუშვილი და ვ. ბ. გაბელია



სასტუმრო „ლონდონი“

სახლი ჟორდანიასა და ქუთაისის ქუჩების კვეთაში
ყოფილი სასტუმრო „ევროპა“

სასტუმრო „დივანი“

(Bery.1910:72). 1922 წელს შენობა მუნიციპალიზაციას დაექვემდებარა და აქ „ბათუმმრეწვაჭრობის“ კანტორა განათავსეს, რომელიც XX ს.-ის 90-იან წლებამდე ფუნქციონირებდა. შემდეგ შენობა გასხვისდა და 2012 წ. 26 ივლისს ყოფილი სასტუმრო „ლონდონის“ ტერიტორიაზე ახალი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი, რომლის მშენებლობისათვის 10 მლნ დოლარის ინვესტიცია ჩადო აზერბაიჯანულმა კომპანია „დივან სუით ჯგუფმა“. ბათუმის მერიისა და ნახიჭევანის

მხარის შეთანხმებით, სასტუმრო „ლონდონი“ უნდა აღდგენილიყო პირვანდელი სახით (გაზ. „აჭარა“, 28-30 VII, 2012). მართლაც 2014 წ. 14 მაისს აქ ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „დივანი“ გაიხსნა. სასტუმრო მოიცავს 65 ნომერს, ორ საკონფერენციო დარბაზს, გამაჯანსაღებელ სპა ცენტრს. გამოირჩევა კეთილმოწყობითა და შთამბეჭდავი არქიტექტურით. ნომრების ფასი 100-დან 250 დოლარამდეა (www.ajara.gov.ge).

I კლასის სასტუმრო „ევროპა“ მდებარეობდა ქალაქის ცენტრში 3 ქუჩაზე – ლორის მედიკოვის, ქუთაისის და სავაჭრო (ამჟ. ჟორდანიას 5, ქუთაისის 9 და ელიავას 1). სავაჭრო კანტორების, სანაოსნოების, ნავმისადგომების და მთავარი მაღაზიების ახლოს. სასტუმროს ჰქონდა მშრალი და ნათელი ოთახები ზღვისა და ქალაქის შემოგარენის ხედით. ყველა ოთახში იყო ელექტრონული განათება. ფასები მერყეობდა 75 კაპიკიდან 5 მანეთამდე დღე-ღამეში. სასტუმროს ჰქონდა ტელეფონი. შენობა იყო კუცურის, ხოლო შემნახველი იყო ნ. გ. სიხარულიძე (Державин. 1902:97. Bery. 1910:71). ამ სასტუმროში ბათუმში ყოფნის დროს 1883-1886 წლებში ცხოვრობდა დიდი ქართველი მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი. 1922 წელს შენობა მუნიციპალიზაციას დაექვემდებარა და საცხოვრებელ ფართად გადაკეთდა.

ასევე I კლასის სასტუმრო იყო სასტუმრო „იმპერიალი“, რომელიც მდებარეობდა ქალაქის ცენტრში ქუთაისის, ოკლობჟინსკისა და ლორის



სახლი ქუთაისის ქ. №8-ში ყოფილი სასტუმრო „იმპერიალი“



სახლი ვაჟა ფშაველასა და ფარნავაშ მეფის ქუჩების კვეთაში. ყოფილი სასტუმრო „სევერნი პოლუსი“



სახლი კ. გამსახურდიასა და ნ. იმნაძის ქუჩების კვეთაში ყოფილი სასტუმრო „პეტერბურგსკაია“

მელიქოვის ქუჩებზე (ამჟ. ქუთაისის 8, კოსტავას 5, ჟორდანიას 6) მდებარე ტაიროვის სახლის II სართულზე. სასტუმროს ჰქონდა სუფთა და მოხერხებული ოთახები ელექტრონული განათებით, აბაზანა, ბუფეტი და რესტორანი ევროპული და აზიური კერძებით, ადგილობრივი, კახური და რეგიონული ღვინით, ლუდით. სადილი, 2-3 იჯარისაგან შემდგარი, ღირდა 60-80 კაპიკი. სასტუმროში იყო საბანკეტო დარბაზი, ბიბლიოთეკა და პიანინო. სასტუმროს შემნახველი იყო არშაკ მუშელოვი (Беру.1910:72). 1918-1921 წლებში სასტუმროს ერქვა „ნოე“. ამ პერიოდში აქ რამდენიმე დღით ცხოვრობდა პოეტი სერგეი ესენინი. 1922 წლის მუნიციპალიზაციის შემდეგ შენობა მრავალფუნქციური გახდა.

სასტუმრო „პეტერბურგსკაია“ მდებარეობდა დონდუკოვო-კორსაკოვისა და სკობოლევის (ამჟ. კ. გამსახურდიას 20 და ნ. იმნაძის 2) ქუ-

ჩების კვეთაში მარინსკი პროსპექტის, ბულვარის და კომერციული ცენტრის ახლოს. ნომრები ღირდა 75 კაპიკიდან დღე-ღამეში. სასტუმროს ჰქონდა ტელეფონი, აბაზანა. ყველა ნომერი იყო ნათელი, მაღალი ჭერით, კომფორტული, სუფთა. ჰქონდა პირველი კლასის რესტორანი საუკეთესო ფირმების საზღვარგარეთული სასმელებით. რესტორანთან იყო ფრებერის ფირმის სამი ბილიარდი. სასტუმროს შემნახველი იყო ათანაძე თავდიშვილი, ხოლო შენობა ეკუთვნოდა ვიტუშინსკის. (Державин. 1902:97. Веру. 1910:73). ამჟამად შენობას მრავალფუნქციური დანიშნულება აქვს.

სასტუმრო „სევერნი პოლუსი“ მდებარეობდა შეპელოვისა და ვლადიკავკაზის ქუჩების კუთხეში (ამჟ. ვაჟა-ფშაველას 35, ფარნავაშ მეფის 74). სასტუმროს მეპატრონე იყო ეკატერინე მავროპულო. შენობა იყო ორსართულიანი 17 ოთახით. I სართულზე განთავსებული იყო აფთიაქი (Беру. 1910:57). 1922 წელს შენობა მუნიციპალიზაციას დაექვემდებარა და საცხოვრებელ ფართად გადაკეთდა.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ხულოს ქ. №8-ში მდებარეობდა სასტუმრო „მასკვა“. ამ სასტუმროში 1894 წლის გაზაფხულზე რამდენიმე დღე ცხოვრობდა გამოჩენილი ქართველი მწერალი ეგნატე ნინოშვილი, როცა იგი უკვე მძიმედ იყო ავად. თვითონ ე.ნინოშვილი ასე აღწერდა ბათუმში ჩამოსვლას: „20 მარტს, როგორც იყო, გამოვემგზავრე ბათუმისაკენ. ვესტუმრე ბათუმს, მაგრამ ვაი ამ სტუმრობას! სახლები ბლო-



სახლი ხულოს ქ. №28-ში
ყოფილი სასტუმრო „მასკვა“

მად არის ბათუმში, რომ გვეგონა, სულ მთელ ბათუმში ოთხი აღმოჩნდა ცალკე გასაქირავებელი, ისიც ჩვენი გემოვნების არა, მაგრამ გაიგეს თუ არა, რომ მე ავადმყოფი ვარ, უარი თქვეს. მივმართეთ „გასტინცას“. ღამე იყო, რომ მივედით და მიგვიღეს, მაგრამ მეორე დღეს, როცა მიტკლისფრად თეთრს ჩემს „სახე-სკველეს“ შეხედეს, გამოგვხედეს – მიბრძანდით, ავადმყოფს ნომერს ვერ მივაქირავებთო, რადგან სხვა პასაჟირები დაგვიფრთხებო. რაღა გვექნა, მოვიცადეთ დაღამებამდის (ვითომდა კარგად ვერ დაგვინახავენ სახესო) და დაღამებულში შევატყუეთ თავი ერთ სასტუმროს პატრონს“. სასტუმრო „მასკვას“ ერთ პატარა ოთახში მოათავსეს სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭული სახელოვანი მწერალი. მან აქ რამდენიმე დღე დაჰყო. ოთახს პატარა სარკმელი ჰქონდა. შიგ იდგა ერთი საწოლი, პატარა მაგიდა, სკამი და ლამპა. ოთახი ნესტიანი იყო. საჭმელ-სასმელი მეგობრებს მოჰქონდათ. ბათუმის ჰავამ უარყოფითად იმოქმედა ავადმყოფზე. მისი ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა. ეგნატემ მშობლიურ სოფელში დაბრუნება ითხოვა და 1894 წ. 30 აპრილს გარდაიცვალა მშობლიურ სახლში. ამჟამად ამ სახლს, სადაც ბათუმში ყოფნისას ბოლო დღეები გაატარა ე. ნინოშვილმა, მემორიალური დაფა აქვს წარწერით: „ამ სახლში 1894 წლის მარტში ცხოვრობდა ქართული ლიტერატურის კლასიკოსი ეგნატე ნინოშვილი“ (ბათუმის ისტორიულ-რევოლუციური ადგილები, 1970:13).



სახლი ნ. ბარათაშვილისა და ნ. იმნაძის ქუჩების კვეთაში
ყოფილი სასტუმრო „დგორცოვოე“

სასტუმრო „დგორცოვოე“ მდებარეობდა თბილისისა და სკობოლევის (ამჟ. ბარათაშვილის 25, იმნაძის 6) მდებარე შენობაში. ეკუთვნოდა ტერ-ოგანოვს. 1922 წელს განხორციელდა შენობის ნაციონალიზაცია, მრავალფუნქციური დანიშნულების გახდა.

სასტუმრო „არმენია“ მდებარეობდა მიხაილოვის და ოკლობჟინსკის (ამჟ. ზ. გამსახურდიას და ნ. კოსტავას 12) ეკუთვნოდა გეგორქიანს.

სასტუმრო „თეატრალური“ მდებარეობდა თეატრალურის ჩიხში №2 ცირკის უკან, ეკუთვნოდა ნეიმანს.

სასტუმროებთან ერთად ქალაქში იყო ე. ნ. „მებღირებული ნომრები“ – ავეჯიანი ოთახები, რომლებიც ასევე კარგად ქირავდებოდა. ასეთი იყო „ბორჯომი“ I კლასის ნომრებით. მდებარეობდა მიხაილოვის (ახლ. ზ. გამსახურდიას) ქ. №34-ში. შემნახველი იყო ს. დ. ტერტერიანი. აქ იყო გარემონტებული, მშრალი და სუფთა ნომრები, რომელთა ფასი მერყეობდა 50 კაპკიდან 2 მანეთამდე (H. Bepy:71).

„გერმანია“ ავეჯიანი ნომრები – მდებარეობდა კათოლიკეს (ახლ. ვ. გორგასალის) ქუჩაზე ბეჟანიძის სახლში.

„კომერციული“ – მდებარეობდა კომაროვის (ამჟ. დ. თავდადებულის) ქუჩაზე იანოვსკის სახლში.

„თბილისი“ – მდებარეობდა ერისთავის (ამჟ. მაზნიაშვილის) ქუჩაზე საბაევის სახლში, შემნახველი იყო დიასამიძე.

„იალტა“ – განთავსებული იყო სვიატოპოლკ-მირსკის (ამჟ. ახმედ მელაშვილის) ქუჩაზე ხაჯი ეფენდის სახლში.

ამრიგად, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ბათუმში იყო სასტუმროების ფართო ქსელი. ეკონომიკური აღმავლობის პირობებში სასტუმრო-

ებზე დიდი მოთხოვნილება გაჩნდა, რადგან ქალაქში აუარებელი ხალხი ირეოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. С. С. Соловкин. Батумское побережье. Южная колхида. краткий практический путеводитель. Батумь, 1913.

2. Батумское побережье. „Русские тропики“. сборник статей подь ред. С. А. Анисимова. Батумь, 1911.

3. Всеобщий Адресь Эжегодникъ г. Батума на 1902 годъ Н. С. Державина. Батумь, 1902.

4. Батумь и его окрестности въ описании Н. А. Веру. Батумь, 1910.

5. ნ. აბულაძე. ძველ ბათუმს სასტუმრო „ლონდონი“ დაუბრუნდება. გაზეთი „აჭარა“, 2012 წ. 28-30 ივლისი, №86.

6. Список муниципализированных домов. согласно декрета АССР за №4 Дополжение декрету №4. газета „Известия“, 15 апреля 1922 г.

7. ბათუმის ისტორიულ-რეკონსტრუქციური ადგილები. გზამკვლევი. ბათუმი, 1970.

8. „ბათუმის გაზეთი“, 1913 წლის 31 მარტი, №21.

9. Гурская Н. Путеводитель и справочная книжка по гор. Батума и окрестностям. Тифлисъ, 1901.

10. www.ajara.gov.ge.



ტინა ბიოპვილი

ქართველ მუჰაჯირთა სიბრძნის პოეზია

ქართველ მუჰაჯირთა პირველმა თაობამ მშობელი ქვეყნიდან მონყვევით გამოწვეული უკიდევანო სევდა-წუხილის აკუმულირება იმითაც შეძლო, რომ შთამომავლობას უძვირფასეს ნობათად დაუტოვეს მათი იდენტობის ერთ-ერთი უტყუარი გამოხატულება – მშობელი ხალხის მიერ საუკუნეთა ტევრში გამოტარებული და ცხოვრების მკაცრი გაკვეთილებით დახვეწილ-ჩამოქანდაკებული ზეპირსიტყვიერება მისი მრვალრიცხოვანი ჟანრებით; ახალიც შექმნეს, ბუნებრივია, ახალი საცხოვრისის სოციალურ გარემოსაც მოერგნენ ბუნებით კაცთმოყვარე და ძმობა-მეგობრობისათვის მუდმივად შემართული ჩვენებურები და ცხოვრობენ, გააქვთ თავიანთი წილი წუთისოფელი... ერთმანეთშიც საუბრობენ მშობლიურ ენაზე და იმაზეც გულწრფელად წუხან, რომ ახალი თაობა ამას მათებურად ველარ ახერხებს ძალიან ბევრი მიზეზის გამო...

თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ფოლკლორული შემოქმედება, რომელიც 2012-2018 წლებში ჩაინერა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედმა კომპლექსურმა ექსპედიციამ, მდიდარი და მრავალფეროვანია და, როგორც გოგლა ლეონიძე იტყოდა, „მშობელ მიწაში უდგას ფესვები“.

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერი საუნჯის ერთ-ერთ გამორჩეული ჟანრია ანდაზა, რომელსაც პროფესორმა ზურაბ კიკნაძემ მართებულად უწოდა სიბრძნის პოეზია (ზ. კიკნაძე, „ქართული ფოლკლორი“, თბ., 2008, გვ. 324).

ანდაზა სრულიად ბუნებრივად და ლაღად არის ჩანწულ-ჩაგრეხილი ენის წიაღში, მისი შემოქმედი ხალხის ცხოვრების თანამედროვეც არის, მომავლის წინამძღოლი და წარსულის მემკვიდრეც, „ჭირსა შიგან გამაგრების“ ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია და ყოველთვის, ყველა ეპოქაში ერთგული დამრიგებლისა და მოძღვრის ფუნქციას ასრულებს. ეს საიმედო სულიერი მოძღვრისეული სენტენციები ქართველ მუჰაჯირთა ახლანდელ თაობას წინაპართაგან ღირს-სახსოვარ ანდერძად ებოძა და, რასაკვირველია, მამა-პაპათა მსგავსად, ყურს უგდებენ მისეულ სიბრძნეს.

მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულ ანდაზათა უმრავლესობას პარალელები ეძებნება საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა, განსაკუთრებით კი – აჭარის ზეპირსიტყვიერებაში. სიბრძნის პოეზიის მათეული ნიმუშები, საქართველოს სხვადასხვა

კუთხეში გავრცელებული ანდაზების მსგავსად, ქადაგებენ ჰუმანურ იდეებს – ძმობა-მეგობრობას, კუთხე-მეზობლობას, ურთიერთგატანას; ეს ბუნებრივიც არის, რადგანაც ქვეყნის განაპირა კუთხეში მცხოვრებთა კოლექტიურმა მეხსიერებამ კარგად შეისისხლხორცა ერთობის ძალის ფასი. ამის დასტურია ანდაზა – „ერთი ხელი რამე არაა, ორი ხელით ხმა იქნება“.

ჩვენმა წინაპრებმა ძველთაგანვე გაითავისეს ბიბლიიდან გადმოცემული სიბრძნე: „ბრძნად მეტყველება ვერცხლია, ხოლო დუმილი ოქროა რჩეული“; აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლების საანდაზო მეტყველებაში ეს თეზა ამგვარად გამოითქმის: „სიტყვა გუმიშია (ვერცხლი), უხმიობა – ალთუნი (ოქრო)“.

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ანდაზებში, ანუ სიბრძნის პოეზიაში, გულისტყვილიანი გამოძახილი ჰპოვა იმ დიდმა სანუხარმა, რაც მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილთა მუდმივი თანამგზავრია; სამშობლოსა და თვისტომთა მონატრებაა ჩაქსოვილი ჩვენებურთა ანდაზაში „ქართველი იყოს და ტალახიანი იყოსო“ („ჩვენებური იყოს და ტალახიანი იყოსო“).

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ანდაზის – „როცა გშია, ზაქარია, ცივი მჭადიც შაქარია“ – სიბრძნე ქართველ მუჰაჯირებში ამგვარად ჟღერს: „შენ არ გშია, ზექერია, რომ შეგემშეს, ჰელვა გიგიხდება ცივი ჭადი“.

სიკეთისადმი სწრაფვას ზოგადქართულის („გაიარე, ქვაზე დადე, გამოიარე, წინ დაგხვდება“) მსგავსი ანდაზით გადმოსცემენ ჩვენებურები: „გავლა ქვაზე დადეო, გამოვლა დიგიხდებაო“.

ქართველ მუჰაჯირთა სიბრძნის პოეზიაში ძალზე პოპულარულია და მრავალ ვარიანტად დავაფიქსირეთ ქართული ხალხური ანდაზა „ავიფურთხე – ულვამს მოხვდა, დავიფურთხე – ნვერებსაო“; „ევფურტნე – ბუელას მოხვდა, დევფურტნე – ნვერსაო“ („ზეით ავფურტნე, ულვაშზე მომხვდაო, ქვეით დევფურტნე, ნვერზე მომხვდაო“; „ზეით ევფურტნე, ბუელია, ქვეით დევფურტნე, ნვერიაო“). ეს ანდაზა იდენტური ლექსიკით გვხვდება აჭარის ზეპირსიტყვიერებაში.

წინდახედულებას, თავშეკავებულობას და წარმოსათქმელი სიტყვისადმი გონივრულ, ფხიზელ დამოკიდებულებას ქადაგებენ ჩვენებურთა ანდაზები: „იფიშმანო, იფიშმანო და ისენ'და თქვა“, „ათჯერ'ნა დაზომო, ერთჯერ'ნა დაჭრა“, „ატეხვას თავის გატეხვა აქ“ და სხვა.

შრომა, შრომის სიკეთე და საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმის კეთების სურვილი ადამიანის უპირველეს მოვალეობად მიაჩნიათ ჩვენებურებს. მათი საანდაზო მეტყველებისათვის დამახასიათებელია ხოტბა-დიდების შესხმა მშრომელი, დაუზარელი ადამიანებისათვის; საქმისადმი სერიოზული, დროული დამოკიდებულება გამოსჭვივის ანდაზებში: „აგორვებულ ქვას ღონსული არ ექნება“ („გაგორვებული ქვა ხავს არ დეიკავებს“); „ადრელა ადგები, საქმეს მალე დალევო“; „ერთი დღის საქმე წინ'ნა მიგდოვო“; „სალამოს საქმეს დღის საქმე სჯობსო“.

შრომა-გარჯისადმი სწრაფვასა და სიყვარულზე მიუთითებს ჩვენებურთა ანდაზა: „დედაბერ საქმე დალევია, შალვარი უუნგრია, შუუკერია“. ამგვარ სენტენციათა გვირგვინად შეიძლება ჩავთვალოთ ანდაზა: „რვა დღის ომრითვინ ცხრა დღე'ნა ისაქმო“.

შრომისმოყვარეობასთან ერთად, ქართველ მუჰაჯირთა საანდაზო სიბრძნე სწორად დაგეგმილ, მიზანმიმართულ გარჯაზეც საუბრობს: „ღელი ქენერში სიმინდ დათესავ ღვართვინაო“.

ქართველ მუჰაჯირთა სიბრძნის პოეზია, ზოგადქართულის მსგავსად, გმობს სიხარბეს, სხვათა ქონებისაკენ თვალის დაჭერას: „სხვის ვირზე რომ შეჯდები, მალე ჩამოხვალო“; „სხვის ცხენზე რომ შეჟდები, სოფლის შუაში ჩამოხვალო“; „ღორი ყანაში რო შევა, გაძლომამდე ჭამსო“; „რაცხამდონი საბანი გაქ, იმდონე განვადე ფეხებო“.

ზოგადკაცობრიული ჰუმანიზმის გამომხატველია ჩვენებურთა პარემია: „ღმერთის გაჩენილი არ მეიკლებაო“.

ჩვენებურთა საანდაზო სიბრძნეს არც კაცობრიობის ოდინდელი ნუხილი გამორჩენია სიკვდილ-სიცოცხლის თემაზე; სიკვდილის გა-

რდუვალობა და მისადმი ღრმად ფილოსოფიური დამოკიდებულება ასეა გადმოცემული: „შავი მორგვი სუნყველას კუჩხში მიგორდება“; „რომ დღე დეგველევა, მოვკვდეთ უნდა“.

მუყაითი მშრომელისათვის ნაამაგარის მოფრთხილება, ყაირათიანობა, თანდაყოლილი თვისებაა; კარგმა მეურნემ იცის, თუ რა დროს რა დასჭირდება; ამაზე მიუთითებს ანდაზა: „შეინახე ბზე, მუა მისი დრო“.

ტრადიციული ქართული ანდაზა „მულო, შენ გეუბნები და რძალო, შენ გაიგონეო“, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს ყველა კუთხეში, აჭარელ მუჰაჯირთა შორის ამგვარად შემონახულა: „გოგო, შენ გეუბნები, გელინო, შენ გაიგონე!“

უძველესი ქართული ხალხური საანდაზო სიბრძნე ტკბილმოუბრობის ყოვლისშემძლეობაზე, რომელიც შოთა რუსთაველის გენიალურ „ვეფხისტყაოსანში“ დიდებულად გაჟღერდა („გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“) ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერებაში ამგვარად ჟღერს: „ლამაზი ენა გველს გამეიყვანს აერიდანო“.

ქართული ხალხური საანდაზო სიბრძნე ყოველთვის გმობს მკვეხარობასა და ცრუბუნტელობას, გულზვიადობას, ამხელს არაფრისმაქნის ადამიანს. ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებული ანდაზა მკვეხარა ყორანზე, რომელიც თეთრი კვერცხის დადებაზე ოცნებობს, მუჰაჯირთა შთამომავლებშიც დავადასტურეთ: „ყორან უთქმია, აქზე შავ კვერცხ ვდეფო, გაღმაზე გავალო, თეთრ დავდეფო. გასულა და იქაც შავი დუუდვია“. ანდა: „ყორანსა უთხრობიაო, აქზე შავ კვერცხ ვდეფო, იქზე გავალ, თეთრ დავდეფო. ვერ უქნიაო“. ამ სიბრძნის შეჯამება კი ამგვარად გამოიხატა: „გონჯი ინსანი კაე არ გახდება“. თავმდაბლობას ქადაგებს ჩვენებურთა ანდაზაც – „ჭიაყელაე გველზე დაზმანებია, მიენიო'ნაო, განიწულა, წელიდან გადანყვეტილა“; ამ პარემიას პარალელები ზოგადქართულ ფოლკლორშიც ეძებნება.

უფროსი თაობის, განსაკუთრებით კი მშობლების, პატივისცემა ქართულ ხალხურ ანა-

დაზათა აქტუალური და საპატიო თემაა. ჩვენებურთა სიბრძნის პოეზიაც გმობს ამპარტავან, ყოყლოჩინა, უმადურ შვილებს: „ნაბლი ბუჯგიდან გამოვდაო, ბუჯგს აღარ კადრულობსო“; ანდა: „ნაბლი ბუჯგიდან გამოვდა, ბურჯგელა არ მოენონაო“; ან კიდევ: „ნაბლი რომ გამოსულა, იმტე ბუჯგიდან, აღარ უკადრია“. ეს საანდაზო სიბრძნე მცირეოდენი ვარიაციული ფორმით ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს ყველა კუთხეში, განსაკუთრებით კი – აჭარაში.

უფროსების დაფასებას, მათი შესაძლებლობების რწმენას ქადაგებს, აგრეთვე, აჭარელ მუჰაჯირთა შორის გავრცელებული ანდაზა „ბერი ხარის რქამან მოხნისო“ („ბერი ხარის ქაც ხნისო“), რაც საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ზეპირსიტყვიერებაშია გავრცელებული და ასე ჟღერს: „ბებერი ხარისა რქანიც ხნავენო“, ანდა: „ბებერი ხარის რქანიც ენევიანო“. უფროსისადმი მოკრძალება ჩვენებურთა ანდაზებში შემდეგნაირად არის წარმოჩენილი: „დიდი ილაპარიკებს, პანაე უყურებს“.

ზოგადქართულ ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებული ანდაზა – „ავი ძალლი არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევს“ – ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებთან იდენტურად ჟღერს: „ძალღმა არც მან შეჭამა, არც სხვას აჭამა“.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ძალზე პოპულარული ანდაზა – „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე“ – ჩვენებურების ზეპირმეტყველებაში ამგვარი ვარიანტებით შემოგვინახა: „დედას უნდა შეხედო, ციცაე ითხოვო“; „ბასმას შეხედე, ძაფი ნახე, ნენეს შეხედე, ფაციაე ითხოვეო“; „ნენეს'ნა შეხედო, გოგო ისე ითხოო“.

„კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო“, – გვასწავლის ქართული ხალხური ანდაზა. აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლებში ეს სიბრძნე ამგვარად გამოითქმის: „კარგი შვილი ნენესი გულია“.

კუთხე-მეზობლობა ძველთაგანვე დიდად ფასობს საქართველოში. აჭარიდან თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში ჩასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლებს წინაპრებმა, სხვა მრავალ ჰუმანურ წეს-ჩვეულებებთან ერთად,

მეზობლის სიყვარული და პატივისცემაც უანდერძეს, რაც დიდებულად გამოიხატა საანდაზო სიბრძნეშიც: „ შორ ბაბა-ნენესა ახლოს დუმმანი მეზობელი სჯობსო“; „მეზობელ რო ფუში ატკივდება, შენც ხელი'ნა მეისვაო“. ეს უკანასკნელი პარემია განზოგადოებულადაც გვხვდება, რაც ჩვენებურთა კიდევ უფრო ამალღებულ კაცთმოყვარეობაზე მიანიშნებს: „სხვას მუცელი ატკივდება, შენც ხელი'ნა მეისვაო“.

ჩვენს ბრძენ წინაპრებს კარგად ესმოდათ ძირეული კავშირი წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის; იცოდნენ, რომ ყველას და ყველაფერს თავისი წინაპირობა აქვს. ამ პრობლემასთან დაკავშირებული საქართველოს ყველა კუთხეში გავრცელებული ანდაზა – „ჭინჭრის ადგილზე ჭინჭარი ამუა“ – მუჰაჯირთა შთამომავლებშიც დავაფიქსირეთ: „ჭინჭარი ძირიდან ჭინჭარი ამოვაო“, „ჯინჭართან ჯინჭარი ამუა“ და სხვა. არსებითად ამავე სენტენციისაა ანდაზა: „ცხემლის გადანაჭარზე ცხემლა ამუაო, აბა, ფთხმელა ხომ არ ამუაო!“

აჭარის ფოლკლორში გავრცელებული ანდაზა „ყველაჲ მისი ქლიკით დეიკიდებაო“ თითქმის იდენტურად არის შემონახული აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში: „ყველა მის ფეხიდან დეიკიდება“. ეს უდიდესი საკაცობრიო სიბრძნე ერთგვარი გაფრთხილებაც არის იმისა, რომ ადამიანმა მუდმივად სიკეთე თესოს, რადგან ყველა დაფარული ბოლოს დღის სინათლეზე გამოდის.

ქართველი კაცი ოდითგანვე მიელტვის ცოდნის შეძენას; სწავლა, წიგნი, სიბრძნე ქართული

ხალხური საანდაზო მეტყველების განუყოფელი თემებია. აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლებმა თავიანთი დამოკიდებულება ამ პრობლემის მიმართ გამოხატეს ანდაზით: „კაცმა, რომელმაც კითხვა არ იცის, ძროხასავეთაა“.

ზოგადქართული ზეპირსიტყვიერების დარად, ქართველ მუჰაჯირთა ფოლკლორში ხშირად ანდაზები ამა თუ იმ ჟანრის ლექსთა შემადგენელ ნაწილად (ძირითადად პარალელიზმისათვის) გამოიყენება; ამის დასტურია საქარიას (ადაბაზარი) პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ ნურუოსმანიეში მცხოვრებ აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლის – 53 წლის ქალბატონის – გულიზარ ქოლათისაგან 2018 წლის 10 ივლისს ჩანერილი სატრფიალო ლექსი:

გავლაჲ ქვა ქვაზე დადე,
გამოვლაჲ დიგისდება;
შენი ლამაზი თვალზე
მაგ წარბები გისდება!

ამგვარი საანდაზო ლექსები მრავლად გვაქვს საქართველოს ყველა კუთხის ზეპირსიტყვიერებაში.

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაში შემონახული ანდაზები ერთის მხრივ წინაპართა მიერ ნაანდერძევი სიბრძნეა, რომელიც ჩვენებურების ზნეობრივ-ეთიკური დონის მაჩვენებელია, მეორეს მხრივ კი ერთგვარი სულიერი საგზალია თურქულ გარემოცვაში მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავლების „გურჯობის“ განსამტკიცებლად და შესანარჩუნებლად.



გიორგი ფუტყარაძე

საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის აჭარის ორგანიზაცია, აჭარის მწერალთა სახლი, ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ენათმეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის **გიორგი ფუტყარაძის** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს, ახლობლებსა და ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას.

უცხოეთში მოღვაწე ქართველები¹

უცხოეთში მცხოვრებ ქართველთაგან ბევრი ვერ იღვწის საქართველოსათვის; მიუხედავად ამისა, საზღვარგარეთული ქართველოლოგიის თანამედროვე დონის შექმნაში უდავოდ დიდი დამსახურება მიუძღვით ქართველ ემიგრანტებსაც, რომლებიც აღვივებდნენ ინტერესს საქართველოსადმი და ცდილობდნენ, მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა მოექციათ მსოფლიოს მეცნიერული აზროვნების ყურადღების ცენტრში. ქვემოთ წარმოვადგენთ ცნობებს ზოგი გამორჩეული მოღვაწის შესახებ:

მიხეილ თამარაშვილი (1859-1911 წწ.) დაიბადა ახალციხეში. განათლება მიიღო საზღვარგარეთ. თავდაპირველად სწავლობდა კონსტანტინოპოლში, **პეტრე ხარისჭირაშვილის** მიერ დაარსებულ ქართულ სასწავლებელში, შემდეგ – ესპანეთის სასულიერო სემინარიაში.

1888 წელს დაამთავრა პარიზის წმინდა ლაზარეს სასულიერო სასწავლებელი. ამავე პერი-

ოდში იგი გაეცნო პარიზის სამეცნიერო ცხოვრებას, მუშაობდა წიგნსაცავებში, არქივებსა და მუზეუმებში.

1891 წელს მ. თამარაშვილი იძულებული გახდა², საცხოვრებლად იტალიაში გადასულიყო. მან წარმატებით დაასრულა რომის სასულიერო აკადემია და შემდეგ დაიწყო სამეცნიერო მოღვაწეობა; **1894 წელს** მოიპოვა ღვთისმეტყველების დოქტორის სამეცნიერო წოდება.

მრავალმხრივი იყო მ. თამარაშვილის, როგორც მეცნიერის, საკვლევადიებო სფერო, მაგრამ განსაკუთრებით მაინც დაინტერესებული იყო საქართველოს ისტორიით. მან ვატიკანის, საფრანგეთის, იტალიის, თურქეთის, ალექსანდრიის, მოსკოვისა და ლონდონის არქივებში გამოავლინა საქართველოს ისტორიის ამსახველი დიდძალი ახალი მასალა, რომელთა გამონვლილვითი ანალიზის საფუძველზე გადმოსცა საქართველოს კათოლიკობის გავრცელების

¹ მასალის მომზადებისას გამოყენებულია 2006 წელს გამოცემული „ქართული ენის ისტორიის“ (პროფ. ტ. ფუტყარაძის საერთო რედაქციით) შესაბამისი მონაკვეთი.

² მ. თამარაშვილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა იმპერატორ ალექსანდრე III-ის ბრძანება, რომლის მიხედვითაც კათოლიკეთა ქართული ტიპიკონი სომხურით უნდა შეცვლილიყო; იგი რუსეთის იმპერატორთან დააბეზლეს და იძულებული გახადეს, საქართველო დაეტოვებინა; ვრცლად იხ. შ. ლომსაძე, მ. თამარაშვილი, თბ., 1964).

სრული ისტორია წიგნში: „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ (1902 წ.). ილია ჭავჭავაძის „ივერიამ“ ამ ნაშრომს მეორე „ქართლის ცხოვრება“ უწოდა.

ევროპის სამეცნიერო წრეებში განსაკუთრებით დიდი გამოხმაურება მოჰყვა მ. თამარაშვილის წიგნს: **„ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“** (1910). წიგნი დაიბეჭდა რომში ფრანგულ ენაზე¹. ამ გამოცემას მიენიჭა ვატიკანის სპეციალური პრემია. ნაშრომის შესახებ დაწერილ 50-ზე მეტ რეცენზიაში აღიარებული იყო საკითხის აქტუალობა და გამოტანილი დასკვნების ღირებულება.

მ. თამარაშვილმა საქართველოსთან დაკავშირებული არაერთი საინტერესო მასალა გამოავლინა საზღვარგარეთ და ხელმისაწვდომი გახადა ფართო მკითხველისათვის. მოიძია ევროპაში სულხან-საბას მოგზაურობის მასალები, სიცილიაში აღმოაჩინა კრისტოფორო დე კასტელის სურათების ალბომი, რომლის ფოტოასლის გადასაღებად და წარწერების შესასწავლად დიდი შრომა გასწია.

მ. თამარაშვილის ნიჭიერებასა და განსწავლულობას, მის ადამიანურ ღირსებებს ევროპის ქვეყნების სამეცნიერო წრეებში მაღალ შეფასებას აძლევდნენ. იგი აღიარებული იყო, როგორც იმდროინდელი ევროპის ერთ-ერთი თვალსაჩინო მეცნიერი და მკვლევარი.

მ. თამარაშვილი ტრაგიკულად დაიღუპა 1911 წელს ჩივიტა-ვეკიაში (იტალია)².

1978 წელს იტალიიდან სამშობლოში გადმოასვენეს მ. თამარაშვილის ნეშტი და პატივით მიაბარეს მშობლიურ მიწას დიდუბის პანთეონში.

შალვა ვარდიძე – კათოლიკე მღვდელი და საზოგადო მოღვაწე; დაიბადა ადიგენის რაიონის სოფ. არაღში. 1911 წ. სტამბოლში შალვა ვარდიძემ დააარსა ქართული კლუბი. ქართულ კლუბში შემუშავდა **ქართველთა შორის წერა-კითხვის გა-**

მაგრცვლებელი საზოგადოების პროგრამა. 1914 წლისთვის დაიგეგმა ქართული სკოლის გახსნაც, მაგრამ ქართული კლუბის გეგმების განხორციელებას ხელი შეუშალა I მსოფლიო ომის დაწყებამ. დიდა მისი ღვაწლი „სტამბოლის ქართული სავანის“ შენარჩუნებასა და გააქტიურებაში. სწორედ სავანის ტერიტორიაზე, მონასტრის სასტუმრო სახლში მოქმედებდა 1914 წ. შენევაში დაარსებული **„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“** (რომელსაც ადგილობრივი კომიტეტები ჰქონდა ლაზეთშიც კი). „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მიზანი იყო გერმანიის პროტექტორატით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა; ამ კომიტეტის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სტამბოლის ქართული სავანის წინამძღვარი შალვა ვარდიძე.

1918-1921 წლებში სტამბოლის ქართველთა სავანის სტამბაში დაიბეჭდა ბევრი საჭირო წიგნი³; ასევე, აქ იბეჭდებოდა ქართული ემიგრანტული პოლიტიკური ჟურნალი: „თავისუფალი საქართველო“ (პირველი ნომრები) და სხვ.

შალვა ვარდიძე მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ეწეოდა ქართული კულტურის პოპულარიზაციას საზღვარგარეთ. იგი ფლობდა ცხრა ენას და უცხოურ ჟურნალ-გაზეთებში ცხრავე ენაზე აქვეყნებდა სტატიებს; უცხოელებს აცნობდა ქართული კულტურის ისტორიას.

შალვა ვარდიძემ ფრანგულ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსნის“ თავები. იგი მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა; კერძოდ, 1921 წელს ფრანგულიდან ქართულად თარგმნა იტალიელი მწერლისა და დიპლომატის **ევგენი დალეჯიო დალეისოს** ნაშრომი „ქართველები კონსტანტინეპოლში“. მან არაბულ ენაზე გამოაქვეყნა „საქართველოს მოკლე ისტორია“. ბოლოს იგი იყო ბეირუთის უნივერსიტეტის ფრანგული უნივერსიტეტის პროფესორი. შალვა ვარდიძე გარდაიცვალა ლიბანში XX ს-ის 50-იან წლებში. მისი არქივი დიდი რისკის ფასად თურქეთში ჩამოიტანა და ქართველ კათო-

¹ ქართულად ითარგმნა 1994 წელს.

² მან ზღვაში დახრწობას გადაარჩინა ერთი სომეხი, თავად კი ვეღარ შეძლო ნაპირზე გამოსვლა.

³ მაგ., სტამბოლის ქართულ სავანეში 1919 წელს დაიბეჭდა ივ. ჯავახიშვილის ფასდაუდებელი ნაშრომი „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით“ (რომლის დაბეჭდვა თბილისში ვერ მოხერხდა).

ლიკეთა მონასტერს გადასცა ბიზნესმენმა და საზოგადო მოღვაწემ, სიმონ ზაზაძემ¹.

მიხეილ თარხნიშვილი (1897-1958 წ.) „მთელი დასავლეთისათვის ქართული ისტორიისა და ფილოლოგიის მასწავლებელი იყო... არ არსებობს საქართველოს ისტორიის, მისი ენის, ლიტერატურისა და ლიტურგიის დარგი, მათი მიმართება მეზობელი ქვეყნების ლიტერატურასა და ეკლესიასთან, რომელშიც თავისი მნიშვნელოვანი წვლილი მას არ შეეტანოს. მან პირველმა დაანახა დასავლელ მკვლევარებს ქართული ლიტერატურის ნაკლებად ცნობილი საგანძური“ (ყერარ გარიტი).

მ. თარხნიშვილი დაიბადა ახალციხეში. სწავლობდა პირველად სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სამონასტრო სკოლაში, შემდეგ – გერმანიაში (ქალაქ ეტალში). 1924 წლიდან ავსტრიაში (ვენაში) ეუფლებოდა ფილოსოფიასა და თეოლოგიას. 1933 წელს დაამთავრა რომის პაპის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი და იმავე წელს იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1933-1943 წლებში, როგორც მღვდელი, ეწევა აგრეთვე პრაქტიკულ მოღვაწეობას საფრანგეთში, ბელგიასა და გერმანიაში, 1943 წლიდან კი სამუდამოდ დასახლდა იტალიაში და მთლიანად ჩაერთო სამეცნიერო საქმიანობაში.

მ. თარხნიშვილი უდიდესი განათლების მქონე პიროვნება იყო. მას ისე ბრწყინვალედ სცოდნია გერმანული, ფრანგული, იტალიური, ლათინური, ბერძნული, სირიული და რუსული ენები, რომ თითოეულ მათგანზე წერდა სამეცნიერო ნაშრომებს.

მეტად მრავალფეროვანი იყო მ. თარხნიშვილის შემოქმედებითი თემატიკა: ქართული სასულიერო მწერლობის ისტორია თუ საქართველოს ისტორია, მთარგმნელობითი თუ ლექსიკოგრაფიული საქმიანობა... მაგრამ მაინც ფასდაუდებელია მისი ღვაწლი უცხოეთის სხვადასხვა

ქვეყნის ბიბლიოთეკებში დაცული უძველესი ქართული წარწერების, ხელნაწერებისა და ლექციონარების გამოქვეყნება-შესწავლაში. ამ მხრივ, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ვირჯილიო კორბოს მიერ პალესტინაში აღმოჩენილი უძველესი წარწერები, რომლებიც მ. თარხნიშვილმა პირველმა გაშიფრა მეცნიერულად და გამოთქვა საგულისხმო მოსაზრებანი. გარდა ამისა, მან დიდი შრომა გასწია გრაცის უნივერსიტეტისა და ვატიკანის ბიბლიოთეკებში დაცული ქართული ხელნაწერების გამოსაქვეყნებლად; შეუწელებელი ინტერესით იკვლევდა ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიას. ევროპელთათვის რომ ხელმისაწვდომი გაეხადა ქართული მწერლობა, გერმანულ ენაზე თარგმნა კ. კეკელიძის „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“. მ. თარხნიშვილი ევროპულ ენციკლოპედიებს სისტემატურად აწვდიდა მასალებს საქართველოს შესახებ, შეადგინა „ქართულ-ფრანგული ლექსიკონი“.

დიდია მ. თარხნიშვილის დამსახურება იმ მხრივაც, რომ იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე იყო უცხოეთში ქართული კულტურის ერთგული დამცველი და ქომაგი. მაგალითისათვის დავასახელებთ მხოლოდ ერთ შემთხვევას: ევროპის სამეცნიერო წრეებში იმხანად გაბატონებული იყო პ. პეტერსის დებულება, რომლის თანახმად „ბალავარიანის“ ბერძნული თარგმანი ქართულიდან უნდა იყოს შესრულებული ექვთიმე ათონელის მიერ XI საუკუნის I ნახევარში. მაგრამ მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორმა დოელგერმა სცადა დაერღვია ეს დებულება და კიდევ უარყო „ბალავარიანის“ ბერძნული თარგმანის ქართულიდან წარმომავლობა. მ. თარხნიშვილმა ამასთან დაკავშირებით გერმანულ და ქართულ ენებზე დანერა ორი ნაშრომი, რომელშიც გააკრიტიკა დოელგერის თვალსაზრისი და მეცნიერულად დაასაბუთა პ. პეტერსის დებულების მართებულობა.

¹ ს. ზაზაძე 1960-1980 წლებში აფინანსებდა პარიზში გამოქვეყნებული ერთადერთ ქართულ ჟურნალს – „ბედი ქართლისას“ (რამდენიმე ნომერს – XV-XVI №43-44, 1963 წ.; XVII-XVIII №45-46, 1964 წ.; №48-49, 1965 წ. – სათანადო მინანურიც აქვს). ვრცლად იხ.: ტ. ფუტყარაძე, პავლე, სიმონ და პოლ (პავლე) ზაზაძეები და „სტამბოლის ქართველთა საჯანე“; <http://lib.ge/book.php?author=477&book=4653>; <http://archive.is/Ncv4S>; <http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000017...> ქართულენოვანი კულტურის ქმნადობის მიმართულებით ღვაწლი არ შეუწყვეტიათ სხვა კათოლიკეებსაც; კერძოდ, კათოლიკე ქართველთა ნიაღში იშვნენ: პეტრე ხარისჭირაშვილი... უცხოეთში მოღვაწე სხვა ქართველების შესახებ ცნობები იხ. ქვემოთ; ასევე, იხ.: <http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka>

მ. თარხნიშვილი სიცოცხლეშივე იყო აღიარებული, როგორც სახელგანთქმული მეცნიერი, ღრმად განსწავლული პიროვნება. მან ევროპაში აღზარდა ქართველოლოგთა მთელი თაობა; მთელი სიცოცხლის მანძილზე რუდუნებით, სიყვარულითა და საოცარი მხნეობით თავს დასტურიალებდა უძველეს ქართულ მწერლობას.

შალვა ბერიძე (1892-1970 წწ.) – ნეაპოლის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორი, დაიბადა ახალ სენაკში. ხარკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1917-1918 წლებში მოღვაწეობდა მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტში, სადაც **ნ. მარისა** და **ალ. ხახანაშვილის** რეკომენდაციით იწყებს კვლევას ენათმეცნიერებაში.

1920-იანი წლებიდან შ. ბერიძე ემიგრაციაში აგრძელებს სამეცნიერო მუშაობას. 1930-1931 წლებში ლონდონში ინგლისურად გამოუცია ანთოლოგია: „ქართველი პოეტები“, ფრანგულად დაუნერია ნაშრომი: „ბაირონი და პუშკინი“, ხელნაწერის სახით დარჩენია „ვეფხისტყაოსნის“ სრული იტალიური თარგმანი...

1934 წელს შ. ბერიძემ დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტი. 1936 წლიდან ცხოვრობდა იტალიაში, ნეაპოლში. იგი პროფ. ბ. ბარბიელინმა მიიწვია ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ქართველოლოგიის კათედრის გამგედ და მიანდო ლექციების ნაკითხვა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა. ლექციებს დიდი ინტერესით ისმენდა 20-მდე უცხოელი სტუდენტი.

შ. ბერიძე უაღრესად ნაყოფიერი მკვლევარი იყო. მან არაერთი საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნა ჟურნალში: „ბედი ქართლისა“. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიგნები: „ქართული ენა იტალიაში“, „ბასკური და ქართული“, „რუსთაველის მსოფლიო მნიშვნელობა“, „რუსთაველი და მედიცინა“ და ა. შ. 1945 წელს ნეაპოლში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი (ეს იყო შოთას უკვდავი პოემის პირველი პროზაული თარგმანი იტალიურ ენაზე).

წმინდა გრიგოლ ფერაძე (1899-1943 წწ.) – მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი, პროფესორი, დაიბადა სიღნაღის მაზრის სოფ. ბაკურციხეში. 1921 წელს კ. კეკელიძის შუამდგომლობითა და არტურ ლაისტის რეკომენდაციით საქართველოს საკათოლიკოსო საბჭომ გრ. ფერაძე გააგზავნა გერმანიაში თეოლოგიური განათლების მისაღებად. ბერლინის უნივერსიტეტში გერმანელი სპეციალისტების ხელმძღვანელობით მეცადინეობდა თეოლოგიასა და ორიენტალისტიკაში (ებრაულ, ასირიულ, არაბულ, კოპტურ, სომხურ, ბერძნულ ენებზე). ქართულ ენას ასწავლიდა ცნობილი ქართველოლოგი **რ. მეკელაინი**. 1925 წელს სწავლის გასაგრძელებლად გადადის ბონის უნივერსიტეტში, სადაც მალე მოიპოვა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი ნაშრომში: **„მონაზვნობის დასაწყისი საქართველოში“**. სპეციალისტების აზრით, ნაშრომში გამოტანილი დასკვნები მეტად მნიშვნელოვანი და ფასეულია ქართული ბერმონაზვნობის ისტორიისათვის. ამის შემდეგ გრ. ფერაძე ცოდნის გასაღრმავებლად მიემგზავრება ბრიუსელში, შემდეგ – ინგლისში, სადაც ოქსფორდისა და ლონდონის უნივერსიტეტებში იკვლევს ქართულ ხელნაწერებს.

1927 წელს გრ. ფერაძე მიიწვიეს ბონის უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად ძველ ქართულსა და ძველ სომხურ ლიტერატურაში. ამიერიდან იწყება მისი ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობა. გერმანული, ფრანგული, ინგლისური, ლათინური, ძველი სლავური, რუსული, ებრაული და სხვა აღმოსავლური ენების საფუძვლიანი ცოდნა მას უხსნიდა გზას, პრაქტიკულად აეთვისებინა მსოფლიო ლიტერატურის მიღწევები.

1928 წელს გრ. ფერაძეს მიენიჭა არქიმანდრიტის წოდება. 1932 წელს მიიწვიეს ოქსფორდის უნივერსიტეტში. აქ იგი სათავეში ჩაუდგა მართლმადიდებლური თეოლოგიის კათედრას და კითხულობდა ლექციებს ქართული ეკლესიის ისტორიაში, ბიბლიის ძველ თარგმანებსა და ქართულ სასულიერო მწერლობაში.

1933 წელს გრ. ფერაძე მუდმივ საცხოვრებლად გადადის პოლონეთში. იგი გახდა ვარშავის

ორიენტალისტიკის სამეცნიერო საზოგადოების აქტიური წევრი. დააარსა ჟურნალი „პატროლოგია“. 1935 წლიდან კვლავ მოგზაურობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებსა და ბიბლიოთეკებში უძველესი ქართული ხელნაწერების გამოსავლინებლად და შესასწავლად. ათონზე მან აღმოაჩინა 50 ქართული წიგნი და 13 ხელნაწერი. 1936 წელს იმოგზაურა პალესტინაშიც.

1942 წელს ფაშისტური გერმანიის მიერ ოკუპირებულ პოლონეთში გესტაპომ დააპატიმრა გრ. ფერაძე. იგი მოათავსეს ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც დასრულდა მისი სიცოცხლე. ჭეშმარიტი სულიერი მოძღვარი გაზის კამერაში თავისი სურვილით შევიდა ერთ-ერთი ტყვე პოლონელი ებრაელის ნაცვლად. „შენ დიდი ოჯახი გაქვს: ცოლი და ხუთი შვილი. შენ უნდა იცოცხლო მათთვის... მე კი შენს მაგივრად მოკვდები მათი მომავლისათვის“, – უთხრა ტყვე ამხანაგს გრიგოლმა და კიდევ აღესრულა მონამეობრივი სიკვდილით.

პოლონელმა ხალხმა ღირსეული პატივი მიაგო გრ. ფერაძის ღვაწლს. მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი.

მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა, გრ. ფერაძის სახელი სამუდამოდ ჩაინერა მეცნიერებაში მსოფლიოს მასშტაბით. მეტად მდიდარი და მრავალმხრივი იყო მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა. უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებში სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნებული აქვს 64-ზე მეტი ნაშრომი, რომელთა მიხედვით უცხოელები ერთხმად აღიარებდნენ გრ. ფერაძის მეცნიერულ დამსახურებას და ხაზგასმით წარმოაჩენდნენ მისი მოღვაწეობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას საზღვარგარეთის ქართველოლოგიაში.

ახლო მეგობრების თქმით, გრ. ფერაძეს ჰქონია უძვირფასესი მეცნიერული წიგნსაცავი, სადაც ინახებოდა ტყავზე დაწერილი ხელნაწერები, მათ შორის V-VI საუკუნეების ეტრათი – ქართული ისტორიის უძველესი საბუთი და სხვ. სამწუხაროდ, სამშობლომდე ვერ მოაღწია ამ

უდიდესმა ბიბლიოთეკამ, პირადმა არქივმა და მისმა მეცნიერულმა მემკვიდრეობამ.

1995 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ არქიმანდრიტი გრ. ფერაძე წმინდანად შერაცხა.

კიტა ჩხენკელი (1895-1963 წწ.) შვეიცარიაში მეცნიერული ქართველოლოგიის ფუძემდებელია. დაიბადა ქუთაისში. კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1913 წ.) სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტში. 1920 წელს გაემგზავრა გერმანიაში ცოდნის გასაღრმავებლად. კალესა და ჰამბურგის უნივერსიტეტებში ეუფლებოდა ფილოსოფიას, პოლიტიკონომიას, სოფლის მეურნეობას.

1936 წელს კ. ჩხენკელმა მოიპოვა დოქტორის ხარისხი პოლიტიკურ ეკონომიაში და მოღვაწეობა დაიწყო ჰამბურგის უნივერსიტეტში, სადაც მალე დაავალეს ქართული ენის კურსის ნაკითხვაც. მართალია, კ. ჩხენკელს უმაღლესი ფილოლოგიური განათლება არ მიუღია, მაგრამ იგი დიდი ინტერესით შეუდგა ენათმეცნიერულ საქმიანობას; რაც მთავარია, მას აქ მიეცა საშუალება სინამდვილედ ექცია სანუკვარი ოცნება – მისანვდომი გაეხადა ევროპელთათვის ქართული ენა, რომლის ორიგინალური აღწერა უკვე დიდი ხანია იწვევდა უცხოელი ლინგვისტების ინტერესს.

1943 წელს კ. ჩხენკელი გადავიდა შვეიცარიაში, დასახლდა ციურიხში. ციურიხის უნივერსიტეტსა და კონფედერაციულ უმაღლეს სასწავლებელში მას დაავალეს **ქართული ენის სწავლება, რაც სრულიად ახალი რამ იყო მთელს შვეიცარიაში.**

კიტა ჩხენკელმა ციურიხის უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა ქართული ენის კათედრა, რომელიც მალე იქცა მძლავრ ქართველოლოგიურ ცენტრად. აქ აღიზარდნენ სახელგანთქმული ქართველოლოგები: **იოლანდა მარშევი, რუთ ნოიკომი, ლეა ფლური...**

უკვე ჯანმრთელობაშერყეულმა, მაგრამ გასაოცარი სულიერი მხნეობის მქონე მეცნიერმა – კ. ჩხენკელმა თავდაუზოგავი შრომის შედეგად 1958 წელს თავისი ერთგული მოწაფეების თანადგომითა და დახმარებით დაბეჭდა მონუმენტური

ნაშრომი (1500 გვერდიანი) „ქართული ენის შესავალი“ გერმანულად, სავარჯიშოები და ტექსტები – ქართულად. ღირსსაცნობია, რომ იმ დროს შვეიცარიაში ქართული სტამბა არ არსებობდა, ამიტომ კ. ჩხენკელმა შვეიცარიის ხელისუფალთა ნებართვითა და ნივთიერი დახმარებით დააარსა ქართული გამომცემლობა „ამირანი“, თავად მოაწყო სტამბა, რომლის შრიფტის მშვენიერი გარნიტური საკუთარი ხელით ჩამოასხა.

მონოგრაფიის პირველი ნაწილი თეორიულია, მეორე კი – პრაქტიკული (სავარჯიშოებითა და ქრესტომათიით). საილუსტრაციო მაგალითები ამოკრებილია ქართველი კლასიკოსი მწერლების ნაწერებიდან. „ქართული ენის შესავალმა“ მაღალი შეფასება დაიმსახურა მსოფლიოს სამეცნიერო ცენტრებში. სხვადასხვა ქვეყანაში დაიბეჭდა 50-ზე მეტი რეცენზია, რომლებშიც ერთხმად აღიარებდნენ სახელმძღვანელოს მაღალ თეორიულ დონესა და პრაქტიკულ ღირებულებას ქართულის შესწავლით დაინტერესებულ უცხოელთათვის. წიგნი მალე ითარგმნა ინგლისურადაც. „ქართული ენის შესავალმა“ ავტორს დიდი აღიარება მოუტანა, საქვეყნოდ გაუთქვა სახელი. ამ შრომისათვის ციურხის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტმა კ. ჩხენკელს მიანიჭა ფილოსოფიის საპატიო დოქტორის (ჰონორის კაუზას) ღირსება – „დასაფასებლად ქართული ენის ღრმად წარმოდგენისა და დაუღალავი ერთგულებისათვის...“

1960 წელს კ. ჩხენკელმა დაასრულა 2500-გვერდიანი „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ შედგენა და იწყო ნაკვეთებად მისი გამოცემა, მაგრამ თავად მხოლოდ 6 წიგნის გამოქვეყნება მოასწრო (მასწავლებლის გარდაცვალების შემდეგ ეს საშვილიშვილო საქმე 1974 წელს დაასრულეს მისმა მონაფეებმა).

„უცხოეთში განისვენებს კ. ჩხენკელის ტანჯული, მრავალ გაჭირვებაგამოვლილი სხეული, მაგრამ სული, ალბათ, კვლავ მზრუნველობით დასტრიალებს თავის მამულიშვილურ საქმიანობას: „უღვთო იყო მისი სიკვდილი!“ – ასე შეაფასა ქართულმა ემიგრაციამ ღვაწლი კაცისა, რომე-

ლიც საზღვარგარეთ 30 წელზე მეტხანს, გარდა მეცნიერული მოღვაწეობისა, ერთგულად ქომაგობდა ქართულ მწიგნობრობასა და კულტურას... „რომელმაც მარტომ, პირადი გარჯითა და რუდუნებით მოახერხა ამერიკული წარმოების საბეჭდი მანქანა ვერიტაიპერისათვის (მანქანას ქართულის გარდა ყველა დამწერლობის შრიფტით შეეძლო ბეჭდვა) დაემატებინა მეთოთხმეტე – ქართული დამწერლობა“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989, 17 თებერვალი).

ნიკოლოზ ჯანელიძე (1920-1993 წწ.) დაიბადა სამტრედიის სწავლობდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1941 წელს გაინვიეს სამამულო ომში. იბრძოდა ქერჩში, საიდანაც გერმანიაში მოხვდა, როგორც ტყვე. კეთილი მეპატრონის – გერმანელი გლეხისა და იმხანად გერმანიაში მცხოვრები აკაკი გამსახურდიას დახმარებით თავი დააღწია ტყვეობას და ჩავიდა რომში სახელგანთქმულ ქართველ ემიგრანტ მეცნიერთან – მ. თარხნიშვილთან. მისი ხელმძღვანელობით გაიარა ასპირანტურის კურსი და მიიღო ევროპის უმაღლეს სასწავლებელში ქართული ენის სწავლების მოწმობა.

წ. ჯანელიძე დაბრუნდა გერმანიაში და 1950 წლიდან დაიწყო მუშაობა ქართული ენის ლექტორად ჰამბურგისა და კილის უნივერსიტეტებში. აქ ასწავლიდა ქართულ ენას.

წ. ჯანელიძე მრავალმხრივი მოღვაწე იყო. ლიტერატურული საქმიანობით გატაცებულმა, ხელმოკლეობის მიუხედავად, დააარსა საკუთარი **გამომცემლობა „საქართველო“**, სადაც ბეჭდავდა თარგმანებსა და ორიგინალურ თხზულებებს, ქართველი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებს.

1984 წელს გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ შემოკლებული პროზაული თარგმანი. მისი მოღვაწეობის გვირგვინად მიჩნეულია **„ქართული ზღაპრები“**. გარდა ამისა, ქართული ენის შემსწავლელ უცხოელ სტუდენტთათვის შეადგინა „გერმანულ-ქართული სასაუბრო“, გერმანულ ენაზე დაბეჭდა ი. გოგებაშვილის მიხედვით შედგენილი **„დედაენა“**.

ნ. ჯანელიძის სახელთანაა დაკავშირებული გერმანულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ამსახველი ბევრი საინტერესო ღონისძიება, რომლებმაც საყოველთაო აღიარება მოუპოვეს უცხოეთში.

კალისტრატე (კალე) სალია (1901-1986 წწ.) დაიბადა წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვალში. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. 1921 წელს გაემგზავრა გერმანიაში. ჯერ დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტთან არსებული ენისა და ლიტერატურის ორწლიანი ინსტიტუტი, შემდეგ კი – ქ. ჰალეს უნივერსიტეტის იურიდიულ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საცხოვრებლად საბოლოოდ დამკვიდრდა საფრანგეთში.

კ. სალიას სამეცნიერო-შემოქმედებითი მოღვაწეობა, პირველ ყოვლისა, დაკავშირებულია ჟურნალთან **„ბედი ქართლისა“**.

1947 წელს კალისტრატემ და მისმა მეუღლემ – ნინომ საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო ცენტრის ფინანსური დახმარებითა და ნებართვით დააარსეს სამეცნიერო ისტორიულ-ლიტერატურული ჟურნალი **„ბედი ქართლისა“**. თავდაპირველად ჟურნალი მცირე მოცულობისა იყო, წელიწადში 4-ჯერ გამოდიოდა ქართულ ენაზე, ემსახურებოდა ვიწრო წრეს. ჟურნალის რედაქცია განთავსებული იყო სალიების ბინაში.

1957 წლიდან ჟურნალს ეწოდა **„ბედი ქართლისა – რევიუ დე ქართველოლოგი“** („ბედი ქართლისა – ქართველოლოგიური მიმოხილვა“), იგი გაფართოვდა მოცულობითაც. მასში სტატიები იბეჭდებოდა ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე, ზოგჯერ იტალიურადაც. ჟურნალი შეუფერხებლად გამოდიოდა 1984 წლამდე (კ. სალიას ავადმყოფობის შემდეგ შეწყდა გამოცემა). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ კ. სალია იყო ჟურნალის სული და გული, რედაქტორი და კორექტორიც კი, მეუღლესთან ერთად – გამომცემელიც.

სალიებმა ჟურნალის გარშემო შემოიკრიბეს მსოფლიოს ცნობილი ქართველოლოგები, უცხოელი თუ ჩვენი თანამემამულე მეცნიერები:

მის. წერეთელი, მის. თარხნიშვილი, ე. თაყაიშვილი, გრ. რობაქიძე... გ. წერეთელი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, არნ. ჩიქოზავა, ს. ყაუხჩიშვილი, ალ. ბარამიძე, ე. მეტრეველი და სხვები. ჟურნალის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ მსოფლიოს ცნობილი ქართველოლოგები, კავკასიოლოგები და ორიენტალისტები.

მეტად მრავალფეროვანი იყო კ. სალიას მეცნიერული მემკვიდრეობა. დაწერილი აქვს მრავალი ნაშრომი ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებზე.

1980 წელს ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა კ. სალიას ფუნდამენტური ნიგნი **„ქართველი ერის ისტორია“**; ნიგნს იმავე წელს მიენიჭა საფრანგეთის აკადემიის პრემია (ინგლისშიც გამოიცა ნაშრომის ინგლისური თარგმანი). **„ქართველი ერის ისტორია“** მაღალი შეფასება მისცეს ცნობილმა ევროპელმა ქართველოლოგებმა. მაგალითად, **ჰანს ფოგტი** წერდა: „ეს არის შესანიშნავი ნაშრომი, რომელსაც ქართველი ერი იმსახურებს. ფრანგი მკითხველისათვის იგი იქნება შესანიშნავი საშუალება ძალზე ნაკლებად ცნობილი ერის ისტორიისა და კულტურის შესასწავლად“.

პროფესორი კ. სალია, როგორც ევროპაში სახელგანთქმული ქართველოლოგი, არჩეული იყო სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ცენტრების წევრად; კერძოდ: იყო ჰამბურგის, ოსლოს, კამბერის, ბორდოს უნივერსიტეტებისა და პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის საპატიო დოქტორი, პროფესორი; ხმელთაშუა ზღვის აკადემიის წევრი, ასევე: პარიზის სააზიო საზოგადოების, პარიზის ლინგვისტური საზოგადოების, ბიზანტიოლოგიის საზოგადოების, პარიზის საისტორიო საზოგადოების წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, აკადემიკოსი... ყოველწლიურად (15 წლის განმავლობაში) ირჩეოდა მეცნიერული პრესის საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტად.

სალიების ოჯახს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მეცნიერებთან, სამეცნიერო წრეებთან, განსაკუთრებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტ-

თან, რომელსაც სალიებმა საჩუქრად გადასცეს საკუთარი ბიბლიოთეკის 1000 ეგზემპლარი (ქართველოლოგიური, ორიენტალისტური ლიტერატურა). ეს უძვირფასესი განძი **ნინო სალიას** სახელით ინახება საქართველოს **ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში**. სალიებმა მთელი თავიანთი ქონება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას უანდერძეს¹. ანდერძის თანახმად, კალისტრატე სალია (მეუღლესთან ერთად) განისვენებს დედუბის პანთეონში.

ქართველი ემიგრანტი, პოლიტიკური მოღვაწე და რუსთველოლოგი **ვიქტორ ნოზაძე (1893-1975)** დაიბადა ზემო იმერეთში. 1913 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია. სწავლობდა ჯერ მოსკოვის, შემდეგ კი ლონდონისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ საცხოვრებლად დარჩა პარიზში, სადაც გამოსცემდა ლიტერატურულ-მეცნიერულ და პოლიტიკურ ჟურნალს „კავკასიონი“. **მან დაწერა საინტერესო გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ**; კერძოდ: „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“ (1953, ბუენოს-აირესი), „ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება“ (1957, სანტიაგო დე ჩილე), „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“ (1959, სანტიაგო დე ჩილე), „ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება“ (1959, სანტიაგო დე ჩილე), „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“ (1963, პარიზი), „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება“ (1975, პარიზი)...

ვახტანგ ჯობაძე (1917-2007) – ხელოვნების ისტორიკოსი, კალიფორნიის შტატის უნივერსიტეტის პროფესორი. 1940 წელს, მეორე მსოფლიო ომის დროს, ჩავარდა ტყვედ და დარჩა გერმანიაში. სწავლობდა გიოტინგენისა და ფრაიბურგის უნივერსიტეტებში. 1950 წლიდან მოღვაწეობდა ამერიკაში; მუშაობდა იუტისა და კალიფორნიის უნივერსიტეტებში. ლოს-ანჯელესში, კალიფორნიის შტატის უნივერსიტეტში, განაგებდა ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტს.

ვ. ჯობაძე იყო ერთადერთი იმდროინდელი ქართველი მკვლევარი, რომელსაც, ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ, საშუალება ჰქონდა ემოგზაურა და შეესწავლა ტაო-კლარჯეთის და ანტიოქიის ძეგლები. ავტორია მრავალი მონოგრაფიისა ქართული არქიტექტურის შესახებ, რომლებიც იბეჭდებოდა ქართულ და უცხოურ ენებზე. მასვე ეკუთვნის კვიპროსზე ლალიის ქართული მონასტრის ნანგრევების აღმოჩენა (1981). შეისწავლა ანტიოქიაში ქართველ მონაზონთა ცხოვრება, აგრეთვე შავ მთაზე ძელიცხოვლის მონასტერი. ვახტანგ ჯობაძე გარდაიცვალა კარლსბადში; დაკრძალულია თბილისში. მას ეკუთვნის შრომები: ოშკის ტაძარი (ორი წერილი ოშკის ტაძარზე, თბ., „მეცნიერება“, 1981); შენიშვნები ოთხთა ეკლესიაში სიონის ალევორიული გამოსახულების სიუხვის რქების შესახებ (ლიტერატურა და ხელოვნება, თბ., 1999, №1, გვ. 69-76); ოთხთა ეკლესიის ერთი გამოსახულების არსის შეცნობის ცდა (ხელოვნებათმცოდნეობა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, 2005, №6, გვ. 292-301); ხანძის მონასტრის წმ. გიორგის ეკლესიის ჯვარი და მისი არსი (ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის შრომები, 2003, ტ. 349, გვ. 416-417); ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში (თბილისი, 2007); წმ. ვარლამის მონასტერი კასიუსის მთაზე: 1962-67 წლებში გათხრების დროს გამოვლენილი ქართული სკულპტურის ნიმუშები და ეპიგრაფიკული მასალა („მრავალთავი“, 2001, №19, გვ. 418-435; ჩემი თავგადასავალი; თბ. 2009).

* * *

XVI-XIX საუკუნეებში მუსლიმანურ ზღვაში მართლმადიდებლურ კუნძულად შემორჩენილ საქართველოში, ოსმალეთისა თუ ირანის გეოპოლიტიკური ინტერესების შესაბამისად, ბევრი ქართველი გაამუსლიმანეს; გასაგები მიზეზების გამო, ირანიც და ოსმალეთიც უფრო მართლმ-

¹ სამწუხაროდ, ანდერძის ეს ნაწილი ჯერ არ აღსრულებულა.

დიდებლობას ებრძოდა, ვიდრე კათოლიკობასა თუ გრიგორიანელობას (სომხური ქრისტიანობას); ამიტომაც ქართველთა ნაწილი კათოლიკე ან გრიგორიანელი გახდა¹.

კათოლიკე ქართველთაგან განსხვავებით, **მუსლიმან და გრიგორიანელ ქართველებს ქართულენოვანი კულტურა არ შეუქმნიათ**; თუმცა მრავალი ფაქტი ცხადყოფს, რომ ნიჭიერმა ქართველებმა დიდი სამსახური გაუწიეს როგორც ოსმალეთის, ასევე, ირანის იმპერიებს; მაგ., სხვადასხვა დროს ოსმალეთის დიდი ვეზირი (პრემიერ-მინისტრი) 20-მდე ქართველი იყო. უთუოდ იქნებოდნენ ისეთნიც, რომლებიც **სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილის, ლომან-ეფენდი ქარცივაძისა² და ახმედ მელაშვილის³** მსგავსად, თურქულენოვან სამყაროშიც იბრძოდნენ ქართული გენის გადასარჩენად და ქართული კულტურის წარმოსაჩენად, თუმცა, სამწუხაროდ, მათი სახელები ნაკლებადაა ცნობილი.

ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ისტორიული საქართველოს მცირე ნაწილის – **აჭარის** – ოსმალეთისგან გათავისუფლებისა და ქართულენოვანი სკოლების ამოქმედებისთანავე საქართველოს ამ კუთხეში აღორძინდა **წმინდა ტბელ აბუსერიძის მიერ დიდ სიმაღლემდე აყვანილი ქართული ეროვნული გზა**; კერძოდ, აჭარელი ხიმშიაშვილების, კაიკაციაშვილების, აბაშიძეების, დიასამიძეების, ფუტყარაძეების, კახიძეების... შემოქმედება ისევ იქცა ქართულენოვანი კულტურის მძლავრ ნაკადად: ბოლო 150 წელში დიდებულ პატრიოტებად, პოეტებად თუ მეცნიერებად წარმოჩნდნენ: შერიფ და ნური ხიმშიაშვილები, გულო-ალა კაიკაციაშვილი, ჰაიდარ და მემედ აბაშიძეები, ისკენდერ-ეფენდი ცივაძე, ნური-ეფენდი თავდგირიძე, ჯემალ ნოლაიდელი, შუქრი (შოთა) ნიჟარაძე, დავით ხახუტაიშვილი, ფრიდონ ხალვაში, ზურაბ გორგილაძე, შუშანა ფუტყარაძე,

ბიჭიკო დიასამიძე, რამაზ სურმანიძე, ამირან და ნოდარ კახიძეები და მრავალი სხვა.

ოსმალეთის (თურქეთის) საზღვრებში დარჩენილ თუ მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლებს შორის ბოლო დრომდე ცოტა იყო ისეთი, ვინც აქტიურად ცდილობდა თურქეთის მოქალაქე ეთნიკურ ქართველებში ქართული ცნობიერების (თვითშეგნების) აღორძინებას; მათგან ორი დიდებული ქართველის – ახმედ მელაშვილისა და ვახტანგ მალაყმაძის – ისტორიებს წარმოვადგენთ.

ახმედ მელაშვილი (1922-1980). მუჰაჯირ ქართველთა შთამომავალი ახმედ ოზკანი (მელაშვილი) სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა მეოცე საუკუნის 60-იან წლებში. თავდაპირველად იგი აგროვებდა სამეცნიერო და პოპულარულ მასალას ქართველთა ისტორიისა და კულტურის შესახებ და აცნობდა თურქეთელ თანამემამულეთ – „ჩვენებურებს“.

XX საუკუნის 70-იან წლებში ახმედ მელაშვილი პროფესორ ოთარ გიგინეიშვილის ხელშეწყობით, ჩამოდის თბილისში იმ იმედით, რომ დახმარება მიიღოს თურქეთში ქართული საქმეების საკეთებლად. პარალელურად, იგი კონტაქტს ამყარებს ევროპაში მცხოვრებ ემიგრანტ ქართველებთანაც.

1962 წელს ახმედმა სოფელ ჰაირიეში დააარსა ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. 1970-იან წლებში ქალაქ ინეგოლში შექმნა კავკასიის კულტურის ცენტრი. 1968 წელს თურქულ ენაზე გამოიცა ახმედ მელაშვილის მიერ შედგენილი წიგნი „გურჯისტანი“. წიგნს დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი და ახმედ მელაშვილის ორი თვით დაპატიმრება მოჰყვა, თუმცა შემდეგ სასამართლომ ახმედი გაათავისუფლა და წიგნის გავრცელების ნებაც დართო.

1977 წელს ახმედ მელაშვილმა შალვა თევზაძესთან, ვახტანგ მალაყმაძესთან და სხვა თანა-

¹ ამ დროს ძალიან მძიმე იყო ოთხ განსხვავებულ სარწმუნოებრივ-იდეოლოგიურ ველში მყოფი ქართველების ბედი: ზოგი მართლმადიდებლად დარჩა, ზოგი გრიგორიანელი გახდა (სულთან მუხამედ მეორის 1461 წლის ბრძანების შესაბამისად), ზოგი – კათოლიკე, ზოგიც – მუსლიმანი (ს. ვარდოსანიძე, 2004, გვ. 14-15). მიუხედავად ამისა, მრავალსაუკუნოვანი **ენობრივ-კულტურული იდენტობის** მქონე ქართველობამ მაინც შეინარჩუნა ერთიანი ეროვნული ცნობიერება.

² იხ. შ. ფუტყარაძე, ლომან-ეფენდი ქარცივაძე, ქართველური მემკვიდრეობა, XVII, ქუთაისი, 2013.

³ ახმედ მელაშვილის შესახებ იხ., ქვემოთ.

მოაზრებებთან ერთად დაიწყო ჟურნალ „ჩვენ-ბურების“ გამოცემა.

1978 წელს ახმედი უკანასკნელად ჩამოვიდა საქართველოში და, როგორც ფრიდონ ხალვაში წერს, იმედგაცრუებული წავიდა. 1980 წლის 5 ივლისს კი იგი მოკლეს.

ახმედ მელაშვილის მკვლელობის შესახებ სამი მოსაზრება არსებობს:

- ახმედ მელაშვილი მოკლეს უცნობმა პირებმა;
- ახმედ მელაშვილი, როგორც დიდი ქართველი მოღვაწე, მოკლეს თურქმა ნაციონალისტებმა – „რუხმა მგლებმა“;
- ახმედ მელაშვილი, როგორც თურქული მემარცხენე პარტიის აქტიური წევრი, მოკლეს თურქმა მემარჯვენეებმა.

შესაძლებელია დავუშვათ **სხვა ვერსიაც**: ახმედ მელაშვილი, როგორც დიდი ქართველი მოღვაწე, მოკლეს საბჭოთა იმპერიის მესვეურებმა, რადგანაც მათ ვერ შეძლეს მისი გამოყენება:

ცნობილია, რომ მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში კრემლის ინტერესებში ნაკლებად შედიოდა ქართველური ცნობიერების გაღვიძება საქართველოში, თურქეთსა თუ რუსეთში. ამქვეყნიური სიცოცხლის ბოლო პერიოდში თავად ახმედ მელაშვილიც დარწმუნდა, რომ საბჭოთა საქართველოში თითქმის ყველაფერს მაინც **იმპერიული კრემლი განაგებდა**: მას გულს სტკენდა საბჭოთა კავშირში ქართველთა უუფლებობა; ეს კარგად ჩანს ფრიდონ ხალვაშის მოგონებიდან; კერძოდ, ბოლო შეხვედრისას ახმედ მელაშვილმა მეგობარ პოეტს თითქმის ატირებულმა უთხრა:

„რა სამწუხარო საქართველოა დღეს, ვის ხელშია საქართველო... აქედან მოსკოვით პირდაპირ პარიზში ვაპირებ წასვლას, იქ უკეთეს ქართველებს ვნახავ“ (ფ. ხალვაში, „ომრი“, 2007 წ., გვ. 208).

მკვლევები შეცდნენ: წმინდა ილიას დარად, მონამეობრივი სიკვდილის შემდეგ, ახმედ მელაშვილი უფრო დიდ ქართველურ საქმეს აკეთებს.

ვახტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ). ვახტანგ მალაყმაძე დაიბადა 1936 წელს ბურსის ვილაიეთის ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეში. მისი წინაპრები 1877-78 წლების რუსეთ-ოს-

მალეთის ომის შემდეგ მაჭახლიდან (სოფელ ჩიქუნეთიდან) წასულან მუჰაჯირებად და დასახლებულან სოფელ ჰაირიეში. მან განათლება მიიღო სტამბოლის ილდიზის პოლიციის სკოლაში. მუშაობდა საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე სამოქალაქო თავდაცვის სფეროში, სხვადასხვა ვილაიეთში. პენსიაზე გასვლის შემდეგ ვახტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ), ძირითადად, ინეგოლში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქართული კულტურის გადარჩენისა და მეცნიერული შესწავლის მიმართულებით. სამწუხაროდ, სიცოცხლის ბოლო წლებში მხედველობა დაკარგა. გარდაიცვალა 2002 წელს. დაკრძალულია ქალაქ ინეგოლის „მაჰმუდიეს“ სასაფლაოზე.

ვახტანგ მალაყმაძემ (ჰაირი ჰაირიოღლუმ) ქართული ლაპარაკი ოჯახში ისწავლა, ხოლო 1951 წელს ქართულ წერა-კითხვასაც დაეუფლა სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტრის ბიბლიოთეკაში. ვახტანგ მალაყმაძე აქტიურ მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა. მის მიერ მთარგმნილი ლიტერატურული შედეგები გამოქვეყნდა „გურჯისტანში“. ვახტანგ მალაყმაძემ მოამზადა და გამოსცა „ქართული საბავშვო ზღაპრები“. წიგნი ორტომეულის სახით დაიბეჭდა და დიდი პოპულარობა მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ წიგნი დადებითად შეაფასა სახელმწიფო უწყებამაც – თურქეთის განათლების სამინისტრომ.

ვახტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ), ახმედ მელაშვილი (ოზკანი) და სხვა თურქეთელი ქართველი მოღვაწეები მუდამ ცდილობდნენ თურქეთის ლაზების დაახლოებას საერთო ქართულ კულტურასთან. ერთ-ერთი პირველი ნაშრომი, რომლითაც თურქეთის საზოგადოება და თვით ლაზები გაეცნენ ლაზთა ისტორიის, წარმომავლობისა და კულტურის საკითხებს – ობიექტურ სამეცნიერო კვლევას ამ პრობლემებზე, იყო ვახტანგ მალაყმაძის (ჰაირი ჰაირიოღლუს) მიერ თურქულად მთარგმნილი და 1992/3 წელს გამოცემული მ. ვანილიშისა და ა. თანდილავას ნაშრომი – „ლაზების ისტორია“. ამ ნაშრომის გავრცელებით დაიწყო ლაზთა ისტორიული ეროვნული (ქართული) ცნობიერებისა და მათი

ტრადიციული კულტურის აღორძინებისათვის ბრძოლა – ყველა მხარისათვის ობიექტური ისტორიის გააზრებინება (რომ ლაზთა ენობრივ-კულტურული და ნაწილობრივ, პოლიტიკური ისტორია ქართველი ერის ისტორიის ნაწილია).

ვახტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოლლუ) ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს ისტორიის საკითხებზე. მას სურდა თურქეთის ქართველებისათვის მიეწოდებინა საქართველოს ისტორია თურქულ ენაზე. რამდენიმე წლის დაულალავი შრომის შედეგად თარგმნა ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას „საქართველოს ისტორია“. ბუნებრივია, პრობლემა იყო საგამომცემლო თანხის მოძიება და ამ საქმეში მას მხარდაჭერა კვლავ ცნობილმა საგამომცემლო სახლმა „სორუნ იაინლარმა“ აღმოუჩინა. „საქართველოს ისტორია“ 1997 წელს გამოქვეყნდა; განმეორებით გამოიცა 2000 წელს. წიგნი 305 გვერდს მოიცავს; ის საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ არსებულ უმთავრეს თურქულენოვან გამოცემას წარმოადგენს.

ქართული კულტურის პოპულარიზაციას ეძღვნება ვახტანგ მალაყმაძის (ჰაირი ჰაირიოლლუს) მიერ მომზადებული, შედგენილი და თურქულად თარგმნილი კიდევ ერთი ნაშრომი – „ტრაპიზონიდან აფხაზეთამდე – აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ხალხების ისტორია და კულტურა“.

სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, ვახტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოლლუ) აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა; ის იყო ქართული იდენტობისა და კულტურის გადარჩენისაკენ მიმართული ყველა კეთილი ნამოწყების მონაწილე, მხარდამჭერი და, ხშირ შემთხვევაში, ინიციატორიც. ახმედ მელაშვილის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ სწორედ მან იტვირთა ეროვნულ-კულტურული მოძრაობის წარმართვის მთელი სიმძიმე. ვახტანგ მალაყმაძის რჩევებითა და თანადგომით შეძლო ქართველ მო-

ღვაწეთა ახალგაზრდა თაობამ (გურამ ხიმშიაშვილი, იბერია მელაშვილი, გურამ ქოქოლაძე, გიორგი ირემაძე, მამია დუმბაძე, ფარნა ჩალაშვილი, არჩილ ზოიძე, ელიზბარ ციმნარიძე და სხვები) დიდი ახმედ მელაშვილის მიერ დაწყებული კულტურული მოძრაობის გაგრძელება. ამავე დროს, ვახტანგ მალაყმაძე იდგა 1984 და 1987 წლებში დაარსებული ქართული საზოგადოებების სათავეებთან¹.

...ვინ მოთვლის, რამდენი ქართველი ემიგრანტი აღესრულა უცხოეთში; **ბევრმა მათგანმა** პირნათლად მოიხადა მამულიშვილური ვალი: წარმოაჩინა ქართველი კაცის დიდი შემოქმედებითი პოტენციალი, მაღალზნეობრიობა, შრომისმოყვარეობა და ნიჭიერება, თუმცა, ქართველ ემიგრანტთა ნაწილმა თავისი სასიცოცხლო ენერგია სრულად მოახმარა მიმღებ ქვეყანას და, თავისი მაღალი მდგომარეობის მიუხედავად, **სასიკეთო ბევრი არაფერი გაუკეთებია საქართველოსათვის** (მაგ., მამელუკთა ქართველ სარდლებსა თუ ოსმალეთის იმპერიის დიდგვირთ, პეტრე ბაგრატიონს, იოსებ სტალინს...); ამ თვალსაზრისით ორსახოვანი მოვლენაა **გიორგი სააკაძე**, რომელიც საქართველოს კანონიერ მეფეებს ებრძოდა ხან ირანის ჯარით, ხანაც – ოსმალეთის მხარდაჭერით და დიდი ზიანიც მოგვაყენა; ერთხელ კი, 1625 წლის 25 მარტს, მარტყოფის ბრძოლაში მის მიერვე საქართველოში ჩამოყვანილი ირანის ჯარის განადგურებით **ქართველი ერი დიდ უბედურებას გადაარჩინა**.

საბედნიეროდ, ბოლო პერიოდში დიდ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის უცხოეთში დაბადებულ თუ გახიზნულ ქართველთა ახალი თაობა, რომელიც დიდი თავგამოდებით ემსახურება მშობელი ერის კულტურას; მაგ., ირანში – **პროფესორი საიდ მულიანი**, თურქეთში – **ფეიზი ჩელები**, **ფარნა ჩილოლლუ** (ჭილაშვილი), **შენოლ თაბანი** (ნიკო ღვინიაშვილი), **ერდოგან შენოლი** (დავითაძე), **ელიზბარ ციმნარიძე** (ერდარ ქუჩუკი) და სხვ.

¹ რ. გუჯეჯიანი, ვახტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოლლუ) – ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე თურქეთში; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, თბ., 2011.

ჩუსჩია



პარიაშ პარტანობვილი

ქალთა სახეები მიხეილ მახარაძის წიგნში „პარიანი“

ქართულ სინამდვილეში ქალის უპირველეს როლზე მეტყველებს ძველი, წარმართული დროინდელი ხალხური ლექსი: „მზე, დედაა ჩემი, მთვარე მამაჩემი“, რაც იმის მაუწყებელია, რომ ლეგენდებმა და თქმულებებმა ქალის საზოგადოებრივ მდგომარეობაზე კაცობრიობის შორეულ წარსულიდანვე დიდი საუნჯე დაგვიტოვეს.

უძველეს ცივილიზაციის პირობებში ქალი ოჯახის უფროსად ითვლებოდა და ქონებაზე მემკვიდრეობაც მისი ხაზით ვრცელდებოდა. მასვე ჰქონდა უფლება აქტიური მონაწილეობა მიეღო მატერიალურ თუ სოციალურ-ტექნოლოგიების შექმნაშიც.

მრავალი რელიგიური მითით დასტურდება, რომ მიწათმოქმედების გამოგონება ეგვიპტურ წყაროებში ქალმერთს ისიდას, ხოლო მესოპოტამიურში ნინლილს მიენერებოდა. უძველეს მითებში ფეიქრობაც ქალღვთაებებთან ასოცირდებოდა. იმდროიდან მოყოლებული სწორედ ქალი უკავშირდებოდა სიბრძნეს, სამართლიანობასა და გონიერებას.

დამწერლობაც, რომლის შექმნის დროდ 3200 წელი ითვლება, ხოლო ადგილად შუმერი, როგორც ჩანს, უფრო ძველი წარმოშობისაა და ასევე ქალთანაა დაკავშირებული. შუმერულ ფირფიტებზე ქალმერთი ნისაბა წოდებულია ციურ მწერლად, თიხის ფირფიტებისა და დამწერლობის გამომგონებლად. ინდურ მითოლოგიაში ალფაბეტის ავტორად ითვლება ქალმერთი სარასვატი.

საზოგადოებებში, სადაც ქალმერთის კულტი იყო გამეფებული ცნობილი იყო ასევე ხის, ტყავისა და ლითონების დამუშავების სულ უფრო რთული ხერხები.

იმ ეპოქას მიეკუთვნება ასევე, ისეთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტები, როგორებიცაა: კანონმდებლობა, მართვა და რელიგია, რომელსაც გიმბუტასმა „ძველი ევროპა“ უწოდა, ხოლო ჩვენ შეგვიძლია „ძველი საზოგადოება“ ვუწოდოთ.

მას შემდეგ, რაც მატრიარქატის ეპოქა პატრიარქატით შეიცვალა და მახვილის ძალა გაიძლიანდა, რომ ვაჟკაცობა გახდა იგივე, რაც ძალადობაა. მამაკაცთა დომინაციის საზოგადოებებში ყველაფერი, რაც ქალთან იყო ასოცირებული აღიქმებოდა მეორე ხარისხოვნად. ქალებს დროთა განმავლობაში თანდათან ჩამოართვეს მართვის სადავეები და მისი ფუნქციები მხოლოდ საოჯახო საზრუნავით შემოფარგლეს.

შემთხვევითი როდია, რომ მრავალ რელიგიურ სისტემაში ადამიანთა ქომაგი ღმერთი სწორედ მამაკაცის სახით იშვა: იესო, მუჰამედი, ბუდა, კრიშნა.

„მადლობელი ვარ უფალო, რომ შენ მე ქალად არ გამაჩინე“, – იმეორებს ყოველდღიურ ლოცვაში ორთოდოქსი იუდეველი.

„ცოლებო დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალს, რამეთუ ქმარი არის ცოლის მბრძანებელი, ვითარცა ქრისტე ეკლესიის“, – გვარიგებს ბიბლია.

„ქმრები ცოლებზე მაღლა დგანან იმიტომ, რომ ალაჰმა უბოძა უპირატესობა პირველთ მეორეებზე“, – გვიმტკიცებს ყურანი. ნათქვამი საკმაოდ დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ რელიგიური სწავლებანი, ერთხმად აცხადებენ საზოგადოებაში ქალების დაქვემდებარებულ როლს.

ქალებს ასევე არათანასწორუფლებიანად მიიჩნევდა ანტიკური ხანის ფილოსოფოსები: არისტოტელე „ქალებს ბუნების შეცდომას უწოდებდა“, ტომა აქვინელი მათ „დაუსრულებელ, მოუმთავრებელ მამრებად იხსენიებს“.

მარადიული დუეტი – ქალი და მამაკაცი – თავის ასახვას პოულობდა მითოლოგიაში, ეპოსში, ლიტერატურაში, ფერწერაში, მუსიკაში, ფილოსოფიაში, რელიგიურ სისტემაში, ფოლკლორში და სხვა.

შუა საუკუნეებში იყო მწერლები, რომლებიც მამაკაცებს პრივილეგიურულ და აღმატებულ არსებებად აღიარებდნენ. მხოლოდ მცირე რიცხვი მოაზროვნეების იცავდნენ ქალთა ინტერესებს. გვიანი რენესანსის ნაშრომთა უმეტესობა მაინც ქალთ მოძულე, მიზოგენური ტექსტებია.

ყველა რელიგიური რწმენა ეჭვქვეშ აყენებდა ქალის ფენომენს და მათ განამტკიცეს აზრი, რომ ბავშვობაში ქალი მამას უნდა ემორჩილებოდეს, მონიფულობაში – ქმარს, ქმრის სიკვდილის შემდეგ ვაჟიშვილებს.



სწორედ, ქალთა ამ უუფლებო მდგომარეობაზე მოგვითხრობს ფილოსოფოსს მიხეილ მახარაძის ახლახან გამოსული წიგნი „მერიემი“, რომლის შესახებ ავტორი წერს: „2006 წელს ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქციამ გადამწყვიტა ჩემი საიუბილეო თარიღის აღნიშვნა. ამასთან, მაინცდამაინც აქცენტი გააკეთა მხატვრულ შემოქმედებაზე, რაშიც არც ამბიციები გამაჩნდა და არც პრეტენზიები. თუმცა, საბოლოოდ მაინც დავთანხმდი რედაქციის თხოვნას და არქივიდან რამდენიმე მხატვრული ჩანახატი შევარჩიე.“

ნაწარმოებების დიდი უმრავლესობა 30-35 წლის წინ არის დაწერილი. ყველა მათგანში რეალურად მომხდარი ამბავია გადმოცემული. რა თქმაუნდა, ზოგიერთი მათგანი შევსებულია მხატვრული თვალსაზრისით, ზოგიერთი პირიქით – განმედილია ზედმეტი პასაჟებისგან. მაგალითად, ყველაზე ვრცელ მოთხრობაში – „მერიემი“ სამ ოჯახში დატრიალებული ამბებია გაერთიანებული. ნაწარმოებებში გადმოცემული ამბების აბსოლუტური უმრავლესობის მომსწრე ვარ, რამდენიმე კი სხვისგან მაქვს მოსმენილი. ჩემთვის ამ რეალური ამბების გამომზეურება არის მნიშვნელოვანი, რადგან მათში ჩემი კუთხის – მთიანი აჭარის ერთი ხეობის, ძირითადად კი – ერთი თემის სპეციფიკური მოვლენებია ასახული“.

მიხეილ მახარაძე, მესხიერებას შემორჩენილ, მამაკაცთა ძალისხმევით შექმნილ დოქტრინას „ბავშვობაში ქალი მამას უნდა ემორჩილებოდეს, მონიფულობაში – ქმარს, ქმრის სიკვდილის შემდეგ ვაჟიშვილებს“, – ამუქებს თავის მოთხრობებში: „მერიემი“, „ცოლყოფილი“, „მამამთილი და ძალოები“, „მამა, დედა, დუდანა და... მე“.

მოთხრობებში ქალთა უუფლებო მდგომარეობაზე შექმნილი ერთი მთლიანი ოდა, სხვადასხვა ასპექტით გადმოგვცემს რელიგიურ და ადათ-წესების რკალში მოქცეულ დედათა ტვირთსა და ტკივილს.

ამბობენ, ბედნიერება არის სიამოვნება უსინანულოდ. მოთხრობა „მერიემის“ პერსონაჟები ნურის სამოლიძე და მისი მეუღლე მერიემი ერთი შეხედვით ერთმანეთს სიამტკბილობაში შეაბერდნენ, მაგრამ მამაკაცი მაინც უკმაყოფილო იყო ღმერთის განაჩენით: „რა გაძვირდა ამისთანა, ერთი ბიჭიც ჩვენთვისაც რომ ეჩუქებინა ღმერთს. ვბერდები და შველას ვერსაიდან ვხედავ... ამ ბოლო დროს ნური უფრო და უფრო ნუხდა, რომ გვარის გამგრძელებელი არ ჰყავდა. მერიემიც შეწუხებული იყო ამით და თანაუგრძობდა კიდევ ქმარს...“

საერთოდ, ქორწინება ადამიანის ყველაზე ძვირფასი განძია, მაშინ, როდესაც მას სულის, გულის, გრძნობის, გემოვნებისა და ხასიათის თანხმობა ახლავს.

სოფელში ნური და მერიემი ბედნიერ წყვილად ითვლებოდა, რადგან „ფეხი შემოდგა თუ არა მერიემმა ნურის ოჯახში, მას შემდეგ ეს ოჯახი რომ იტყვიან სულ წინ მიდიოდა... მერიემი ქმრის ნათესაობის, მეზობლებისა და მთლიანად სოფლის თვალი შეიქმნა. რვა წელიწადში ნურის ოთხი შვილი აჩუქა და ყველა ქალიშვილი. არადა, ამ მხარეში მტკიცედ დამკვიდრებული ტრადიციით გვარის გამგრძელებელი ოჯახში აუცილებელი იყო. აქ ხომ უბიჭობა ლამის უშვილობას იყო გატოლებული. სწორედ, ამიტომაც ნურისა და მისი ოჯახის კეთილმოსურნენი ხშირად დაიჩვილებდნენ, „რა იქნებოდა ამ ღვთისმოსავ და სიკეთით აღსავსე ქალს ერთი ბიჭი მაინც ჰყოლოდაო“...

ადამიანს აქვს მისწრაფება, რომ დაეფუძნოს თავის ძირს. ეს ძირი ხშირად არის არა მარტო ბიოლოგიური, არამედ ტრადიციული, რაც თავისთავად ისტორიული მემკვიდრეობაა. ამ ხედვიდან გამომდინარე, ალბათ, ამიტომაც აქვს ადამიანს მიდრეკილება ტრადიციების შენარჩუნებისა და დაცვის.

ნური სამოლიძე ბედისწერას უკავშირებდა თავის უძეობას, რადგან გარდაცვლილი ძმის დანიშნული ჰყავდა ცოლად შერთული და სოფლად გავრცელებული რწმენის შიში – „ძმის საცოლის შემრთველი ვერ იხიერებს“ – მოსვენებას არ აძლევდა.

„ბიჭის მემკვიდრედ ჰყოლა, მართალია, „ბოლო ხანებში ეს უნესო წესი ძალას კარგავდა. თუმცა აქა-იქ მაინც იყო შემორჩენილი. მერიემიც ამ წესის ტყვეობაში იყო და სწორედ ამან გააბედვინა იმ ღამეს ქმრისთვის ეთქვა „ამხანაგი მომიყვანეო“...

მეუღლის სიტყვებმა ნურიც ააფორიაქა და „საითაც არ გაიხედა და თუ რამე გაახსენდა ყველგან მერიემსა და მის კეთილ საქმეებს გადააწყდა. ფიქრებში კითხვაც დაუსვა თავის თავს – „რომ დავთანხმდე, მერე გადაიტანს ყველაფერს ამას ქალი?“

მიხეილ მახარაძე ორი მოსიყვარულე ადამიანის გულში ჩაბუდებულ უანგარო სიყვარულის სიმფონიას, მხოლოდ დეტალებით გადმოგვცემს. მაგრამ დეტალები ზოგჯერ უფრო მრავლის მთქმელი და მეტყველია.

ავტორს, როგორც ფილოსოფოსსა და ფსიქოლოგს მოთხრობაში შემოაქვს ბევრი ფსიქოლოგიური პასაჟი. რაკი მერიემმა ქმარი დაითანხმა „ამხანაგის მოყვანაზე“, მის განსახორციელებლად მეზობელ სოფელში ნურის დობილს ესმას მიაშურა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ადრე დაქვრივებული ესმა მათ ჭირსა თუ ლხინს ყველაზე მეტად გაიზიარებდა. ამიტომ მიხეილ მახარაძეს თავის მოთხრობაში „ოთარაანთ ქვრივის“ ანალოგიური სახე მორიგ პერსონაჟად შემოყავს.

„ოთარაანთ ქვრივი“ ილიას მოთხრობაში არსებობს, როგორც ქვრივის სულიერი ღირსების მატარებელი ქალი. „თევდორეს სიკვდილის მერე ბევრ მამაკაცს რჩებოდა მასზე თვალი, მაგრამ ქვრივმა ქმრის ხსოვნას არ უღალატა. ოჯახს უმამაკაცობა არ დაამჩნია. საკუთარი ხელით ბარავდა, თოხნიდა, მარგლიდა, თესავდა, კრეფდა. მართალია, სოფელში ამბობდნენ – ვის გაუგია დედაკაცის თოხნი და ბარი, მაგრამ ქვრივი ამას აინუნშიაც არ აგებდა“.

მსგავსი თვისებების მატარებელია ესმაც: „ესმა 18 წლის დაქვრივდა, ერთადერთი ვაჟი დარჩა მომაკვდავი ქმრის იმედად. ქმარი საფლავში გაცივებულიც არ იყო, რომ ესმას ხელის მთხოვნელი

გამოუჩნდა. მერე და მერე ხელის მთხოვნელები მომრავლდნენ. მისი და ქმრის ნათესავეები ამბობდნენ, რომ სჯობს ესმა გათხოვდეს, ვიდრე რაიმე უბედურებას გადავეყრებითო. ესმას ქმრის „ნამუსის შენახვა“ სხვანაირად ესმოდა, ვიდრე მის კეთილის მსურველთ. ის მტკიცედ იდგა იმ აზრზე, რომ ჩემს დიდ სიყვარულს რალა შეცვლის და მის დაცვაზე დიდი ბედნიერება რალა უნდა იყოს“.

სწორედ, ეს ღირსეული ქალი მიიჩნია მერიემმა თავისი მიზნის თანამდგომლად და თანამგრძობლად.

„ჩემო რძალო, რალაც ვერ არის ლამაზი საქმე. არ ექნება მას კაი ბოლო. იქნებ რომელიმე ქალიშვილის ბიჭი მოგეყვანათ და გაგეზარდათ, თქვენი სისხლი და ხორცი არ იქნება თუ რა?... ესმას ჭირის დღესავით ეჯავრებოდა ამისთანა საქმეებში გარევა.“

„დასწყევლოს ღმერთმა, ვინც უბიჭობა უშვილობას გაუთანაბრა“, – თავისთვის გაიფიქრა ესმამ“.

„ოთარაანთ ქვრივისაგან“ განსხვავებით ავტორი მოთხრობაში ესმას მავნე ადათ-წესების მონინაალმდეგედ და ქალთა ემანსიპაციის მომხრე პერსონაჟად წარმოგვიდგენს. თუმცა იგი ზოგჯერ იძულებულია დათმობაზეც წავიდეს. დახმარებისათვის, ამიტომაც მიაკითხა სოფელში ამ საქმეში მასზე უფრო გამოცდილ ქვრივს დიდხანუმს.

ესმა და დიდხანუმი ქართული მხატვრული თხზულებების ცნობილი ქვრივების „ოთარაანთ ქვრივისა“ და „თავსაფრიანი დედაკაცის“ მსგავსი სახეებია, რომლებიც ერთმანეთს კიდევ ჰგავს და კიდევ არ ჰგავს. მათი ერთმანეთის მსგავსება იმაშია, რომ ისინი საერთოდ, ზოგადი სახეა, ქართველი ქალისა და დედის.

თუ ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ლორთქიფანიძის შემთხვევაში – ქალთა ორ სახეს მათი ზოგადი ქვრივობა იმდენად აერთიანებს, რომ არცერთ მათგანს საკუთარი სახელი არ აქვს, ერთი მხოლოდ „ოთარაანთ ქვრივია“ და მეორე კი „თავსაფრიანი დედაკაცი“.

ზემოთ აღნიშნულიდან განსხვავებით მიხეილ მახარაძის მიერ თავის მოთხრობაში დახატულ პერსონაჟებს სახელებიც გააჩნიათ და უფრო პროგრესულად მოაზროვნეები, მავნე ზნე-ჩვეულების წინააღმდეგ მებრძოლი ქვრივებიცაა. მათთან დაკავშირებით, აქ, ზოგადი მხოლოდ ისაა, რომ ისინიც თავდადებულ დედობას, დიდი ხნის მიცვალებული ქმრის გულწრფელ პატივისცემას მხოლოდ თავაუღებელ შრომაში ხედავენ.

მასპინძელი დიდხანუმი მის თავზე დატრიალებული „ამხანაგის მოყვანის“ ტრაგიკულ ბედზე მერიემს საშინელი განსაცდელის არიდების მიზნით მოუთხრობს: „მე ჩემი უნდა გითხრა, მერიემ. ბევრ ამნაირ საქმეს მოვსწრებვიარ, მაგრამ კეთილი ბოლო არც ერთს არ ჰქონია. რალა შორს წავიდეთ, განა ჩემი ამხანაგის ხვედრი ამას არ მოწმობს? შვილივით ამოვზარდე ბიჭი, დავასახლე და დავაკარე, არც დედამისის სიკვდილში მიმიძღვის ბრალი. მაგრამ, რაც უფრო გადის დრო, მით უფრო მანუხებს იმ საცოდავის ხვედრი. იქნებ მე რომ არ დავთანხმებულყავ ამ საქმეზე, ისიც სხვა ბედს ეწეოდა და ახლაც ცოცხალი იქნებოდა. მართალია, ოჯახს მემკვიდრე დაუტოვა და ამის წყალობით ვართ ახლა ავსებული, მაგრამ... მე ამ ბოლო დროს უფრო ბევრს ვფიქრობ იმაზე, რომ არავისი ოჯახი, არავისი გვარის გაგრძელება არ ღირს ვინმეს სიცოცხლედ. მომკალით და ეს აზრი ამ ბოლო დროს თავიდან აღარ ამომდის“.

დიდხანუმს კარგად ესმოდა დედის კეთილშობილური საზოგადოებრივი როლი და მისი დანიშნულება შვილის აღზდის საქმეში, მაგრამ მსხვერპლის ფასად მისი ჩადენა მაინც უდიდეს დანაშაულად მიაჩნდა: „თუ ამ საქმეში კიდევ ჩავდგები ცოდვაც ჩემი იყოს და მადლიც. ოღონდ ახლა ამ საქმეს კეთილი ბოლო ჰქონდეს და მადლი თქვენთვის დამილოცნია“, – განუცხადა მან მერიემსა და ესმას.

ავტორი დიდხანუმის პორტრეტის სრულყოფისა და მისი უნაყოფობის გადასაფარავად ერთ დეტალს იშველიებს, რითაც ხაზს უსვამს იმას, რომ ქალის უნაყოფობა ყოველგვარ უნაყოფობას არ

გულისხმობს: „ნალოც-ნაკითხი ღვთისმოსავი ქალი ხარ დიდხანუმ, შენი გაშენებული და გამოყვანილი ხილის გემო ვინ არ იცის. დიდხანუმს ეამა ამ თემაზე საუბარი, რითაც ძალიან მოსწონდა თავი და ესმასთან მაშინვე ჩაერთო საუბარში.

– ღმერთს მადლობა, ჩემი ხილის ნერგებს ნეტა სად არ ნახავთ, საქართველოს რომელ კუთხეში და ბევრ საქებარსაც ამბობენ“.

საერთოდ, ნაწარმოების ქვეტექსტებში აშკარად იკვეთება მერიემის, ესმასა და დიდხანუმის თავშეწირვის ის მთავარი ფაქტორები, რომლებიც მათ სევდას, ტანჯვას, მწუხარებასა და ტკივილს ადამიანის აქტივობის და სიხარულის საწყისად აქცევს. ხშირად სიხარული კი, როგორც თვით ადამიანი, ვერასდროს აღწევს სრულქმნას. სიხარული თვით ადამიანის მსგავსად მუდმივი, დაუსრულებელი წინსვლაა და იგი მუდამ ბედნიერებისაკენ მიილტვის, მაგრამ ვერასდროს აღწევს მას. ამ ფსიქოლოგიური წიაღსვლებიდან ამოდის მიხეილ მახარაძე თავის მოთხრობაში.

გრძნობათა ჩუმ ჭიდილში მერიემმა აუსრულა მეუღლეს ნანატრი ვაჟის გაჩენის ოცნება. მან თავისი ქალური სევდა მთლიანად დაიმორჩილა. მსხვერპლის ფასად ისტორიულ ტრადიციას, ქმრის გაბედნიერებასა და მემკვიდრის გაჩენას დაუზოგავად შესწირა თავი: „...მაგრამ მისთვის ყველაფერმა დაკარგა ფასი და თვალსა და ხელშუა ილეოდა. მალე ლოგინად ჩავარდა ეს ამაყი, პენიანი ქალი და სხვისი მოსავლელი გახდა. მხოლოდ ერთხელ გაიღიმა, ისიც სიკვდილამდე სამი დღით ადრე, როცა მათი ნანატრი ახალდაბადებული ბიჭი ანახეს. პატარას შუბლზე აკოცა, გაიღიმა და თვალთაგან ცრემლი წამოუვიდა“.

მართალია, მამაკაცს გაუჩნდა ნანატრი ვაჟები და გვარის გამგრძელებლები. და, არც მეორე მეუღლე იყო ავის სათქმელი ქალი, მაგრამ იგი იმდენ სიამოვნებას, კმაყოფილებას, სათნობასა და სინაზეს ვერ პოულობდა მასში, რამდენსაც მერიემის სიახლოვეს. კაცი მერიემის გარეშე მარტო დარჩა და საფლავის მაყურებელს მხოლოდ სიკვდილის მზერა შერჩა.

მოთხრობის ავტორი ნაწარმოებს რიტორიკული კითხვით ამთავრებს: „როდის იყო ნური სამოლიძე, ბედნიერი, როცა ბიჭი შვილი არ ჰყავდა, მაგრამ მერიემთან იყო, თუ, როცა ბიჭები ჰყავდა, მაგრამ მერიემი აღარ იყო მის გვერდით“.

შკარაა, რომ მერიემის თავშეწირვა სიყვარულის აქტია. იგი გულისხმობს სიხარულს იმისათვის, რომ იგივე ადამიანი თავის სიცოცხლის ერთ, ზოგჯერ უდიდეს ან უკეთეს ნაწილს იმას უთმობს, ვინც მას უყვარს. ამიტომ „თავშეწირვას იანუსის მსგავსად ორი სახე აქვს: ერთი იღიმება, მეორე კი ტირის. იგი იხედება ერთ და იმავე დროს ცრემლებს სამყაროსკენ და სიხარულის სამფლობელო-სკენ“.

ნური სამოლიძემ კი მერიემის დაკარგვის შემდეგ საკუთარ თავში ისეთი სიმდიდრე, ისეთი სინაზე და ალერსიანობა აღმოაჩინა, ალბათ გაუკვირდა, რომ ასეთი სიყვარული შეძლებია... და ავტორი ამით წარმოგვიჩენს ამ მამაკაცის დაფარულ ღირსებას, რომელიც მერიემს ადრევე შეცნობილი ჰქონდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალთა უუფლებო მდგომარეობისა და უთანასწორობის პასაჟები ასევე გადმოცემული მოთხრობებში „ცოლყოფილი“ და „მამამთილი და ძალოები“.

„მიმწუხრის ჟამს ალეს აზრი და ფიქრი ცოლის ირგვლივ ტრიალებდა. მისი დაღლილი სული მარადიულობაში გადასახლებაზე პატიებასა და შენდობას ითხოვდა ცოლყოფილისაგან... ამ ორმოცი წლის წინ, არავინ იცის რატომ და რის გულისთვის, ალე დაშორდა პირველ ცოლს და ქალმაცხუთი შვილი მარტომ გამოზარდა. ამ ხნის მანძილზე ბევრი შრომაც ჰქონდა და ჯაფაც, არც წვალება დაკლებია, მაგრამ ბედს მაინც არ ემდუროდა, რადგანაც სანაქებო შვილები გამოზარდა და გზაზე დააყენა“.

ცოლყოფილი ქალურ მარტოობას სწორედ შვილების სიყვარულითა და შრომით თრგუნავდა. მისი უგონო სიყვარული ქალმა ორმოცი წლის წინათ სამუდამოდ დამარხა და მის სულს მხოლოდ ზნესრული ადამიანისათვის აუცილებელი სულიერი სიმტკიცე კვებავდა. და, მაშინ, როცა ახლობლებმა მომაკვდავი ყოფილი ქმრის ნახვა სთხოვეს: „წარსულის ტანჯვითა და წვალეებით განვლილმა ორმოცმა წელმა თვალწინ არაერთგზის აიარა და ჩამოიარა. ბევრჯერ აწონა და გაზომა წარსულში გადატანილ-განცდილი. მძიმე წარსულის გახსენება საბოლოო ნაბიჯის გადადგმისკენ აბრკოლებდა...“

„ადამიანები ყველა ცოდვის შვილებით ვართ და ჩვენი წილი შენდობა ყველას გვჭირდება“, – ამ შეგნებით აპატივა ქმარყოფილს ცოლყოფილმა. ის, რაც მოხდა წარსულში.

...ქალის ქვეცნობიერში სძინავდა მის პირველ სიყვარულს და არ უნდოდა ამდენი წლის შემდეგ მისი ხელახალი გაღვიძება. მაგრამ, რადგან სიტყვა ჰქონდა მიცემული დილა უთენია სახელდახელოდ მოიკაზმა და ქმარყოფილის სახლამდე ხელჯოხით მივიდა, თუმცა მასთან შეხვედრამდე ჯოხი ღობესთან დატოვა.

მიხეილ მახარაძე კალმის ერთი მოსმით აღწერს უმძიმეს ფსიქოლოგიურ მომენტს და ერთი დეტალის მოყვანით გადმოგვცემს ასაკიან ქალში ძველი სიყვარულის უნებლიე აფეთქებით გამოწვეულ გარდასახვას: „...მეორე სართულზე ასასვლელ კიბესთან ცოტახნით შეჩერდა და თავი კიდევ ერთხელ მოინესრიგა. ერთგვარი ოხვრა-ნარევით ამოისუნთქა და ისე როგორც თავის დროზე, სადედოფლო კაბაში გამონყოფილი ამაყად აუყვა კიბეს. როგორც მაშინ ახლაც თითქოსდა სადედოფლოდ მორთულ სამოსზე შაქარყინული გადაეყარა და წამიერად ტანში მაშინდელმა განცდილმა სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა“.

ავტორის პოზიცია ნაწარმოების დასასრულს, როგორც მოთხრობა „მერიემში“ აქაც „შეკითხვითი“ ხასიათისაა, რომელიც ჩვენგან პერსონაჟთა თანამოზიარობას მოითხოვს: „ცოლყოფილი ისე მორცხვად შევიდა ოთახში, როგორც მაშინ ალე და კარიც შეიხურა... არავინ იცის ამ მოკლე დროში რა უთხრეს ერთმანეთს, ერთი კია, ხალხის თანდასწრებით ქმარყოფილს ცოლყოფილმა აპატივა ის, რაც მოხდა წარსულში და მისგანაც სამაგიერო მოითხოვა“.

ავტორი საგანგებოდ საიდუმლო სამოსელში ხვევს ცოლ-ქმრის საუბარს. იგი ამ „შეკითხვითი პოზიციით“ მკითხველებს აახლოებს პერსონაჟებთან და მათთვის დამახასიათებელ სიტუაციაში აქცევს. და, რაკი მკითხველები რჩევას ვერ იძლევიან, – ნებისთ თუ უნებლიედ ისინიც „ყოვლის გამგებნი“ ხდებიან: „ალეს, ლოყაზე კურცხალი ჩამოუგორდა. დასტურისთანავე ცოლყოფილი ქმარყოფილს სახეზე ეამბორა და თავისი ცრემლი მისსას შეერია...“

მათი სევდის მიზეზი ერთ და იმავე დროს სხეულებრივიცაა და ფსიქიურიც, ცნობიერიც და ქვეცნობიერიც.

ცოლყოფილის სევდა ამასთან ერთად საკუთარი აზროვნების ბრძმედსა და საკუთარი ნების გავლენის ამსახველი განცდაცაა. და, როგორც ავტორი ამბობს: „აქაური წესების თანახმად, ცოლყოფილი მიცვალებულს სასაფლაოზე არ გაჰყოლია და ამ დღიდან აღარც შავები გაუხდია“.

ასეთია, ზოგადად ქალის სევდის, ხვედრისა თუ ბედის ნამდვილი სახე მიხეილ მახარაძის წიგნის „მერიემის“ მიხედვით, სადაც ავტორის იდეას ლეიტმოტივად გასდევს ის, რომ შეცდომის შესაძლებლობის შიშმა ხელი არ უნდა აგვალეზინოს ჭეშმარიტების ძიებაზე.

რაც შეეხება წიგნში შეტანილ მოთხრობას „მამამთილი და ძალოები“, მასში დაგმობილია „მანუს კანონებით“ გამეფებული აზრი, რომ „ქალი არასოდეს უნდა იყოს თავისუფალი მორჩილებისგან“. ეს ნათქვამი კიდევ უფრო განმტკიცებულია იმ რელიგიური სწავლებებით, რომლებიც ერთხმად აცხადებდნენ საზოგადოებაში ქალების დაქვემდებარებულ როლს. რაც, უპირველესად, იმაში გამოი-

ხატებოდა რომ ქალებს არ ეძლეოდათ საზოგადოებაში სიტყვით გამოსვლის უფლება, რის გამოც დუმილს მიმართავდნენ.

ეს მოთხრობა განსაკუთრებით იმითაცაა საინტერესო, რომ მამაკაცების მიერ დამკვიდრებულ მავნე ტრადიციის აღმოსაფხვრელად ხმას იმალებს თავად მამაკაცი: „ინუს მახარაძეს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა რძლებთან. აქ დამკვიდრებული ტრადიციით რძალი მამამთილს, მაზლებს, უფროს მაზლიშვილებს ხმამაღლა არ ელაპარაკებოდა ან საერთოდ არ ელაპარაკებოდა.

ინუს მახარაძე კი ახალ რძალს მეორე დღესვე ეტყოდა: „ძალი არავითარი არ დალაპარაკება და არავითარი ჩურჩულით ლაპარაკი, სხვა მხრივ დამაფასე. ეს იყო მისი კატეგორიული მოთხოვნა, რაც ყველას როდი მოსწონდა...“

ქალთა უფლებრივი შეზღუდვის წინააღმდეგ მიხეილ მახარაძეს მოთხრობაში შემოჰყავს უკვე დაბრძენებული შუახნის მამაკაცი, რომელსაც კარგად აქვს შეფასებული ქალის ღირსება, მისი როლი ოჯახისა თუ საზოგადოების წინსვლაში. ავტორი მსუბუქი იუმორის ფორმით იბრძვის პრივილეგირებულ და აღმატებულ არსებებად აღიარებულ მამაკაცთა მავნე წეს-ჩვეულების წინააღმდეგ.

„ერთხელ ინუს მახარაძე ახალგაზრდა რძალთან ერთად მთა თეთრობში მიდის. რამაზნის (მარხვის) თვეა... მამამთილის თანმხლები რძალი იხსენებდა, რომ რამაზნიანობის მიუხედავად, ძნელი იყო მჩქევარე წყაროს წყლებისგან თავის შეკავება. როგორც კი საშუალება მომეცემოდა, მაშინვე დავენაფებოდი ცივ წყალს... როგორც იქნა მიაღწიეს სახლამდე. იფთხის დროც მოსულიყო. მამამთილს თუნგი თთის ცივი წყალი მიართვეს, მან კი ეს პატივი რძალს გადაულოცა. რძლის უარზე კი ღიმილით აღნიშნა – ჰო, მაგან ჯერ კიდევ სარეკლის ქალებში მოითავა იფთარიო.

რა თქმა უნდა, სარეკლის ქალებში მამათილი რძლის მოქმედებებს ამჩნევდა, მაგრამ მისი ჰუმანური ბუნებიდან გამომდინარე, ამას არ იმჩნევდა“.

ნაწარმოების მთავარი გმირი ინუს მახარაძე დარწმუნებული იყო, რომ დრო აუცილებლად მოიტანდა დამკვიდრებული ტრადიციების გადასინჯვას. ამასთან ერთად ავტორის მიერ საგანგებოდ შემოტანილი ეს ფსიქოლოგიური პასაჟი, კიდევ ერთხელ ამკვიდრებს აზრს რწმენის თავისუფლების აღიარებაზეც.

ცნობილია, რომ სევდა ხშირად წარმოიშვება იმით, რომ ესა თუ ის მოგონება, ან მოგონებათა მთელი ჯგუფი მოსვენებას არ აძლევს ადამიანს: ასეთები არიან მოგონებები ვინმეს დაშორებისა, ან სიკვდილისა, ან კიდევ რომელიმე მარცხისა.

მიხეილ მახარაძემ წიგნის დასასრულს თავის ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „მამა, დედა, დუდა და... მე“ საგანგებოდ შემოინახა ის მოგონებები, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე შინაგანად მოსვენებას არ აძლევდა: „მე არ ვეკუთვნი იმ ადამიანთა კატეგორიას, ვის ცხოვრებაშიც წარსულის სევდიანი მოგონებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მით უმეტეს, რომ ამის საფუძველს ჩემი განვლილი ცხოვრების გზაც არ იძლევა. და თუ მკითხველი ჩემს ამ მონათხრობში სენტიმენტალურ გრძნობებს მაინც ამოიკითხავს, ამისთვის ნუ დამძრახავს. თუ ყოველთვის არა, ზოგჯერ ხომ მაინც განვლილ რეალურ ცხოვრებას აჩრდილივით თან სდევს გარკვეული სევდანარევი მოგონებები.

დავინყებ იმით, რომ მშობლის, მშობლიური გრძნობის განცდა არ გამაჩნდა. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. მამა შეიძლება ითქვას, არ მახსოვდა. დედასთან კი – არ გავზრდილვარ, დედასაც ვერ ვეძახდი“.

ამ სევდიანი მოგონების შემდეგ, უნებლიეთ გაგიღვებს აზრი: ვინ შეიძლება იყოს დედა-შვილზე უფრო ახლობელი ერთმანეთისათვის? – მაშინ, როცა ადამიანი სიკვდილის წინაც, – „ვაი, დედას“ – წარმოთქმით საშველად დედას უხმობს!... მაგრამ თურმე ცხოვრებაში დგება დრო, როცა ირღვევა ეს ახლობლობა და გაუცხოება ისადგურებს მათ შორის. „გაუცხოებას მრავალი მიზეზი უდევს

საფუძვლად. ზოგჯერ ეს საფუძველი კლასობრივი სხვაობაა, ზოგჯერ ადამიანური ღირსება, ზოგჯერ სიყვარული და ზოგჯერ კიდევ ვინ იცის რა. გამოდის, რომ გაუცხოება საბოლოოდ ადამიანის არსებობის თვისებაა“.

მიხეილ მახარაძისათვის დედასთან გაუცხოების მიზეზი მის მიერ ახალი ოჯახის შექმნა გახლდათ. „დედის როლს ჩემს ცხოვრებაში დღევანდელი გადასახედიდან წინანდელთან შედარებით სხვანაირად ვაფასებ. ეს სხვადასხვა ფაქტორმა განაპირობა... როცა დედაჩემი ოჯახიდან წავიდა ის 21 წლისა არ იყო, მე კი 5 წლამდე 5 თვე მაკლდა...“

ახლა მესმის დედის მაშინდელი მდგომარეობა, მაშინ... იყო ჩვენთან მოსულ დედაზე ჩემი გამოტირება, მასთან ყოფნის დაუოკებელი ლტოლვა, ბევრი ცრემლი და სხვა. ეს უფრო პირველ სტატიაზე იყო, შემდეგ დიდგულობა ჩემი მხრიდან, რასაც აძლიერებდა ქვეცნობიერი ეჭვი მოცილის – ძმის დაბადება და ჩემს თვალში დედის მშობლიური გრძნობის გაორება, რაც ხანდახან დედის მიმართ ჩემი მხრიდან აგრესიასა და ბუტიობაში გადადიოდა.

ერთხელაც, დედას რაღაც ბანალურ ამბავზე ავუხიროდი და გავებუტე. მასთან აღარ დავდიოდი და დედისგან ეს გაუცხოება ნახევარ წელზე მეტხანს გაგრძელდა. სხვებისგან მომდიოდა ამბავი, თუ როგორ განიცდიდა ყველაფერს ამას დედა. მაშინ იმდენად გულქვა ვიყავი დედის მიმართ, რომ ყოველივე ასეთი ამბავი გულს კი არ მიღებოდა, არამედ უფრო მიქვავებდა...“

ამ ამონარიდის ქვეტექსტში აშკარად იკვეთება „ოთარანთ ქვრივის“ სიტყვები: „ვინ ვისთვისაო, – რა საკითხავია დედა-შვილობაში?... ვაი, რომ საკითხავი ყოფილა! ამის ჭიდილია თურმე დედა-შვილობაცა“.

ანალოგიური ფსიქო-ბიოლოგიური ფაქტორები გახლდათ დედა-შვილის მთავარ გამთიშავ ძალად „ოთარანთ ქვრივის“ შემთხვევასა და მიხეილ მახარაძის მიერ დახატულ დედის საქციელში. მაგრამ, მაშინ ბავშვისათვის, შეუცნობადი იყო დედის უმწეო და დაუცველი მდგომარეობა. მისთვის მამის გარდაცვალებით გამოწვეულ ობლობაზე მტკივნეული, დედის გაუცხოებით მიყენებული სინანული გახლდათ.

აღბათ, ამიტომაც ათეული წლები დაჭირდა გადასარწმუნებლად, როგორც მიხეილ მახარაძე თავის თავზე ამბობს, რათა „ურწმუნო თომასათვის“ აეხსნათ ამ გაუცხოების არსი.

და, თუ ამ პროცესებს დასკვნის სახით ჩამოვაცალიბებთ, შეიძლება ვთქვათ: როცა სევდას სცვლის და მის ადგილს იჭერს სიხარული ადამიანისათვის ყველაფერი ადვილად მისაწვდომად ისახება. ისე, რომ მისთვის დაბრკოლებათა გარდუვალობა ჰქრება. მისი გეგმები რეალური შესაძლებლობით ისახებიან. ამ დროს ადამიანი სიხარულის ზეგავლენით ვეღარ ეტევა თავის ნაჭუჭში. მას სჭირდება გარეთ გამოვლენა: სამოქმედო მოედანზე გამოსვლა; სხვებთან კონტაქტის დაჭერა; თავისი კმაყოფილების; თავისი აღტაცების სხვისთვის გაზიარება, სხვისი თვალების, სხვისი ღიმილის, სხვისი ყურადღების თანხლება. ერთი სიტყვით, სხვათა მოყვასობის შეგრძნება. იგი ვერ ითმენს განმარტოვებას. მას უჭირს თავისი სიხარულის მხოლოდ საკუთარი თავისადმი შენახვა, რამეთუ სიხარული ადამიანს თავისი საკუთარი თავის რწმენას, ნდობას ანიჭებს და გამბედაობას აღუძრავს. ისიც უნდა ითქვას, რომ სიხარული ადამიანს თავისი მისწრაფებების, თავისი ცხოვრების ღირებულების შეგნებას წარმოუქმნის და ამით ადამიანის იმედებს ფრთებს შეასხამს.

ასე რომ, სიხარულით აღვსილი ადამიანისათვის ყველაფერი მომხიბლავი და ღირებული ხდება. აღბათ, ამიტომაც გამოიტანა სამზეოზე მიხეილ მახარაძემ თავისი აღსარებაც: „თბილისში, ჩემს ოჯახში, ჩემი საიუბილეო დაბადების დღის აღსანიშნავ 30 კაციან სუფრასთან მშობლების სადღეგრძელო ითქვა. მე ჩვეულებას არ ვუღალატე და სადღეგრძელო ასე დავასრულე: „დედაჩემისთვის გათხოვება არ მიპატიებია!“ სიტყვა დამთავრებული არ მქონდა, რომ ჩემმა ახლობელმა ახალგა-

ზრდა ქალმა ყანნი მოითხოვა, შეავსო და კითხვით მიმართა სუფრის წევრებს: „– რისთვის ვართ შეკრებილი ჩვენ აქ?“

შეკითხვას სხვადასხვანაირად პასუხობდნენ, მაგრამ ყველა პასუხში ერთი უცვლელი ჩემი პერსონა იყო და მის ირგვლივ ტრიალებდა ყველაფერი. შეკითხვის ავტორმა ბოლოს ასე შეაჯამა: „იმ ჩვენმა რძალმა, ბიცოლამ თუ ბებიაშობა და გვარსა და ჯიშს აჩუქა ის, ვის გამოც ვართ შეკრებილი და ვისითაც ვამაყოფთ. მეტი რა უნდა ექნა? განა ეს საკმარისი არ არის?!“

თქვა ეს და წარმოთქვა დედაჩემის სადიდებელი სადღეგრძელო...

პირველად ამ ფაქტმა შეარყია ჩემი ეჭვიანი პოზიცია, მაგრამ ბოლომდე ვერა“.

მოთხრობის ავტორს მეორე მაგალითიც მოჰყავს იმ სიხარულის გადმოსაცემათ, რომლის ძალისხმევით მისი პოზიცია ღირებული გახდა და დედის სახე ხატად იქცა: „მამის გარდაცვალებიდან 50 წელი აღვნიშნე მთაში, იქ სადაც გარდაიცვალა ის. ყველაფრის დამთავრების შემდეგ, სოფლის ერთმა ამაგდარმა რძალმა და დიდმა ქალბატონმა დამიმარტოხელა. ჯერ ის მითხრა, რომ მეგობრობდა დედაჩემთან. მას შეიძლება სმენოდა დედაჩემის პატიება-არ პატიების თემა და ისეთ რამეს მომიყვა, რომ ყველაფერს დაესვა წერტილი.

„დედაჩემის საცხოვრებელი ადგილი საკმაოდ მაღლობი იყო. მისი სახლის ახლო მოსახვევიდან ხელისგულივით ჩანდა გზა, სადაც უნდა გამოველო მათ დასახლებაში მიმავალს. შენ, როცა თბილისიდან ჩამოხვიდოდი, დედაშენი პატარა სკამზე იჯდა და გელოდა, როდის გაივლიდი იმ გზაზე. ზოგჯერ ეს ლოდინი დღეები გრძელდებოდა, თანაც ნებისმიერ ამინდში, ზამთარსა თუ ზაფხულში. ხოლო, როცა მისგან წამოვიდოდი, დედა თურმე მოსახვევთან რომ გამომყევებოდა, იქ იცდიდა, ვიდრე დაბლა გზას არ გავივლიდი.

მადლობა ამისთვის ქალბატონს, ვისმა ნათქვამმაც ყველაფერი ნათლად დამანახა და ამის შემდეგ ჩავწვდი დედის ხიბლს. მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან დამაგვიანდა...“

მიხეილ მახარაძე ღრმა და ლამაზი, სუფთა, უშუალო და უსაზღვრო გრძნობით ჩაქსოვილი სტრიქონებით გადმოგვცემს ძლიერ პირად მღელვარებასა და ფსიქოლოგიურ პასაჟებს.

ეს არის ავტორის დაგვიანებული მონანიება და დიდი ილიას სიბრძნის რწმენა, რომ: „დედის გული ზღვა არის სიყვარულისა... დედაშვილური სიყვარული მძლეთა-მძლეთა“.

ასეა, შენი ცხოვრება შენივე პატარა მათიანეა. ესა თუ ის ვითარება, ყოველი ფეხის ნაბიჯზე რომ აწყდები, ოდესმე მაინც უკან მიგახედებს.

შეიძლება ვთქვათ, რომ მიხეილ მახარაძის მოთხრობების წიგნის „მერიემის“ პერსონაჟი ქალები ზნესრული ადამიანები ანუ საქმით მეტყველნი არიან, რომელთაც მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული უნათებს გზას.

ჭორბი 1

2021

მალხაზ ფალავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა

2021 malkhaz.pagava@mail.ru